

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“

ხატია შერაზადიშვილი

**თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის
ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები**

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
თამარ მღებრიშვილი
კონსულტანტი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი
სარიდან შალიკაშვილი

თბილისი 2016

სარჩევი

ანოტაცია.....	4
Annotation	7
შესავალი	9
თავი 1. სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხის ისტორიისთვის	
§ 1.1. სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი მნიშვნელობა	16
§ 1.2. სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების ეტაპები.....	25
§ 1.3. ეკვივალენტობა და არაეკვივალენტობა სამედიცინო ტერმინებში.....	30
§ 1.4. სამედიცინო ტერმინწარმოების მეთოდები.....	34
§1.5. ნეოლოგიზმები მედიცინის ენაში	43
თავი 2. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციები და მათი ქართული თარგმანები	
§2.1. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირებადა მათი ქართული თარგმანები.....	49
§2.2. ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ტრანსპოზიცია ქართულ ენაში.....	53
§2.3. ტერმინ-ნეოლოგიზმების, მეტაფორული და მეტონიმური სამედიცინო ტერმინოლოგიის წარმოება და მათი ქართულ თარგმანი	60
§2.4. ზოგადსალიტერატურო ლექსიკის ტრანსპოზიცია სამედიცინო ტერმინოლოგიაში.....	69
§ 2.5. აფიქსალური ტერმინ - ნეოლოგიზმები მედიცინის ენაში და მათი ქართული თარგმანი.....	74
§2.6. მრავალკომპონენტური სამედიცინო ტერმინოლოგიური შესიტყვებები ინგლისურ და ქართულ ენებში.....	81
§2.7. ინგლისურენოვანი სამედიცინო აბრევიატურები და მათი ქართული ეკვივალენტები.....	94
§2.8. სინონიმები და ეპონიმური სამედიცინო ტერმინების ქართული ანალოგები	98

თავი 3. ინგლისური ენის დომინანტური სტატუსი სხადასხვა სახის სამედიცინო	
თარგმანში და თანამედროვე სამედიცინო კომუნიკაციაში	
§3.1. ESP - დარგობრივი ინგლისური ენა; EMP - ინგლისური ენა	
მედიცინაში.....	117
§3.2. მედიცინის ენა. დარგობრივი თარგმანი.....	123
§3.3. ინგლისური ენის ინტერფერენცია ქართულ სამედიცინო თარგმანში...	125
§3.4. სამედიცინო ტექსტების თარგმნის სპეციფიკა.....	136
§3.5. სამედიცინო ტექსტების ტიპები და ფუნქციები თარგმანის კუთხით.....	138
§3.6. ადეკვატურობის პრობლემა ინგლისურ-ქართული სამედიცინო	
ტექსტების თარგმანებში.....	142
დასკვნა.....	153
გამოყენებული ლიტერატურა.....	167
დანართი	176

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია ინგლისური სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები, ტერმინების ქართულად გადმოცემის საშუალებები. წარმოდგენილია სამედიცინო ტერმინოლოგიის შევსების ძირითადი წყაროები. ასევე შესწავლილია თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითადი ტენდენციები. გამოვლენილია ყველა ის კანონზომიერება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სხვადასხვა სახის სამედიცინო თარგმანის კვალიფიციურად შესასრულებლად. ყურადღება გამახვილებულია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ახალი ტერმინებით შევსების ტენდენციებზე. სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სამედიცინო დინამიკური პროცესებს თან სდევს ამ ენების ბაზაზე შექმნილი ტერმინოლოგიის შემოსვლა და დამკვიდრება საერთაშორისო სამედიცინო პრაქტიკაში.

ნაშრომში გამოკვლეულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის ზეგავლენა ზოგადად ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე. წამოწეულია სამედიცინო თარგმანში დინამიური ეკვივალენტობის პრობლემა და სამედიცინო ტექსტების თარგმნის თავისებურებები; შეფასებულია ინგლისური ენის მნიშვნელობა თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში. განხილულია დარგობრივი ტერმინოლოგიის ენის დანიშნულება, გამოკვეთილია სამედიცინო ტექსტების ტიპები და ფუნქციები. გაანალიზებულია ინგლისურენოვანი ტერმინებისათვის ქართული ეკვივალენტების მისადაგება და მათი სწორი შესატყვისების შემოტანა ქართულ ენაში. აგრეთვე დასმულია სამედიცინო ტექსტების თარგმანების ადეკვატურობის საკითხი. ყურადღება გამახვილებულია სამედიცინო თარგმანში არსებული ხარვეზების მრავალფეროვნებაზე, რაც ხელს უშლის ეფექტურკომუნიკაციას მედიკოსსა და პაციენტს შორის. თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი დომინანტური რეალია სამედიცინო გარემოა და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ გარემომ მოითხოვს საკუთარი სპეციფიკით განპირობებული პრინციპების ჩამოყალიბება.

თემის **აქტუალობა** განპირობებულია საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის სამედიცინო ურთიერთობების გაფართოებით, მზარდი კომუნიკაციებით მედიცინის დარგში. თანამედროვე ინგლისურენოვანი ტერმინოლოგია ლინგვისტური

კუთხით სრულიად ახალი სამეცნიერო სფეროა და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყოველ ნაბიჯზე წარმოიქმნება სხვადასხვაგვარი პრობლემები ტერმინების თარგმნასთან დაკავშირებით. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი ერთი მხრივ სამედიცინო ტერმინოლოგიის გარკვეულ მოწესრიგებაში მდგომარეობს, ხოლო მეორე მხრივ ტერმინთა ქართულ ენაზე თარგმნისა და დამკვიდრების ტენდენციების გამოვლენასა და პრობლემათა ანალიზს მოიცავს. ასევე, ქართულ ენაში არსებული მივიწყებული სამედიცინო ტერმინების განახლება და მეტყველებაში შემოტანა. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე მედიცინაში სიახლეთა დანერგვა ახალი სამედიცინო ტერმინებისა და გამონათქვამების შემოღება-დამკვიდრების აუცილებლობას ქმნის. რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი ტერმინების უთარგმნელად გადმოტანა ენაში.

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო სიახლე საკვლევი მასალის შერჩევიდან გამომდინარეობს. პირველადაა წარმოდგენილი ამ დარგის ტერმინების ეტიმოლოგიური და სტრუქტურულ - სემანტიკური ანალიზი, ტერმინოლოგიის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის სირთულეები და სპეციფიკა. შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები მთარგმნელობით მეთოდებთან მიმართებაში. მოცემულია ახალი სამედიცინო ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია და დაჯგუფება წარმომავლობისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, სამედიცინო ტერმინოლოგიის წარმოების მეტაფორული და მეტონიმიური მეთოდები, აფიქსალური ნეოლოგიზმები, ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რთულ სამედიცინო ტერმინთა წარმოება, მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური სიტყვათშეთანხმებები, აბრევიატურები და სიმბოლოები სამედიცინო ტერმინოლოგიაში, სინონიმები სამედიცინო ტერმინოლოგიაში. განხილულია ინგლისურ ენაზე არსებულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამოყენებული წარმოებული სახელების სტრუქტურული და სემანტიკური შემადგენლობა. კვლევაში შეფასებულია მიმდინარე ეტაპზე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიისა და სამედიცინო ტექსტების თარგმანების სფეროში არსებული მდგომარეობა.

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ შემაჯამებელი დასკვნები, რომლებიც მიღებულია დისერტაციაში, შესაძლებელია, გამოვიყენოთ ზოგად ენათმეცნიერებაში, ტერმინმცოდნეობაში - სხვადასხვა დარგის ტერმინთა

სისტემების შეპირისპირებითი კვლევების დროს. ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს ის, რომ კვლევის შედეგები შესაბამისია თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სალექციო კურსებისთვის. აღნიშნულია, რომ განხილული საკითხები მეტად მნიშვნელოვანია სამომავლოდ. წინამორბედთა შეცდომების გათვალისწინება დაეხმარება ამ დარგში მომუშავე მთარგმნელებს, რომ კიდევ უფრო სრულყოფილი თარგმანები შესრულდეს მომავალში. საკვლევი მასალა მოვიპოვეთ: სხვადასხვა ინგლისურ-ქართული და ინგლისურ-ინგლისური ტერმინოლოგიური თუ ზოგადი ლექსიკონებიდან, ელექტრონული და ონლაინ ლექსიკონებიდან, ენციკლოპედიებიდან, სამედიცინო სასწავლო მასალებიდან, ქართულად ნათარგმნი სამედიცინო სახელმძღვანელოებიდან და ა.შ.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ნაწილის, თავების, ქვეთავებისა და დასკვნისგან.

თავი I ეძღვნება სამეცნიერო ტერმინოლოგიის ზოგად საკითხებს. თავი II განიხილავს ინგლისური სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს. თავი III განიხილავს ინგლისური ენი ენის სტატუსს თანამედროვე სამედიცინო კომუნიკაციაში.

დასკვნაში განზოგადებულია სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საფუძველზე მიღებული შედეგები.

დისერტაციას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. დანართი სხვადასხვა სახის სამედიცინო ტექსტების ინგლისურ ქართული ვერსიების სახით. ნაშრომი მოიცავს 175 გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის სია 127 დასახელებულ წყაროს აერთიანებს.

ANOTATION

The dissertation deals with the filling of the main sources of modern medical terminology. Studies the formation of the major trends in modern English medical terminology and language of their establishment. the work consists of an introduction, three chapters and a conclusion. Introductory part introduces the importance of the search work. **The aim** of the dissertation is to regulate terminology, to analyze medical terminology and tendencies of its filling from other modern languages. translation problems and to reveal those main translation tendencies that are used for conveying terms into Georgian.

The first chapter consists of seven paragraphs. It deals with the scientific terminology and linguistics in his place. Clarifies the terminology. The essence of the term in the general linguistic theory. The main characteristic features of scientific terminology. Sets out the general principles of medical terms in writing. Emphasis is placed on translation equivalency, as a scientific text - one of the key requirements.

The second chapter consists of four paragraphs laying out the criteria under which the evaluation of translations, is separated from the translation of dynamic equivalence problems and peculiarities of translation of medical texts; evaluates the role of the English language medical literature. It analyses the role of LSP-language for specific purpose and its sub branch LMP-language for medical purposes. The medical text types and its functions. Also discusses the issue of the adequacy of medical texts in translation.

The third chapter analyzes the developing trends of modern English medical terminology. the present study reveals all the regularities that should be considered in medical translation. The paper deals with the completion of the main sources of modern medical terminology. Attention is also focused on filling tendencies of medical terminology from other modern languages. Where most of the mentioned terms are English. This is the current tendency of the modern era. The new medical terms are coined. Medical Terminology for the production of metaphoric and metonymic methods. Phraseological units - the production of

complex medical terms. Multicomponent terminological combination. Abbreviations and symbols in medical terminology. Synonyms in medical terminology.

The scientific novelties of the research are the systemic description and linguistic analysis of English medical terminology that have never been the object of monographic study. The etymologic, structural-semantic analysis, the specificity and translation problems of medical terms from English into Georgian have been described for the first time. Some recommendations are put forward for translation methods.

To achieve aims and objectives complex method is used, that includes analytic study and systemic comparison methods of linguistic materials, their classification according to specific characteristics, etymologic and structural semantic analysis, methods of contextual analysis.

Theoretical value of the thesis is that the summarizing results can be used in general linguistics, in terminology science – during comparison studies of different terminological systems.

Practical importance of the thesis is that the research findings are relevant to the translation theory and practice. The final section summarizes and evaluates the results of research carried out at the current stage of medical terminology and medical texts in English translations of the situation.

The dissertation consists of an introduction, four chapters, a conclusion and a bibliography. The number of dissertation thesis pages are 175, the bibliography includes a list of 127 source materials.

The research materials were collected from: different general or specialized English-Georgian, English-English dictionaries; electronic and online dictionaries; encyclopedias; marketing studying materials; marketing books that are translated into Georgian, etc.

შესავალი

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ ენის ლექსიკური კორპუსი ივსება ახალი ტერმინოლოგიით. თანამედროვე ეპოქაში მედიცინა სწრაფად და პროდუქტიულად ვითარდება. მედიცინის სხვადასხვა დარგში მუშაობის გაღრმავებამ საეთაშორისო ასპარეზზე ეფექტური კომუნიკაციის აუცილებლობა განაპირობა. დღესდღეობით ქართველი ლინგვისტებისთვის სამედიცინო ტერმინოლოგიის კვალიფიციურად თარგმნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, თანამედროვე მედიცინის მიღწევების გავრცელება მსოფლიო მაშტაბით ვერ განხორციელდება კომუნიკაციის გარეშე. თარგმანის მეშვეობით მიიღწევა გარკვეული მიზნები. სხვადასხვა ქვეყნის მედიკოსთა შორის თანამშრომლობა, საერთაშორისო მედიცინის განვითარება, თვალსაზრისთა გაცვლა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს მრავალ ენაში, მათ შორის ქართულშიც, შეინიშნება ინგლისურენოვანი ტერმინების მოზღვაობა, რაც განპირობებულია ინგლისური ენის დომინანტური სტატუსით საკომუნიკაციო სივრცეში. მედიცინა გამუდმებით პროგრესირებს და, შესაბამისად, სამედიცინო ტერმინოლოგიაც პერმანენტულად მრავალფეროვანი ხდება. ეს პროცესი აისახება ბევრ ენაში და ახლა გამოჩნდის არც ქართული ენაა. თითოეული ენა, ჩვენს შემთხვევაში ინგლისური და ქართული, განსხვავდება ერთმანეთისაგან. თანამედროვე ეპოქაში სამედიცინო დარგის მიღწევები გაუნელებელი ინტერესის საგანს წარმოადგენს და განსაკუთრებული ინტერესის საგანია მთარგმნელობითი თვალსაზრისით.

თანამედროვე მედიცინაში სიახლეთა დანერგვა ახალი სამედიცინო ტერმინებისა და გამონათქვამების შემოღება-დამკვიდრების აუცილებლობას ქმნის. სამედიცინო ტერმინოლოგია ორგანულად ერწყმის სალიტერატურო ენას. ის, როგორც ნებისმიერი სფეროს ტერმინოლოგია, ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ საგანძურს.

სამედიცინო ტერმინების კვალიფიციურად თარგმნა წარსულშიც და დღესაც პრობლემატურ საკითხთა შორისაა. ცნობილი ფაქტია, რომ ტერმინის სწორად

შერჩეული ანალოგი წარმატების წინაპირობაა. მთარგმნელებისათვის უცხოენოვანი ლექსიკური ტერმინისათვის ქართული ეკვივალენტი ტერმინის მისადაგება ყოველთვის რთულ ამოცანას წარმოადგენდა. თანამედროვე ეტაპზე ეს პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა. სპეციალისტები ტერმინთა ეკვივალენტურობის პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. რაც განპირობებულია დარგობრივი ლექსიკონების სიმწირით და ქართული ანალოგების ნაკლებობით. თარგმანის ადეკვატურობის პრობლემაზე არაერთი კვლევაა ჩატარებული. ყველა ნაშრომის უმთავრესი მიზანია ადრესატამდე ინფორმაციის ადეკვატურად მიტანა. რადგანაც დღევანდელ დღეს სწორი კომუნიკაცია ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი მედიცინაში წარმატების გარანტად გვევლინება.

სოციალური ლინგვისტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის კვლევა, თუ რა პრობლემები გვხვდება ინფორმაციათა გაცვლისას, ასევე, რა გავლენას ახდენს ენაზე თანამედროვე ტექნოლოგიათა განვითარება და დანერგვა როგორც მედიცინაში, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ეს პროცესები აჩქარებს ინოვაციებსა და ახალი გამოგონებების დამკვიდრებას ენაში. ამიტომ, მზარდი კომუნიკაციის პირობებში, ნებისმიერი ტერმინი (წერილობით თუ ზეპირად) ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს უნდა დაექვემდებაროს.

სამედიცინო თარგმანი მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამედიცინო ტერმინები ინგლისურ ენაზე იქმნება, ძირითადად, ტრადიციულ ბერძნულ-ლათინურ ძირს ეფუძნება. აქედან გამომდინარე გვერდი ვერ ავუარეთ, ლათინურ-ბერძნულლექსიკურ ერთეულებს, ანუ იმ წყარო-ტერმინებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგია. თავისი სტრუქტურული, სემანტიკური და სტილისტური მახასიათებლებით სამედიცინო ტერმინოლოგია განსხვავდება საერთო ლექსიკისაგან. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენის სიტყვიერ შემადგენლობაში.

თემის აქტუალობა

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განაპირობებულია საქართველოს და უცხოეთის ქვეყნებს შორის სამედიცინო ურთიერთობების გაფართოებით. აღნიშნული პროცესის წარმატებით განხორციელების საშუალება ეფექტური კომუნიკაციაა. თანამედროვე მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობა

ინგლისურენოვანია. ისევე, როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგში, სამედიცინო სფეროშიც, თანამედროვე ეპოქაში ინგლისურ ენას აქვს “lingua franca” საერთაშორისო ენის სტატუსი სამედიცინო კვლევებისათვის. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია თანამედროვე ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისების შესწავლა. ამასთან ერთად, იმ პრობლემების კვლევა, რომელიც თავს იჩენს, როგორც ტერმინოლოგიის თარგმნისას, ასევე შემდგომში მათი დამკვიდრებისას ქართულ ენაში.

ტექნიკურმა პროგრესმა თავისებური ასახვა მედიცინის დარგშიც ჰპოვა. სამედიცინო პროგრესს თან სდევს ახალი ტერმინების შემოტანა და დანერგვა მედიცინის დარგში, რაც განაპირობებს თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის თარგმანის აქტუალურობას. განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება ტერმინთა ადეკვატურად თარგმნა, რაც გამოწვეულია მსოფლიოს მაშტაბით ჯანდაცვის დარგში თანამშრომლობის გაფართოვებით და სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციებით.

მედიცინის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაცია ინგლისურ ენოვანია. ჯანდაცვის საკითხებში მზარდი კომუნიკაცია განაპირობებს მაღალკვალიფიციური თარგმანის საჭიროებას. ხარისხიან თარგმანს კი უზრუნველყოფს პროფესიონალი მთარგმნელი.

ნაშრომი მოიცავს რიგ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო დისციპლინებთან, სატერმინოლოგიო სისტემასთან, აგრეთვე, მათი შემდგომი განვითარების ტენდენციებთან. ეს კი სამედიცინო სატერმინოლოგიო სისტემის ფორმირების პრობლემის შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს. შევნიშნავთ, რომ თანამედროვე სამედიცინო სისტემა, მისი განმაპირობებელი სოციალური და ლინგვისტური ფაქტორები, შესაძლოა, წარმოდგენილ იქნეს, როგორც თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთი მთლიანი სისტემა.

სამედიცინო ტერმინოლოგია თავისი ბუნებით სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნება, სწორედ ტოტალური პირობები განსაზღვრავს ენობრივ ცვლილებებს. ენის სოციალური ბუნება განსაკუთრებით მჟღავნდება სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებში, ასევე განმარტებებში. აქედან გამომდინარე აქტუალურად მივიჩნიეთ თვალი მიგვედევნებინა ახალი სამედიცინო ტერმინების ფორმირებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის კორპუსის გადახედვა. ქართულ ენაზე არსებული ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და სრულქმნა. გარკვეულწილად ტერმინოსისტემის ფორმირების პროცესის ხელშეწყობა. სამედიცინო ტერმინთა ქართულ ენაზე გადმოცემისთვის აუცილებელი ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემათა გაანალიზება. ასევე ზოგიერთი სასწავლო-მეთოდური ხასიათის, ლექსიკოგრაფიის, აგრეთვე, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა. წარმოდგენილ პრობლემათა განხილვის საფუძველზე გარკვეული სამირკველი ჩაუყაროს ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა სამედიცინო თარგმანი. ასევე რეკომენდაციები შესთავაზოს ამ დარგით დაინტერესებულ პირებს პერსპექტივებსა და სტრატეგიებზე, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს გეგმების სამომავლო განხორციელებას, შემუშავდეს ერთიანი სატერმინოლოგიო სტანდარტები, რომელიც მოემსახურება ენაში ამა თუ იმ ახალი ტერმინის სწორი ფორმით შემოტანასა და დამკვიდრებას.

დასახული მიზნისმისაღწევად საჭიროა შემდეგიკონკრეტული ხასიათის ამოცანების გატარება:

- ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინთა კორპუსის სტრუქტურის და სისტემატიზაციის პრინციპების ანალიზი.
- აღნიშნული ტერმინოსისტემის ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადმოტანის პრინციპების ანალიზი;
- ინგლისურ-ქართული ენობრივი განსხვავებებით გამოწვეული ინტერფერენციის შესაძლო შემთხვევების გამოვლენა;
- ახალი სამედიცინო ტერმინების ქართულ და ინგლისურ შესატყვისების მოძიება და სამედიცინო კომუნიკაციაში მათი დამკვიდრებისდა თანმხლები პროცესების გამოკვლევა;
- „ნასესხები“ ტერმინების შედარება ქართული და ინგლისური სამედიცინო ტერმინოლოგიის კორპუსის მაგალითზე.
- ინგლისური და ქართული სამედიცინო ტერმინების შეპირისპირება სტრუქტურული და სამენტიკური კუთხით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი დებულებები

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, საკვლევი მასალის შერჩევიდან გამომდინარეობს. ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია თარგმანის კუთხით თითქმის შეუსწავლელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩატარებულია კვლევა მხოლოდ ლათინურ - ბერძნული ტერმინოლოგიის ბაზაზე ნანა ამირანაშვილის მიერ. (ამირანაშვილი ნანა-სპეციალურ ტერმინთა ზოგადი პრინციპები და სიტყვათწარმოების საკითხები თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში, თბილისი, 2006).

დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს სამედიცინო მთარგმნელის პროფესია, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სიახლეს წარმოადგენს. თანამედროვე მედიცინის განვითარება წარმოუდგენელია აღნიშნული სპეციალობის გარეშე. ვფიქრობთ, ეს აუცილებელი და პერსპექტიული სფეროა. რამედენადაც სამედიცინო მიღწევების წარმატებით განხორციელებაში კვალიფიციური თარგმანის როლი მეტად დიდია.

სიახლეა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარება და რელევანტური ქართული ლექსიკური ერთეულების გამოყენება სამედიცინო კომუნიკაციისას. ამ მხრივ განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს სიტყვათშეთანხმებები, სადაც ერთი ნაწილი თარგმნილია, მეორე კი უთარგმნელი. ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია ადეკვატური ქართული ეკვივალენტების მოძიება და მათი ფართოდ გამოყენება მეტყველებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა წერილობითი კომუნიკაცია და ანოტაციები. ასევე ნებისმიერი სახის სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი.

კვლევაში შემოთავაზებულია ინგლისურენოვან ტერმინთა ალტერნატიული ქართული ვარიანტები, რომელთა ამ ფორმით გამოყენება უფრო გასაგები იქნება აუდიტორიისათვის და გაუადვილებს მათ მედიკოსებთან კომუნიკაციას. მოძიებული არსებული მასალა საშუალებას იძლევა ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია, მათი ქართულ ენაზე თარგმნა-დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი განვითარებისა და ფორმირების ტენდენციები, შეძლებისდაგვარად, განვიხილოთ ლინგვისტური კუთხით.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ შემდგომ ასპექტებს:

- სამედიცინო ტერმინოლოგია, როგორც დარგობრივ ლექსიკასთან ინტეგრირებული ტერმინოსისტემა.

- სამედიცინო ტერმინოლოგია, როგორც კომპლექსური ტერმინოსისტემა წარმოდგენილი შემდეგი ტერმინთა კატეგორიებით: 1) სამედიცინო ტერმინოლოგიის წყარო ტერმინები, 2) მრავალკომპონენტური სიტყვათშეთანხმებები, 3) ნასესხები ტერმინები. სამივე კატეგორია თარგმანის კუთხით საერთო პრობლემებს მოიცავს:

- ა) ტერმინთა ადეკვატურობა თარგმანის კუთხით;

- ბ) ტერმინთა შინაარსის გადმოცემა;

- გ) ტერმინთა თარგმანს პრობლემა კონტექსტის მიხედვით.

- აკრონიმების და აბრევიატურების გაშიფვრა, მათი ადეკვატური თარგმანი და კონოტაცია.

- სესხების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი.

- იმ ტერმინთა დადგენა რომლებიც პირაპირ გადმოდის ქართულში. რაც არ არღვევს ქართული ენის სტრუქტურას.

სამომავლოდ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ საკითხთან დაკავშირებით ლინგვისტთა და მედიკოსთა თანამშრომლობა. ეს ნოვაციაა, და, ამავე დროს, საინტერესო საკვლევი მასალაც, როგორც ლინგვისტებისათვის, ასევე მედიკოსთათვის. კვლევაში პირველადაა წარმოდგენილი ამ დარგის ტერმინების ეტიმოლოგიური, სტრუქტურულ - სემანტიკური ანალიზი, ტერმინოლოგიის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის სირთულეები და სპეციფიკა. ასევე, შემოთავაზებულია მთარგმნელობით მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

საკვლევი მასალა

საკვლევი მასალა მოვიპოვეთ სხვადასხვა ინგლისურ-ქართული და ინგლისურ ინგლისური ტერმინოლოგიური თუ ზოგადი ლექსიკონებიდან, ელექტრონული და ონლაინ ლექსიკონებიდან, ენციკლოპედიებიდან, ქართულადნათარგმნი სამედიცინო სახელმძღვანელოებიდან, კატალოგებიდან, ცნობარებიდან, ბროშურებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან, სხვადასხვა საერთაშორისო სამედიცინო ჟურნალებიდან, მედიკამენტების ქართული ანოტაციებიდან, მონოგრაფიებიდან, ინგლისურენაზე გამოცემული სამედიცინო სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან,

სტატიებიდან. გამოკვლეულ ტერმინთა საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 800 ლექსიკურ ერთეულს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

დასახული ამოცანების გადასაჭრელად ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რომელიც მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სისტემური შეპირისპირების მეთოდებს, ეტიმოლოგიური, სტრუქტურულ-სემანტიკური და კონტექსტუალური ანალიზის მეთოდებს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებანი და კანონზომიერებანი, დარგობრივი ლექსიკის თარგმნის ზოგადი პრობლემები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ენათმეცნიერებაში, ტერმინმცოდნეობაში - სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემების შეპირისპირებითი კვლევების დროს, გვეხმარება ტერმინების თარგმნის პრობლემების მოგვარებასა და ტერმინთა სისტემების ჰარმონიზაციაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ჩატარებული კვლევის შედეგები სათანადო მასალაა თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სალექციო კურსისთვის; ასევე სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისა და ზოგადად მედიკოსებისათვის, ინგლისური ენის შესწავლის პროცესში; ასევე გარკვეულ წვლილს შეიტანს მედიცინის დარგში თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხში. კერძოდ, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად აღნიშნული დარგის სხვადასხვა მიმართულებით. ლექსიკური მასალის შერჩევისას სალექციო კურსისთვის „დარგობრივი -სამედიცინო ინგლისური“ (EMP); ზეპირ ან წერილობით პრაქტიკაში საქმიანი ურთიერთობებისას; ლექსიკოგრაფიის - სპეციალური, საცნობარო ან განმარტებითი ლექსიკონების შედგენისას შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ.

თავი I

სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხის ისტორიისთვის

§ 1.1. სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი მნიშვნელობა

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება სხვადასხვა ეპოქასა და გარემოში. ცნობილია, რომ ხალხთა კულტურული განვითარების პროცესში ყალიბდება ტერმინოსისტემა. ეს უწყვეტი პროცესია. მეცნიერების ცნებებში ასახული და ფიქსირებულია ის დონე, რომელიც შემეცნების განვითარების გარკვეული მომენტისთვისაა მიღწეული. ცნობიერებისა და ადამიანის თვალსაწიერის გაფართოების პროცესში არა თუ ჩნდება ახალი მეცნიერული ცნებები, არამედ ადრე შემუშავებული ცნებებიც ახალთა საფუძველზე ფორმირდება. ცნება არამარტო მეცნიერული ანალიზის შედეგია, არამედ სამყაროს შემეცნების უმთავრესი იარაღიცაა. ცნებათა სახელები ტერმინებია. ყოველ მეცნიერებას ცნებათა სისტემის შესაბამისი ტერმინოლოგია აქვს. ტერმინთა ცოდნა ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაციის წინაპირობას წარმოადგენს. ტერმინოსისტემა მიზნად ისახავს სამეცნიერო მიღწევათა არსის გადმოცემასა და გაზიარებას. ბუნებრივია ტერმინთა ზუსტი თარგმანი მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. დღესდღეობით ტერმინოლოგიის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მიმდინარეობს პრაქტიკული მოღვაწეობა მათი სრულყოფისათვის.

„ნებისმიერი სამეცნიერო დარგის, კულტურისა თუ სამრეწველო საქმიანობის ტერმინოლოგიის ისტორია უკავშირდება ცოდნის კანონზომიერ განვითარებას ბუნებისა და საზოგადოების შესახებ“ (ვინოგრადოვი 1961:6). ტერმინოლოგია სამეცნიერო ენის საფუძველია. ნებისმიერი სამეცნიერო დარგი თუ წარმოება განაპირობებს თავის ტერმინოლოგიას. ტერმინოლოგია ესაა ენის ლექსიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, რომელიც მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ განსაკუთრებით სწრაფად ბოლო ათწლეულების მანძილზე ვითარდება. მის

განვითარებასა და ფუნქციონირებაში გადამწყვეტი როლი სოციალურ ფაქტორს უჭირავს, ჩვენს შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკურს. იმისათვის, რათა განვსაზღვროთ ტერმინწარმოების ზუსტი სურათი, აუცილებელია სატერმინოლოგიო კვლევა.

სამეცნიერო ტერმინოლოგია ლექსიკურსემანტიკური-თვალსაზრისით ენის დინამიკურ ნაწილად ითვლება. ა. ა. რეფორმატსკის მიხედვით „ტერმინოლოგია ეს არის მეცნიერების, ტექნიკის, პოლიტიკის, უფრო სწორად, ინტელექტუალურად ორგანიზებული სოციალური მოღვაწეობისთვისება“ (რეფორმატსკი 1997:115). ტერმინოლოგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს სამეცნიერო ენებში, რამდენადაც ის ატარებს ნომინაციურ-ინფორმაციულ დატვირთვას პროფესიულ მეტყველებაში. პუმიანსკის აზრით, „სხვა სამეცნიერო თუ ტექნიკური სიტყვებისაგან განსხვავებით, ტერმინები გამოირჩევიან თავიანთი უდიდესი ინფორმაციული დატვირთვით“ (პუმიანსკი 1977:92).

ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა ყოველი ტერმინოლოგიური მიების ამოსავალია. ტერმინი ტერმინოლოგიის ძირითადი ელემენტია, მაგრამ მისი განსაზღვრება მეტად არაერთგვაროვანია, „ტერმინი - სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება (სამეცნიერო, ტექნიკური და ა.შ.), შექმნილი (შემოტანილი, ნასესხები და ა.შ.) სპეციალური ცნებისა და საგნის მნიშვნელობის ზუსტად გამოსახატავად“ (ახმანოვა 1969: 474; ბარხუდაროვი: 1975; კანდელაკი 1977: 7); „ტერმინი - ესაა ენობრივი ნიშანი, რომელიც გადმოსცემს სპეციალური, პროფესიული სფეროს სამეცნიერო ცნებას“ (ციტკინა 19 : 10). თავის მხრივ კი „ტერმინოლოგია წარმოადგენს წარმოების, საქმიანობის მოცემულ სფეროთა ტერმინების ერთობლიობას, ქმნის ლექსიკის განსაკუთრებულ სექტორს და შედარებით ადვილად ემორჩილება შეგნებულ რეგულირებასა და მოწესრიგებას“ (ახმანოვა 1969: 474). ტერმინის ძირითად ნიშანთვისებებსა და ფუნქციებში მეცნიერები შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფენ: 1) სისტემურობა; 2) ნომინაციურობა და დეფინიციურობა; 3) მონოსემიურობის ტენდენცია; 4) გამოხატვის სიზუსტე; 5) მოდალურობა; (ვეფხვაძე 2014: 33) მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის განსაზღვრება მრავალფეროვანია შესაძლებელია მათი ორი მიმართულებით დაყოფა. 1) „განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვა, რომელიც გამოიხატება სპეციალური ცნების, საგნის ან მოვლენის დასახელებაში“ (ვინოკური 1939: 38). ის მიჩნეულია ენის ერთეულად, რომელსაც საერთო ენის ყველა

თვისება ახასიათებს (კუზკინი 1962: 136-146, კომაროვა 1979: 3-13, პროხოროვა 1981: 23-31). ე.ი. ტერმინი ასრულებს ნომინაციურ და დეფინიციურ ფუნქციებს (ვინოგრადოვი 1947: 12-13; 25 ლევკოვსკაია 1962: 196-197).

2) ტერმინი, როგორც სიტყვის საპირისპირო განსაკუთრებული ერთეული. როგორც ლ. კუტინა აღნიშნავს, „ეს წინააღმდეგობა ეხება ტერმინისა და სიტყვის შინაარსობრივ მხარეს, როგორც განსაკუთრებულ სემასიოლოგიურ ერთეულებს და სისტემურ დახასიათებას, რაც განსაზღვრულია ამერთეულების განსაკუთრებული კუთვნილებით სხვადასხვაგვარად ორგანიზებული სისტემებისათვის“ (კუტინა 1970: 83-84). ცნობილი ეგვიპტელი პროფესორი, თარგმანმცოდნე მ. ბეიკერი, თავის ცნობილ წიგნში, „In Other Words“ (სხვა სიტყვებით რომ ითქვას), აღნიშნავს, რომ მათთვის, ვინც თარგმნით არის დაინტერესებული, მნიშვნელობა აქვს თითოეული ერთეულის გაშიფვრა-გაანალიზებას. ყოველ სიტყვას (ლექსიკურ ერთეულს) აქვს ის რაღაც ინდივიდუალური, რაც მას განასხვავებს სხვა სიტყვებისაგან. ეს არის სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც სიტყვის ინდივიდუალური საკუთრებაა (Zgusta 1971: 67). სიტყვა განიმარტება, როგორც „პატარა ერთეული, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს“ (Biolinger, Sears; 1968: 43). ანუ ყველაზე პატარა ერთეული, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა.

ჟ. ს. საგერის თანახმად (1990: 63), ტერმინოლოგიას ქმნის ამა თუ იმ კონკრეტული სამეცნიერო დარგის სხვადასხვა ტერმინთა ერთობლიობა. კაბრე (1999: 32) განსაზღვრავს ტერმინოლოგიას, როგორც ძირითად და კონცეპტუალურ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს (წარმართავს) ტერმინთა შესწავლას.

ამ განსაზღვრებებიდან აშკარად ჩანს, რომ ტერმინი იკავებს განსაზღვრულ ადგილს შესაბამის ტერმინოლოგიურ სისტემაში და გამოხატავს მოცემული მეცნიერების ცნებათა სისტემას. ასე რომ, განსხვავება სიტყვასა და ტერმინს შორის ისაა, თუ რა შინაარსისაა აღსანიშნი ცნება. სიტყვა აღნიშნავს ცნებას, ხოლო ტერმინი აუცილებლად კონკრეტულ დარგთანაა კავშირში.

ცნება შეიძლება იყოს ყოფითი, ყოველდღიური, თუ ის რეალიზდება საყოველთაო სიტყვით, ხოლო მეცნიერული ტერმინით გადმოიცემა. სამეცნიერო ცნების შინაარსი ბევრად ღრმა და მდიდარია ჩვეულებრივთან შედარებით, რადგან ყოფითი სიტყვები სტიქიურად გროვდება, სამეცნიეროში კი ასახულია საგნების ყველა ზოგადი

და არსებითი თვისების ერთობლიობა, რომელიც მეცნიერებამ შემეცნების განსაზღვრულ ეტაპზე შეითვისა (კოვტუნი 1955: 69-74).

ტერმინებს საერთო ენის სიტყვებთან შედარებით ახასიათებთ დიდი სემანტიკური განსაზღვრულობა. დანილენკოს დაკვირვებით, „თუ საერთო ლიტერატურული ენის ლექსიკის თავისებურებად შეიძლება სემანტიკური განუსაზღვრელობის დასახელება, მაშინ ტერმინოლოგიის არსებით თავისებურებად უნდა დავასახელოთ მისი სემანტიკური განსაზღვრულობა“ (დანილენკო 1977: 59). როგორც ამ განსაზღვრულობის შედეგი, თითოეულ ტერმინს აქვს დეფინიცია – ვერბალური განსაზღვრა, რომელშიც გამოყოფილია ცნების ძირითადი, არსებითი ნიშნები და რომელიც, სხვადასხვა ავტორის აზრით, ადგენს ტერმინის ენობრივ მნიშვნელობას (კანდელაკი 1970: 5). დანილენკო ტერმინის განსხვავებას საერთო-სალიტერატურო ენის სიტყვისაგან იმაში ხედავს, რომ „ტერმინის შინაარსი ვლინდება დეფინიციის საშუალებით“, ზუსტი და ლოგიკური განსაზღვრებით იგი ადგენს ამ „ტერმინით დასახელებული ცნების არსებით ტერმინოლოგიურ ნიშნებს“, ჩვეულებრივი სიტყვის მნიშვნელობა კი განსაზღვრულია მისი ლექსიკური მნიშვნელობით, რომელიც არ გულისხმობს დასახელებული საგნის, მოვლენის და ა. შ. აუცილებელი და საკმარისი განმასხვავებელი ნიშნების ლოგიკურ გამოცალკევებას (დანილენკო 1970: 308).

მეცნიერთა ნაწილი ემხრობა იმ აზრს, რომ აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის არსებობს საგნობრივ-ლოგიკური შეფარდება, ტერმინის ე.წ. „ინტელექტუალური სიწმინდე“, რადგან ის მოკლებულია ფუნქციას, რომელიც უკავშირდება ემოციურ-ექსპრესიულ და მოდალურ შინაარსს (კაპანაძე 1965: 81-82, რეფორმატსკი 1961: 52).

ვ. პროხოროვა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ტერმინში შეიძლება გამოიხატოს დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება ცნების შინაარსთან, რომელსაც ეს ტერმინი აღნიშნავს“. მკვლევარს მაგალითად მოჰყავს კნინობით-ემოციური ფორმები, რომლებიც რეგულარულია მთელ რიგ ტერმინოსისტემებში და, მათ შორის, სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც (პროხოროვა 1983: 8,9).

ფერდინანდ დე სოსიურის თანახმად, ღირებულება არის ნიშანთვისება - იყოს ის, რაც მას სხვა ნიშნისაგან განასხვავებს. სხვადასხვა ენობრივ სისტემებში ერთნაირი

მოვლენებისა და ობიექტების აღმნიშვნელ ნიშნებსაც კი ყოველთვის განსხვავებული ღირებულება აქვთ.

გ. ე. კრაკოვეცკაიამ აჩვენა, რომ ტერმინოლოგიის მატარებელნი არ გრძნობენ ასეთი ტერმინების ემოციურ შეფერილობას, ისინი მას იღებენ როგორც ნიშანს, სამედიცინო ტერმინოლოგიის სიმბოლოს, რომელიც გარკვეულ ორგანოს ან სხეულის ნაწილს უკავშირდება. ტერმინის არაემოციურობა მტკიცდება კნინობით და არაკნინობით სუფიქსიანი ტერმინების საგნობრივი დიფერენციაციით (голова – головка кости) (კრაკოვეცკაია 1979:9). ა. ხომერიკს საეჭვოდ მიაჩნია სმირნოვას აზრი, რომ მთელი რიგი რუსული ტერმინები (проказа, парша, чесотка) შეიცავენ უარყოფით ემოციას ამ დაავადებათა „არაეთიკურობის“ გამო (ხომერიკი 1986:13, სმირნოვა 1985:9). ამ ტერმინებს მართლაც შეიძლება ჰქონდეთ ემოციური საწყისი, მაგრამ პროფესიული სფეროს, ტერმინოსისტემის გარეთ, ენის საერთო შემადგენლობაში დაბრუნებისას. ტერმინოსისტემაში კი, ა. რეფორმატსკის აზრით, „ტერმინის ურთიერთობა ამოიწურება მისი ლოგიკური და საგნობრივი მიმართულებით, მისი ინტენციით საგნისა და ცნების მიმართ“ (რეფორმატსკი 1961:52).

ტერმინის ერთ-ერთი თავისებურებაა ერთმნიშვნელოვნება. უფრო ზუსტად - ტერმინის ერთი ნიშნის თანაფარდობა მოცემული სისტემის ერთ ცნებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის ერთმნიშვნელოვნობა არის ფარდობითი და ხშირად ეს დროებითი მოვლენაა. სამეცნიერო ლიტერატურაში (სუპერანსკაია 2003) (კუზიკევიჩი 2007) ხშირად არის ხაზგასმული, რომ, ჩვეულებრივი სიტყვებისაგან განსხვავებით, ტერმინს მხოლოდ ერთი ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ როგორც ინგლისური, რუსული, ისე სხვა ენების სამეცნიერო ტერმინოლოგიის ანალიზი აჩვენებს, რომ ტერმინი ხშირად არის მრავალი მნიშვნელობის შემცველი (ჩუპილინა 1967: 5). განსაზღვრულია, რომ პოლისემია ტერმინოლოგიაში ვლინდება არასრული მოცულობით, ის უფრო გამოჩაჩქარებულია, ვიდრე წესი (დანილენკო 1977: 66-69). ამასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალურია ა. რეფორმატსკის მითითება, რომ ტერმინი ერთმნიშვნელოვნებისაკენ მიისწრაფის: „ტერმინები სპეციალური სიტყვებია, რომლებიც შემოიფარგლებიან თავიანთი განსაკუთრებული მნიშვნელობით: სიტყვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნებისაკენ მიისწრაფიან, რათარაც შეიძლება ზუსტად გამოხატონ ცნება და საგნების დასახელება“ (რეფორმატსკი 1967: 110). როდესაც სიტყვა

გადინაცვლებს ტერმინოსისტემაში და იძენს ტერმინის ფუნქციას უმეტესწილად კარგავს პოლისემანტურობას. ხდება ამ სიტყვის მნიშვნელობის ერთი მიმართულებით ლოკალიზება.

როგორც აღვნიშნეთ ყოველი ტერმინი თითქოს ერთ ცნებას უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამორიცხული არ არის პოლისემიაც ანუ, რამდენიმე ცნების გადმოცემა (მაგ. axis - 1. ღერძი 2. კისრის II მალა; truncus - 1. ტანი 2. ღერო; planta - 1. მცენარე 2. ტერფის ძირი; crus - 1. წვივი 2. კანჭი 3. პატარა ფეხი; ampulla- 1. ამპულა 2. კოლბისებრი სისხლძარღვი (ნ. ამირანაშვილი 2006: 18). პოლისემიის ძირითადი მიზეზი, როგორც წესი, მეტონიმიაა, მაგრამ ხშირად თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა არის პოლისემიის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. ხშირად მხოლოდ კონტექსტით შეიძლება დადგინდეს ტერმინის მრავალი მნიშვნელობიდან ერთი (ფოჩხუა 1974: 107-112). სამართლიანადაა აღნიშნული, რომ პოლისემია ტერმინოლოგიაში დიდ დაბრკოლებას ქმნის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისას და იწვევს პრაქტიკულ შეცდომებს, ისე როგორც ომონიმია (ლოტე 1961: 19, 61).

ტერმინის ზოგადლინგვისტურ თეორიაში გ. ჭირაქაძის მიერ ტერმინი შემდეგი დეფინიციით არის მოცემული: „ტერმინოლოგია გაიაზრება, როგორც სპეციალური დანიშნულების ენა, პროფესიული (დარგობრივი) ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – ცნებათა სისტემის სიტყვიერი სუბსტანცია, რომელიც ექვემდებარება შეგნებულ მოწესრიგებას, სტანდარტიზაციას, უნიფიცირებას“ (გ.ჭირაქაძე 1999: 10), ხოლო ტერმინის მახასიათებლად მიჩნეულია:

1. ტერმინი არის სპეციალური დანიშნულების ენის ერთეული;
2. ტერმინი არის ცნების სახელწოდება;
3. ტერმინის გვარული მახასიათებელი არის ცნება „სიტყვა“;
4. ტერმინი განეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის სფეროს და არის ლექსემის ფუნქციური სახესხვაობა. მისი ინტეგრაციული ნიშნებია: სისტემურობა, კომუნიკაციურობა, ნომინაციურობა, მოტივირებულობა. დიფერენციალური ნიშნებია: კონვენციურობა-დარგობრიობა, ერთმნიშვნელოვანება;
5. ტერმინის, როგორც ენობრივი ერთეულის შინაგანი ფორმაა დარგობრივიშინაარსი, გარეგნული ფორმა – ლექსიკური მნიშვნელობა;

6. ტერმინს, გამოხატულების პლანისა და ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით, მოეპოვება ენობრივი სუბსტრატი, ხოლო შინაარსის პლანის, ანუ ტერმინთა სისტემაში მისი ღირებულების მიხედვით, ტერმინული ნიშნები;

7. ტერმინი განეკუთვნება საკუთარი სახელის კატეგორიას და ახორციელებს სახელდების იმავე პრინციპს – ლექსიკური ფონდიდან აღებულ ერთეულს მიამაგრებს ახალ მნიშვნელობას, რითაც შეჰყავს ის ახალ სემანტიკურ ველში. ეს არის კიდევაც სახელდებისას საგნობრიობას მოცილებული ინდივიდუალიზაციის პრინციპი (ჭირაქაძე 1999: 10, 25).

წარმოდგენილ ზოგადლინგვისტურ თეორიასთან მიმართებით გვინდა შევხვით ერთ პრინციპულ საკითხს: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინის არსთან დაკავშირებით ვიზიარებთ ერთი - მართებული არის შიგნით ტერმინთა პოლისემიურობის შეუძლებლობას, ხოლო ორ მართებულ არეს შორის – ტერმინთა სინონიმურობას, მაგრამ ტერმინის ზოგადლინგვისტურ თეორიაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება ერთი მართებული არის შიგნით ტერმინთა სინონიმურობის გამორიცხვის ანუ შეუძლებლობის შესახებ: სინონიმის ილუზია იქმნება, როცა სხვადასხვა სისტემის კუთვნილ, მნიშვნელობით მახლობელ ცნებებს შეიძლება სხვადასხვა სახელი ერქვას. სინონიმის მაგალითად სპეციალური ლიტერატურა ასახელებს ე.წ. „ტერმინულ დუბლებს“. საილუსტრაციოდ განვიხილავთ ერთ-ერთ ასეთ დუბლს: „cancer“ – „კიბო“. თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ამ ორ გამონათქვამს არა მარტო ონკოლოგიის დარგობრივ ლექსიკაში, არამედ თვით საერთო-სამედიცინო პროფესიულ ენაშიც კი არა აქვს იდენტური ლექსიკური ღირებულება: მართალია, შინაარსით ეს ორი გამონათქვამი ერთსა და იმავე რეალიას ეხება, მაგრამ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ისინი წყვილი მაინც არაა: ქართულ სამედიცინო მეტყველებაში „cancer“, ჩვეულებრივ, იხმარება ნომენკლატურის ფუნქციით – ავადმყოფის ისტორიაში დიაგნოზის გაფორმებისას და იწერება ლათინური ასოებით. რაც შეეხება „კიბოს“, ეს ტერმინი ფართოდ იხმარება. საპირისპიროა მათი ტერმინწარმოებითი უნარი: „კანცერ“ – პროდუქტიული ფორმაა (შდრ. „კანცეროგენული“, „ფსევდოკანცერული“ და მისთ.), ხოლო „კიბო“ სიტყვაწარმოებაში არ მონაწილეობს. იგივე ითქმის ქართულ-ლათინური სამეცნიერო ტერმინული დუბლების უპირატეს უმრავლესობაზე. შესაბამისად, ქართულ-ლათინური დუბლები

სინონიმურ წყვილებად ვერ ჩაითვლება, სპეციალურ მეტყველებაში მათი დისტრიბუციის გამო (ჭირაქაძე 1999: 18-19). ეს აკრძალვა, ჩვენი აზრით, არც მკაცრია და არც გარდაუვალი. ამიტომაც: შესაძლებელია, რომელიმე ტერმინს არ ჰქონდეს თავისი სრული სინონიმი და ეს ბუნებრივიცაა. სრული ანუ აბსოლუტური სინონიმების არსებობა არ არის მოსალოდნელი. ქართული და ლათინური ენების შედარებისას პოლისემიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კნინობითი ფორმების ხმარება ძირეული ფუძე სიტყვის მნიშვნელობით: tuber და tuberculum – ბორცვი, canalis და canaliculus არხი, tuba და tubulus – მილი, caput და capitulum – თავი, lingua და lingula – ენა, fossa და fossula – ფოსო, nodus და nodulus – კვანძი. არხი, კვანძი და პატარა კვანძი და ა.შ. (ნ. ამირანაშვილი 2006) აღსანიშნავია, რომ პოლისემია, ისევე როგორც ომონიმია, ტერმინოლოგიაში დიდ დაბრკოლებას ქმნის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისას და იწვევს პრაქტიკულ შეცდომებს. (ლოტე 1961: 19, 61:)

სამეცნიერო ტერმინის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა აგრეთვე სისტემურობა. „ტერმინის ღირებულება შეფასებული უნდა იქნეს ტერმინთამთელი სისტემისა და სისტემაში მომყვანი თვისებების თვალსაზრისით“. სისტემურობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ტერმინოლოგიური ლექსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი მახასიათებელი თვისება (ბუდაგოვი 1976; გრინევი 1993; ლოტე 1961; რეფორმატსკი 1961). ლოტეს აზრით, ტერმინის შერჩევა განაპირობებს თითოეული ტერმინის სისტემურობას, როგორც მის ძირითადნიშანს, ამას ხაზს უსვამს ს. ბარხუდაროვიც. მისი განსზღვრებითაც, „ტერმინები ცნებათა კავშირებისა და ურთიერთ დამოკიდებულების მრავალმხრივ სახეს გამოხატავს“ (ბარხუდაროვი 1970:9). ტერმინთა ანუ ნიშანთა სისტემა კი, ტ.კანდელაკის განმარტებით, თავს უყრის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტერმინებს, რომლებიც, როგორც წესი, ერთი დარგის ტერმინოლოგიურ სისტემას ქმნიან (კანდელაკი 1970: 40). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, დანილენკოს დაკვირვებით, ეს სისტემა არ არის რაიმე თავისთავად არსებული, მისი მოწესრიგებულობა სპეციალისტების დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული (ვ.პ. დანილენკო 1977: 52). დ. ლოტე იმოწმებს შუხარდტის გამონათქვამს, რომ „ტერმინოლოგიური ბუნდოვანება მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ზღვაოსნობისათვის. ის კიდევ უფრო საშიშია, რამდენადაც, ჩვეულებრივ,

ადამიანი მას უნებლიეთ ანგარიშს არ უწევს“ (დ.ლოტე 1961: 19). უნდა აღინიშნოს, რომ სისტემურობა და სიზუსტე ტერმინის უცვლელი ნიშან თვისებებია.

ტერმინოლოგია არის ქვესისტემა, რომელიც ენის საერთო სისტემის წიაღში გამოიყოფა. თემატური თვისებებით ის, თავის მხრივ, იყოფა ქვესისტემებად, რომელთა შინაარსი და კავშირები ცოდნის ერთი სფეროს ფარგლებშია მოქცეული. ასეთი ქვესისტემები ქმნიან ერთ ტერმინოლოგიურ ველს, რომელიც საერთო ენის სემანტიკური ველის პრინციპებს შეესაბამება (რეფორმატსკი 1967:121-122). ა.რეფორმატსკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტერმინი სემანტიკურად პარადიგმატულია, მაგრამ თითოეული მათგანი ერთ გარკვეულ ცნებას უკავშირდება რომელიმე ერთი დარგის ტერმინოლოგიის ფარგლებში. „ველი ტერმინისათვის მოცემული ტერმინოლოგიაა, რომლის მიღმა ტერმინი კარგავს თავის თვისებას“ (რეფორმატსკი 1961:51). ნიშანთა სისტემის შესაბამისად, ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ნიშანი არ უნდა განმეორდეს (ტოლიკინა 1970:58).

ტერმინი არასოდეს წყვეტს იმპულსების მიღებას საერთო ენიდან, ტერმინოლოგიის განვითარებისა და ფორმირების ძირითადი ბაზიდან, ამიტომ ხდება ერთმნიშვნელოვნების პრინციპის დარღვევა (პიოტროვსკი 1952:23). როდესაც ტერმინის ერთმნიშვნელოვნებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტერმინები არ „ჩნდება“, არამედ იქმნება, ხდება მათი მოფიქრება, ისინი იქმნება მათი აუცილებლობის შემთხვევაში (ვინოკური 1939:21).

ტერმინთა ტრანსპოზიციის შესახებ მრავალი მკვლევარის მოსაზრებებს გავეცანით. განსაკუთრებით საინტერესოა რ. ღამბაშიძის, გ. ვინოკურის, ვინოგრადოვის, ბლოხის, მოსაზრებები. ხშირად ტერმინი ფორმაუცვლელი გადმოდის ერთი ენიდან მეორეში შეცვლილი შინაარსით. არის გარკვეული შემთხვევები, როდესაც ტერმინი ფორმასა და მნიშვნელობას ერთდროულად ინარჩუნებს. ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია იმ ტერმინებისა, რომელთა ფორმა და შინაარსი უცვლელია. თუმცა, ჩვენი აზრით არის შემთხვევები, როდესაც ტერმინი გადმოდის ფორმაუცვლელი ახალი შინაარსით. რაც მიგვაჩნია, რომ დეტალურად განხილვის საგანს წარმოადგენს. ვფიქრობთ ეს ენობრივი ფენომენი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და საკმად საინტერესო მოვლენაა.

ტერმინთქმნადობა დღეს გააზრებული ენობრივი საქმიანობაა და ამიტომაც ექვემდებარება რეგულირებასა და მართვას. ეს ბუნებრივი პროცესია, რაც სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია. სხვადასხვა ავტორთა მიერ სპეციალური ლექსიკის თვისებებისა და ფუნქციების განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბევრი ტერმინი მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. (ვებფვაძე 2014: 23).

§ 1.2. სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების ეტაპები

სამედიცინო ტერმინოლოგია უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ათასობითწლებს ითვლის მოყოლებული ანტიკური საბერძნეთის ისტორიიდან. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სამედიცინო ტერმინოლოგია ლათინური ენის ბაზაზე დაკანონდა. ყველა ენას მიეცა მათი გამოყენების საშუალება. (ნ.ამირანაშვილი 2006:22). ერთი მხრივ, დაიწყო სამედიცინო ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვების სისტემატიზაცია, უნიფიკაცია და ლათინური სატერმინოლოგიო ლექსიკონების მომზადება, მეორე მხრივ, ლათინურ ენაზე მომზადებული საერთაშორისო ტერმინოლოგიის ბაზაზე ეროვნული სამედიცინო ტერმინოლოგიების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ ჰქონდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობები, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოშიც დაიწყო აქტიური მუშაობა ამ მიმართულებებით.

ქართულმა საზოგადოებამ, თავის მხრივ, ყურადღება მიაპყრო სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნის პროცესს. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის შევსების ძირითადი წყარო ბერძნულ-ლათინური რჩება, მაგრამ უკვე გამოიკვეთა სამედიცინო ტერმინოლოგიის თანამედროვე ენებიდან შევსების გარკვეული ტენდენციები. სულ უფრო ხშირად ფიგურირებს ინგლისური ენის ბაზაზე შექმნილი ტერმინები. ეს ტენდენცია ძლიერდება. ჩნდება ახალი ტერმინები, რომელთა წყაროცაა სხვადასხვა ენა. ეს ამ ქვეყნების უძველესი ტრადიციების მქონე სამედიცინო კულტურებთან დაახლოების თანამდევი პროცესია. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნებში საერთოდ მედიცინის და, კერძოდ, ფარმაცევტული უახლესი

ტექნოლოგიების და პრეპარატების შექმნის პროცესი, რასაც თან სდევს ამ ენების ბაზაზე შექმნილი ტერმინოლოგიის შემოსვლა საერთაშორისო სამედიცინო პრაქტიკაშიც. ვ.ხომერიკის აზრით, სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ანატომიურსა თუ კერძო ლექსიკურ-სემანტიკურ ქვესისტემაში, ტერმინისა და ტერმინოლოგიის ყველა მითითებულ ძირითად ნიშან-თვისებას შეესაბამება (ხომერიკი 1986: 16). ისინი ზუსტად განსაზღვრულ და დეფინიციით დაფიქსირებულ ცნებებს აღნიშნავენ, ხასიათდებიან სიტყვაწარმოებითი მორფემების სპეციალიზებითა და რეგულაციით, ერთმნიშვნელოვნებითა და სინონიმის შეზღუდულობით, რაც კონკრეტული კვლევებიდან გამოჩნდა (სმირნოვა 1985: 4, 6-7), ემოციურობისა და ექსპრესიულობის არარსებობით (კრაკოვეცკაია 1979: 9). სინონიმური წყვილები ერთ აღსანიშნზე მიუთითებენ (მაგ.: fovea - ორმო, ღრმული, ჩაღრმავება, foveola - ორმო, ჩაღრმავება, fossa - ორმო, ფოსო, ღრმული...). ცხადია, ასეთ შემთხვევაში ჭირს გარჩევა, ქართული სინონიმებიდან რომელია უფრო ზუსტი თარგმანი. განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის აბსოლუტური სინონიმები, ანუ ლექსიკური დუბლეტები. გრამატიკულ სინონიმებს შეიძლება შედარებით მარტივად ავუაროთ გვერდი და დავადგინოთ მათგან ერთ-ერთი (სამფერა ან სამფეროვანი, ორმუცელა ან ორმუცლიანი, ჯვარედინი, ჯვრისებრი ან ჯვრისფორმის, ნამგლისებრი ან ნამგლისფორმის, გვირგვინოვანი ან გვირგვინიანი, მოსაზღვრე, სასაზღვრე ან საზღვროვანი, ტრაპეციული ანტრაპეციისებრი, რგოლისებრი, ბეჭდისებრი, რგოლური ან რგოლებიანი, დაცხავებული, დაცხრილული ან ცხავისებრი, სუნთქვის ან სასუნთქი, სმენითი ან სასმენი...). მაგალითების გაზრდა სამედიცინო ტერმინოლოგიიდან უსაზღვროდ შეიძლება. ამით იმის ჩვენებაც გვინდა, რომ გრამატიკული სინონიმების მოწესრიგების საკითხი სამედიცინო ტერმინოლოგიაში საკმაოდ აქტუალურია და სწორედ ენათმეცნიერთა მხრიდან მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას. ამაში მათ გადაწყვეტი სიტყვა ეკუთვნით. ვფიქრობთ, ლექსიკურ სინონიმებთან დაკავშირებული საკითხებთან შედარებით, ამ პრობლემების გადაწყვეტა უფრო იოლადაა შესაძლებელი. (ამირანაშვილი 2004:52).

ლექსიკური სინონიმების გაჩენის ძირითადი მიზეზი სამედიცინო ტერმინოლოგიაში ქართული სიტყვების გვერდით ლათინური თუ სხვა ენების ლექსიკიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინების არსებობაა (შუა- მედიალური,

გვერდითი – ლატერალური, ზურგის – დორსალური, დამწვევი – დეპრესორი, იოდიზმი – იოდით მოწამვლა, ალკოჰოლიზმი – ავადმყოფური მიდრეკილება ალკოჰოლისადმი, მხედველობის – ოპტიკური – ვიზუალური, სფერული – ბურთისებრი, მობილური – მოძრავი, რესპირატორული – სასუნთქი, ანტეფლექსია – წინ მოხრა, ანესთეზია – გაუტკივარება, ამორფული – უფორმო). ეს პრობლემა განსაკუთრებით დგას კლინიკურ ტერმინოლოგიაში, რადგან აქ ერთსიტყვიან ლათინურ ტერმინს მრავალსიტყვიანი ქართული სინონიმი უპირისპირდება (მაგ.: იშემია–გულის უკმარისობა, ანემია – სისხლნაკლებობა, სისხლიანობა, სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის შემცველობა, დაკლება, ატროფია – უჯრედის, ქსოვილებისა და ორგანოების ზომის შემცირება კვების მოშლის გამო, აფაგია – ყლაპვის შეუძლებლობა, აფაზია – მეტყველების მოშლა, ატონია – ტონუსის დაცემა). აქაც იგივე პრობლემა დგება, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. ა – პრეფიქსის ზუსტი შესატყვისის დადგენა. როგორც ვხედავთ, ამ მაგალითების მიხედვით, ის ექვსი სხვადასხვა სიტყვით გადმოიცემა: ნაკლებობა, მცირე, შემცირება, შეუძლებლობა, მოშლა, დაცემა. სხვა ნიმუშებიდან კიდევ შეიძლება დავუმატოთ: გაძნელება, შეფერხება, პრეფიქსი უ. ეს სიძნელე აუცილებლად დასაძლევია მედიცინის დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების საერთო ძალისხმევით. ამ საკითხებზე უნდა მოხდეს შეთანხმება, რაც საბოლოოდ ამ ტიპის ქართულ ტერმინებსაც სისტემის ხასიათს მისცემს.

რ. ღამბაშიძის აზრით, ერთი ენისფარგლებში სინონიმების გაჩენას ტერმინოლოგიაში ხელს უწყობს სალიტერატურო სისტემის მასალიდან ე.წ. „ყოფითი სიტყვების“ შემოტანა (ღამბაშიძე 1987: 51). ამის მაგალითებად სამედიცინო ტერმინოლოგიიდან შეიძლება მოვიყვანოთ: *ansa* – სახელური, ტარი; *nodus* – კვანძი, ნასკვი; *processus* – მორჩი, გამონაზარდი; *recessus* – ჩაღრმავება, უბე, ჯიბე; *arcus* – რკალი, თალი; *labium* – ტუჩი, ბაგე.

რ. ღამბაშიძე განიხილავს ტერმინოლოგიაში სინონიმთა არსებობის სხვადასხვა მიზეზს (ღამბაშიძე 1987: 52-56), რაც არააქტუალურია სამედიცინო ტერმინოლოგიისათვის. სამაგიეროდ, ამავე ტერმინოლოგიისათვის მეტად პრობლემურია ბერძნულ-ლათინური დუბლეტები. რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, რომ რადგან ისინი „არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა ენაში, მართლაც საზიანოა ტერმინოლოგიური სისტემისათვის“ (რ. ღამბაშიძე 1987: 57). სამედიცინო

ტერმინოლოგიაში ბერძნულ-ლათინური დუბლეტების არეალი, ძირითადად, გამიჯნულია: ლათინური ლექსიკა უმეტესად ანატომიურ ტერმინოლოგიაში გვხვდება, ხოლო ბერძნული – კლინიკურში. მათი აღრევა თითქმის არ ხდება, ხოლო ერთეულ შემთხვევებში მათი მოწესრიგება შედარებით იოლია.

ვ.პ.დანილენკოს თანახმად, „ტერმინის მოტივირებული ტიპები მთავარ როლს თამაშობს რუსულ ტერმინოლოგიაში“ (დანილენკო 1977: 64). ცნება - მოტივირება შემოიტანა ფ. დე სოსიურმა: მნიშვნელობისა და ბგერითი გახსნის, ამ მნიშვნელობის გამომსახველის რაციონალური კავშირის შეცნობა. მოტივირებას აქვს სახეები: ა) აბსოლუტური (ბგერითი მიზანძვა) და ბ) შედარებითი (გაკი 1977: 264). შედარებითი მოტივაცია, რომელსაც ფსიქო-ესთეტიკურ (ოვჩარენკო 1971: 417-423) და ისტორიულ მოტივაციასაც (სოსიური 1933: 271) უწოდებენ, შეესაბამება სიტყვის შინაგან ფორმას, რომელიც განასახიერებს და განსაზღვრავს მოტივირებულობას (კუბრიაკოვა 1981: 200 გვ). „მოტივაცია ონომასიოლოგიის ერთ-ერთი საყრდენი პრინციპია“ (დამბაშიძე 1987: 20), ასე რომ, ტერმინთა მოტივაცია დაკავშირებულია ცნებისა და ტერმინის შესაბამისობასთან.

ტერმინი მოტივირებულია, როცა შინაარსი თვითონ ნომინაციაშია. ამას, ცხადია, ვერც სამედიცინო ტერმინოლოგია უვლის გვერდს (მაგ.: ethmoidalis - ცხავისებრი, gastricus – კუჭის, tuberculum – ბორცვაკი). მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ტერმინირებული ცნება, რომელსაც, შეიძლება, რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მხოლოდ ერთი მათგანით იყოს განსაზღვრული და არა ზუსტად ცნების ადეკვატური. როგორც ყველა ტერმინოლოგიაში, მედიცინაშიც ფართოდაა გავრცელებული აფიქსაციით მიღებული ტერმინები (cuboideus – კუბური, quadratus – კვადრატული, tri-angul-ar-is – სამკუთხა, bi-ceps – ორთავა). მოტივაცია განსაკუთრებით გამჭვირვალეა რთულ სიტყვებში (aortic-o-ren-alis – აორტა-თირკმლის, vertibul-o-cochle-aris – კარიბჭე-ლოკოკინას, nas-o-pharyng-eus – ცხვირ-ხახის, radi-o-carp-eus – სხივ-მაჯის, zygomatic-o-maxil-l-aris – ყვრიმალ-ზედა ყბის).

გამჭვირვალე მოტივაციის მქონე ტერმინთა რიცხვს მიაკუთვნებენ, აგრეთვე, ტერმინოლოგიურ გამოთქმებს: musculus biceps – ორთავა კუნთი, os cuboideum – კუბური ძვალი, musculus gracilis – ნაზი კუნთი, ligamentum teres – მრგვალი იოგი, ganglion impar – კენტი კვანძი, dosis letalis – სასიკვდილო დოზა, – ამგვარ შესიტყვებათა სემანტიკური

სტრუქტურა გამჭვირვალეა: „თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს, საერთო კი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობისაგან გამოიყვანება. ასეთი მოდელი – სახეობითი ცნების გამომხატველი შესიტყვება – მოტივაციის სიცხადით ხასიათდება“ (ოზარენკო 1969: 110-113).

რაც შეეხება არამოტივირებულ ტერმინებს, ასეთია ძირითადად უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა (ამჟღაღ, ტაბლეტი), თუმცა რ. ღამბაშიძე იქვე აღნიშნავს, რომ შეიძლება თავის დროზე ეს სიტყვები მოტივირებულიც იყო, მაგრამ დღეს მათი მნიშვნელობა უცნობია ან დაკარგულია (რ. ღამბაშიძე 1987: 23). გასაზიარებელია ღამბაშიძის მოსაზრება, რომ ტერმინთა უმრავლესობა მოტივირებულია, რაც ტერმინოლოგიური სისტემის ღირსებაზე ლაპარაკობს. თავისთავად ცხადია, შინაგანი ფორმის მიხედვით გამჭვირვალე ტერმინები უფრო ადვილად შესათვისებელია, ვიდრე მოტივაციისგან დაცლილი და არაფრისმთქმელი სიტყვები (ღამბაშიძე 1987: 24-25; დანილენკო 1977).

ნებისმიერი ენის ინტერნაციონალური ნაწილი - ვ. ნ. მოლოდეცის აზრით „არის ის ხიდი, რომელიც აერთებს ნაციონალურ კულტურასა და მეცნიერებას მსოფლიოსთან“ (მოლოდეცი 1983: 19), აიოლებს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებს შორის კომუნიკაციას. ეხმარება მათ უფრო მარტივად გაუგონ ერთმანეთს. ამ გვარი სესხების ნიადაგზე გაჩენილი სინონიმები ბუნებრივია დადასაშვებია ნებისმიერი მათ შორის მედიცინის დარგის ტერმინოლოგიაში. ეს გარემოება ამართლებს ტერმინოლოგიაში სინონიმების არსებობას. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ერთადერთს. სამედიცინო დარგში სპეციალური ლექსიკა ხშირ შემთხვევაში მრავალსიტყვიანია, რაც ურთიერთობებისთვის საკმაოდ არაკომფორტული და მოუხერხებელია. აქედან გამომდინარე, იქმნება ერთიდაიმავე სამედიცინო ცნების რამდენიმე ტერმინით გადმოცემის აუცილებლობა. ნასესხები ტერმინებისა თუ მათი ქართული ვარიანტების თანაარსებობას ერთგვარი გამართლება აქვს, რამდენადაც საკუთარი ტერმინების შექმნის შედეგად ხელი ეწყობა მშობლიური ენის გამდიდრებას. დროულად და მარჯვედ შექმნილმა ქართულმა ტერმინებმა დროთა განმავლობაში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება ისე გაიმაგროს პოზიცია, რომ შეძლოს „კონკურენტების“ ჩამოცილება და დარჩეს ერთადერთ ვარიანტად (კიკვაძე 1995: 78).

ბუნებრივია, რომ ენობრივი კონტაქტი იწვევს ისეთ ენობრივ მოვლენებს, როგორიცაა ნასესხები სიტყვების შეღწევა ერთი ენიდან მეორეში ან პირიქით, გრამატიკული ნიმუშების ასიმილაცია და სხვა. ორი ენის მჭიდრო კონტაქტის დროს ტერმინი გადაინაცვლებს ერთი ენიდან მეორეში. კარგავს პირვანდელ მნიშვნელობას და იძენს იმ მნიშვნელობას რაც აქამდე არ გააჩნდა. ამგვარად ტერმინის ფორმა უცვლელია, ხოლო შინაარსი კი შეცვლილი. მაგ. რეპროდუქცია - reproduction. ამ ტერმინის პირველადი მნიშვნელობა (კვლავწარმოება) განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რომელიც მან ახალ რეალობაში შეიძინა ქართულს სამედიცინო კონტექსტში (ინდივიდების გამრავლების პროცესი). მაგ.: რეპროდუქციული ასაკი (ქალის შვილოსნობის ასაკი), რეპროდუქციული ცენტრი (ცენტრი სადაც მკურნალობენ სხვადასხვა სახის შვილოსნობის პრობლემებს). ქართულში ამ სიტყვის ეკვივალენტი არ მოიძებნება. ამგვარად, დღის წესრიგში დადგა ამ სიტყვის ქართულ სამედიცინო ლექსიკაში შემოტანა. ასევე მაგ. ტერმინები - ინ ვიტრო განაყოფიერება (ხელოვნური განაყოფიერება).

ანტენატალური მეთვალყურეობა ანუ ორსულობის მეთვალყურეობა ჩასახვიდან დაბადებამდე. ამგვარი ტერმინების ერთი სიტყვით ჩანაცვლება ქართულად ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომ, უპრიანია მათი უცვლელი სახით გადმოტანა ენაში. ამდენად, დღესდღეობით თანამედროვე სამედიცინო ქართულ ენაში შეინიშნება უცხოური სიტყვების შემოტანისა და მათი ტერმინების სახით დამკვიდრების ტენდენცია.

§1.3. ეკვივალენტობის და არაეკვივალენტობის პრობლემა სამედიცინო ტერმინებში

ტერმინი არ გულისხმობს უშუალოდ გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებს. აღსანიშნი ენისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ესაა ცნება, იდეა საგნისა თუ მოვლენის შესახებ, უფრო ზუსტად, საგანთა თუ მოვლენათა მთელი კლასის შესახებ. „სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამედიცინო

ტერმინოლოგიაში - ანატომიურსა თუ კერძო, ლექსიკურ-სემანტიკურ ქვესისტემაში, ტერმინისა და ტერმინოლოგიის ყველა მითითებულ ძირითად ნიშან-თვისებებს შეესაბამებინა“ (ხომერიკი 1986:16). კონკრეტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ზუსტად განსაზღვრულ და დეფინიციით დაფიქსირებულ ცნებებს აღნიშნავენ, ხასიათდებიან სიტყვაწარმოებითი მორფემების სპეციალიზებით და რეგულაციით, ერთმნიშვნელოვნებითა და სინონიმის შეზღუდულობით (სმირნოვა 1985: 4, 6-7), ემოციურობისა და ექსპრესიულობის არარსებობით (კრაკოვეცკაია 1979: 9).

მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, ტერმინოლოგიური კვლევები და სადისერტაციო ნაშრომები მთარგმნელობითი სირთულეების კუთხით ქართულ ენათმეცნიერებაში ძალიან მწირია ან უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვოდით, რომ ეს სფერო ჯერ კიდევ აუთვისებელია.

ტერმინოლოგიის თარგმნისას მთარგმნელები ხშირად აწყდებიან ისეთ ტერმინოგრაფიკულ პრობლემებს, როგორიცაა სამიზნე ენაზე ტერმინის ეკვივალენტის არსებობის ნაკლებობა. ანუ უცხო ენაზე არსებული ერთეულები, რომლებსაც მიმღები ენის ლექსიკურ ფონდში შესატყვისები არ მოეპოვებათ. თუმცა, აღიარებულია, რომ ყველა ენას აქვს უნარი გადმოსცეს ნებისმიერი ცნება (ბარხუდაროვი 1975: 97), რადგანაც თუ ენაში მოცემული ნიშანი (შესაბამისი სიტყვა ან გამოთქმა) არ არსებობს, შინაარსის გადმოტანა სხვა რიგი საშუალებებითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მ.ბეიკერი (1992: 18) განმარტავს, რომ სათანადო ეკვივალენტის არჩევანი ყოველთვის არ არის დამოკიდებული ენაში არსებულ ზოგად ლექსიკაზე ან არსებულ განმარტებათა სისტემებზე. ის დამოკიდებულია იმაზე თუ რა სტილს აირჩევენ ლინგვისტიკის სისტემის მანიპულირებისათვის წყარო ენის ტექსტის ავტორი და მთარგმნელი, სამიზნე ენაზე გადატანისას. ჩვენი აზრით, ტერმინების თარგმნისას ერთი ენიდან მოერეზე აუცილებელია სპეციალისტისა და მთარგმნელის თანამშრომლობა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი - სედატიური საშუალება. მიგვაჩნია, რომ ამგვარ შემთხვევაში ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა ქართული ეკვივალენტი - საძილე საშუალება. ტრანკვილიზატორი - დამამშვიდებელი. ამ შემთხვევაშიც უმჯობესია ქართული ეკვივალენტის გამოყენება, რამდენადაც ფართომასშტაბისათვის აღნიშნული ტერმინი მეტად აღქმადია. მიგვაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა ამ კუთხით რიგი სამუშაოების ჩატარება. საკმაოდ საპასუხისმგებლოა წყარო

ენის ტერმინების სათანადო ეკვივალენტებით შეცვლა მეორე ენის სწორი შესატყვისებით მომარაგებისათვის. თარგმანის ეკვივალენტობა სამეცნიერო ტექსტის ერთ–ერთი ძირითადი მოთხოვნაა. გამოყოფენ ორი სახის ეკვივალენტობას: სემანტიკურსა და პრაგმატულს. ზოგადად, თარგმანის მიზანია თარგმნის დროს სათარგმნელ ენასთან ერთად სემანტიკური და პრაგმატული ეკვივალენტობის დაცვა. სემანტიკურ ეკვივალენტურობას სამართლიანად ენიჭება თარგმანის დისტინქტური ნიშნის სტატუსიც კი. დ. კრისტალის აზრით: „სემანტიკური ეკვივალენტურობის უმაღლესი ხარისხი გამოარჩევს თარგმანს ლინგვისტური „შუამავლობის“ სხვა სახეებისაგან, მაგ. ადაპტირებისაგან, რეფერირებისაგან და აბსტრაქციისაგან“(Crystal 1989:344).

ნაიდა და ტაბერი თავიანთ კონცეფციებში ცდილობენ გაარღვიონ თარგმანისადმი ვიწრო სემანტიკური მიდგომის საზღვრები. ისინი თარგმანში გამოარჩევენ ორ განსხვავებულ ორიენტაციას–ფორმალურ და დინამიკურ ეკვივალენტობას. ფორმალური ეკვივალენტობა „ორიენტირებულია შინაარსზე, როგორც ფორმის ისე შინაარსის თვალსაზრისით“, განსხვავებით დინამიკური ეკვივალენტობისაგან, რომელიც ეფუძნება „ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს.“(ი.ნაიდა).

ი. ნაიდა დინამიკური ეკვივალენტობის მომხრეა, როგორც თარგმანის უფრო ეფექტური სახის, მაგრამ „დინამიკური ეკვივალენტობა თარგმანში უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის სწორი გადაცემა, კომუნიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ის თარგმანს ლინგვისტური კუთხით უდგება, უფრო მეტად დაინტერესებულია ტექსტის შინაარსით, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი სემანტიკური ხასიათით. ამიტომ ის ცდილობს უზრუნველყოს კონკრეტული ინფორმაციის მიმღებ ტექსტში ეკვივალენტური გადატანა (ი.ნაიდა 1964:156–171).

ეკვივალენტობის ცნების საკმაოდ საინტერესო განხილვას ვხვდებით მ. ბეიკერთან, რომელიც პირობების დეტალურ ნუსხას გვთავაზობს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება განვსაზღვროთ ეკვივალენტობა:

- ლექსიკური ეკვივალენტობა, რომელიც ჩნდება სიტყვის დონეზე;
- გრამატიკული ეკვივალენტობა, რომელიც ეხება ენებს შორის გრამატიკული კატეგორიების განსხვავებასა და მსგავსებას;

- ტექსტური ეკვივალენტობა, რომელიც გულისხმობს ეკვივალენტობას წყარო ენისა და მიმღები ენის ტექსტებს შორის ინფორმაციისა და კოჰეზიის თვალსაზრისით.

- პრაგმატული ეკვივალენტობა რეალიზდება ქვეტექსტების თარგმნის დროს. ქვეტექსტი გულისხმობს არა იმას, რაც პირდაპირ არის ნათქვამი, არამედ იმას, რაც იგულისხმება ანუ იმპლიციტურად გადაცემულ ინფორმაციას (M. Baker 1992).

ცხადია, თარგმანის ეკვივალენტურობის ბუნების შესწავლა აუცილებელია სემიოზისის სამივე დონეზე (სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა). მაგალითად, მხოლოდ სინტაქსურ დონეზე მისი მიღწევა არ არის საკმარისი ტექსტის საბოლოო ეკვივალენტობისათვის, არამედ საჭიროა სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზეც მივაღწიოთ ეკვივალენტობას.

სინტაქსური ეკვივალენტობა ითვალისწინებს ინფორმაციის სწორად გადმოთარგმნას მისი სემანტიკური მნიშვნელობის შენარჩუნებით. ეს ნიშნავს, რომ თარგმანი უნდა იყოს არა სიტყვასიტყვითი, არამედ ზუსტი და თარგმნილი ტექსტი მაქსიმალურად უნდა იყოს ორიგინალის ეკვივალენტური სემანტიკის თვალსაზრისით. ე. ი. ორიგინალის ტექსტის მნიშვნელობა გადატანილ უნდა იქნეს თარგმანის ენაზე.

ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მისაღებია ნ. საყვარელიძის მოსაზრება, რომელის თანახმად, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტობა არის ზოგადლინგვისტური კატეგორია, ძირითადი ნორმატული მოთხოვნა ყველა სახის თარგმანისადმი, განურჩევლად მისი სახეობისა (სამეცნიერო-ტექნიკური, ბელეტრისტული, პუბლიცისტური და სხვ.). თუ თარგმანს განვიხილავთ, როგორც კომუნიკაციის აქტს, მაშინ მისი ეკვივალენტობის უპირველეს პირობად, ნ. საყვარელიძის აზრით, „უნდა მივიჩნიოთ ორიგინალი ტექსტის ანუ საწყისი შეტყობინების კომუნიკაციური ინტენციისა და კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნება მეორადი კომუნიკაციის ტექსტში, სადაც მოითხოვს შიდაენობრივ პრაგმატულ ურთიერთობათა ფუნქციურ გამეორებას მეორე ენის მასალაში და მეორეული ადრესატის ფაქტორის, მისი ენობრივი და გარე ენობრივი (ცხოვრებისეული) გამოცდილების ზუსტ გათვალისწინებას“ (ნ. საყვარელიძე 2001:69–92).

რიჩარდსის, პლატისა და ვებერის (1985;299) თანახმად, მთარგმნელობითი ეკვივალენტი ეს არის „თარგმანის ის ხარისხი რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს

ლინგვისტური ერთეულის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა ისე, რომ მნიშვნელობა არ იქნეს დაკარგული.“ ამრიგად, პირდაპირი ეკვივალენტობა გვხვდება იქ, სადაც წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადატანილი ტერმინის ეკვივალენტი ზუსტად გადადის, როგორც წყარო ენაზე არსებული ტერმინის მნიშვნელობა. პრაგმატული ეკვივალენტობა გულისხმობს იმას, რომ თარგმნილი ტექსტის ქვეტექსტი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ორიგინალის ტექსტის ქვეტექსტს და თარგმანის მკითხველს იგივე რეაქცია ჰქონდეს წაკითხულზე, როგორც ორიგინალის მკითხველს გააჩნია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, პრაგმატული ეკვივალენტობა არის თარგმნილ ტექსტში ავტორის ნაგულისხმევის გადმოცემა, მაგრამ პრაგმატული მომენტი, ძირითადად, მხატვრული ტექსტისათვის არის დამახასიათებელი. სამედიცინო პუბლიკაცია ერთდროულად მეცნიერული აზროვნების პროდუქტიცაა და სამეცნიერო მეტყველების ქმნილებაც. ეს დიალექტიკური ერთიანობა ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებიდან გამომდინარეობს. სამედიცინო ტექსტში, გასათვალისწინებელია ის, თუ რას წარმოადგენს და რას გადმოსცემს თვითონ სამეცნიერო ნაშრომი. ყოველ სამედიცინო ტექსტს საკუთარი მიზანიაქვს: წარმოაჩინოს ახალი სამეცნიერო კონცეფცია, აღმოაჩინოს ახალი მოვლენები და გამოავლინოს განვითარების შინაგანი კანონები. ამიტომ სამედიცინო სტილის ინტელექტუალურ-საკომუნიკაციო ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა კი არა რის, არამედ მისი ჭეშმარიტების მტკიცება, მიღებული შედეგების მნიშვნელობის აღნიშვნა და შეფასებაცაა.

§1.4. სამედიცინო ტერმინწარმოების მეთოდები

სამედიცინო ტერმინოლოგია ივსება ტრადიციული ტერმინთქმნადობის ხარჯზე: (ლექსიკოსემანტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური). მთელ რიგ ნაშრომებში, (ვ.პ. დანილენკო 1977: 52), (ვინოკური 1939: 38), (კუზკინი 1962: 136-146); (კომაროვა 1979: 3-13); (პროხოროვა 1981: 23-31), ტერმინი ასრულებს ნომინაციურ და დეფინიციურ ფუნქციებს (ვინოგრადოვი 1947: 12-13; 25 ლევკოვსკაია 1962: 196-197). გამოთქმულია

მოსაზრებები, რომ თავისთავად ტერმინოლოგია წარმოადგენს განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც განსხვავდება იმ სისტემისაგან, რომელსაც ეწოდება „ზოგადი ენა“, რომ სინონიმია, პოლისემია, ომონიმია, იდიომატიკა, სემანტიკური განვითარება დამახასიათებელია მხოლოდ „ზოგადი ენისათვის“, და რომ ტერმინთა სისტემურობა განპირობებულია მხოლოდ ლოგიკური ურთიერთკავშირებით. განვიხილოთ, რამდენადაა ტიპური ასევე ზოგადი ენის ტერმინთა და სიტყვათა თვისებები.

ვ. ა. ტატარინოვის განმარტებით, „ლექსიკურ-სემანტიკური ტერმინთქმნადობა“-ეს ენობრივი ნომინაციის ისეთი მეთოდია, რომელშიც ახალი ტერმინის წარმოქმნის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სიტყვის სემანტიკური განვითარება.”(ვ.ა. ტატარინოვი, 1996, 211).

ნ. პუდინსკაიას აზრით, (1997) ვ. ტატარინოვი მიზანმიმართულად განასხვავებს სემანტიკური განვითარების ისეთ სახეებს, როგორიცაა: ”მთლიანად გადასვლა საერთო სემანტიკიდან ახლიდან შემუშავებულ ტერმინად თუ მისი სპეციალიზაცია-გაფართოება, აგება (ტერმინოლოგიზაცია), ნაწილობრივი გამოყენება სიტყვის სემანტიკისა ახალი ტერმინის მნიშვნელობის ფორმირებაში (მეტაფორა და მეტონიმია)”.

დავა ენობრივი ნიშნის შესახებ გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ჩ. ს. პირსის ნიშანთა თეორია საშუალებას იძლევა უფრო დეტალურად წარმოვადგინოთ ის სემანტიკური განსხვავებები, რომლებიც არსებობს ბუნებრივი ენის ტერმინოლოგიას შორის. სემიოტიკის ძირითადი პრინციპები პირველად ჩარლზ სანდერს პირსმა ჩამოაყალიბა. მან საფუძველი ჩაუყარა ნიშანთა სისტემების, კომუნიკაციური აქტების, მექანიზმებისა და პროცესების შესწავლას თანამედროვე მოვლენების არაერთ სფეროში.

ტერმინოლოგიაში მოქმედებენ ისეთი საერთო-ენობრივი მოვლენები, როგორიცაა პოლისემია, სინონიმია, ომონიმია. მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ლინგვისტიკაში საერთო ძალისხმევით შემუშავდა ტერმინის განმარტება, რომელიც, როგორც სახელობითი ფუნქციის მქონე სიტყვითი ერთეული, უნდა იყოს მონოსემიური, მეტაფორულ ხასიათს მოკლებული, უკიდურესად ზუსტი და არ შედიოდეს სინონიმურ ურთიერთობებში. მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება, რადგანაც ენაში სიტყვითი ერთეულებისათვის არსებითია ასახოს რეალთა თავის მუდმივი სახეცვლილებებით.

ფერდინანდ დე სოსიურის თანახმად, ღირებულება არის ნიშნის თვისება - იყოს ის, რაც მას სხვა ნიშნისაგან განასხვავებს. სხვადასხვა ენობრივ სისტემებში ერთნაირი მოვლენებისა და ობიექტების აღმნიშვნელ ნიშნებსაც კი ყოველთვის განსხვავებული ღირებულება აქვთ.

ამდენად, რთულია ხელოვნურად გაეცე პოლისემიას, მითუმეტეს, სინონიმის, პირიქით, პოლისემიის განხილვა თითქმის შეუძლებელია (ლექსიკური სემანტიკური ვარიანტების გარეშე). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ პოლისემია, ომონიმია და სინონიმია მიუღებელია ტერმინოლოგიისათვის (ე. ნ. ტოლიკინა).

მკვლევრების ნაწილი კი უარყოფს ტერმინთა პოლისემიურობას, მაგრამ ტერმინოლოგიის განვითარების წამყვან ტენდენციად მიიჩნევს მონოსემიას. „სიზუსტე და ერთმნიშვნელოვნება ტერმინისა, ეს მხოლოდ ტენდენციაა, იდეალი, რომლისკენაც ისწრაფვის და უნდა ისწრაფოდეს ყოველგვარი ტერმინოლოგია.“ (ვ. ა. ლეკოვსკაია, 1966: 357). პოლისემიის ფარგლებში შესაძლებელია მათი სხვადასხვა ტიპები და სახეობები. სამეცნიერო ცოდნის განვითარების აქტიურ ტენდენციად ითვლება ის, რომ ერთი და იგივე ტერმინი იძლევა სხვადასხვა ინფორმაციას ობიექტის შესახებ, რაც შესაძლოა გახდეს პოლისემიის განვითარების საფუძველი. თუმცა პოლისემიურობა, როგორც სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების აქტიური პროცესი, არ ითვლება გამონაკლისად ამ კუთხით და შეადგენს საერთო გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის 6%. რაც უფრო ღრმავა ამა თუ იმ მოვლენის ცოდნა, მით უფრო ხშირად იმალება ამა თუ იმ ტერმინში სხვადასხვა დენოტანტები. ასე მაგალითად, კონტაქტური ლინზების დანერგვამ ტერმინ contact შესძინა ახალი მნიშვნელობა - contact lens (კონტაქტური ლინზები), ხოლო AIDS or HIV სწრაფმა გავრცელებამ დაავადების მთელს მსოფლიოში - a person with or likely to carry HIV - human immunodeficiency virus or AIDS - acquired immunodeficiency syndrome (ვირუსის მატარებელი). მედიცინაში ვიწრო სპეციალიზაციის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მრავალმნიშვნელოვანი ტერმინების შემოღება სამედიცინო ლექსიკაში.

ამდენად კონკრეტულ ტერმინს, რომელიც სრულიად გასაგები მნიშვნელობის მატარებელი იყო, მიეწერა სხვა მნიშვნელობებიც, რომლებმაც ახალი მნიშვნელობები შეიძინა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ, ტერმინი - operation-ის (ოპერაცია) მნიშვნელობა, რომელიც თანამედროვე კომპიუტერულ მედიცინაში არის - technique

(მეთოდი/ხერხი), ხოლო აქამდე არსებული მნიშვნელობა საერთო მედიცინაში იყო - an act of surgery performed on a patient (ქირურგიული ჩარევა). ფსიქოლოგიის განვითარებასთან ერთად ტერმინმა - analysis (ანალიზი) შეიძინა ახალი მნიშვნელობა - psychoanalysis (ფსიქოანალიზი), გამომდინარე პირველმნიშვნელობიდან - a detailed axamination of the elements or structure of a substance; (ნივთიერების შემადგენელი ელემენტების დეტალური გასინჯვა).

პოლისემია სამედიცინო ტერმინოლოგიაში ასახავს საერთო-ენობრივ ტენდენციას - ცალკეული სიმბოლოების გამოყენების შესაძლებლობის რამდენიმე გაგებით გამოყენებას. მრავალმნიშვნელოვანი ტერმინების მნიშვნელობათა რაოდენობა ცვალებადია. როგორც წესი, ტერმინს სამედიცინო ტერმინოლოგიის ფარგლებში აქვს მაქსიმუმ სამი მნიშვნელობა. სხვა დარგებში ეს რიცხვი გაცილებით მეტია. მათი მნიშვნელობების რიცხვი იზრდება 5-7 მნიშვნელობამდე. ხანდახან მეტიც 14-მდე. მაგალითად, ტერმინი screen. რომლის სამედიცინო მნიშვნელობა: 1. A thin layer of any substance for separating, sheltering or protecting an object from exposure - ფილტრი - თხელი ფენა, რომელიც გამოიყენება რაიმე ობიექტის განსაცალკევებლად ან დასაცავად: 2. the surface of an electronic device on which image appear - ეკრანი, რაზეც აისახება გამოსახულება; 3. A system of checking for presence or absence of a disease - დაავადების დასდგენი სისტემა;

მარტივი ტერმინებიდან ყურადღებას შევაჩერებთ მრავალმნიშვნელოვანების მქონე იმ ტერმინებზე, რომლებიც გამოიყენება ტექსტებში, როგორც დამოუკიდებელი, ასევე წყარო ტერმინების რანგში (ხანდახან ტერმინოლოგიურ სიტყვათშეთანხმებებში): agent, activator, analyzer, autogenesis, block, body, cap, capsule, cell, center, chain, code, complex, contact, depressor, determination, diet, factor, film, contact, control, conversion, lens, mask, mind, mechanism, medicine, mixture, needle, operation, organ, pad, pack, pathway, phrase, phenomenon, plane, point, position, powder, prescription, product, reaction, record, rhytm, scale, screen, screening, set, shield, shock, substance, surgery, system, target, translation, unit, wave და სხვ. მაგალითად, activator - აქტივატორი: 1. სხვა ნივთიერებათა გასააქტიურებელი ნივთიერება. 2) რამე პროცესისა და რეაქციის დამაჩქარებელი; 2. ფრაგმენტი, პროაქტივატორის ქიმიური დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი. Screen - 1) ეკრანი; 2) ფილტრი; 3) სკრინინგის ჩატარება; 4) შემოწმება. Substance - 1)

ნივთიერება; 2) შემადგენლობა; 3) ნაჭერი. Record - ჩანაწერი; 2) ოქმი; 3) არქივი; 4) სორტირება. Conversion - 1) გადასვლა; 2) შეცვლა; 3) გადამუშავება.

ახალი მნიშვნელობა ყოველთვის ეყრდნობა, რაიმე წინამდებარე მნიშვნელობას, რომელიც ნაწილობრივ შენარჩუნებულია ახალში. ამასთან, წინამდებარე მნიშვნელობის შემადგენლობიდან გამოიყოფა ნიშანი, რომელიც ძველი და ახალ შეძენილი მნიშვნელობებისერთგვარი შუამავალია. ანუ „წარმომადგენლის“ როლი აკისრია. (ს.დ. კანცელსონ, 1972,58). მაგ.:Analyzer – 1) ანალიზატორი, ანალიზისხელსაწყო; 2) ანალიზის გაკეთება პოლარიზებულ სინჯარაში. 3) ანალიზატორი, პირობითი რეფლექსის ნევული ცენტრი; 4) ბიოპოტენციალის განმსაზღვრელი, სიხშირული და ამპლიტუდური თვისებების ანალიზატორი. target - 1. a mark or point to be aimed at - სამიზნე; 2. An object or result aimed at, or exposed to study, სამიზნე ობიექტი როგორც საგანი საკვლევო ობიექტისა.

ხანდახან ერთსა და იმავე სიტყვაში პოლისემიური მნიშვნელობა და მეტონიმიური კავშირი ერთადაა. შევადაროთ: factor; 1. A circumstance, fact. Or influence contributing to a result - ერთ-ერთი მიზეზი პროცესისა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს დასაწყისზე. 2. A whole number - მაჩვენებელი, კოეფიციენტი; 3. A gene - გენი; 4. Vitamin or another life-important element - ვიტამინი ან სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ელემენტი. ხანდახან მრავალმნიშვნელოვნება ვითარდება მეტაფორის ხარჯზე. შევადაროთ; 1. კაპილარული (თმის მაგვარი), 2. კაპილარი (უწვრილესი სასუნთქი), 3. კაპილარული - მიეკუთვნება სისხლძარღვოვან და ლიმფურ კაპილარს; თანამედროვე სამედიცინო პოლისემიური ტერმინოლოგიის მიმოხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ პოლისემია არაა დამახასიეთებელი მრავალ კომპონენტის სიტყვათშეთანხმებებისათვის. სამედიცინო ტერმინთა უმეტესობა მრავალმნიშვნელოვანებას იძენს ექსტრა ლინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით. ისეთი, მაგალითად, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მედიცინაში, სხვადასხვა სამედიცინო დისციპლინის გაერთანება სხვა მეცნიერებებთან (კომპიუტერული მედიცინა, კრიომედიცინა, ტელემედიცინა და სხვ.) არსებულ ტერმინებზე დამატებითი მნიშვნელობის მინიჭება, უფრო ზუსტი განმარტების მიზნით, რომელიც თანამედროვეებს მეტად მიესადაგება.

ვ. პ. დანილენკო თვლის, რომ მრავალმნიშვნელოვნების შენარჩუნება და სინონიმების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით იჩენს თავს ტერმინთა სისტემის

ფორმირებაში. ტერმინოსისტემის გაფართოების წყაროდ გვევლინება სინონიმური წყვილების ჩამოყალიბება. ტერმინოლოგიური სინონიმები შესაძლებელია გამოყენებული იქნას მსგავსი ცნებების ნომინაციისათვის, ასევე სტილისტური გაფორმებისათვის (არქაიზაციისათვის, მოდერნიზაციისათვის, ტექსტის სპეციალიზაციისათვის). შევადაროთ perctoran = lipofor (ნეოლოგიზმი) = blood substitute = blue blood = artificial blood - ბუნებრივი სისხლის შემცვლელი ხელოვნური ნივთიერება. სინონიმურებად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ტერმინები, ასევე სხვადასხვა დასახელებებიც. სინონიმები შეიძლება განვასხვავოთ არა მარტო აზრობრივი, სტილისტური ნიშნებით, ლექსიკო-ფრაზეოლოგიური და სინტაქსური შესაბამისობით, ასევე წარმოების მეთოდებით.

ვ. ა. ტატარინოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სინონიმი არ წარმოადგენს ტერმინწარმოების განვითარების საწყისი პერიოდის თვისებას. „რაც უფრო მაღალია სამეცნიერო აზროვნების განვითარების დონე, რაც უფრო პროგრესულია აზროვნება, მით უფრო ამოუწურავია რეალობა მკვლევარისათვის, მით უფრო მრავალფეროვან გამოხატულებას პოულობს იგი ენობრივ ფორმებში“ (ვ.ა. ტატარინოვი 1969: 194).

ტერმინთა ანტონიმები საპირისპირო მნიშვნელობებზეა დაფუძნებული. ვ. პ. დანილენკოს აზრით, ანტონიმები „ტერმინოლოგიაში წარმოდგენილი ანტონიმები არ აღემატება ზოგად სალიტერატურო ენაში არსებულ ანტონიმებს.“ (ვ.პ. დანილენკო 1971:25).

ენის გამდიდრების კიდევ ერთ წყაროდ მიიჩნევა ახალი ლექსიკური ერთეულების შემუშავება არსებული მორფემებითა და მათი ახალი კომბინაციებით. ტერმინთა წარმოება მორფოლოგიური მეთოდით ასეთია; ახალი ტერმინი იქმნება არსებული ფუძისაგან და პრეფიქსებისა და აფიქსებისაგან (სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, პრეფიქს-სუფიქსული მეთოდი). პრეფიქსაციაა მაგ.: contraception, contra - საწინააღმდეგო. ანუ ჩასახვის საწინააღმდეგო. Hipo - ქვეშ, ქვედა. Hypodermic - კანქვეშა. Hemi - ნახევარი. Hemiplegia - სხეულის მხოლოდ ნახევარის პარალიზება. Tachy - სწრაფი - tachycardia -ტაქიკარდია. Ciano - ლურჯი - cianosis - უჟანგბადობით გამოწვეული სილურჯე. A - an -გარეშე - anesthesia - შეგრძნების გარეშე. Andro - მამრობითი, androgene - მამრობითი ჰორმონი. Brady-ნელი, bradycardia - ძალიან ნელი პულსი. Albin - თეთრი, albino - ადამიანი თეთრი თმით, კანით და მელანინის ნაკლებობის მქონე

თვალეზით. Hetero -განსხვავებული, heterogenous - სხვადასხვა ნივთიერებისაგან შედგენილი.

სუფიქსაციით მიღებული ტერმინებია მაგ.: Ac - მიეკუთვნება, cardiac - რაც გულს უკავშირდება. Ive - მიმართული, განკუთვნილი sedative - განკუთვნილი ტკივილის ან დაძაბულობის მოსახსნელად. Logy - მეცნიერების შესწავლა, cardeology - მეცნიერება გულის მუშაობის შესახებ. Ologist - სპეციალისტი. Cardiologist - სპეციალისტი გულის შესწავლის დარგში. Scope - დასათვალიერებელი ინსტრუმენტი. Phonedoscope - ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სუნთქვის გასასინჯად. Tic - მიკუთვნებული, diagnostic - დიაგნოზებისათვის მიკუთვნებული.

სიტყვათა წარმოშობის სპეციფიკა, როგორც სტრუქტურის ერთ-ერთი ენობრივი მეთოდი, ლექსიკის თუ გრამატიკისგან განსხვავებით, დაფუძნებულია დინამიკაზე: ახალი სიტყვების წარმოქმნა ესაა ფაქტების ასახვა, უპირველეს ყოვლისა, ენის დინამიკა, მისი ცვლილება. ცვლილება ხდება იმიტომ, რომ ურთიერთობის პროცესში მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს საკომუნიკაციო ენის მოქნილობა და აზრის უკეთესად გამოხატვა. ხოლო ახალ ტერმინთა დანერგვა ლექსიკაში, უკვე მისი სახეცვლილებაა. ამიტომაც სიტყვათა წარმოქმნისათვის ენობრივ საშუალებად უნდა განვიხილოთ, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულად ინფორმაციის რეალიზაციას. ბუნებრივია, როგორც მარეგულირებელი მექანიზმის ნაწილი, სიტყვათწარმოქმნა, ერთიმხრივ, ეყრდნობა ენის ფუნქციონირების თავისებურებებს, ხოლო მეორე მხრივ, სიტყვათა წარმოქმნა უნდა იყოს მზად, რომ დააკმაყოფილოს შიდა ენობრივი საშუალებების დახმარებით აზრთა გადმოცემის ახალი მოთხოვნები.

ამრიგად, სიტყვათწარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური ხიდი ენასა და რეალობას შორის. ასევე, როგორც ენის დინამიკასა, უფრო სწორად, ფუნქციონირებას და სტატიკას შორის სიტყვათ მაწარმოებელი ელემენტების და მოდელების კრებული (ერთობლიობა). სიტყვათწარმოქმნა, ისე როგორც სხვაყველა ენობრივი პროცესი, იჭრება სინქრონულად. ამიტომ, სიტყვათწარმოქმნა, ძირითადად, უნდაიყოს სისტემატური. „სიტყვათწარმოების აქტიური და პროდუქტიული მეთოდების ტიპებიკი უნდა იყოს ისეთი, რომ მათი მეშვეობით სიტყვისა და მორფემების შეერთებამ, წარმოქმნას ისეთი ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის გაშიფვრა ადვილად იქნება შესაძლებელი.” (სუპრუნ;110), მაგალითად,

immunomodulator - იმუნომოდულატორი, უფროსწორად, წამალი, რომელიც აძლიერებს იმუნურსისტემას.

ინგლისურ ენაში სიტყვათწარმოების პროცესი, გარკვეულ დონეზე შეესაბამება ნომინალიზაციის ტენდენციას. რის გამოც, გარკვეულწილად, გამოწვეულია რთულ, მრავალკომპონენტთან, ტერმინთა უმეტესობის შექმნა. იმის გამო, რომ სიტყვათწარმოების ფორმანტები და სიტყვათწარმოების მოდელები საკუთარი სემანტიკური ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან, ისინი ფართოდ გამოიყენებიან ახალი ტერმინების შექმნაში.

შეიქმნა მორფოლოგიური მეთოდის შესწავლის ორი მიდგომა: სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური. სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური კვლევები ავსებენ ერთმანეთს. სემასიოლოგია ასახავს შესატყვის ფორმანტებსა და მათ სამანტიკურ კატეგორიათა შემადგენლობას. ონომასიოლოგია კი ასახავს ტერმინოლოგიურ მოდელებს, რომლებიც ასახავენ გარკვეულ ტერმინოლოგიურ კატეგორიებს. „ნომინაცია თადამოკიდებულება შეიძლება განიხილოს ორი რაკურსით- ონომასიოლოგიურით, რომლის ამოსავლად ითვლება რეალია (საგანი, მოვლენა, დამოკიდებულება, ხარისხი), რომელსაც ენიჭება ესა თუ ის მნიშვნელობა და სემასიოლოგიურით, სადაც უმთავრეს რანგში განიხილება აზრი, რომელიც ასახავს მის პროექტირებას მოცემულ რეალიაში, რაც ნაწილობრივ იძლევა გადახედვის საშუალებასუკვე მზა ნომინაციის ერთეულებზე, მათ საკუთარ ან ახლის აღსანიშნავადარსებულ სფეროში” - ენობრივი ტრანსფორმაცია. ლინგვისტიკის გარკვეული ასპექტები XX საუკუნის ბოლოს (ვ.გ. გაკი1972:370-410).

ენათა ურთიერთმოქმედების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია პროცესი არის უცხოენოვანი ელემენტებისა და ტერმინთა კომპონენტების შემოჭრა, რასაც ტრადიციულად სამცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ ურთიერთდამოკიდებულებას. ამ სიტყვით გადმოიცემა როგორც შედეგი, ასევე შემოტანის პროცესი. უფრო მეტიც, ეს პროცესი ჰგავს იმიტაციას: ახალი ტერმინის შესაქმნელად გამოიყენება სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც შესაძლოა არ მომდინარეობდეს წყარო ენიდან, მათი მეშვეობით მიმღებ ენაში იქმნება ორიგინალის მეტ-ნაკლებად მსგავსი ასლი. ენის ლექსიკის შევსებისერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური საშუალებაა სიტყვათა სხვა ენიდან სესხება, რომლის ინტენსივობაც ცვალებადია. სესხება საჭირო ხდება მაშინ,

როდესაც ახალ რეალიათა თუ ცნებების სახელწოდებების მინიჭების მოთხოვნა იქმნება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობით და მათ შორის საკომუნიკაციოდ. სამედიცინო დარგში ნასესხები სიტყვების სახით ხშირად ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორცაა: მედიკამენტების, მკურნალობის მეთოდებისა და დაავადებათა კვლევების აღმნიშვნელი სიტყვები. თანამედროვე მედიცინის დამახასიათებელი მოწყობილობები. მაგ: roentgen (გერმ.) - რენტგენი. Vaccine - ვაქცინა. მათი ურთიერთ სესხებისას წყარო ტერმინოლოგიური ელემენტების ტერმინთწარმოების პროცესი ექცევა საკუთარი ენის პირობებში და ხასიათდება მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით. ელემენტებს, რომლებიც მრავალ ენაში გამოიყენებენ ტერმინთა წარმოების მიზნით, საერთაშორისო ტერმინებს უწოდებენ. (ვეფხვაძე 2014: 63).

თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია ხასიათდება რიგი საერთაშორისო ტერმინებით, რომლებიც წარმოიქმნა ინგლისური ენის ჩარჩოებში ბერძნულ-ლათინურ ელემენტთა მოდელების მიხედვით, და მისი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროცესები, რომლებიც მოქმედებენ და აისახებიან ლექსიკის შემადგენლობაზე მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთი მეორისაგან იზოლირებული არ არის. სწორედ ეს განაპირობებს სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების სირთულესა და მრავალფეროვნებას, მათი წარმოებისა და ფორმირების ტენდენციების სირთულესა და მრავალფეროვნებას, ეს ყოველივე კი თავისთავად წარმოადგენს რიგი პროცესების კომპლექსს, რომელიც ასევე აისახება ტერმინოლოგიაზე. გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ანგლიციზმები „წარმოადგენს თავის მხრივ განსაკუთრებულ სიტყვათა ტიპს: ზუსტად ის ტერმინებია, რომლებიც ჩამოყალიბდა ბერძნულ-ლათინურ ფუძეზე და გახდა საერთაშორისო“ (ფოგარაში 1980: 80). ჩვენი აზრით, თანამედროვე სამედიცინო ლექსიკაში ინგლისურენოვანი ტერმინების სიმრავლე, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინგლისური ენის დომინანტურ როლს სამედიცინო სივრცეში, ხოლო ანგლიციზმები გარკვეული ხარისხით, ნაწილობრივ, იმ ტერმინებს განეკუთვნება, რომლებიც სამედიცინო ლექსიკაში ინტერნაციონალიზმების სახით მკვიდრდება.

§1.5. ნეოლოგიზმები მედიცინის ენაში

დღესდღეობით მედიცინა ისე, როგორც სხვა დარგები, განიცდის ე. წ. "ნეოლოგიზმების ბუმს". ახალი სიტყვების მოზღვავენამ განაპირობა მათი აღწერის აუცილებლობა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავად ტერმინი ნეოლოგიზმი არ არის ახალი, მას მაინც არ გააჩნია ერთადერთი კონკრეტული მნიშვნელობა. მიიჩნევა, რომ "ნეოლოგიზმები არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა არაუადრეს ბოლოათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება როგორც ახალი" (გამყრელიძე...2003: 388). ხოლო მაშინ, როცა ნეოლოგიზმი აღარავისთვის არის ახალი, შეიძლება ითქვას, რომ ის ენის ლექსიკური ფონდის სანქცირებული წევრი ხდება და, შესაბამისად, ნეოლოგიზმის სტატუსის არმქონეა. თუმცა აღვნიშნავთ, რომ სადისერტაციო ნაშრომში ბოლო თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში შემოსულ რამდენიმე სიტყვასაც ნეოლოგიზმის სტატუსით განვიხილავთ. ენის ლექსიკური ფონდის ცვალებადობა გარდაუვალი რეალობაა. მისი ამგვარი ხასიათი განაპირობებს ენის განვითარებას, ან პირიქით. ენის განვითარება მასზე მოლაპარაკე სოციუმის ცხოვრების სტილის, ტემპისა და ხასიათის განვითარების პირდაპირპროპორციულია. ენის ფენომენი იდენტობის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მედიცინა განსაკუთრებით მდიდარია ახალი ტერმინებით. ისინი გვხვდება პუბლიკაციებში, რომლებიც ეხება მედიცინის ახალ განხრებს: კოსმიური მედიცინა, გენური ინჟინერია, მიკროკრიოგენური ტექნიკა და სხვ. მაგ. laser shock waves-ლაზერული დარტყმითი ტალღები, digital x-ray photography-ციფრული რენტგენოგრაფია, HIV inhibitor-....telediagnosing - ტელედიაგნოსტიკა და მრავალი სხვა.

ნეოლოგიზმებს, ტრადიციული კანონიკური სიტყვებისაგან განსხვავებით, ახასიათებს განსაკუთრებული კავშირიდროსთან, რომელიც კოლექტიურ ცნობიერებაში ფიქსირდება. ნეოლოგიზმების კრიტერიუმი, ერთი მხრივ, თვითნებურია, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური.

ნებისმიერ ახალ ტერმინს აქვს ნეოლოგიზმის ხარისხი, უფრო სწორად, დროებითი სიახლის კონოტაცია, ვიდრე მასზე, როგორც ახალზე, რეაგირებას არ მოახდენს კოლექტიური ენობრივი ცნობიერება. თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღევანდლამდე ჩვენ გამოვიყენებთ მედიცინისა და სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების დროებით ჩარჩოებს.

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომში ნეოლოგიზმებად განვიხილავთ ტერმინებს, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ შემოიჭრნენ მედიცინის ენაში. მაგალითად: cryonics, screening, laser shock waves. ასევე ისეთი ნეოლოგიზმები, რომლებიც არ არიან დაფიქსირებულები ლექსიკონებში, მაგრამ აქტიურად ფუნქციონირებენ საუბარში. მაგ. 3-D sound device-სამ განზომილებიანი ბგერითი აპარატი, atomic force microscope (AFM)-ატომურიმიკროსკოპი, genetic modification-(GM)-გენეტიკურიმოდიფიკაცია.

საერთოდ ითვლება, რომ სიტყვა ახალ სიტყვათა ლექსიკონში რომ დამკვიდრდეს, აუცილებელია ის 1 წლის განმავლობაში გამოიყენებოდეს. ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში ეს პერიოდი ხუთჯერ მეტია, რაც გამორიცხავს ახალდამკვიდრებული ტერმინების დაფიქსირებას. სხვათა შორის, ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორის, რ. ვ. ბურჩფილდის მონაცემებით, ინგლისურ ენაში, წელიწადში საშუალოდ ჩნდება 800 ახალი სიტყვა, რაც აღემატება მსოფლიოს სხვა დანარჩენ ენებში არსებულ ახალ სიტყვათა რაოდენობას. ეს მეცნიერთა წინაშე აყენებსარა მხოლოდ ახალ სიტყვათა დაფიქსირების, არამედ მათი შესწავლისამოცანას (modern English usage-R.W.Burchfield,1985).

ენაში ახალი ტერმინის გამოჩენა ეს არის ორი ტენდენციის ჭიდილის შედეგი - ენობრივი მარაგის გამდიდრებისა და ენობრივი ნიშნების შენარჩუნებისა. ეს განპირობებულია იმით, რომ "ენაში არის საკმაოდ ძლიერი ტენდენცია იმისა, რომ შეინარჩუნოს ტერმინი, როგორც საკომუნიკაციო ერთეული." (ბ.ა.სერებრიაკოვი1983:23). თუმცა, იმისათვის რომ უფრო ზუსტად აისახოს და დამკვიდრდეს ახალი იდეები და კონცეფციები ენაში, ენასა და ლექსიკაში უნდა მოხდეს ახალი ერთეულების გადაწყობა და დიფერენციაცია. ამასთან, ახალი სიტყვის გამოჩენა და ახლებურად აღნიშვნა, ყოველთვის არ არის გამოწვეული, საზოგადოების პირდაპირი მოთხოვნით ახლებურად აღინიშნოს ის. ნაწილობრივ წარმოქმნილი ტერმინის გამოჩენა სამედიცინო ტერმინოლოგიაში ეს არის არა მხოლოდ სტრუქტურულად ახლებური ტერმინების

შექმნის პროცესი, არამედ უკვე არსებული ტერმინებისათვის ახლებური მნიშვნელობის მინიჭება. ეს არის ენაში ახალი ასოციაციისა ანდა ომონიმების აღმოფხვრის შედეგი. ასე, მაგალითად, ტერმინოლოგიურ ფრაზებში remission - რემისია ტერმინმა შეიძინა ახლებური მნიშვნელობა მედიცინაში და აღნიშნავს დროებით გამოჯანმრთელებას. რეპროდუქცია - reproduction მედიცინაში აღნიშნავს ნაყოფიერებას, ხოლო ზოგად ენაში ნიშნავს კვლავწარმოებას.

ჩვენს შემთხვევაში ტერმინი ნეოლოგიზმი განიხილება რთული და მარტივი ტერმინების რანგში, ტერმინოლოგიურ ფრაზებში და მათ აბრევიატურებში. რომლებიც, მათი ტერმინოლოგიური ელემენტებისა და კომპონენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე, შეადგენენ შემდეგ თემატურ ჯგუფებს: „ახალი ტექნოლოგიების დასახელება (ხელსაწყოები, აღჭურვილობები, სისტემები)”; ახალი სამედიცინო პრეპარატების (მედიკამენტების) დასახელებები”; „თანამედროვე მედიცინაში გამოყენებადი ახალნივთიერებათა სახელწოდებები”; ახალი კვლევის მეთოდებისა და დაავადებათა მკურნალობის სახელწოდებათა დასახელება”; „ახალ დაავადებათა და ვირუსთა დასახელებები”; ასევე „ახალი დაავადებებით დაინფიცირებულ პაციენტთა დასახელებები”; მედიცინის ახალი განხრების დასახელებები (კრიომედიცინა, ტელემედიცინა/კომპიუტერული მედიცინა, გენური ინჟინერია, იმუნოლოგია, კოსმიური მედიცინა, რადიო/ატომური მედიცინა, და სხვ.), რომლებიც მიღებულია სამედიცინო, ბიოლოგიური, ტექნიკური, ფიზიკური თუ ქიმიური ტერმინოლოგიური კომპონენტების სინთეზით და, ამასთან, საერთო ლიტერატურული ერთ-ამიტომ ყოველგვარი ტერმინის მოდელს განვსაზღვრავთ მათი განსაზღვრებებიდან გამომდინარე, იქნება ეს მარტივი ტერმინები, რთული ტერმინები თუ ტერმინოლოგიური გამოთქმები. უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის გაგება იგულისხმება ტერმინის ორგვარ განმარტებაში. „მარტივი ტერმინი” გულისხმობს ერთკომპონენტიან სიტყვა-ტერმინს, რომელიც თავის მხრივ წყარო ტერმინს წარმოადგენს. უბრალო, მარტივი ტერმინის წარმოქმნის გზები სხვადასხვაგვარია: აფიქსაცია, სალიტერატურო სიტყვის გადასხვაფერებით, ან ინდივიდუალური ტერმინქმნადობით კლასიკური ენის მორფემებიდან, ასევე სხვა ენებთან ურთიერთზემოქმედებით, მაგ. clone-კლონი, immunize - იმუნიზირება, gene - გენი, scanner - სკანირება, hormone - ჰორმონი. მარტივი ტერმინები სამედიცინო ტერმინოსისტემაში კომპონენტად გამოიყენება როგორც

დამოუკიდებელი ნომინაციური ერთეულები, ასევე რთულ ტერმინთა და ტერმინოლოგიური ფრაზების საფუძველი. შედარებით მცირე პროცენტი (10%) მარტივი სიტყვა-ტერმინებისა სამედიცინო ტერმინოლოგიაში არ წარმოადგენენ ხსაერთო დანიშნულებას არსებულ ტერმინოსისტემის ფუნქციონირებაში, რამდენადაც ისინითავად წარმოადგენენ ყველა წყარო-ტერმინის დასახელებებს, უფრო სწორად, სამედიცინო ტერმინოლოგიის ბაზის ნაწილს. რთულ ტერმინად მოიაზრება ორი ან მეტი კომპონენტისა თუ ელემენტისაგან შემდგარი ტერმინი, რომელსაც ახასიათებს ტერმინების წარმოქმნა ან გარდასახვა ზოგად-სალიტერატურო რთული სიტყვიდან, ან სხვა ენებთან ურთიერთკავშირისა თუ სხვა სატერმინოლოგიო სფეროებთან ურთიერთქმედებით. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა კლასიკური მორფემიდან ინდივიდუალურად წარმოიქმნას ახალი ტერმინი. მაგ.: antineoplastins - კიბოს საწინააღმდეგო ნივთიერება, radiochemicals - რადიოქიმიური ნივთიერება, rentgenography - რენტგენოგრაფია, teleophthalmologia - ტელეოფთალმოლოგია, criobiologist - კრიობიოლოგი, immunogen - იმუნოგენი. რთული ტერმინების განმარტება მოდის ძველბერძნული ენიდან. ტერმინოლოგიურ გამოთქმებში მოიაზრება მრავალკომპონენტური, ცალ-ცალკე ფორმირებულ სიტყვათა კომბინაციების სემანტიკური ერთობლიობა, რომლებიც მიიღება ორი ან მეტი ტერმინოლოგიური ელემენტის კომპონენტის შეერთებით, მაგ.: blood substitute - სისხლის შემცვლელი ნივთიერება, environmental health officers - ჯანდაცვის მუშაკი გარემოს დაცვის საკითხებში, high-speed snapshots of chemical reactions - ქიმიური რეაქციების მცისიერიფოტო. რთული ტერმინების წარმოშობა მომდინარეობს ჯერ კიდევ ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიიდან. ტერმინ-სიტყვათა კომბინაციები, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ყველაზე უფრო პროდუქტიული სამეცნიერო ტექნიკურ ცნებათა ნომინაციების განმარტება ინგლისურენოვან სამედიცინო სატერმინოლოგიო სისტემაში (დაახლოებით 70%), რამდენადაც ისინი ყველაზე ადეკვატურად პასუხობენ ნომინაციათა მოთხოვნებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტ-ნაკლებად სრულად გამოხატავენ მთლიანობის გაგებას, სრულყოფილად გადმოსცემენ სხვადასხვა ნომინაციათა დიფერენცირებულ ნიშან-თვისებებს. უზრუნველყოფენ მთელი რიგი ტერმინოლოგიების სისტემურობასა და ერთმნიშვნელოვანებას.


ცნება „ტერმინოლოგიური ელემენტი (ტერმინოელემენტი)“ შემოიტანა დ. ს. ლოტემ. ის ვერ მივიდა ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მათი სტრუქტურის შესახებ. დ.ს. ლოტე გადმოსცემდა ტერმინოელემენტს ჩაფიქრებული ტერმინის ანალიზის საფუძველზე. „ტერმინოლოგიური ფრაზების უმეტესობა შედგება სხვა ტერმინებისა ან სიტყვებისაგან, რომელთაც გააჩნიათ ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა... ყოველი რთული ტერმინი შედგება რამდენიმე სიტყვა ტერმინისაგან, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა“ (დ.ს.ლოტე 1940:7). ”

არსებობს ტერმინოელემენტი სხვა განსაზღვრება, რომელიც ეფუძნება ტერმინის ხაზოვან სტრუქტურულ ანალიზს. დანილენკო თვლის, რომ ტერმინოელემენტი ეს არის „ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილი“, უფრო სწორად, ნებისმიერი სტრუქტურული კომპონენტი ტერმინისა, (დაწყებული მორფემიდან, დამთავრებული მთლიანი სიტყვით ან პირობითი ნიშნით) სიტყვათა ან სიტყვათშეთანხმებათა შემადგენლობაში(ვ.პ.დანილენკო1971:66).

ვ. ფ. ნოვოდრანოვა განსაზღვრავს ტერმინოელემენტს, როგორც „რეგულარულად განმეორებად და რეპროდუქცირებულ ელემენტად წარმოებულ ტერმინს, რომელიც, როგორც წესი, იკავებს განსაზღვრულ ადგილს ტერმინის სტრუქტურაში და ანიჭებს საკმაოდ სტაბილურ განზოგადებულ მნიშვნელობას ” (ვ.ფ.ნოვოდრანოვა1994:47).

წინამდებარე ნაშრომში ტერმინოელემენტში ვგულისხმობთ სიტყვათა მაწარმოებელ ელემენტს (ძირი, აფიქსი), რომელიც ქმნის მარტივსა და რთულ ტერმინებს. ტერმინოლოგიური კომპონენტი (ტერმინოკომპონენტი) განისაზღვრება, როგორც რთული ტერმინის, ტერმინოლოგიურ სიტყვათა შეთანხმების ძირითადი ნაწილი (განყენებული სიტყვა, აბრევიატურა, სიმბოლო).

სამედიცინო ტერმინოსისტემა



თავი 2.

თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციები

§2.1. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირება და მათი ქართული თარგმანი

თანამედროვე მედიცინის ტერმინოსისტემა წარმოადგენს აღნიშნული დარგის რთულ კონცეპტუალურ სისტემას და შეიცავს მრავალასპექტიანი კლასიფიკაციის სტრუქტურას სამედიცინო ტერმინთა წარმომავლობისა და მათი ფუნქციონირების გათვალისწინებით. კონცეპტუალური მოდელი მოცემულ დარგში, ტერმინთა ფუნქციონირების თვალსაზრისით, გამოკვლეულია ჯგუფების სახით, რომლებიც განსაზღვრავენ მედიცინის შემდეგ სფეროებს: „ახალი ტექნოლოგიების დასახელებები (აღჭურვილობები, ხელსაწყოები, სისტემები)“; „ახალი სამედიცინო პრეპარატების დასახელებები (მედიკამენტები)“; „ახალი ნივთიერებების დასახელებები, რომლებიც თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში გამოიყენება“. „ახალი კვლევის მეთოდების დასახელებები და დაავადებათა მკურნალობა“; „ახალი დაავადებებისა და ვირუსების დასახელებები“; „დაავადებათა სახელწოდებები, რომელთაც სახელდება მიიღეს ახალი დაავადებისაგან (და პირიქით)“; „ახალი სამედიცინო განშტოებების დასახელებები: კრიომედიცინა, ტელე მედიცინა, რადიო/ატომური მედიცინა და სხვ.“; „ახალი განშტოების დარგებში მომუშავე მუშაკთა სახელწოდებები, ასევე ახალ ტექნოლოგიათა; დაწესებულებათა და ნაგებობათა სახელწოდებები. ძირითადი ტერმინებისაგან ნეოლოგიზმები გამოირჩევიან დროსთან განსაკუთრებული კავშირით, რომლებიც საერთო ცნობიერებაში ფიქსირდება. ჩვენ მიერ აღნიშნულ ტერმინთაგან ბევრმა უკვე გაირა სოციალიზაციის პროცესი. მაგ.: ტრანსპლანტაცია, იმუნიზაცია, ვაქცინაცია და სხვ. სხვაგვარად რომ ითქვას, ახალი სამედიცინო სიტყვა თუ სამედიცინო სიტყვათშეთანხმება ეს არის ახალი სიტყვა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მთელი ახალი სამედიცინო ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა) ნეოლოგიზმები - (ახალი ფორმა შეერწყმის ახალ შინაარსს): bio – computer კომპიუტერი, რომელიც წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის ნერვული სისტემის იმიტაციას. Hygienic monitoring - ჰიგიენური მონიტორინგი, fetus monitoring - ნაყოფის მონიტორინგი, medical monitoring - სამედიცინო კონტროლი, genetically modified food(GMF) - გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები, bioastronautics (study of the human factors involved in flight outside the atmosphere) - კოსმიური ბიოლოგია. თავისთავად ნეოლოგიზმები შესაძლოა წარმოადგენილნი იქნენ ასევე:

ბ) ტერმინ ეპონიმებად, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ანთროპონიმები: Bolton-Hunter reagent - ბოლტონ-ჰანტერის რეაქტივი და ტოპონიმები: Far Eastern fever - შორეულ აღმოსავლური ცხელებანასესხებიტერმინები, წარმოშობის მიხედვით შესაძლოა იყოს: ლათინური, ბერძნული, ჰიბრიდული.

გ) ჰიპოტეტურ ტერმინებად, მედიცინაში არცთუ იშვიათად ფიქსირდება შემთხვევები, როცახელახლა წარმოდგენილი ტერმინი ემსახურება მხოლოდ იდეის, ჩანაფიქრის, მოვლენისა თუ გაგების ნომინაციას, უფრო სწორად, ემსახურება მხოლოდ ჰიპოთეზის ნომინაციას, რომელიც გამოთქმულია გამომგონებლის ან სწავლულის მიერ; „ჰიპოტეტურ ტერმინებს უწოდებენ ტერმინებს, რომელთაც შეუძლიათ ისეთი ტერმინების მიწოდება, რომლებიც უკვე არსებული სამედიცინო დარგის ჩარჩოებში, ტერმინ ნეოლოგიზმის ხარისხშიარსებობენ, რამდენადაც მათ უკან არ დგას რეალური ობიექტი თუ მოვლენა” (ლ.ბ. ტკაჩოვა 1987:68). მაგალითად, როდესაც კაცობრიობა სისტემაში მოიყვანს თავის ცოდნას მავნე ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებაზე, მაშინ მოიპოვებს უფლებას ტერმინის - radio-wave disease (რადიოტალღური დაავადება), დამკვირდებაზე. კლონირების ტექნოლოგიები გამუდმებით იხვეწება, უკვე შექმნილია gene cloning (გენების კლონირება), animal cloning (ცხოველთაკლონირება), fish cloning (თევზების კლონირება). შესაძლებელია ასევე human cloning (ადამიანის კლონირება). ”Researchers in 1997 cloned a lamb from cells taken from an adult ewe.It led to speculation that human cloning could become another option in human reproduction”(Encarta, 1969). ტერმინი Xaser ახალი ტექნიკური მოწყობილობის შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება რენტგენული სხივებისა (x-ray) და ლაზერის(laser)ერთობლიობაზე. შეიძლება მივიღოთ ტრანსნომინაციები ანუ სიტყვის ფორმის მნიშვნელობის სიახლესთან შეხამება. სიტყვის ფორმის სიახლისა მნიშვნელობასთან, რომელიც ადრე სხვა ფორმით იყო

გადმოცემული: big C-cancer (კიბო), აგრეთვე სემანტიკური ინოვაციები, ანუ გადაფასება (ახალი მნიშვნელობა განისაზღვრება ენაშიუკვე არსებული ფორმით): LCID-LSD narcotic (ნარკოტიკი LSD); sandwich method - მრავალშრიანი (იმუნოლოგიური რეაქციების შერთების მეთოდი), radio- wave disease - რადიო ტალღური დაავადება, tagging (attaching a radionuclide to a body chemical to follow its course throughout the body) - სხეულზე რაიმეს მიმაგრება, Digital x-ray photography-ციფრული რენტგენოგრაფია.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მედიცინის ენაში ჭარბობს პირველი ჯგუფის ტერმინოლოგიური ერთეულები, კერძოდ, ნეოლოგიზმები, რაც დაკავშირებულია საზოგადოების მზარდ მოთხოვნასთან, სახელი დაერქვას იმ ახალ რეალებს, რომლებიც იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის კვალდაკვალ. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ზემოაღნიშნული ტერმინების გარდა, გააცოცხლა ისეთი ტერმინოლოგიური ერთეულები, როგორებიცაა მაგალითად, to telecommute (telework) სახლიდან მუშაობა კომპიუტერული ელექტრონული კავშირის მეშვეობით სამედიცინო დაწესებულებებთან (შევადართ: telecommuter-სამეცნიერო კონსულტანტი, მკვლევარი, პროგრამისტი ან სხვა ნებისმიერი სპეციალისტი, ტელე მედიცინასთან დაკავშირებული, რომელიც აკავშირებს პერსონალურ კომპიუტერს დაწესებულებასთან).


ტრანსნომინაცია ენაში იმ მიზნით გვევლინება, რათა უკვე არსებულ ნეიტრალურ დასახელებას მიანიჭოს ემოციური ელფერის მქონე სახელდება და გამოირჩევა უფერო ექსპრესიული ფორმების გამოყენებით. არსებული ტენდენცია სხვებთან ერთობლიობაში კომპლექსურად ასახავს პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი მექანიზმის გაუმჯობესების აუცილებლობასთან, detox - დეტოქსი (საავადმყოფოს ან კლინიკის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით დაავადებულთა მკურნალობას), Crio-fan (individuals interested in crionics). სემანტიკურ ინოვაციებად მოიაზრება უკვე არსებულ სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. აქ შესაძლებელია შემდეგი ვარიანტები: 1) ძველი სიტყვები მთლიანად იცვლიან თავიანთ მნიშვნელობას, კარგავენ უწინდელ მნიშვნელობას, იქმნება ტერმინო-ნეოლოგიზმი მაგალითად: screening - დაავადების გამოვლენა; iatrogenic - იატროგენული, არასწორი მკურნალობის კურსით გამოწვეული დაავადება. (ადრე ამ ტერმინს არასწორად მოიაზრებდნენ, როგორც ავადმყოფის ექიმთან საუბრის შემდგომ

მდგომარეობას); 2) სემანტიკურ სტრუქტურაში სიტყვები ჩნდებიან კიდეც ერთი ლექსიკო - სემანტიკური ვარიანტით, ყველა ტრადიციის შენარჩუნებით (პოლისემიის შედეგი), pacemaker:

1) გულის რიტმის დამარეგულირებელი ხელსაწყო - ელექტრო კარდო სტიმულატორი.

2) გულის რიტმის დამარეგულირებელი - სამკურნალო საშუალება.

სამედიცინო ტერმინოლოგიის სემანტიკურ ინოვაციათა შორის ბოლოათწლეულების მანძილზე ჭარბობს მეორე ტიპის ერთეულები. საბოლოო ჯამში კი სამედიცინო ტერმინოლოგიაში სემანტიკურ ინოვაციათა შორის უფრო აბსტრაქტული ტერმინების წარმოების ტენდენცია ფიქსირდება. ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის გათვალისწინებით ქვემოთ განვიხილავთ თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების მიმართულებას.



§2.2. ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ტრანსპოზიცია

ქართულ ენაში

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები აქვს. ქართული მედიცინის ისტორიის თანახმად ამ უძველესი კულტურის ქვეყანაში სამედიცინო ხელოვნება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე შესაბამისი ყოფილა და ჩვენს ქვეყანას უაღრესად მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოუყალიბებია. ქართველი ერის ისტორიული განვითარების ნამდვილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული მედიცინის ისტორიის გარეშე, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას მოიცავს უძველესი დროიდან დღემდე. (ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედია).

ანტიკური ხანის ქართულმა მედიცინამ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. მართლაც ფაქტიც დიდად საყურადღებოა, რომ სიტყვა „მედიცინა“ დაკავშირებულია კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის ქალიშვილის, მედეას სახელთან, რომელიც თავისი ეპოქის სახელგანთქმულ მკურნალად ითვლება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ოდითგანვე ასოცირდებოდა მედიცინასთან. მიუხედავად ამისა, ქართული ენა არ გამოირჩევა სამედიცინო ტერმინოლოგიის სიუხვით. თანამედროვე ეტაპზე მასში ჭარბობს ნასესხები სიტყვები, რომლებიც უმეტესად ლათინური, ბერძნული და ინგლისური წარმოშობისაა. საინტერესოა, რატომ მოხდა ენაში ამდენი ახალი სიტყვის შემოღება და რატომ არ მოიძებნა ქართული ეკვივალენტები მაშინ, როცა საქართველო მედიცინის სიმბოლოდ ითვლება. ლათინურმა და ინგლისურმა სიტყვებმა გამოდევნა პროფესიული მეტყველებიდან ქართული შესატყვისები. როდესაც საქმე გვაქვს სამედიცინო ლიტერატურასთან, ქართული ტერმინოლოგიის ხვედრითი წილი ძალიან დაბალია, დაახლოებით 20%. ბუნებრივია, არცერთი სპეციალური ენა, მათ შორის სამედიცინო ენა და მისი ტერმინოლოგია, საერთო ეროვნული ენისაგან სრულიად იზოლირებული არ არის და თავადაც ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ საგანძურს (სამედიცინო ლექსიკა, ახალი ცნებები). ამიტომ ნებისმიერი ტერმინის ხმარება (წერილობით თუ ზეპირად) ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს უნდა დაექვემდებაროს. ამ მხრივ დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია სპეციალური სამედიცინო ლექსიკა, სამედიცინო ტერმინოლოგია. «სამედიცინო ენის» ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია ქართული

სამედიცინო ტერმინოლოგია, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამედიცინო სფეროში ოპერირება, აზროვნება და კომუნიკაცია. სამედიცინო ტერმინოლოგია ენისა და საზოგადოების ურთიერთობის პროცესში წარმოიშვა ენათმეცნიერების განვითარების შედეგად. იმდენად, რამდენადაც ლექსიკა თავისი ბუნებით სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნება, სწორად ტოტალური პირობები განსაზღვრავენ ენობრივ ცვლილებებს. ენის სოციალური ბუნება განსაკუთრებით მჭიდვანდება სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებში. განმარტებითი სიტყვების მნიშვნელობის ცვლილების ძირითად მიზეზს წარმოადგენს სოციალური ფაქტორები, პირველ რიგში, ენის სპონტანური განვითარება.

სოციალური ლინგვისტიკის ყველაზე აქტუალურია მოცანა იმის კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ზოგად ენაზე; ამასთანავე ინფორმაციის გადაცემის ტერმინოლოგიური საშუალებები აჩქარებენ ინოვაციებს და ახალი გამოვლინებების დანერგვას ენაში როგორც მედიცინის, ასევე სხვა მეცნიერებებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ მედიცინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და ადამიანებს თითქმის ყოველდღიურად უხდებათ მასთან დაკავშირებულ საკითხებთან შეხება. ანუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (დაავადებათა დიაგნოსტიკა და მათი მკურნალობისა და მეთოდები, ახალი სამკურნალო პრეპარატები, ტელეკონსულტაციები, რეკომენდაციები და ა. შ.) თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო თარგმანი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. მხედველობაში გვაქვს ახლადდანერგილი ცნებები, როგორიცაა ტელემედიცინა - სამედიცინო მომსახურების დისტანციური უზრუნველყოფა, რომელსაც სამედიცინო დარგის პროფესიონალი ახორციელებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით და რომლის მიზანია ინფორმაციის გაცვლა დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე, სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების, სამედიცინო კვლევისა და მისი შედეგების შეფასებისათვის; და ე.წ. ონლაინ კომუნიკაცია ანუ დისტანციური კონსულტაცია, ინტერნეტ - კლინიკა. მათი მეშვეობით პაციენტს საშუალება აქვს ექიმთან ვიზიტის გარეშე გაეცნოს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, ასევე შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად მიიღოს ექიმის რჩევა და დანიშნულება. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია

სათანადო ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენება ფართო აუდიტორიისათვის. ბევრჯერ ყოფილა, როცა ექიმის დასკვნაში ან სხვადასხვა გამოკვლევის შედეგებში ჩვენთვის გაუგებარი სამედიცინო ტერმინოლოგია შეგვხვედრია და ავერაფერს მივმხვდარვართ. ბუნებრივია, ინგლისურენოვანი ტერმინების გამოყენება პაციენტს აბრკოლებს სათანადოდ ჩაწვდეს თავის დაავადებას. ხშირად გვავიწყდება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ვერცერთი მედიკოსი ვერ აღწევს მიზანს, თუ ის ვერ ახდენს პაციენტის ჯეროვნად ინფორმირებას, რადგანაც ინფორმირებული პაციენტი უფრო იოლად უმკლავდება დაავადებას. ეს კი მხოლოდ სათანადო ლექსიკისა და სწორად შერჩეული ტერმინოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. სათანადოდ ინფორმირებული პაციენტი კი, თავისთავად, წარმატების წინაპირობაა. განკურნების პროცესი დამოკიდებულია არამარტო ექიმზე, არამედ, სათანადო ცოდნით აღჭურვილ პაციენტზეც. ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტი არ ფლობს უცხო ენას (კერძოდ, ინგლისურს) და მისთვის გაუგებარია ქართული მედიცინის ენაში დამკვიდრებული ისეთი ინგლისურენოვანი ტერმინები, როგორებიცაა: ინდიგესტია ანუ საჭმლის მონელება; ინჰიბიტორი ანუ შემაჩერებელი (დამთრგუნველი); ობსტრუქცია ანუ დახშობა; რეციპიენტი ანუ მიმღები; სედატიური - საძილე; რენდომიზაცია ანუ შემთხვევითობა; ერადიკაცია ანუ ინგლ. eradication აღმოფხვრა, განადგურება; ელიმინაცია ინგლ. elimination ანუ გაქრობა, აღმოფხვრა; დიგიტალური ანუ ინგლ. Digital - ციფრული; კავიტაცია cavitation (Cavita სიცარიელე) - სითხის მაღალი წნევის დინების შედეგად აირის ბუშტუკების წარმოქმნა (მაგ., ესთეტიურ მედიცინაში. ცელულიტის დაშლის მიზნით). კაზეოზი - caseation (ინგლ. caseous ხაჭოსებრი) - დაზიანებული ქსოვილის ნეკროზი (მაგ., ტუბერკულოზის შემთხვევაში), როდესაც იგი ემსგავსება ხაჭოს გამომშრალ მასას. კონგლუტინანტი - ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს ქრილობის კიდურების შეხორცებას - conglutinant (conglutinate შეწყება, შეზრდა). მიგვაჩნია, რომ წერილობითი სამედიცინო დოკუმენტაციაში ქართული შესატყვისებით ჩანაცვლება ან მათი ინგლისურენოვან ტერმინებთან (ფრჩხილებში მითითება), ხელს შეუწყობს პაციენტის მკურნალობის პროცესისადმი დადებითად განწყობას. ასევე დაეხმარება მას მკურნალობის პროცესის დაწყებისას შიშის გადალახვაში. თავისთავად ტერმინის ქართული ანალოგი თავიდან აგვაცილებს ისეთ პრობლემას, როგორიცაა ენის დაბინძურება, ორაზროვნება და გაუგებრობა. აქედან

გამომდინარე, ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ორმაგ, თვისობრივ ხარისხობრივ პრობლემასთან, როგორცაა ენის დაბინძურება და არასათანადო დიაგნოსტიკა-მკურნალობა. საინტერესოა, თუ რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ლინგვისტიკას და მედიცინას. ბუნებრივია, რომ მედიკოსები ზრუნავენ მედიცინაზე, ხოლო ლინგვისტები ენაზე, ორივე ერთად კი აუდიტორიაზე. მათ შორის კომუნიკაცია კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც ცნობილია, კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლის ძირითადი საშუალებაა. ხოლო კომუნიკაციის დამყარება ენის მთავარი დანიშნულებაა. კომუნიკაცია ხორციელდება ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს, ანუ ჩვენს შემთხვევაში მედიცინის მუშაკსა და პაციენტს შორის. წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა მოსაუბრემ საუბრისას გაითვალისწინოს ორივე მხარის ინტერესები. ანუ გამოყენებული უნდა იქნეს ორივე მხარისათვის მისაღები და გასაგები ვერბალური ერთეულები. თითოეული ენა, ჩვენ შემთხვევაში ინგლისური და ქართული, განსხვავდება ერთმანეთისაგან, აქვთ თავიანთი თავისებურებები. თარგმნისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ენობრივი თავისებურებები, რათა თავიდან ავიცილოთ დეკოდირება, მისკომუნიკაცია. ხშირად თანამედროვე ეპოქაში თარგმანის ადეკვატურობის პრობლემასთან დაკავშირებულმა საკითხთა კვლევამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა.

ენის ლექსიკის შევსების ერთ-ერთი წყაროა ექსტრალინგვისტური ვითარება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ენის, ისე მისი ცალკეული ერთეულის განვითარებაზე. სიტყვათსესხების საფუძველია ხალხთა შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობა და, ცხადია, მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც, „როგორც ენათაშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტს, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დასტურდება მისი რეალიზაციის ნებისმიერ სახეობაში და საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს“ (ნ.საყვარელიძე 2001:180).

არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები. სესხება და ენის საკუთარი ლექსიკა კორელაციური ცნებებია. წლები სმანძილზე ზოგიერთი ტერმინი და ცნება სწრაფად იცვლება, ძველდება, იძენს ახალ შინაარსს და მოითხოვს შევსებას და აარსებით გადამუშავებას მეცნიერების უახლესი მონაცემების შესაბამისად. სწორედ ამაში მდგომარეობს მთელისირთულე და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად

მიგვაჩნიათ საკითხის ორი ასპექტით შესწავლა (კერძოდ, ლინგვისტური და სამედიცინო). ამ ეტაპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები უკვე გამოიკვეთა: ესაა ტერმინოლოგიური პრობლემებისადმი სისტემური მიდგომა, როგორც სამედიცინო საინფორმაციო სივრცის შექმნის სისტემური პრობლემის ერთ-ერთი კომპონენტი, კომპლექსური პრობლემატიკის შემადგენელი ნაწილი. სატერმინოლოგიო საკითხთა გადაჭრის მცდელობა არა მარტო პრობლემების გააზრებას, არამედ მის გადასაჭრელად სამუშაოთა რეალურ ორგანიზებასაც (მენეჯმენტს) აადვილებს. მიუხედავად მცირე დროითი მონაკვეთისა, პრობლემატიკისადმი ინტერესი უახლეს პერიოდში მაღალია.

ჩვენი აზრით, ქართული ენის სიწმინდის და ღირსების დაცვა ერთ-ერთი იმ მოთხოვნათაგანია, რაც თარგმნის პროცესში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებელი; თუ ქართულში რომელიმე საერთაშორისო ლექსემის შესაბამისი სიტყვა ზუსტად გამოსახავს მის შინაარსს, სასურველია, თარგმნის დროს ვიხმაროთ საკუთარი ენობრივი შესატყვისი. დღესდღეობით ამ დარგში შეინიშნება ინგლისურენოვანი ტერმინების ჭარბი გამოყენების ტენდენცია მაშინაც კი, როდესაც ენაში მოიძებნება ქართული ეკვივალენტები. გვინდა გავმიჯნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზანშეწონილია და, აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია უცხოური, კერძოდ, ინგლისური სიტყვის გამოყენება და რიგი შემთხვევები, როდესაც სასურველია ამა თუ იმ ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინის ქართული ანალოგიით ჩანაცვლება. მაგალითად: ფართო აუდიტორიას ხშირად ესმის ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: სენსიტიური, სტრესი, რეცეპროკული, სკრინინგი, მონიტორინგი, ტრანსპლანტი, იმპლანტი, პროტეინი, რეპროდუქცია, რეგენერაცია, ვაქცინა, პრევენცია და მრავალი სხვა.

ვფიქრობთ, ამ ტიპის სამედიცინო ტერმინების ტრანსკოდირება ანუ უთარგმნელად გადმოღება ქართულ ენაში გაუმართლებელია, რადგან ხშირ შემთხვევაში, მათი გამოყენება ფართო აუდიტორიისათვის, გაუგებარი და დამაბნეველია. გაუგებარი ტერმინების ჩამონათვალი, მომხმარებელს უმეტესწილად და სკეპტიკურად განაწყობს მედიცინისა და მედიკოსების მიმართ, რაც განპირობებულია არასათანადო ეკვივალენტების გამოყენებით. სასურველია, რომ ზოგჯერ არსებული ანგლიციზმების ჩანაცვლება მოხდეს შესაბამისი ქართული

შესატყვისებით. მაგ.: ინბრიდინგი - მონათესავე გენების შეჯვარება, კლირენსი - clearance ანუ გაწმენდა, ატროფია - atrophy - განლევა; შუნტი - shunt ანუ გადამყვანი. ტერმინი სენსიტიური-ს ნაცვლად უფრო მართებული იქნებოდა მგრძნობიარე; რეციპროკული - ჩანაცვლდეს ორმხრივი ან ურთიერთ დამოკიდებულებით. ოკლუზია - დახშობა, ჩაკეტვა (სისლმარდვის) ინტერვენცია - სამედიცინო აპარატურული ჩარევა. ინვაზია - რისამე სხეულში შეღწევა. ნოზოლოგია - დაავადებათა კლასიფიკაცია. ტერმინი პრევენცია შეიცვალოს - აცილება, ექსკავაცია - ამოღება, ერადიკაცია - აღმოფხვრება ა. შ. ვფიქრობთ, სამედიცინო თარგმანში ორაზროვნება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილირათა სათარგმნ ენაში შეტყობინება სრულად და ზუსტად გადაეცეს ადრესატს. ვფიქრობთ, მათი მოცემული ქართული შესატყვისებით ჩანაცვლება პრობლემის არიდებაში დაეხმარება ორივე მხარეს, როგორც მედიკოსებს, ასევე პაციენტებს.

ქან რენე ლადმირალი აღნიშნავდა, რომ „თარგმანი ლინგვისტური შუამავლობის ფორმაა, რომელიც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის გადაცემას სხვადასხვა ენის მოსაუბრეებს შორის” (ლადმირალი1994,11). დაკისრებული მისიის წარმატებით შესასრულებლად მთარგმნელისათვის საკმარისი არაა მხოლოდ სამუშაო ენების, სიღრმისეულად ფლობა, იგი ამავე დროს საფუძვლიანადაც უნდა იცნობდეს კონკრეტულ სფეროს. რადგან ენათა კონტაქტის დროს ხშირია ინტერფერენციის შემთხვევები, როდესაც შეცდომით ხდება გარეგნულად მსგავსი ორი ტერმინის გამოყენება. განსაკუთრებით ხშირად ამ პრობლემის წინაშე დამწყები მთარგმნელები დგანან, რომლებიც განიცდიან მშობლიური ენის გავლენას. ლინგვისტურიკუთხით ინტერფერენცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბილინგვური მოვლენა. მთარგმნელი არ უნდა მოექცეს მშობლიური ენის გავლენის ქვეშ, ინტერფერენციის დამღევის საუკეთესო საშუალება ენობრივი კომპეტენციის გაზრდა და იმის გაცნობიერებაა, რომ ამოსავალ და სათარგმნ ენებს შორის არსებობს სინტაქსურ-სემანტიკური განსხვავებები. უცხოენოვანი ტერმინების სესხების პროცესის შედეგია სემანტიკური ინტერფერენცია. ენათშორის კონტაქტებში, ფორმირდება ტერმინთა ჯგუფები: „მთარგმნელის ცრუ მეგობრები“ და საერთაშორისო ლექსიკა (ინტერნაციონალიზმები). ხშირია შემთხვევა, როდესაც მთარგმნელები ვერ აცნობიერებენ, რომ მიუხედავად მსგავსი ორთოგრაფიისა, სიტყვის მნიშვნელობა და

მისი გამოყენება შეიძლება განსხვავებული იყოს. ინტერფერენციის მიზეზი უცხო ენის არასათანადო დონეზე ფლობა და სათარგმნ ენაზე ზოგიერთი ტერმინის ეკვივალენტის არარსებობაა. მაგალითად, ტერმინი საიტი site, რომელიც ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ნაცნობი კომპიუტერული ტერმინოლოგიიდან ვებგვერდის მნიშვნელობით, ხოლო მედიცინაში ის წერტილოვანი მუტაციის ადგილმდებარეობას აღნიშნავს.

ხშირად სწორედ ამგვარი ტერმინების გამოყენების გამო პაციენტი არასათანადოდ ინფორმირებული რჩება ისეთი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ, რომელიც მის ჯანმრთელობას, ასევე რიგი დაავადების თავიდან არიდებას უკავშირდება. ამის გამო არაადეკვატურად აღიქვამს ამა თუ იმ დაავადების არსს, რაც შემდგომში პრობლემებს იწვევს. ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიგვაჩნია, რომ უპრიანია მათი ქართული ეკვივალენტების გამოყენება. თუმცაღა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვერ ხერხდება ამა თუ იმ ტერმინის ერთი სიტყვით ჩანაცვლება და იქმნება გარკვეული ფრაზის გამოყენების აუცილებლობა. სწორედ ჭარბსიტყვიანობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ამგვარი უცხოური, კერძოდ, ინგლისურენოვანი ტერმინები. მაგალითისათვის მოვიყვანთ ისეთ აქტუალურ ტერმინებს, როგორებიცაა სკრინინგი (screening), რომლის სრული მნიშვნელობის ავადმყოფების გადარჩევის მეთოდი პათოლოგიური პროცესის გამოვლენის მიზნით, გადმოცემა ერთი ქართული ეკვივალენტით ვერ მოხერხდა. ამიტომაც ის ჩანაცვლდა და დამკვიდრდა ქართულში ინგლისურენოვანი ტერმინით screening. მსგავს მაგალითად გამოდგება თანამედროვე მედიცინაში, კერძოდ, რადიოლოგიაში დამკვიდრებული ინგლისურენოვანი ტერმინი-სკანირება (scanning - ყურადღებით ცქერა) - გამოსხივების ნაკადის სივრცობრივი გადახრა ობიექტის სხვადასხვა უბნის თანმიმდევრული გამოკვლევის მიზნით). ემერჯენსი - emergency ამ სიტყვის ქართული შესატყვისი ერთი სიტყვით არის „მიმღები“, რაც სრულად ვერ ასახავს ინგლისურენოვანი ტერმინის მნიშვნელობას, რომელიც გადაუდებელ სასწრაფო დახმარებასაც გულისხმობს. დოპინგი - doping ანუ მასტიმულირებელი ნარკოტიკის მიღება. ასევე რეაბილიტაცია, რეპროდუქციადა სხვ. ჭარბსიტყვიანობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ამგვარი უცხოური, კერძოდ, ინგლისურენოვანი ტერმინები. ამგვარმა ტერმინებმა თანამედროვე ქართულ ენაში ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი, რადგანაც ქართულ ენაში ვერ გამოიძებნა, შესატყვისი ტერმინი რომელიც

სრულყოფილად გადმოსცემდა ორიგინალი ტერმინის არსს. მიგვაჩნია, რომ ნაცვლად მრავალკომპონენტიანი ფრაზისა, მსგავს შემთხვევებში, უპრიანია ინგლისურენოვანი ტერმინის გამოყენება. ენა ხომ დინამიკურია და არა სტატიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამუდმებით განიცდის პროგრესს, ცვლილებებს. ამას კი განაპირობებს შიდა და გარე ფაქტორები. ვგულისხმობთ სამეცნიერო პროგრესს და ზოგადად გლობალიზაციის შეუქცევად პროცესს. ის ენა, რომელიც არ განიცდის ცვლილებებს დროსა და სივრცეში წყვეტს სიცოცხლეს. ანუ არ აქვს მომავალი, თუკი მასში არ აისახება ახალი რეალიები. ენა გამუდმებით იკვებება უცხო სიტყვებით, როდესაც მასში არ მოიპოვება შესაფერისი ეკვივალენტები. ცხოვრებაში შემოდის ახალი რეალიები, რაც მანამდე არ არსებობდა და ენაში რჩება ინტერნაციონალიზმების სახით.

§2.3. ნეოლოგიზმების, მეტაფორული და მეტონიმიური სამედიცინო ტერმინოლოგიის წარმოება და მათი ქართული თარგმანი

დღევანდელ დღეს სამედიცინო ტერმინოლოგიის შევსება ძირითადად აბსტრაქტული სემანტიკის მქონე სიტყვების საშუალებით ხორციელდება. აბსტრაქტული ტერმინების უმეტესობა მომდინარეობს როგორც თავისთავად მედიცინის ძირითადი დარგიდან, ასევე ბუნებისა და კაცობრიობის უნივერსალური კანონების შემსწავლელი მედიცინის დისციპლინებიდან, რომლებიც ბუნების და კაცობრიობის უნივერსალურ კანონებს შეისწავლიან. უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტულობის ნიშნები დაკავშირებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, კორელაცია ისეთ წმინდა ენობრივ ნიშნებთან, როგორიცაა მრავალმნიშვნელოვნება და რთული მორფოლოგიური სტრუქტურა.

ახალი სამედიცინო ტერმინოსისტემის განვითარების კვლევები, გვთავაზობს ნეოლოგიზმების გაჩენის მეთოდების ანალიზს. ახალი სამედიცინო ტერმინების შექმნის მეთოდები, როგორც სხვა სამეცნიერო-ტექნიკური სისტემის ტერმინები, იყოფა 1) ლექსიკო-სემანტიკური, 2) მორფოლოგიური, 3) სინტაქსური. წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე სამედიცინო ტერმინების ფორმირების შედარებით გავრცელებულ გზებს. სამედიცინო ტერმინოლოგია იკვლევს პოლისემიის, სინონიმის, მეტაფორულ-მეტონიმიური ტერმინწარმოების ხარჯზე, ასევე ზოგადსალიტერატურო

ლექსიკის ტერმინოლოგიზაციის, აფიქსალური ტერმინწარმოების, კონვერსიის, სიტყვათშეთანხმების, ტერმინოლოგიური სიტყვათშეთანხმების შექმნის და მათი აბრევიატურების, ეპონიმური ტერმინების წარმოქმნის ხარჯზე.

ისტორიულად მედიცინაში, მთელი მისი არსებობის მანძილზე ყოველთვის შეინიშნებოდა სამედიცინო ლექსიკის ურთიერთქმედება ზოგადსალიტერატურო ენის ლექსიკასთან, ასევე მასთან დაკავშირებული დიფერენციაციის ტენდენციებთან, ინტეგრაციასა და სპეციალიზაციასთან.

სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა საერთო გამოყენებითმა ლექსიკამ. ერთ-ერთ ძირითად წყაროდ სწორედ, საერთაშორისო ენის ლექსიკური შემადგენლობა მიიჩნევა, საიდანაც ივსება თითქმის ყველა სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკური მასალა. ამაზე მიუთითებს ვინოგრადოვი. „სამეცნიერო ლექსიკონსა და საყოფაცხოვრებო ლექსიკონს შორის არის პირდაპირი და მჭიდრო კავშირი.“ (ვ.ვ.ვინოგრადოვი 1953:3)

ბ. ი. ზაბოტკინას აზრით, ყველა ტრადიციული სემანტიკური პროცესის სათავეში დევს სამი საფუძველი: 1) კომპონენტური მნიშვნელობის შემცირების ფუძე; 2) კომპონენტური მნიშვნელობების გამრავლების ფუძე; 3) ერთი კომპონენტის მეორეთი შეცვლის ფუძე. კომპონენტების მნიშვნელობის შემცირების ხაზით ვითარდება მნიშვნელობის გაფართოების პროცესი. ძირითადი მნიშვნელობა ენის განვითარებასთან ერთად შესაძლოა შეიცვალოს. მისი მნიშვნელობა შესაძლოა დაემთხვეს ეტიმოლოგიურს, რაც მუდმივი პროცესია. ტერმინის მნიშვნელობების გაფართოებისას შესაძლოა ძირითადი მნიშვნელობა დაიკარგოს. ტერმინი აღიქმება მხოლოდ მიღებული მნიშვნელობით, რომლითაც ის შედის სამედიცინო ტერმინოლოგიაში. სამედიცინო ტერმინოლოგიაში გაფართოებული მნიშვნელობა შეიძინეს შემდეგმა ტერმინებმა და ტერმინოლოგიურმა სიტყვათშეთანხმებებმა: medical-technology market - სამედიცინო ტექნოლოგიების ბაზარი, screening - სკრინინგი, image-სახე (გამოსახულება), imaging - ვიზუალიზაცია, small monitoring box - 1)პატარა ელექტრონული ხელსაწყო, რომელიც მონიტორინგს აწარმოებს, 2) ბოქსირებული პალატა. mental illness - ფსიქიური დაავადება, wash - ლოსიონი, guide - ზონდი, ეფექტური მკურნალობის მაჩვენებელი; cosmetic - კოსმეტიკური; protector - დამცავი ნივთიერება; foot guard - ორთოპედიული ფეხსაცმელი. მაგალითად, ტერმინმა cosmetic განავითარა რამდენიმე ახალი

მნიშვნელობა 1. დეკორატიული, 2. კოსმეტიკურ ოპერაციებს მიკუთვნებული, 3. შეცდომაში შემყვანი (ხელოვნური, ქირურგიული ჩარევის შედეგად მიღებული). ტერმინმა სკრინინგმა გააფართოვა თავისი მნიშვნელობა, მოხვდა ფსიქიატრიაში და მიენიჭა განსაზღვრება როგორც პაციენტის პირველადი შეფასება, რომელიც გამოიყენება სპეციალური სახის მკურნალობის დასანიშნად (შევადართ თავდაპირველ მნიშვნელობას - დაავადების გამოვლენის მიზნით ავადმყოფთა იმ ჯგუფის გამოკვლევა, რომელთაც სიმპტომები არ აღენიშნებათ). ტერმინი - mental illness გახდა სხვადასხვა დაავადებათა ზოგადი აღმნიშვნელი, რომლებიც ფსიქიკის სხვადასხვა სახის დარღვევებთან ასოცირდება. "Even in the early part of the 20th century, mental illness was almost a sentence of doom, and mentally ill persons were handled with cruel confinement and little medical aid ... Two early attempts to treat psychotic illness were the destruction of parts of the brain in a procedure called lobotomy ... A new era in treatment of schizophrenia, a severe form of mental illness, began in the early 1950. phenothiazine drugs..." (Encarta, 1996). ტერმინმა image ძირითადი მნიშვნელობით „სახე“ მედიცინაში მიიღო უფრო ფართო გაგება-ეს არის გამოსახულება, წარდგინება, ობიექტის ან სქემის სურათი. A imaging - მიიღო მნიშვნელობა ვიზუალიზაცია მიღებული რადიოიზოტოპური, ულტრაბგერითი ან სხვადასხვა კვლევების შედეგად; რეზონანსი, დიაგნოსტიკა. მაგალითად, nuclear magnetic resonance imaging- მაგნიტურ ატომური დიაგნოსტიკა. "dynamic images, which record movement of rgans or organ systems such as the intestinal tract or the flow of cntrast material through blood vassels ar the spinal canal, may be obtained by fluoroscopy (recording the radiographic image on a movable, radiation-sensitive screen or cineradiography (recording the image on film or videotape). The fluoroscopic image, analogous to a television image, is transient. Permanent radiographic images (spot films) can, however, be made at any time during a fluoroscopic examination. Another type of diagnostic imaging that identifies biochemical activity in addition to structural tissues is positron emission tomography (PET)" (D.E. Chabner 1996, p. 716).

სამედიცინო ტერმინოლოგიაში ახალი ტერმინის telemedicine (ტელემედიცინა) გამოჩენამ გამოიწვია ბევრი ახალი ტერმინის განვითარება ბერძნული წარმოშობის პრეფიქსის tele-მეშვეობით, რომელთაც გაიარეს ნაწილობრივი ლექსიკალიზაცია და სოციალიზაცია ინგლისურ ენაში. ერთ-ერთი ასეთი ტერმინთაგანია teleconsultacion -

ტელეკონსულტაცია, ინგლისურ ენაში ასიმილირებით, გაიფართოვა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა distant medical consultation by video ახალი მნიშვნელობით a place where medical specialists conduct/hold teleconotations. შემდეგ მოდის მსჯელობის პროცესი, მაგალითად, alkaloid - ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მცენარეული წარმოშობის ბუნებრივი ნივთიერებათაგანი, რომელიც ცვალებადია ბიოლოგიური აქტივობის სპექტრის მიხედვით, ამჟამად ტერმინს იყენებენ მხოლოდ ჰეტეროციკლურ აზოტის შემცველ მინარევებში, რომელთაც გააჩნიათ ფარმაცოლოგიური აქტივობა. მნიშვნელობის არეალი შემოისაზღვრება. შესაბამისად, ჩნდება ახალი პრაგმატული ზღვრები ტერმინთა გამოყენებაში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, თანამედროვე მედიცინის ლიტერატურაში პროდუქტიულად ითვლება წარმოება იმ მოდელების მიხედვით, რომელთა ძირითადი კომპონენტია არსებითი სახელი. მასთან ერთად „მოქმედების“ დასახელება, მაგალითად, adjustable grip - ქირურგიული მოსაჭერი. მნიშვნელობის დავიწროება, როგორც სახეობა სემანტიკური ტერმინწარმოებისა, ხდება ზოგადი გამოყენების ცნების დასახელების გადატანისას სპეციალიზებულ ცნებაზე, რომელიც სრულქმნილი ხდება ზოგადი და კონკრეტული ცნებების ყველა ნიშან-თვისებების ერთობლიობის საფუძველზე.

ზოგადი ტერმინის მნიშვნელობის დავიწროება და განსაზღვრულ პირობებში სპეციალურ ტერმინად გარდაქმნა, ამდიდრებს აზრობრივ სტრუქტურას, ხელს უწყობს მრავალმნიშვნელოვანი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას, რომელიც შეესაბამება სხვადასხვა აღნიშვნას და გამოიყენება ტერმინისა თუ აღმნიშვნელის ფუნქციით. მაგალითად, ტერმინი cap მედიცინაში ნაწილობრივი მნიშვნელობით გამოიყენება როგორც ჩასახვის საწინააღმდეგო ჩაჩი (კალპაკი).

ეს ის შემთხვებია, როცა ზოგადსალიტერატურო სიტყვები მეტაფორული და მეტონიმური გარდაქმნის საფუძველზე მკვიდრდება სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ასე მაგალითად, ტერმინი subject-ს ახალ წარმოქმნილი მნიშვნელობის მიხედვით, პირველადი მნიშვნელობიდან - any person, „სუბიექტი“, დაემატა დამაკონკრეტებელი სემა a patient - (a person undergoing treatment examination or experimentation) - „პაციენტი“.

დავიწყით მეტაფორიზაციით, რომელიც ჩვენს ნაშრომში, განიხილება როგორც სამედიცინო ნეოლოგიზმების ტერმინწარმოების მეთოდი. ბ. ს. გუსიატინსკის

დიაქრონულ კვლევებში, „სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების შესახებ“, ტერმინწარმოება, როგორც ხერხი, ძველბერძნულ მედიცინაში არ არსებობდა. რადგან, იმდროინდელ მედიცინაში საკმარისი რაოდენობა იყო მზა სიტყვებისა. მათი ტერმინებად გარდაქმნა შესაძლებელი იყო სალიტერატურო მნიშვნელობის ჩამოშორებით. ხოლო, რაც შეეხება შუა საუკუნეებს, აქ მეტაფორები აქტიურად იქმნებოდა, რამდენადაც მზა სიტყვები აღარ იყო არც ძველბერძნულში და არც ლათინურ ენებში. ისინი უკვე გამოიყენებოდა მედიცინაში. მაშინ დაიწყო მზა ლექსიკის გამოყენება, ახლებურად გააზრება და ობიექტთან მისადაგება, რადგანაც ეს იყოსიტყვათწარმოების ყველაზე მარტივი მეთოდი. ტერმინ-მეტაფორების სიჭარბე გრძელდებოდა მე-16 მე-18 საუკუნეებში. ამ პერიოდში დაიწყო ტერმინწარმოების დაჩქარება. მეტაფორული შესაძლოა ყოფილიყო როგორც წყარო სიტყვა, ისე სიტყვათშეთანხმება ან სახეობითი სიტყვა. მეტაფორიზაცია ეს იყო შემდგომში ნეოლოგიზმების მოდელების შექმნაში ძალების მოსინჯვა. პირდაპირი ფორმით სამედიცინო სემანტიკის გამომხატველი. ამრიგად მეტაფორიზაცია, როგორც ახალი ტერმინის შექმნის მეთოდი, იყო პირველი დამოუკიდებელი ტერმინწარმოება მედიცინაში. „მეტაფორული ტერმინები მედიცინის ყველა დარგში გვხვდება. ეს ინდივიდუალური ხელოვნება გამოიყოფა მედიცინის ისტორიაში კოლორიტულ შრედ.“ (ვ.ს.გუსიატინსკაია 1998:18,21,22).

შესაბამისად, მე - 20 საუკუნის მეორე ნახევარში, მეტაფორიზაციის პროცესი არ გვეკლინება სამედიცინო ტერმინების წარმოქმნის ახალ სახეობად. ის მომდინარეობს შუა საუკუნეებიდან და იყენებს არსებული ენების მზა სიტყვებს. თანამედროვე სამედიცინო ტერმინწარმოებაში მეტაფორული დასახელებები უხვადაა წარმოდგენილი ყველა შესწავლილ თემატურ ჯგუფში. არ შეიძლება ყურადღებაარ გავამახვილოთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ახალი სიტყვების შექმნა იწყება იმავე მეტაფორის მეშვეობით. მაგალითად, Mad Hatter syndrome - (პერსონაჟი ლ. კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, სადაც გადატანითი მნიშვნელობა აგებულია გამოთქმაზე, რომელიც ზოგადგად გამოიყენება - as mad as a hatter - (სრულიად შეშლილი). flight into disease/health- ორგანიზმის დასნებოვნება, fighting a valiant battle with cancer - დუნდობელი ბრძოლა გამოუცხადო კიბოს; as right as rain -ჯანმრთელი; alive and kicking - ჯანმრთელი;

„მეტაფორული და მეტონიმური გადატანის პროცესები მიმდინარეობს ერთი საერთო ოჯახის საფუძველზე ახალი მნიშვნელობის მქონე დიფერენცირებულ ოჯახთა შეცვლის ხაზით.“ (ვ.ი ზაბოტკინა 1969:69). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ მეტაფორული გადატანის სახეებზე: 1) საერთო ვიზუალური ნიშან-თვისებების საფუძველზე და 2) საერთო ასოციაციური ნიშანთვისებების საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ შესაძლოა დაიყოს შემდეგში მინიშნებებად.

შესაბამისობა ფორმის, სახეობის მიხედვით, მაგალითად, medical light-sword — ლაზერული სხივი, რომელიც ხმაღს მოგვაგონებს, doughnut - shaped distance lens- დონატის ფუნთუშის მაგვარი ლინზა, Taylor-type percussion hammer - პერკურსიური ჩაქუჩი, cake kidney - შეზრდილი თირკმელი, band-shaped keratopathy - თასმისებრი კერატოპათია, electric bra - მამოგრაფი. კიბოს განსაზღვრისათვის და სამკურნალოდ, needle-შპრიცი. ასეთ ტერმინოლოგიურ შეთანხმებებში გამოიყენება მეტაფორები, რომელთა საფუძველზეც შედარება გამოიხატება ელემენტების მეშვეობით, როგორიცაა -, - like- მსგავსი, მაგ.: Cup like cavity - მენჯოვანი ღრმული. cage- like device - ბადისებრი ხელსაწყო. shaped- ფორმისებრი. მაგ. doughnut - shaped - დონატის ფუნთუშის ფორმისებრი. "After several short laser blasts, the shattered stone can be passed through the urinary tract or removed by a cage- like device - at the end of the laser-carrying tube" (ტ. პ. შედრინა). ეს წინადადება ქართულად ასე ითარგმნება - ლაზერული სხივური თერაპიის შედეგად შესაღებელია კენჭის გამოდევნა საშარდე მილიდან ან ბადისებრი ხელსაწყოთა მეშვეობით ამოღება. ან კიდევ სხვა მაგალითი: "transparent contact lens-style cups are applied to both eyes and sensors are attached to the ear lobes" - კონტაქტური ლინზის ბუდის მაგვარი ასევე გამოიყენება ყურის სენსორული სამაგრებისათვის. (ტ.პ. შედრინა, 1997, გვ 86). ტერმინ box - ის ყველა ახალი მნიშვნელობა რომელიც ასოცირდება (a TV, a computer, any electronic device, to die) გაჩნდა მეტაფორული გადატანის შედეგად, ფორმის მიხედვით ვიზუალური შესაბამისობის საფუძველზე შევადაროთ, პირველადი მნიშვნელობა სიტყვისა box - (a container of rectangular form) გადატანითი მნიშვნელობის მქონე ტერმინ - box- აქ მან შეიძინა სამედიცინო მნიშვნელობა. მაგ: ბოქსირებული პალატა. (ე. წ. ბოქსი). ასევე სიტყვა room - ოთახი, შეიძინა სამედიცინო მნიშვნელობა და აღნიშნავს - საპროცედუროს. მისადაგება

სტრუქტურის მიხედვით - double-helix structure of deoxyribonucleic - acid-დეზოქსირიბონუკლეინ მჟავის ორმაგი სპირალი, double - channel - catheter-ორ ტიხარიანი კატეტერი, cotton - woolspot - ინფექციის კერა ოფთალმოლოგიაში, light chain - იმუნოგლობულინის ჯაჭვი, heavy chain - იმუნოგლობულინის მძიმე ჯაჭვი. მისადაგება შინაარსის მიხედვით ფიქსირდება მედიცინის სხვადასხვა ახალი განშტოებების ტერმინოლოგიურ სიტყვათშეთანხმებებში, მაგალითად, იმუნოლოგიაში: “innocent bystander” mechanism“ - დასაკვირვებელი მექანიზმი. 80-იანი წლების ბოლოს იმუნოლოგიაში გამოჩნდა კიდევ რამდენიმე ტერმინოლოგიური ერთეული, sandwich method, და rabbit test, რომლებიც მოდიფიკაციებში ახალი იმუნოფერმენტული მეთოდების დასახელებებად გვევლინებიან. sandwich method - აღნიშნავს რომელიმე ორგანოს” შრებად” შესწავლას. rabbit test - როცა საუბარია „კურდღლის სისხლის შრატზე, მსგავსად Guinea pig mineral mix, goat anti-rabbit IgG-AP- სხვადასხვა ცხოველის ორგანოებიდან ან სისხლიდან მიღებული ნივთიერება.” The sCD14 kit is a sandwich enzyme immunoassay for the determination of soluble CD14 in human serum, plasma, liquor, and cell culture supernatants” (ICN Pharmaceuticals, 1999). მისადაგება ხარისხის მიერად wonder drugs 9 the sulfonamide antibiotics - სულფონამიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები. მისადაგება მოქმედების პრინციპით: cross-matching probe test - ჯვარედინი სინჯი, key-hole surgery - უსისხლო ქირურგიული ოპერაცია (ლაპარასკოპია) echovirus - ეკოვირუსი, სპურმავირუს - აქაფებადი ვირუსი, brancher/branching enzyme - განშტოებადი ფერმენტი. მისადაგება პროცესის განვითარების ხასიათის მიხედვით - chain reaction- ჯაჭვური რეაქცია, cross reaction -ჯვარედინირეაქცია. მისადაგება ფუნქციის მიხედვით - ultrasonicscalpel - ულტრაბგერითი „სკალპელი”, target cell - სამიზნე უჯრედი, target organ - სამიზნე ორგანო.

მედიცინაში ტერმინის და ტერმინშეთანხმებების არცთუ ისე დიდი რაოდენობა მიღებულია მეტონიმის მეშვეობით. „მეტონიმისას სიტყვები იქმნება, მნიშვნელობების ძვრების შედეგად გავრცელებული გაგების საფუძველზე ანდა გაგებათა გასამიჯნად”. (ვ. ა. ტატარინოვი 1969:213). მაგალითად, free/low/high protein diet - ცილოვანი დიეტა, intravenous nutrition - ინტრევენურად შესაყვანი საკვები ნივთიერება. ასოციაციები მომიჯნავეობისდა მიხედვით, რომლებიც განაპირობებს დასახელების მეტონიმურ გადატანას, გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ასეთ

შემთხვევებს მიეკუთვნება, მაგალითად, პროცესის ადგილი - blood cell counting chamber - სისხლში უჯრედების დასათვლელი კამერა, radiology room - ოთახი რენტგენოგრაფიის აღჭურვილობით, Skylab - კოსმიური ლაბორატორია, "Cryofarm - კლინიკა, სადაც განუკურნებელ ავადმყოფებს ყინავენ სასიკვდილოდ. პროცესი, მოქმედება - brainwashing - „მოკური თერაპია, "flight into disease/health- ორგანიზმის დასნებოვნება, growth lines - ხაზები რენტგენოგრაფიაში, რომლებიც რაიმე სახის ზრდას აღნიშნავენ. genetic load - გენეტიკური ტვირთი, Big Freeze (cryonics) - გაყინვა. (კრიოგენურ მედიცინაში), staircase - „კიბე“ ანუ აღმავალი პროცესი.


პათოლოგიური დაავადებები ან მდგომარეობა, ამ დაავადებისა თუ მდგომარეობის ნიშანი - fever ციება, hot nodule - „ცხელი“ კვანძი, cold nodule - „ცივი“ კვანძი, mad-cow disease - ძროხის ცოფის დაავადება, "cat eye" disease - „კატის თვალის“ დაავადება. black-water fever - შავი წყლის ციება, cat-scratch fever/disease - კატის ნაკაწრისაგან გამოწვეული ციებ - ცხელება, milk fever - რძით გამოწვეული ციება, mud fever - ჭაობის ციება, rat/bite fever - ვირთხის ნაკბენისაგან გამოწვეული ციება. spotted-fever - ჭინჭრისციება, lymphocyte syndrom - ლიმფოციტების სინდრომი, dawn phenomenon - „განთიადის“ (ანუ დაავადების ადრეული გამომჟღავნების) ფენომენი. ნივთიერება - cold-antibody type - ცივი ანტისხეულების ტიპი, warm - antibody type - თბილი ანტისხეულების ტიპი, tear gas - ცრემლსადენი გაზი, slow virus - „ნელი“ ვირუსი, antibody cocktail - ანტისხეულების ნაზავი, liquid scintillation cocktail - ლუმინენცანტრიული ნაზავი, "living skin" - ტრანსპლანტანტი, wash - ლოსიონი, hand protector - ხელის სადეზინფექციო ნივთიერება, რომელსაც აქვს დამცავი თვისებები.

ტექნოლოგიები, ხელსაწყოები, პროგრამები: pacemaker - გულის რიტმის მუშაობის დამარეგულირებელი აპარატი, rapid eyetechnology - „თვალის სადიაგნოსტიკო აპარატი, hook-on Standard laryngoscope handles - სტანდარტული სახელურიანი ლარინგოსკოპი. Get-a-round walker - გადასადგილებელი, ჭოჭინა. needle-exchange programs - ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამები, შიდსით დაავადების საშიშროება, artificial ear-სმენის აპარატი, clamp-on telescoping side-rail ტელესკოპის ფიქსატორი, hook-on laryngoscope blades- ლარინგოსკოპის დასაკიდი სამართებელი, built-in diagnostics- სადიაგნოსტიკო აპარატურა. medical-technology market-სამედიცინო ტექნოლოგიათა ბაზარი, radiological image - რადიოლოგიური გამოსახულება, diagnostic image, television

image - ტელე გამოსახულება, artificial kidneys - ხელოვნური თირკმელი, iron lungs- მართვითი სუნთქვის აპარატი. Heart-lung machine- გულისა და ფილტვის სტიმულატორი.”artificial heart-ხელოვნური გული, contact-lens-კონტაქტური ლინზები, dressing-სახვევი, guide-ტექნიკური მოწყობილობა-ინსტრუქტაჟი. ”At the same time, the practical experience gained in the use of so-called artificial hearts is probably unequalled worldwide, currently, a major Project is the development of a fully implantable artificial heart”.(Encarta,1996)-ხელოვნური გულის პრაქტიკული ღირებულება შეუდარებელია, ამჟამად მთავარი ამოცანაა ხელოვნური გულის სრული იმპლანტაციის განხორციელება.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ მეტონიმის შემდეგი მაგალითი: მოქმედება-- ადამიანი, ამ მოქმედების განმახორციელებელი. მიღებული სიტყვა-head, მისგან მიღებული 1) a person who has broken away from conventional society - საზოგადოებისაგან გაუცხოებული; 2) a drug-addict; 3) a devotee or enthusiast - ენთუზიასტი. ამ სამთაგან ყველაზე გამოყენებადია drug-addict. სიტყვა head გამოიყენება, გადატანითი მნიშვნელობით და ნიშნავს - მმართველს, ხელმძღვანელს.

მედიცინაში ხშირია ე. წ. სომატური გამოთქმები. სომა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტანს, სხეულს. ამგვარი გამოთქმები ხელს უწყობს პოპულარული ენით სათქმელის გადმოცემას. განსაკუთრებით პაციენტთან კომუნიკაციაში. მათი გამოყენებით გაცილებით ეფექტურად აღიქმება სათქმელი ვიდრე კლასიკური სამედიცინო ტერმინოლოგიით. მაგ. სიტყვა head-თავი, რომელიც ზოგად ლექსიკაში აღნიშნავს ხელმძღვანელს, მეთაურს. მედიცინაში შეიძინა სხვაგვარი დატვირთვა.



ეს შედარებით პრაგმატული გამოყენება დასტურდება შემდეგი ფაქტებით, რომ ზუსტადამ მნიშვნელობითდაიწყო სიტყვა head-ის ნარკომანის აღმნიშვნელი, როგორც რთული სიტყვის კომპონენტის გამოყენება. მაგალითად: pot-head (marijuana-smoker) - მარიხუანას მწეველი; acid-head- LSD ნარკოტიკზე დამოკიდებული (a person addicted to

LSD); smack-head - ჰეროინის მომხმარებელი (a user or addict of heroin); hash- head- ჰაშიშის მომხმარებელი(a user or addict of hashish or marijuana); dust-head - ჰალუცინოგენურ ნარკოტიკზე დამოკიდებული (ahabitual user of angel-dust, a marijuana cigarette laced with hallucinogenic-like drug). მედიცინაში ბევრი დაავადების დასახელება გადმოცემულია მეტაფორის მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ მეტაფორით ყოველთვის შესაძლებელია აისახოს ჰიპოთეტიური მონაგონი-ნავარაუდები და პრევალირებს სუბიექტური დასაწყისი (რითიც აიხსნება მისი ფართოდ გამოყენება ცნობიერების კვალიფიკაციურად შემფასებლურ საქმიანობაში. ეს იმით აიხსნება, რომ მეტაფორა, როგორც წესი, დაფუძნებულია ინტუიციაზე, და ადრესატზე ახდენს ემოციურ ზეგავლენას. (ნ. დ. არუტუნოვა 1978:333-343). მეტონიმიში, კი როგორც წესი, მოსაზღვრედ (მომიჯნავედ) გვევლინება უკვე განსაზღვრულისა და ახალ განსამარტის რეალური თვისებები.

ქართულ ენაში მეტაფორული გახდა თვითონ სამედიცინო ტერმინი და დამკვიდრდა საერთო ლექსიკაშიც. ხშირ შემთხვევაში ძნელია გამყოფი ზღვარის დადგენა. მაგ.: სამედიცინო ტერმინი - გენერირება. ზოგად ლექსიკაშიც შევიდა. მაგ.: იდეების გენერირება, აზრების გენერირება. სამედიცინო ტერმინმა ფართო არეალი ნახა ზოგად ლექსიკაში. ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს მხოლოდ სამედიცინო ტერმინს. აქ მან გარკვეული მეტაფორულობა შეიძინა

§2.4. ზოგადსალიტერატურო ლექსიკის ტრანსპოზიცია სამედიცინო ტერმინოლოგიაში

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო და ნასესხები ლექსიკის გაგებაში საკმაოდ ჭრელი სურათია.

სიტყვა ახალ მნიშვნელობას იძენს მისი უჩვეულო ფუნქციით გამოყენების შედეგად - ახალ ფუნქციონალურ სტილში, ახალ სოციალურ სიტუაციაში. სიტყვა იძენს ახლებურ დათვირთვას, რომელიც შემდგომში ამ სიტყვის ახალ ლექსიკო-სემანტიკურ ვარიანტად ფორმდება. ხდება ცვლილებები, როგორც სემანტიკურ სტრუქტურაში ასევე, ასევე ცალკეულ ლექსიკო-სემანტიკურ ვარიანტშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

ლექსიკური ერთეულები ავლენენ პრაგმატულ მობილობას, გადაინაცვლებენ ზოგადი ლექსიკიდან განსაზღვრულ ფუნქციონალურ სტილში (დარგში) და იქცევიან დარგობრივი ლექსიკის ნაწილად. მაგალითად, rehabilitation - რეაბილიტაცია, რომლის ზოგადი მნიშვნელობაა - აღდგენა, რეკონსტრუქცია, ხოლო მედიცინაში ეს ტერმინი აღნიშნავს სასიცოცხლო ძალების აღდგენას. ტერმინი - resistant - რეზისტენტული, მისი ზოგადი მნიშვნელობაა - ამტანი, ხოლო მედიცინაში აღნიშნავს რაიმე პრეპარატისადმი ან დაავადებისადმი მდგრადობას. რეციდივი-recede- ზოგადი მნიშვნელობაა უკან დახევა, ხოლო მედიცინაში აღნიშნავს დაავადების ან სიმპტომების განმეორებას. კოლაფსი - collapse - ზოგადი მნიშვნელობაა დანგრევა, ხოლო მედიცინაში ნიშნავს ცნობიერების დაკარგვას. ტერმინი-ვიტალური - vital ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე. ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა, ტერმინმა დარგიდან ლექსიკაში გადაინაცვლა.

ნეოლოგიზმები, შესაძლოა გაჩნდეს პრაგმატული ვარიანტების შედეგადაც. შესაძლებელია სხვადასხვა სოციო-პროფესიულ ჯგუფში ერთი და იმავე ლექსემის სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულად რეალიზება. განვაცალკევოთ სამედიცინო ტერმინები ორი მიმართულებით. ენის სოციალური დიფერენციაციის ასპექტში ფუნქციური ვარიაციულობა ხორციელდება ორი დიალექტურად ურთიერთ დაკავშირებული მიმართულებით: ენის დიფერენციაციით და მისი ინტეგრაციით. დიფერენციაციის ხაზით მიდის საერთო გამოყენებადი ენის ტერმინოლოგიზაციის პროცესი. საერთოენის ტერმინოლოგიზაცია რთული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ლექსიკური ერთეულის საკუთარი სფეროდან გამოსვლასა და უცხო ტერმინოლოგიებთან ასიმილირებასთან.

სემანტიკურ დონეზე ტერმინოლოგიზაცია კორელირებს მნიშვნელობის დავიწროებით. ასე მაგალითად, ფართოდ გავრცელებულმა სიტყვებმა charm, colour, truth, beauty შეიძინეს ტერმინოლოგიური ფუნქცია ატომურ ფიზიკაში (ელემენტარული ნაწილაკების თვისებები). Invasive - დაპყრობა, მედიცინაში შეიძინა შემდეგი მნიშვნელობა-დაავადების ან რაიმე ვირუსის ორგანიზმში შეჭრა. Retrograde - რეგრესირება ანუ დაავადების შეჩერება, უკუსვლა. Consumption - მოხმარება, მედიცინაში აქვს შემდეგი მნიშვნელობა - ფილტვის ტუბერკულოზი.

resistant	ამტანი	პრეპარატისადმი მდგრადობა
Invasive	დაპყრობა	ვირუსის ორგანიზმში შეჭრა.
Consumption	მოხმარება	ფილტვის ტუბერკულოზი
rehabilitation	აღდგენა, რეკონსტრუქცია	გამოჯანმრთელება
collapse	დანგრევა	ცნობიერების დაკარგვა
recede	უკან დახევა	დაავადების განმეორება (რეციდივი)
room	ოთახი, სივრცე	საპროცედურო
head	მეთაური	თავი
box	ყუთი	პალატა
file	კარტოთეკა	პაციენტის ანკეტა

მნიშვნელობის ტერმინოლოგიზაცია შეიძლება ორგვარად გავიგოთ: ერთი როგორც ერთი დაიმავე სიტყვის ფუნქციონირების უნარი ტერმინოლოგიური და არა ტერმინოლოგიური გაგებით, მეორე როგორც ზოგადსალიტერატურო სიტყვის განვითარება განსაკუთრებული ტერმინოლოგიური მნიშვნელობის კუთხით. მეორე შემთხვევაში, ლექსიკური ერთეულის გამოსვლას ზოგადსალიტერატურო ენიდან, ინგლისურ სამედიცინო ლიტერატურაში მოყვება სემანტიკის ცვლილება: მნიშვნელობის შინაარსის შეცვლა ან გავრცობა.

ზოგჯერ ტერმინები ყალიბდება მეტაფორული ტრანსპოზიციის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ხდება ზოგადსალიტერატურო ენის დიფერენცირებული ჯგუფის ჩანაცვლება ახალი მნიშვნელობის დიფერენცირებული ჯგუფით დომინანტური ლექსიკური ერთეულების ბაზაზე, რომელსაც ეფუძნება გადატანა. ასე, მაგალითად, მეტაფორიზაციის გზით გენეტიკაში ისეთი ფართოდ გამოყენებადი სიტყვების ტერმინოლოგიზაცია განხორციელდა, როგორიცაა letter - ასო - ბგერა, sentence -

წინადადება, word - სიტყვა, synonym - სინონიმი (სხვადასხვა ნუკლეოტიდების აღსანიშნავად). მეტაფორული გატანის ბაზად გამოყენებულია ანალოგია გენეტიკურ კოდსა და ანბანს შორის. თავიანთი მდიდარი სემანტიკური პოტენციალის გამო, ეს სიტყვები - sentence, word კომპიუტერულ ტექნიკაში, ინფორმაციული ერთეულების აღსანიშნავად გამოიყენება. ამრიგად, შეინიშნება ტერმინოლოგიური პოლისემიის ტენდენცია. ეს მაგალითები ნომინაციათა პროცესში პრაგმატული ფაქტორების როლის აშკარა დემონსტრირებაა. (ამ შემთხვევაში მეორადისა). ზოგადსაღიერთარო სიტყვის სამეცნიერო სფეროში გადატანა დაკავშირებულია პირველადი მნიშვნელობის გარდასახვასა და სემანტიკურ ცვლილებებთან. ვ. თელიას განმარტებით, „სიტყვას, როგორც გარემოებათა და საგნების აღმნიშვნელ ენობრივ საშუალებას, თავისი ორმაგი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს ორმაგი აღნიშვნის უნარი ნომინაციათა პროცესში. მეორადი ნომინაცია ეფუძნება საგანთა ლოგიკურ კავშირს ან ურთიერთობას ძველის და ახალი გაგებებისა“ (ვ.ნ.თელია 1977: 130).

მეორადი დასახელების ფორმირების პროცესი უერთდება „ყოფილი“ სიტყვის მნიშვნელობის ახლებურად გააზრების პროცესს. ახლებურად გააზრება შესაძლებელია მოხდეს როგორც რეალურ საგანთა აღნიშვნის შესაბამისობის საფუძველზე, ან მათთვის მსაგავსი ფუნქციის შესრულების უნარიდან გამომდინარე, ასევე შემთხვევითობიდან და ასოციაციებიდან გამომდინარე, რომლებიც დასახელების აქტს ედება საფუძვლად. მედიცინაში გახშირდა ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა მაგ.: ტერმინი ananlogue - ანალოგი თავისი ახალი მნიშვნელობით - შემცვლელი. ხოლო ტერმინმა flooding გადაინაცვლა ფსიქოლოგიაში, სადაც ის დამკვიდრდა ახალი მნიშვნელობით method of treating a phobia by controlled exposure of the patient to the cause - ფობიის მკურნალობის ახლებური მეთოდი, როდესაც პაციენტი თვითონ ავლენს მიზეზ-შედეგობრიობის კავშირს. ფუნქციონალურივარიაციულობა სამეცნიერო სტილსა და ზოგადსაღიერთარო სტილს შორის, შესაძლებელია, მოხდეს უკუსვლით ანუ დეტერმინოლოგიზაციის გზით. აღნიშნული პროცესები ტერმინოლოგიზაციასთან შედარებით დიდი აქტივობით გამოირჩევა თანამედროვე ეტაპზე, რაც აიხსნება მასობრივ ინფორმაციათა მზარდი როლით სიტყვათა პოპულარიზაციის პროცესებში სხვადასხვა ტერმინოსისტემებიდან. მაგალითად, სიტყვამ clinical, რომელიც ასოცირდება მწოლიარე ავადმყოფის ექიმის მიერ მეთვალყურეობასთან, ზოგადად

შეიძინა უფრო ფართო დატვირთვა - „ცივი, სასტიკი“. ის გამოიყენება აგრეთვე ისეთ სფეროებში როგორიცაა სპორტი, ბიზნესი, სამართალი პოლიტიკა და სხვა. მაგალითად, trade statistics are studied clinically- ყიდვა -გაყიდვის ზუსტი მონაცემები; crimes are solved clinically - კრიმინალთან ბრძოლის მეთოდები; football sides are even said to be destroyed clinically - გუნდის სრული მარცხი. (ვ.ი. ზაბოცკინა 1989:78).

ჩვენ მიერ აღწერილ ტერმინთა ვარიაციულობა მიეკუთვნება სიტუაციურ ტიპებს. შესაძლებელია, ასევე ტერმინთა ვარიაციულობა განხილულ იქნეს სოციალურ სტრუქტურაში გათვალისწინებით. საუბარია ზოგადსალიტერატურო ლექსიკისა და სოციოლექტის ურთიერთ ზეგავლენაზე (ამ შემთხვევაში მედიკოსთა პროფესიული ლექსიკისა), მაგალითად, mad-cow disease (სასაუბრო ტერმინი) - ძროხის ცოფის დაავადება. “Brain wave”-“ტვინის ტალღები”(სამედიცინო ჟარგონი), რომელიც აღნიშნავს ტვინის ბიოელექტრო აქტიურობას; brainwashing (სასაუბრო ტერმინი) – „შოკური თერაპია“. Knock-out drops (სასაუბრო ტერმინი) - ნარკოტიკი; subject, (სამედიცინო ჟარგონი) - პაციენტი, ავადმყოფი, ვირუსის მატარებელი; high risk group/subjects - დაინფიცირების საფრთხის მქონე ადამიანთა ჯგუფი.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ და სალიტერატურო ენას შორის კავშირი დიალექტიკური ხასიათისაა. ზოგადსალიტერატურო ენის პროფესიულ ჟარგონთან ურთიერთმოქმედება სხვადასხვაგვარია. დიდი პოტენციალით გამოირჩევა პრაგმატული ვარიაციულობის ასპექტში ტერმინი box - ყუთი. ჟარგონულად მედიკოსები მას ხმარობენ, როგორც to die -ს მნიშვნელობით. მაგალითად, როგორც ზაბოცკინა აღნიშნავს, “Any action in 612?”-“Yeah. He boxed around midnight”- რამე მოხდა 612-ში?-ის დაახლოებით შუადამით გარდაიცვალა” (ვ.ი. ზაბოცკინა 1989:81).

ტერმინი feedback კომპიუტერული ლექსიკიდან მომდინარეობს, რომელიც შემდგომში მედიკოსებმა ახალი კომპიუტერული მკურნალობის მეთოდის დასახელებისათვის გამოყენეს - feedback (brainwavebiofeed an ubralod biofeedback- a treatment that uses monitoring instruments to provide patients with physiological information of which they are normally un aware). - მკურნალობის კომპიუტერული მეთოდი, რომელიც კომპიუტერული მონიტორინგის მეშვეობით ხორციელდება. ამრიგად, დეტერმინოლოგიზაცია ადასტურებს სხვადასხვა ლექსიკური პლასტიდან ენობრივი ერთეულების „გარდასახვის“ ტენდენციას ინტეგრაციისაკენ ზოგადსალიტერატურო

სტანდარტების ბაზაზე, მნიშვნელოვან როლს კი ამ პროცესში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები თამაშობს.

ყოველივე ზემოთქმული გვამღევს საშუალებას გამოვყოთ სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ეტაპი, რომელიც მიჩნეულია როგორც ტერმინოლოგიის ინტეგრაციის პერიოდი.

§ 2.5. აფიქსალური ტერმინ - ნეოლოგიზმებიმედიცინის ენაში და მათი ქართული თარგმანი

აფიქსალური ტერმინოლოგიური ერთეულები, როგორც წესი, ინგლისურ ენაში სიტყვათწარმოების ტრადიციების მიხედვით განლაგდება. მათი მორფოლოგიური სტრუქტურისა და მნიშვნელობის მოტივაციის ხასიათის წყობა თანხვდება ინგლისურენოვანსტანდარტულ ტერმინებს. ამიტომ წარმოებული ნეოლოგიზმების გამოჩენა ენაში სრულიად გააზრებულად მხოლოდ მაშინ ფიქსირდება, როდესაც ისინი აღსანიშნი სიახლის გასაცნობიერებლად იქმნება. ეს მეთოდი გამოიყენება საკუთრივ ნეოლოგიზმები ჩამოყალიბებისას.

ახალ შექმნილ რთულ ტერმინებს, აფიქსალურ ერთეულებს, უმნიშვნელო როლს უთმობენ მრავალკომპონენტთან ტერმინოლოგიურ სიტყვათშეთანხმებებში. მაგრამ თავისი ისტორიის მანძილზე ინგლისურ ენაში აფიქსების რაოდენობა და მათი გამოყენება იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანი, არ ყოფილა, როგორც ამჟამად.

ბოლო 50 წლის განმავლობაში სამედიცინო ტერმინების წარმოებისას გამოყენებულია იყო უდიდესი რაოდენობა სუფიქსებისა:

- ზედსართავებისა და ზმნიზედების სუფიქსები: -able, -ac, -aging, -ally, -ane, -ant, -ar, -aiy, -ative, -cry, -eal, -ed, -ent, -ese, -est, -esque, -(i)al, -ie, -iac, -ible, -ic, -ical, -id, -ide, -il, -ional, -ior, -ine, -ing, -ish, -ive, -ize, -ized, -less, -ly, -o, -oid, -ory, -otic, -ose, -ous, -tic, -ule, -y, -y ; არსებითი სახელების სუფიქსები - acy, - age, - aging, - ance, - ant, - arium, - as, -

ase, - atic, - ation, - cade, - cin, - dom, - desis, - can, - (i)an, -ee, - eer, - ema, - ence, - ent, -
 erne, - er/or, - ese, - esis, -esque, - eteria, - ette, -fest, - hood, - ia, - iasis, - ician, - icity, - ics, -
 id, - idase, - ification, - ify, - ile, - ion, - in, - ine, -ing, -ism, -ist, -ite (person), - ite (mineral), -
 itis, - ity, - ium, -ization, - let(te), - lysis, -ment, -ness, -nik, -ol, -ola, -ole, -on, -one, -
 onium, -orium, -osis, -pexy, -s (area of study), -s (plural of disease), - ship, - sis, - sol, - ster, -
 syille, - stasis, - tion, - tor, - tron, - tuple, - ule, - um, - us, - ure, - y, - y ; ზმნების
 სუფიქსები: -ate, - ed, - ing, - ize, -ized.

ყველაზე პროდუქტიული სუფიქსები: - ane/-ic (pertaining to), -in/-ine (asubstance),
 -ide, - on (a substance), -one (hormone), -ol, -ole (little, small), -iye, -al/-il(pertaining to), - ing,
 - ed, - ase (enzyme), oligomycin, fluprostenol, pinacidil.

თანამედროვე აფიქსების დამახასიათებელ თვისებად სამედიცინო ლექსიკაში
 გვევლინება მათი ტერმინოლოგიზაცია და მკაცრი პრაგმატული ფიქსირება გარკვეულ
 სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში. აფიქსები ასევე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ
 ბიომედიცინის, რადიომედიცინის, გენეტიკის ტერმინწარმოებაში. ბევრი ახალი
 ფერმენტის (enzymes) აღმოჩენამ თავისი წვლილი შეიტანა სუფიქს ase ს (=enzyme)
 ფართო გამოყენებაშიც.

ახალი ტერმინოლოგიური ერთეულების წარმოებაში მედიცინაში აქტიურად
 მონაწილეობენ რთული ტერმინების სუფიქსალური ელემენტები (combining forms = c.f.):
 - ability, -agon, -agra, -algesia, -algia, -a/oholic, -athon, -amine, -arthria, -asthenia, -blast, -care,
 -centered, -cyst, -capnia, -cele, -centesis, -cidal, -clasis, -clast, -clysis, -coccus (-cocci, pi.), -
 constriction, -crine, -malacia, -mania, -megaly, -meter, -metry, -mission, -mycin, -negative, -
 ologist, -ology, -oma, -opaque, -opia (-opsia), -opsy, -orexia, -osmia, -ostosis, -otia, -oxia, -
 oriented, -over, -para (-parous), -paresis, -partum, -pathy, -penia, -pepsia, -pedia/paedia, -
 phobia, -phenyl, -positive, -pexy, -phage, -phagia, -phasia, -phoresis, -phil (-philia), -phonia, -
 phoresis, -phoria, -phor/o, -phylaxis, -physis, -phyte, -plasia, -plasm, -plastic, -plasty, -poiesis, -
 poietin, -porosis, -praxia, -ptosis, -rrhea, -rhythm, -scape, -scope, -scopy, - serum, -somes, -
 sorbent, -sonic, -spasm, -stitial, -stomy, -suppression, -therapy, -thymia, -thymic, -tome, -tomy,
 -tripsy, -trophy, -tropia, -tropic, -type, -verse, -version, -wide.

პრეფიქსალური ტერმინწარმოება რაოდენობრივად ნაკლებია, პრეფიქსები და
 რთული ტერმინოელემენტები არ აღემატება სუფიქსებსა და სუფიქსალურ

ტერმინოელმენტებს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი პრეფიქსალური ტერმინოლოგიური ერთეულების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს რთულ ტერმინთა პრეფიქსებმა და პრეფიქსალურმა ელემენტებმა, რომელთა შორის ჭარბობს ლათინური და ბერძნული პრეფიქსები.(ინგლისური წარმოშობის პრეფიქსები ცოტაა): cryo-, cyto-, crine-, crypto-, cyber-, cyclo-, de-, demi-, demo-, denti-, dermato-, dia-, di-, digito-, diplo-, dist-, dis-, dúo-, dual-, dys-, en-, ec-, echo-, ecto-, eco-, electro-, em-, endo-, enzy-mo-, estro-, eu-, cutero-, epi-, ergo-, eso-, ethno-, ex-, exo-, extra-, fibro-, fibroso-, fibrino-, flexo-, fluoro-, fiingo-, galacto-, gastro-, geno-, gero-, geronto-, glyco-, glycogen-, gnoso-, gnoto-, granulo-, geo-, gyneco-, hallucino-, hemo-, hemoglobin-, halo-, hemi-, hetero-, high-, histo-, homeo-, homo-, hormono-, holo-, hybrido-, hydro-, hypno-, hyper-, hypo-, iatro-, idio-, immuno-, in-, industrio-, infra-, integro-, inter-, intra-, iodo-, iono-, ipsi-, iso-, isho-, karyo-, kerato-, kern-, ket-, kine-, kineso-, laparo-, laringo-, lepto-, letho-, leuko-, lexo-, leparo-, lipo-, litho-, logo-, low-, lúteo-, luxo-, lympho-, macro-, magni-, maxi-, mal-, med-, medio-, mega-, melano-, meso-, meta-, metro-, metrio-, micro-, mini-, mis-, mono-, morto-, morpho-, multi-, muco-, muta-, mutageno-, myco-, narco-, nanno-, Znano-, natro-, naturo-, neo-, neuro-, neutro-, nitro-, non-, peri-, petro-, phaco-, phago-, pharmaco-, pharmaceuto-, phaso-, phenyl-, phono-, photo-, physo-, physio-, pico-, plaso-, pleo-, poly-, polio-, post-, pre-, primi-, pro-, pros-, proto-, próximo-, pseudo-, psycho-, psycoto-, quadri-, quasi-, radio-, re-, resisto-, retro-, roentgeno-, scinti-, scintillo-, secto-, sepso-, semi-, sero-, sexo-, silico-, single-, somato-, sonó-, sphero-, spuma-, stero-, stereo-, stomato-, strepto-, syn-, syncopo-, syringo-, socio-, sonó-, sub-, super-, supra-, syncro-, taxo-, tele-, tempo-, tera-, tetra-, theo-, therapeuto-, thermo-, thrombo-, thyroid-, tomo-, tono-, topo-, toxo-, toxico-, trans-, tri-, tropho-, turbo-, ultra-, un-, uni-, ur-, uro-, veno-, viro-, vito-, vitro-, vivo-voló-, xeno.

ყველაზე პროდუქტიულ პრეფიქსთა შორის უნდა გამოიყოს შემდეგი პრეფიქსები: anti- საწინააღმდეგო; auto-თვით; co-/con-თანა de- განმაცალკეებელი; non -არა; lack of), post- (after, behind), pre- მდე; post -შემდგომი; neo- ახალი; sub-ქვე, in- ში, inter- შუა; tele- დისტანციური, trans- გარდამავალი, ultra - ზემოდაღი. Cp., pre-cell წინაუჯრედული, post-transfusion - პაციენტის მგდომარეობა სისხლის გადასხმის შემდგომ, antineoplastic სიმსივნის საწინააღმდეგო, კიბოს საწინააღმდეგო, non-penetrating -შეუღწევადი, non-risk - უსაფრთხო, non-thermal - არა სითბური. Pre cancer - სიმსივნის წინა პერიოდი. ა. შ.

სამეცნიერო ტერმინებში პრეფიქსები, როგორც წესი, ჩართულია წყარო დასახელებათა შემადგენლობაში, რომლებიც მიეკუთვნებიან მედიცინის მოკავშირე მეცნიერებებს-ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ანატომიას და სხვ. მაგალითად, biomedical technology-ბიო-სამედიცინო ტექნოლოგია.

პრეფიქსი dis, რომელიც აღნიშნავს რაიმეს არყოფნას, დისფუნქცია, დისტროფია, დისბაქტერიოზი. პრეფიქსი de - ასევე მიანიშნებს აღმოფხვრას და ახასიათებს ნივთიერებას, რომელშიც არასაკმარისი ჟანგბადია, მაგალითად, desoxyanison - დეზოქსიანიზონი, desoxycholic acid - დეზოქსილის მჟავა. Defibrillate - დეფიბრილება (გულის კუნთის რიტმის აღდგენა).

სიახლის უდიდესი ხარისხით, ბუნებრივია, გამოირჩევიან ის ერთეულები, რომლებიც შექმნილია რთულ ტერმინთა ახალი აფიქსებისა და პრეფიქსების მეშვეობით, როგორებიცაა - on, - ase, - ine, eco -, mini -, maxi-, ur-, mega-, cine -, flexi.

პრეფიქსალური ერთეულები რთულ ტერმინთა ელემენტების წამყვანი როლის დემონსტრირებაა. ცნობილია, რომ პრეფიქსალური ელემენტები პრეფიქსებთან შედარებით სემანტიკურად მეტად არიან დატვირთულები და მეტი გავლენა აქვთ წარმოებულ ერთეულებზე. პრეფიქსალური ელემენტები ძირითად ძველბერძნული და ლათინური ენებიდან მოდის: acro-, bio-, xeno-, micro-, eu-, ergo-, tele-, gero-და სხვ. მათი გამოყენება, როგორც წესი, სამეცნიერო ტექნიკური სფეროებით შემოიფარგლება. თუმცა, ტექნიკის სიახლეების პოპულარიზაციიდან და მათი გავრცელებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პრეფიქსალური ელემენტები პროფესიული ტექნიკური დარგიდან შემოდის სამედიცინო სფეროში, ხოლო, საბოლოოდ კი, საერთო ლექსიკაში მკვიდრდება.

ასე, მაგალითად, 80-იან წლებში და დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული პრეფიქსალური ელემენტია პრეფიქსი - tele, რომელიც აწარმოებს ახალ ტერმინებს შემდეგი მოდელის მიხედვით: pref+N-N (პრეფიქსს + არს. სახ - არს. სახ.), ტერმინი telemedicine (means the use of telecommunication technologies to supply users with medical information and services) ანუ მისი აზრობრივი დატვირთვაა ტელეკომუნიკაციების მეშვეობით მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია. ტერმინი ტელემედიცინა 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიქმნა.

ტელემედიცინა ეფუძნება ელექტროსიგნალების გამოყენებას ინფორმაციის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაცემად. მაგ. "Many teleradiology systems include image compression facilities, in order to obtain transmission rates compatible with an efficient teleconsulting service and to reduce storage requirements"- ბევრი ტელერადიოლოგიური სისტემა გამოსახულების შეკუმშვის საშუალებას იძლევა რათა უზრუნველყოს ისეთი სიხშირე, რომელიც შეამცირებს ტევადობის მოთხოვნებს". (Telemedicine Today, 1998). ამ რთული ტერმინის გამოჩენასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოებულია კერძოდ პრეფიქსალური მეთოდით, პრეფიქს tele - ს გამოყენებით, უშუალოდ ამ სფეროსთან დაკავშირებული მთელი რიგი სამედიცინო ტერმინ-ნეოლოგიზმები შეიქმნა, მაგ. digital medical telecommunications, at home telediagnosics - სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც მომხმარებელს სამედიცინო ინფორმაციითა და დახმარებით უზრუნველყოფს, telereontgenograms - რენტგენის სურათი, tele-nuclear-magnetic images -მაგნიტო ბირთვული გამოსახულება, teletests - ტელე სისტემის მეშვეობით მიღებული ლაბორატორიული ანალიზები, telepatholoanatomic data - ტელესისტემის მეშვეობით მიღებული ტელე პათანატომიოლოგიური მონაცემები, tele-EKG-ტელე-ეკგ. "Katmai enhances fundamentals of telemedicine: videoconferencing, audio, store-and-forward video and 3D tele-imaging" ტელემედიცინა, რომელიც აუდიო-ვიდეო კონფერენციებისა და დამახსოვრებული გამოსახულებების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. (Telemedicine Today, 1998). როგორც მაგალითებიდან ჩანს, ყოფილი წყარო-ტერმინებიდან აფიქსალური გზით წარმოებული ტერმინები პრეფიქსtele-ს დამატებით იქცევიან ნეოლოგიზმებად.

ტელემედიცინა აქტიურად ვითარდება, აქედან გამომდინარე, პროფესიონალებს უწევთ შექმნან სპეციალური ცენტრები და მოამზადონ მომსახურე პერსონალი, ექიმები. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ენაში იღებს თავის დასახელებას და სამედიცინო ტერმინოლოგია ივსება ახალი ლექსიკით. მაგალითად, medical tele-education-კომპიუტერიზებული სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამები, telenurses-ავადმყოფთა მოვლა კომპიუტერული/ვიდეო კავშირის მეშვეობით, teleprimeri service centres პირველადი დახმარების სამედიცინო ცენტრი ტელემედიცინის დახმარებით. "A M D products arecompatible with every major teleconferencing system and telemedicine

workstations"კონკურენტუნარიანია ყველა ძირითადი დარგობრივი სისტემისადმი (Telemedicine Today, 1998).

სატელევიზიო კონსულტაციებმა შექმნა ტერმინები: teleconsultations-ტელეკონსულტაცია, psychiatric teleconsultation - ფსიქიატრის ტელეკონსულტაცია, neurological teleconsultation, orthopedic teleconsultations - ორთოპედის ტელეკონსულტაცია და სხვ. Telephysicians - ტელემედიკოსი, სამედიცინო ტელეგადაცემა, რომელიც გამოიყენება მედიცინის მუშაკთა ინფორმირებისა და დახელოვნებისათვის. სატელეკომუნიკაციო ხაზის მეშვეობით სამედიცინო ცენტრებისა და საავადმყოფოების მართვა. telework stations - სამედიცინო ტელე სადგური, medical telecenters-სამედიცინო ტელეცენტრი.

სამედიცინო დაწესებულებათა და ცენტრების საინფორმაციო ცენტრები-telemedicine system, telemedicine law, remote telediagnosics. მაგ., "Mosttelemedicine programmes in the U SA are financed by state funds ... The efficacy ofcommercially available digital teleradiology systems has been assessed for severalscenarios..." (Telemedicine Today, 1998).

ამერიკულ კომუნიკაციაში მეტად პოპულარულია პრეფიქსალური ელემენტები - mega, megallo, რომელნიც მნიშვნელობის გამაძლიერებელ ნაწილაკებად ითვლებიან. ისინი გამოიყენებიან ისეთი ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმების საწარმოებლად, რომლებიც ახასიათებენ დიდი ზომის ელემენტებსა თუ საგნებს. ეს პრეფიქსები მედიცინაში შემოვიდა და დამკვიდრდა ზოგადი ენიდან. მაგალითად, cytomegalovirus-ციტომეგალოვირუსი, megavoltage radiation therapy - მეგავოლტური რადიოთერაპია, megabacteria - მეგაბაქტერია, megalgia - მეგალგია ანუ ძლიერი ტკივილი, megalomania - განდიდების მანია (მეგალომანია), x-ray lasers megazapზე- ძალა რენტგენულ-ლაზერში, megarentgen-მეგარენტგენი.

წყარო-ტერმინთა თავისებურებების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ შორის გამოიყოფა აბრევიატურები, აკრონიმები, რთული სიტყვები და ასევე ფრაზებიც, რაც ახალ ტენდენციად გვევლინება აფიქსალურ სიტყვათწარმოებაში.

80-იანი წლების ერთ-ერთ პრდუქტიულ სუფიქსად გვევლინება სუფიქსი-y/-ie, რომლის საფუძველზეც განვითარდა მოდელი:აბრევიატურა +ie - N, მაგალითად, yuppie (young Professional people) - „ახალგაზრდა"(გამოიყენებენ ელიტარული

უნივერსიტეტების სტუდენტებზე). ამ პერიოდს მიეკუთვნება ასევე ტერმინი “yuppie flu”(მდიდრების ”გრიპი”), chronic fatigue disease (ქრონიკული დაღლილობის სინდრომი).

ზოგად სალიტერატურო ენაში სუფიქსალური ტერმინები პრეფიქსალურთან შედარებით უფრო აქტიურად გამოიყენება. ასევე სამედიცინო ტერმინთა ტერმინოლოგიური ერთეულების წარმოებაში, რომლებიც უფრო გამოიყენება ყოველდღიურობაში. დღესდღეობით ყველაზე პროდუქტიულად გვევლინება შემდეგი აფიქსალური ელემენტები:-wide(ფართო, ზოგადი), - nomics (nomy-სგან მიღებული-an area of knowladge - ცოდნის სფერო). ამგვარად გაჩნდნენ ტერმინები: ergonomics (ergo - work + c.f -nomics -denoting an area or knowledge governing it) - ერგონომიკა, genomics (genome (gene+ chromosome) + nomics) - გენომიკა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასევე აფიქსალური ელემენტი-wide (საერთო). ეს ფორმა თანამედროვე მედიცინის ენაში ხშირად გამოიყენება. ახალწარმოებული ტერმინოლოგიური მოდელი wide-გამოყენებით შემდეგნაირია N+c.f.-A: worldwide AIDS surveillance - დაკვირვება შიდსის გავრცელებაზე მსოფლიომასშტაბით. აფიქსები, ისევე როგორც სხვა ენობრივი ელემენტები, ექვემდებარება მნიშვნელობის შეცვლას და გაფართოებას. მაგალითად, სიტყვის მაწარმოებელი ელემენტი ant i- ს პირველად მნიშვნელობას - უკუქმედება-ს მიემატა ახალი - „ჰიპოთეტიკურ სამყაროს მიკუთვნებული”, „ანტისხეულებისაგან შემდგარი”, მაგალითად, antinucleus - ანტიბირთვული. ცვლილებები აფიქსთა მნიშვნელობებში მიმდინარეობს მნიშვნელობის გაფართოების და შევიწროების გზით. როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, სამედიცინო ტერმინებში აფიქსებს აქვთ უნარი გააძლიერონ ძირეული მნიშვნელობა, დააზუსტონ ინფორმაცია, ასევე მიუთითონ სამკურნალო პრეპერეტების უმაღლეს ხარისხზე, მკურნალობის მეთოდსა თუ აღჭურვილობებზე. იზრდება რთულ მაწარმოებელ ელემენტთა რაოდენობა პროდუქტიული სუფიქს - er/or- ის მეშვეობით: luminometer - ლუმინომეტრი, transregulator - ტრანსრეგულატორი, cryoprotector -კრიოპროტექტორი, immunomodulator - იმუნომოდულატორი, scintiscanner - სცინტისკანერი, scanner - სკანერი, activator - აქტივატორი, defibrillator - დეფიბრილატორი, humidifier - დამატენიანებელი, pacer - გულის ელექტრო სტიმულატორი, monitor -მონიტორი.

ამგვარად, კვლევამ გვიჩვენა, რომ სამედიცინო ტერმინებში თანამედროვე აფიქსალური სისტემა ხასიათდება ახალი აფიქსებისა და აფიქსალური ელემენტების გამოჩენით, ახალი მოდელებით და მათი გამოყენების შემოფარგვლით. მათი ენაში შემოტანა უცვლელი სახით ხდება. მიგვაჩნია, რომ ამგვარ ტერმინებშიც საჭიროა გაიმიჯნოს ტერმინები რომელთა ქართულ ენაზე თარგმნაც შესაძლებელია და ტერმინები რომელთა უცვლელი სახით შემოტანაც დასაშვებია. მაგ.: დისპლაზია - დარღვევა. სასურველია ქართული ანალოგიტ ჩანაცვლება. დეჰიდრადაცია - გაუწყლოვება. აბზორბმენტი - შემწოვი. რეაბილიტაცია - აღდგენა, დეგენერაცია - გადაგვარება, პერიკარდიუმი - გულის პერანგი და სხვ.

შედარებით ხშირად გამოიყენება სუფიქსალურ-პრეფიქსალური ტერმინები - coenzyme -კოფერმენტი, კოენზიმი, dehydration - გაუწყლოვება, რაც ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგიისათვის იყო დამახასიათებელი.

მთლიანობაში მედიცინის ენის განვითარების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელია სემანტიკური პოტენციალის გაზრდა, საწარმოებელ ფუძეზე სტრუქტურული და სემანტიკური მრავალფეროვნების ხარჯზე.

§2.6.მრავალკომპონენტიანი სამედიცინო ტერმინოლოგიური

შესიტყვებები და მათი ქართული თარგმანი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინგლისურენოვან სამედიცინო ლიტერატურაში იზრდება სიტყვათშეთანხმების როლი, ხოლო თანამედროვე ეტაპზე შესწავლილ, ახალ სამედიცინო ტერმინთა 22%-ს შეადგენს. ვინოკურის აზრით, „მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური სიტყვათა კომბინაციების შემცირების მეთოდი სიტყვათა თანწყობის გზით, ზრდის ახალი ტერმინების წარმოების შესაძლებლობას უკვე ნაცნობ მასალაზე, ამას გარდა, ხშირად მართლაც არსებობს მოთხოვნა ერთ სიტყვად გამოისახოს ორი იდეა”(გ.ო. ვინოკური1939, 3-54).

მედიცინის ენაში ფართოდაა გავრცელებული ტერმინოლოგიური სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც შედგება კარგად შეხამებადი შესაძლებლობების მქონე ლათინურ-ბერძნული ტერმინოლოგიისაგან. bioengineering - ბიოტექნიკა,

cardiokymograph - კარდიოკიმოგრაფი, chemoserothapy - ქიმიო-სეროთერაპია, cryopreservation - კრიოგენურ ტემპერატურაზე შენახვა, antioxidant - ანტიოქსიდანტი, mutogen - გენი, რომელიც მუტაციას განიცდის, chemobiotic - ქიმიობიოტიკური, cryoanesthesia - კრიოანესთეზია, euteleogenesis - ხელოვნური განაყოფიერება დონორის სპერმით.

სახეობითი კომპონენტების ტერმინების წარმოების ტენდენცია იზრდება საკუთარი სახელთა სახით: roentgenogram - რენტგენოგრამა; იზრდება ხმოვანი o-თი დაკავშირებულ რთულ ტერმინთა რაოდენობა: bacteriophobia - ბაქტერიის შიში; suggestopedia - სუგესტოთერაპია, haemodynamic - ჰემოდინამიკა, radioallergosorbent-რადიოალერგოსოპბენტი, immunohistology - იმუნოჰისტოლოგია.

თანამედროვე მედიცინაში ასევე შემდეგი სახის ტერმინების შექმნის მზარდი ტენდენცია შეინიშნება. cryo+system - კრიოსისტემა, nano+technology - ნანოტექნოლოგია, auto+radio+graphy - ავტორადიოგრაფია, neuro+radio+logy - ნეირორადიოლოგია, pace+maker - დასამშვიდებელი; cine+radiography - ანგიოგრამა - (use of motion picture techniqueto record a series of x-ray images); bio+energetics, tele+ophthalmology, trans+genic, hyper+thermia. ისევე როგორც აფიქსალურ წარმოებულებს ასევე რთული სამედიცინო ტერმინ-ნეოლოგიზმებსაც ახასიათებთ ტენდენცია მრავალკომპონენტიანი კომბინაციებისაკენ. რთულ ტერმინთაგან ტერმინოლოგიურ ერთეულთა 4%-ზე მეტი შედგება 3 ან მეტი კომპონენტისაგან. Basophiloblast - ბაზოფილობლასტი, immunoelectrophoresis - იმუნოელექტროფორეზი, roentgenophotography - რენტგენოგრამა, telemammography - მამოგრაფია, immunohistochemicals - იმუნოჰისტოქიმიური, ultrasonography - ულტრასონოგრაფია, orthokeratology - ორთოკერატოლოგია.

ხშირად გამოყენებად მრავალკომპონენტთან მოდელებად ითვლებიან ტერმინები შემდეგი სიტყვებით: free (უ), (გარეშე), friendly (მეგობრული, კეთილგანწყობილი), intensive (ინტენსიური, გაძლიერებული), line (ხაზი, მიდგომა), stream (ნაკადი, დენა), low (დაბალი, არასაკმარისი, შესუსტებული), high (მაღალი, განვითარებული ძლიერი), single (ერთჯერადი), dual (ორმაგი), care (ზრუნვა, სამედიცინო მოვლა-პატრონაჟი), ტერმინები, რომლებიც მიჩნეულნი არიან რთულ ტერმინთა და ტერმინოლოგიურ სიტყვათშეთანხმებათა ზღვარზე: straight-line (responsibility) - პასუხისმგებლობის

პირდაპირი ხაზი; dotted-line (responsibility) - პასუხისმგებლობა, რომელსაც ორი პიროვნება იყოფს; bottom-line - საბოლოო; Medline - ქსელური სამედიცინო ინფორმაცია, ინტერნეტით, mainstreaming - ინვალიდთა შეზღუდვების რეჟიმი სოც-რეაბილიტაციის ფარგლებში, split-stream - განცალკევებული ნაკადი; mainstream-care - საშუალო ტენდენცია ავადმყოფთა მკურნალობაში, low/high-protein - მაღალი/ დაბალი შემცველობა ცილის, low/high-fat - მაღალი/ დაბალი შემცველობა ცხიმის, high-risk - მაღალი რისკი, low/high prevalence - დაავადების გავრცელების მაღალი/ დაბალი დონე, high-caloric - მაღალკალორიული, low-foam - არააქაფებადი ნივთიერება, high-activity- მაღალაქტიური, მაღალ რადიოაქტიური, high-suds - აქაფებადი ნივთიერება, low-speed - ნელიმოქმედების, high-speed - სწრაფი-მოქმედების, low-radiation - დაბალი რადიაციის, low-energy - დაბალენერგეტიკული, low-caloric - დაბალკალორიული, low-alcohol - მცირეალკოჰოლური, low-acid - მცირემჟავიანობის, single-layer (structure) - ერთ ფენიანი სტრუქტურა, single-acting - ცალმხრივიმოქმედების, dual-cavity(laser) -ორმაგი ღრუს მქონე ლაზერი, dual-beam (laser) - ორსხივიანი ლაზერი, health-care - ჯანდაცვა, medicare -ავადმყოფთა მოვლა - ზრუნვა.

ხშირად გამოყენებადი კომპონენტია free – „გარეშე“-ს მნიშვნელობით. მაგალითად, trauma-free fetus extraction - ნაყოფის მიღება დაზიანების გარეშე, risk-free behavior - ცხოვრების სტილი რისკის გარეშე, gravity-free environment - სივრცე გრავიტაციის გარეშე, protein-free diet - დიეტა ცილების გარეშე, GM-free (genetically- არაგენმოდიფიცირებული. კომპონენტი- friendly (helpful to, inclined to favour, assist, or protect; in sympathy with) შემოვიდა კომპიუტერულისფეროდან user-friendly - გამოსაყენებლად მოსახერხებელი, რომელიც შემდგომში გასცდა ფარგლებს და გამოიყენება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიებში. მედიცინაში ის შემდეგი მოდელით გამოიყენება N+friendly. მაგალითად enviroment-friendly - გარემოსათვის უსაფრთხო, nature-friendly - ბუნებისათვის უსაფრთხო, eater-friendly - საკვებში უსაფრთხოდ გამოსაყენებელი, eco-friendly - ეკოლოგიურად სუფთა.

ასევე საყურადღებოა კომპონენტი intensive (გაძლიერებული). ახალწარმოებული ტერმინოლოგია შემდეგი ანალოგიის მიხედვითაა N+intensive. მაგალითად, energy-intensive-ძლიერი ენერგია, intensive therapy- გაძლიერებული(ინტენსიური) თერაპია, tele-intensive-care-ინტენსიური ტელემედიცინა.

ქვემოთ განვიხილავთ ყველაზე პროდუქტიულ ახალწარმოებულ რთულ ტერმინებს, რომლებიც დადგენილ ნორმებს რთულ ტერმინთა წერის თვალსაზრისით განსაზღვრავენ.

1) N+Abbr (abbreviation)->N or Abbr+N->N: B- chromosome - ზედმეტი ქრომოსომა, B- mode - bi-mode - ორმაგი რეჟიმი, B-cell - ორმაგი უჯრედი, A-chain - A ჯაჭვი, B-chain - B ჯაჭვი, S-transferase - S-პროტეინი, ტრანსფერაზა, G (protein from a hybrid gene) - G-პროტეინი, proteinase K - K-პროტეინული ენზიმი, NK-cells (natural killer cells) - ბუნებრივადმკვლელი უჯრედები, HIV-antibody -HIV-ანტისხეული, HIV-gene -HIVგენი, nef-protein (negative factor protein) - ნეგატიური გამოხატვის ფაქტორი, AIDS-like - შიდსის მსგავსი ინექციები, ACD- solution (acid citrate dextrose) - ხსნარი, სისხლის კოაგულაციის შემაჩერებელი.

ხანდახან ამ მოდელთა შემადგენლობაში შედის სხვადასხვა წარმოშობის მოდელები. მაგალითად, SAF-T-Side - Structural Adjustment Facility - T-side mattress, T-cell, Tmycoplasma - მიკროორგანიზმი, უჯრედი - T-ასო-ბგერის ანალოგი T - shirt მსგავსი. E - health -ნეოლოგიზმი e-mail - ის ანალოგი. (ელექტრონული პოსტის მეშვეობით სამედიცინო მომსახურება).

ნაკლებ პროდუქტიულია, მაგრამ საკმაოდ აქტიურად გამოიყენება შემდეგი მოდელები: once-a-day-ერთჯერადი, hands-on- პრაქტიკული, hook-on - დასაკიდი, in-bed - მწოლიარე, in-vitro - ლაბორატორიული.

შედარებით რთული მოდელებია: male-to-male, mother-to-child, patient-to-patient, person-to-person, worker-to-patient - დაინფიცირების გზები, store-and-forward (telemedicine) - ტელემედიცინა მონაცემებთა პერიოდულად გადმოცემა, MEDLARS - on - line - a telephonerlinkage between a number of medical libraries in the US and MEDLARS for rapidprovision of medical bibliographies -ცხელი ხაზი. სატელეფონი კონსულტაცია.

ამრიგად, დადგინდა, რომ რთულ ტერმინთა წარმოება ხდება: 1) ტერმინოლოგიურ სიტყვათა კომბინაციების შემოკლებით, 2) მცირე ინფორმაციულიელემენტების ჩამოშორებით, რომლებიც მინიშნებების გამომხატველია, რაც თავისთავად გასაგებია მთლიანიკონტექსტიდან, 3) კონვერსიამ სხვადასხვა ტერმინოელემენტებისა და კომპონენტების შეხამებითადგილი დაუთმოსამედიცინო ტერმინწარმოებაში სხვადასხვა სახეობებს. დღესდღეობით ტერმინთა საერთო

რაოდენობის მხოლოდ 2% შეადგენს ახალწარმოებულს. კონვენსია შემდეგი მოდელის მიხედვით ხდება N-V, ანუ არსებითი სახ. - ზმნა, ამგვარად იწარმოება შემდეგი ტერმინი ნეოლოგიზმები. To lesion - ქსოვილის დაზიანება, to clone - კლონირება, to block-ბლოკირება, to ferment - ფერმენტირება, to drug - დიდი დოზით პრეპარატების მიღება; to diet- დიეტის დაცვა, to test - შემოწმება, to capsule - სპეციალური გარსით დაფარვა.

ნაკლებ პროდუქტიულია შემდეგი კომბინაცია (V-N): implant - ტრანსპლანტანტი, genetic knock – out - კიბოს მკურნალობა გენეტიკური მეთოდით; genetic wash - კრიოგენური ხსნარი, biological feedback - ბიოლოგიური უკუ-გება, კავშირი. როგორც ცნობილია, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ინგლისურ ენაში არსებითი სახელი მიიღება ზმნისაგან, აფიქსაციის გზით.

არსებითი სახელისაგან ზმნის წარმოების ზოგადი სქემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად: „საგნისა და მოქმედების დასახელების მეშვეობით“, რომელიც ხდება ახალი მნიშვნელობის დასაბამი. მაგალითად, to screen - გამოკვლევა, რენტგენის გადაღება, to monitor - დაკვირვება, კონტროლი.

ამრიგად, კონვენსიის დროს ხდება ცნების შინაარსის გამდიდრება. ტერმინწარმოებათა ერთ-ერთ პროდუქტიულ მეთოდთა შორის გამოირჩევა სინტაქსური მეთოდი, უფრო სწორად, როგორც დანილენკო აღნიშნავს, „ტერმინთა წარმოება სხვადასხვა ტიპის სიტყვათშეთანხმებიდან“ (ვ.პ.დანილენკო 1977:162).

ზოგადად ტერმინოლოგიური სიტყვათა კომბინაციები, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის კონკრეტულ ცნებათა რთულ შიდა კომპლექსთა თანაფარდობის გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამიტომ მათი მნიშვნელობა და წონა საერთო ტერმინოლოგიის სისტემაში მუდმივად იზრდება.

ტერმინის მნიშვნელობა გამოიხატება დეფინიციის დახმარებით. განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე კი ინგლისურენოვანი სამედიცინო დარგის სხვადასხვა ტერმინთა დეფინიციები იცვლება.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ფრაზები პრინციპულად იმყოფებიან ეტიმოლოგიის მიღმა, რამდენადაც არ არსებობს ტერმინოლოგიური ეტიმოლოგიები. არსებობს ზოგადი ეტიმოლოგია. იმის გასარკვევად, თუ რომელი სიტყვისგანაა წარმოებული ესა თუ ის ტერმინოლოგიური კომპონენტი თუ ელემენტი, საკმარისია მოვძებნოთ ის შესაბამის ლექსიკონში, მაგრამ

მთავარ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას იგი იღებს მხოლოდ გარკვეულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. როგორც, მაგალითად, კოსმიურ მედიცინაში ბოლოხანს ჩამოყალიბებული რამდენიმე თემატური სექცია, რომლებიც გამოიყენება ახალ ტერმინოლოგიურ გამონათქვამთა წყაროდ:

1) ექსტრემალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ცოცხალ ორგანიზმებზე-constant magnetic field (CMF), simulated microgravity combined exposure; - მაგნიტური ველი; სიმულირებული მიკრო გრავიტაცია. 2) ადამიანის ორგანიზმის რეაქცია კოსმიურ საშუალებებზე - compensatory response, deficiency of venous blood return, initial blood displacement, increase radiation outside the atmosphere- ვენური უკმარისობა, მაღალი რადიაცია; 3) სამედიცინო კვლევათა მეთოდები - Dowson method, Sapoukov technique, Wieson test, studying of human factors involved in flight outside the atmosphere, მაგ: " . . . in the 1980s, when Soviet cosmonauts began setting records for time spent in the gravity-free or "microgravity" environment, the effects of long-term weightlessness began to be viewed as a serious medical problem" (Encarta, 1996).

ტერმინოლოგიური ფრაზები, რომელთა რიცხვი მუდმივად იზრდება, გვევლინება კონკრეტულ რთულ ცნებათა გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახედ. ხოლომარტივი ტერმინები აღნიშნავენ ზოგად(პირველად) ცნებებს. მაგალითად, theory, patient-ძირეული ცნებაა, ხოლო clonal selection theory, non-risk patient, critically ill patient-კონკრეტული ცნებებია.

ტერმინოლოგიური გამონათქვამები მედიცინის ენაშიც უპირატესად გამოიყენებიან, „იმის გამო, რომ ორობითია და მოტივაცია მეტი აქვთ ვიდრე არადიფერენცირებულ აღნიშვნას“ (დ. მ. შმელიოვი 1973:25). მნიშვნელობისა და ცნების შეფარდების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიური ფრაზების თავისებურებაა, რომ იგი თავისთავად წარმოადგენს კომპონენტთა საფუძველზე წარმოქმნილ ახალ ცნებას. მაგ: health-care settings - გამაჯანსაღებელი ცენტრი, non-risk patient - პაციენტი, რომელიც არ წარმოადგენს ინფექციის გადადების საშიშროებას, table-top pulse oximeter - სამაგიდო ოქსიგემომეტრი, coronary bypass surgery - კორონარული შუნტირება, rapid assay - სწრაფი დიაგნოსტიკა.

ტერმინოლოგიური ფრაზების არაერთგვაროვნების გამო და არასტაბილურობისა თუ სემანტიკური შერწყმის გამო ასევე არც იდიომატურობის გამო, დანილენკოს

თანახმად, ტერმინოლოგიური ფრაზები იყოფა დამოუკიდებელ და წარმოებული ტერმინოლოგიურ გამონათქვამებად. თავისუფალი ტერმინოლოგიური გამონათქვამები ინარჩუნებენ დამოუკიდებელ კონცეპტუალურ შინაარსს მასში შემავალი თოთოეული სიტყვა-ტერმინის მეშვეობით, მაგალითად, nerve impulse - ნერვული შეტევა. საყურადღებოა არათავისუფალი ტერმინოლოგიური გამონათქვამებიც - სიტყვათშეთანხმებები, რომელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს ან არ იყოს ტერმინი, მაგალითად, entry of infection. ისინი აღიქმებიან მთლიანობაში (ვ.პ. დანილენკო 1976:162). მაგალითისათვის მოვიყვანთ თავისუფალ და არათავისუფალ ტერმინოლოგიურ გამონათქვამებს. შემდეგი ტიპის ტერმინოლოგიური გამონათქვამები არ არის თავისუფალი, მაგ: 3-D sound device (a new hearing-aid technology) - სმენის აპარატი "3-D"; Catarex probe (a tube with a whirling blade inside is inserted through the lens capsule and creates vortex that breaks the lens into pieces and sucks them up) - ხელსაწყო „კატარექსი“; prion disease (a new variant Creutzfeld-Jacob Disease (nvCJD) caused by infectious proteins invading into human organism) - სპასტიური ფსევდო სკლეროზი, ე. წ. ჯაკობსის დაავადება.

research exploratory complex - კვლევითი კომპლექსი; disinfectant spray - სადეზინფექციო სპრეი. თავისუფალ ტერმინოლოგიურ ფრაზებს მიეკუთვნებიან: ambulance airplane = ambulance aircraft = ambulance plane - სანიტარული თვითმფრინავი; delousing station = delousing center -სანიტარული ინსპექცია, Catarex system =Catarex technique (a technique which requires far less surgical skill than

conventional methods in cataract surgery – მეთოდი, რომელიც გამოიყენება კატარაქტის ქირურგიაში. somatic healing = somatic treating (a new technology used as an adjunct to medical treatment for healing the physical body of chronic illness and the residual pain of accident and stress related injuries) - ფსიქოსომატური მკურნალობა; mental illness = mental disease - ფსიქიური აშლილობა; monitoringinstrument = monitoring device - დაკვირვების ხელსაწყო; fluoroscopicimage = roentgen image - რენტგენოგრაფიული გამოსახულება; genetic screening tests = genetic screening -გენეტიკური შემოწმება; birth control pills = contraceptive pills - ჩასახვის საწინააღმდეგო აბები; cancer-treatment drugs = anticancer drugs -კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები; specialists in space medicine = space

medicinescientists -მეცნიერები კოსმიური მედიცინის დარგში; genetically modified food =genetically modified products - გენმოდირებული პროდუქტები.

თავისთავად ნათელია, რომ თავისუფალი ტერმინოლოგიური ფრაზები რაოდენობრივად მეტია, ვიდრე თავად ტერმინები. მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ფრაზებად გამოიყოფა ის ტერმინები, რომლებიც გვევლინება მრავალი ახალი ტერმინოლოგიური ერთეულის შექმნის ფუძედ, იმდენად, რამდენადაც ისინი არიან ძირითადი ინფორმაციული დატვირთვის მატარებლები. ასეთი წარმოშობის ტერმინებს შეიძლება ეწოდოს საბაზო ტერმინები. როგორც არაერთგზის შეინიშნა, სამედიცინო ტერმინოლოგიაში საბაზო ტერმინებად ხშირად გვევლინება ბერძნული წარმოშობის ტერმინები, შემდეგ ლათინური და იშვიათად ინგლისური: protein - ცილა, enzyme - ფერმენტი, response - რეაგირება, screening - გამოკვლევა დაავადების გამოვლენის მიზნით, image - გამოსახულება, serum - გამხსნელი, Study - კვლევა, substance - ნივთიერება, surveillance - დაკვირვების აპარატი, subject, patient, testing, test, vaccine, virus, clone, selection, theory, factor, therapy, diagnostics, diet, laser, fibre, monitoring, technique, technology, disease, engineering, activator, skin, lens, device, examination, procedure, investigation, microscope, treatment, room - საპროცედურო ოთახი, immune, method, gene, modulator, agent, reaction, analysis, product, meter, system, unit, catheter, substrate, detergent - გამხსნელი, spray, remover, tube, model, tape, strips, pad, pump, tampon, gel, electrode, lights, medicine, tumour, pacemaker, detector, alarms, probe - ზონდი, needle, blood, embryo, healing, programme, complex, optics, dynamics, nucleotide, scan, scanner, monitor, radiation, instrument, information, box, compound, syndrome, infection, vitamin, microbe, bacteria, acid, mixture, element, health, care, worker, nutrition, professionals, solution, organ, heart, lungs, machine, surgery, illness, hormone, pill, camera, risk, force, power, center, და სხვ. სამედიცინო სატერმინოლოგიო კვლევამ გამოავლინა მეტ-ნაკლებად პროდუქტიული წყარო-ტერმინები, რომლებიც მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ფრაზების ფუძედ გვევლინება: gene, medicine, protein, radiology, laser, vaccine, monitoring, screening, therapy, technique, antibody.

მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ფრაზების ფუძე (წყარო) ტერმინებმა შესაძლებელია დაიკავონ როგორც პოსტპოზიციური, ისე პრეპოზიციური წყობა, თუმცა თანაფარდობა შიდა ენობრივად ვარირებს. საერთო ტენდენცია ინგლისურენოვანი

სამედიცინო ენისა კი, წყარო ტერმინის პოსტპოზიციური მდგომარეობაა. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი განლაგება ტერმინოლოგიური ფრაზის შუაში გვხვდება: global programme on AIDS, modern scientific diagnostic methods and standards of care.

ტერმინოლოგიური გამონათქვამების მოცულობის გაზრდა გამოწვეული რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზით.

მკვლევრების აზრით, ტერმინოლოგიის უწყვეტი განვითარება განპირობებულია ახლადამოცენებული დისციპლინების ნომინაციათა სისტემის გაფართოების გამო და ამ ცნებების აღსანიშნავად. რიგ შემთხვევებში მარტივი ტერმინი „ვერ მოიცავს მთლიანად კონცეფტუალურ სფეროს და იქმნება ცნების დაზუსტების აუცილებლობა“ (ე.ვ. კულიბინა, 1990,42-49). მაგალითად, kinetics of the binding of antibodies to tubes coated with antigen -ანტისხეულების შეერთების კინეტიკა ანტიგენით დაფარულ მილებთან, human tissue plasminogen activator - ადამიანის ქსოვილის პლაზმოგენური აქტივატორი. მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ფრაზების რაოდენობრივი ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად პეკარსკაიას მიაჩნია „შეგნებული ორიენტაცია ტერმინის მოტივაციაზე, უფრო სწორად, იმგვარი ტერმინების შექმნა, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით გადმოცემენ ცნებათა ძირითად მახასიათებლებს“. (ლ. ა. პეკარსკაია, 1993,75-85). მაგალითად, ამგვარი სიტყვათშეთანხმება heart muscle depressant - გულის კუნთის დეპრესანტი.

ტერმინოლოგიური გამონათქვამების გავრცელების სტრუქტურულ პოტენციალზე ზემოქმედებს ის ფაქტორიც, რომ ტერმინოლოგიური გამონათქვამები შედგება მხოლოდ იმ სიტყვებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ახალი მნიშვნელობის მქონე, და არა ნებისმიერი სიტყვისაგან, თემატური ჯგუფების გაერთიანება.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში ჩვენ გამოვყავით ტერმინთა შემდეგი თემატური ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ როგორც ტერმინოლოგიური გამონათქვამების კომპონენტები:

1. მედიცინის ახალი დარგების დასახელებები:

Medical tourism - სამედიცინო ტურიზმი, medicine - ატომური მედიცინა, space medicine - კოსმიური მედიცინა, genetic engineering - გენური ინჟინერია და სხვ.

2. ახალი ვირუსებისა და დაავადებების სახელები: acquired immune deficiency

syndrome (AIDS) - შიდსი, human immunodeficiency virus (HIV), new human retrovirus-ახალი რეტროვირუსი, the acute retroviral syndrome- მწვავე რეტროვირუსული სინდრომი, protozoal parasites - პროზოალური პარაზიტი, genusCryptococcus, fungus Histoplasma capsulatum infection - სოკოვანი ინფექცია - მიკოზი, viral infections - ვირუსული ინფექციები, cytomegalovirus - ციტომეგალო ვირუსი, Epstein-Barr virus,

herpes simplex virus types 1 and 2, invasive cervical carcinoma - ყელის კიბო, drug-resistant forms of HIV, HIV infection, mature virus, AIDS-associated opportunistic infections, AIDS-related fungal infections, AIDS-virus, endogenous virus, carpal tunnel syndrome, repetitive strain injury. Mad-cow disease, prion disease - პირველადი დაავადება, iatrogenic disease, sporadic disease - სპორადული, შემთხვევითი დაავადება, new variant of Creutzfeld-Jacob disease, tumorigenic infections, Alzheimer's disease, new forms of tuberculosis resistant to antibiotics spread. diseases resistant to antibiotics spread, new or newly recognized microbes, hantavirus pulmonary syndrome, Lyme disease, porcine endogenous retrovirus.

3. პათოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესები: heat production metabolism, nonspecific flu-like symptoms, extensive immune destruction, toxoplasmosis of the nervous system, artificial hypoxia, deficiency of venous blood return, initial blood displacement, overall loss of immune function, cancerous transformation of blood cells, prolonged asymptomatic phase, accentuated antibody response, positive seroconversion.

4. ახალი მკურნალობის მეთოდებისა და კვლევის მეთოდების დასახელებები, დაავადებასთან ბრძოლის პროგრამები: suppress immune responses therapy, extensive screening of the blood supply, blood test for HIV, unsuccessful vaccination against HIV, safe-sex campaigns, needle-exchange programs, gene therapy, blood screening, AIDS prevention, prevention of HIV, HIV/AIDS prevention programme, screening programme, radiofrequency energy, medical monitoring, ultrasonic scanning technique, Doppler ultrasound, hygienic monitoring, radioimmune analysis, clonal selection theory, macrobiotic diet, coronary technique, dual-energy X-ray absorptiometry, arsenic treatment, functional magnetic-resonance imaging, brainwave biofeedback, radiation therapy, interventional radiology, orthovoltage radiation therapy, cognitive therapy, behaviour therapy, photoradiation therapy,

psychoanalytictherapy, client-centred therapy, transplantation of heart, antibody-containing serum,prospective study, seroepidemiologic study.

5. ახალ ტექნოლოგიათა დასახელებები (აღჭურვილობები, ხელსაწყოები, სისტემები): reproductive technology, safe-guard pushbutton aluminium crutches, ultrasonic scanner, fertility monitoring changes system, bioengineering technology, electronicstethoscope, digital x-ray photograph, automatic electronic blood pressure meters,linear-convection ultrasound scanner, quantitative computed tomograph, computedradiography system, antibody engineering, protein engineering, patient monitoring, magnetic resonance imaging scanners, medical-technology industry, copper vapourlaser.

6. თანამედროვე მედიცინაში გამოსაყენებელი ახალ ნივთიერებათა დასახელებები: sequential sera, protein decoy, structural protein, regulatory proteins, precursor protein, novel protein, functional protein, new blood products, laboratory chemokine, CD4 molecules, viral regulatory proteins, HIV reverse transcriptase enzyme, nonnucleoside reverse transcriptase inhibitor, key viral enzyme, viral enzyme reverse transcriptase, antibodies against HIV, major strain of HIV, secretory leukocyte protease inhibitor, chemokine receptor CCR5, CD4 protein molecules.

7. ახალი სამედიცინო პრეპარატების დასახელებები (წამლები):antifungal drugs, new class of anti-HIV drug, first protease inhibitordrug, anti-HIV drugs, antiviral drugs, human tissue plasminogen activator, sulfonamide antibiotics, purified penicillin, birth control pills, contraceptiveinjections.

8. სხვადასხვა დარგის მედიცინის მუშაკთა დასახელებები:

health care provider, therapeutic radiologist, diagnostic radiologist, radiation physicists, radiation biologists, radiological technologists, radiation therapy technologist, radiation oncologist, paediatric radiologist, nuclear medicine technologist, specialists in spacemedicine, space medicine scientists, medical cybernetics researcher, environmentalhealth officers, genetic engineer, cognitive neuroscientist, medical technologist,cardio-technologist, naturopathic physicians, health care workers.

9. დაავადებულთა დასახელება: intravenous drug abusers, individuals havingcontact with people with AIDS, person infected with HIV, organ transplantrecipients, HIV-positive

individual, people with AIDS, immunized person, immunepatient, immunocompromised patient, non-risk patient, substance abuser.

10. დაწესებულებათა დასახელებები (სამკურნალო, კვლევითი) centers for disease control and prevention, blood banks, plasma centers, reference laboratories, health departments. National AIDS Clearinghouse, health care setting, teleprimary service hubs, telemedicine workstation, medical work stations, radiology room, AIDS centers. The National Institute of Health, Health Maintenance Organization, the American College of Radiology, U.S. Department of Health and Human Services, the department of space medicine at the School of Aviation Medicine.

ტერმინოსისტემის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში შეინიშნება ახალი ტერმინების დამკვიდრების შემდეგი ტენდენცია: ენობრივი ნიშანი პლუს ტერმინი, ან უკვე არსებულის ახლებური ფორმა ანუ ტერმინოლოგიური გამონათქვამი რაც ერთობლიობაში ახალ ცნებას გვაძლევს. მაგალითად, *dedically included disease, screening test/program, hyperthermia method/technique*.

ამრიგად, მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური გამონათქვამები სამეცნიერო-ტექნიკის პროგრესული განვითარების შედეგად განსაკუთრებით მე-20 საუკუნისათვის ბოლო პერიოდიდან შეინიშნება. რაც უფრო რთულდება მეცნიერება, მით უფრო რთულდება ამ სფეროში არსებული საგნისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია ის დინება, როდესაც საერთო ლექსიკა გადადის ვიწრო სპეციალიზაციაში და რჩება ამ სფეროს ტერმინად.

ორი სამი სიტყვისაგან შედგენილი ტერმინოლოგიური გამონათქვამები ე.წ. კომპოზიტები ტერმინწარმოების ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ მეთოდად მიიჩნევა (დაახლოებით 70%), რამდენადაც ისინი წყარო ტერმინების ნიშანთვისებებს ასახავენ სამედიცინო ლექსიკაში.

მიუხედავად თავიანთი ღირებულებებისა, ამ ტერმინებს თავიანთი ნაკლიც აქვთ. ისინი კომპოზიტები არიან და, შესაბამისად, გამოსაყენებლად მოუხერხებელი. რაც გახდა მიზეზი ამგვარი ტერმინების შემოკლების (აბრევიატურების) შექმნის ტენდენციისა, რომელიც დ.ს. ლოტემ იწინასწარმეტყველა 30-იან წლებში (დ.ს. ლოტე 1968:8-13). ეს მოვლენა ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების შეკუმშვის

შედეგად. რა თქმა უნდა, თუ სამედიცინო ტერმინოსისტემაში ტერმინოლოგიურ გამონათქვამთა წარმოება პრევალირებს (ჭარბობს), მაშინ ყოველგვარი საფუძველია საიმისოდ, რომ მომავალში ეს მეთოდი პროპორციულად დარჩება, თუმცა პარალელურად არსებობს ტენდენცია ამ ტიპის კომბინაციების შემცირებისა. კომპოზიტების კომპონენტები არ ექვემდებარებიან დანაწევრებას ისინი სინტაგმატურ და პარადიგმატულ ჭრილში უცვლელნი არიან. მრავალკომპონენტიანი ტერმინოლემენტების მხრივ ქართულში სიტუაცია გაცილებით რთულადაა, რადგან საკმაოდ რთულია ამგვარი ტერმინების შემადგენელი კომპონენტების ადეკვატური თარგმანი. ხშირია შემთხვევები, როდესაც აუცილებელია დამატებითი კომპონენტის გამოყენება. ასევე არის შემთხვევი, როდესაც არ არსებობს შესაფერისი ცნება, ბუნებრივია არ არსებობს სიტყვაც. მაგ.: ბლევაროკონიუქტივიტი - თვალის ქუთუთოების ანთება, კერატოპათია - თვალის რქოვანას გადაგვარება, დერმააბრაზია - კანის ლაზერული მოწვა, ინ ვიტრო განაყოფიერება - ხელოვნური განაყოფიერება. ამიტომაც საჭირო ხდება ტერმინთა ტრანსპოზიცია ზუსტად იმავე სახით როგორც ინგლისურშია. ეს კი აფერხებს აღქმის პროცესს და პრობლემებს უქმნის ადრესატს. ხშირად ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად მთარგმნელი მიმართავს სიტყვასიტყვით თარგმანს, ანუ კომპონენტების დაშლის მეთოდს, რათა თავიდან აიცილოს ორაზროვნება.

ორი ენის შეპირისპირების საფუძველზე ვაწყდებით პრობლემებს, რომლებიც ქართულში მეტად თვალშისაცემია. რაც განპირობებულია ენობრივი განსხვავებებით და ასევე ქართულში არსებული მწირი ტერმინოსისტემით. მაგ.: ლაპარასკოპია, სტეტნირება, შუნტირება, ელექტროფორეზი და სხვ. სამედიცინო ტერმინებს შორის სხვაობის დასადგენად უნდა მოვიშველიოთ ენციკლოპედიური, დარგობრივი ლექსიკონები ან სპეციალიზებული გამოცემები რომლებიც შეაპირისპირებს ქართულ და უხცოვნოვან სამედიცინო ტერმინებს ერთმანეთთან და ნათელს მოჰყენს მათ შორის არსებულ სხვაობებს. ამ განსხვავებების შესწავლას ხელს უწყობს ქართულ სამედიცინო სივრცეში მიმდინარე პროგრესი, ესაა განვითარებული ქვეყნების სამედიცინო დარგის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და დაახლოება. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ამგვარად, წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილ და განხილულ ყველა ტერმინს ახასიათებს გარკვეული სხვაობა ტერმინის შინაარსის ზუსტი გადმოცემის მხრივ უცხო ენასა და თარგმანის ენაზე, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში.

§2.7. სამედიცინო აბრევიატურები და მათი ქართული ეკვივალენტები

ვ. გუსტიანსკაიას დაკვირვებით, „ტერმინოლოგიის შექმნა აბრევიაციის გზით ქმნის ახალ ეტაპს თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში და მის დამახასიათებელ თვისებად ითვლება. ამის საჭიროება გამოიწვია სხვადასხვა სახის სამედიცინო ცნების ამსახველმა გრძელმა ბინარულმა დასახელებებმა, რომლებიც ართულებს კომუნიკაციას როგორც მედიკოსთა შორის, ასევე პაციენტებთანაც“ (ვ. ს. გუსტიანსკაია, 1998, 26).

თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში იკვეთება ორი ძირითადი ტენდენცია: მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური შესიტყვებებისა და აბრევიატურების ფართო გამოყენება. ერთი შეხედვით, ტენდენციები თითქოს ურთიერთ გამომრიცხავია. სინამდვილეში კი ისინი საპირისპირო ტენდენციების ერთობლიობას წარმოადგენენ, რომელიც აისახება ტერმინწარმოებაში არსებულ კანონზომიერებაზე, რაც ერთი მხრივ, განპირობებულია მოვლენათა და ცნებათა სირთულით, რომელთა ნომინაციებისათვის მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური ერთეულები გამოიყენება, ხოლო, მეორეს მხრივ, ენობრივ საშუალებათა ეკონომიის მზარდი ტენდენციით, რომელიც გამოწვეულია კომუნიკაციის პროცესის დაჩქარებით. სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოკლების ხელოვნება - აბრევიოლოგია - გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი თანამედროვე დარგია. ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები, აკრონიმები, ინიციალები. აბრევიატურების გამოყენება სათავეს გასული საუკუნის 50-იანი 60-იანი წლებიდან იღებს. აბრევიატურები თითქმის ყველა ტერმინოლოგიურ ჯგუფში გვხვდება.

ვ. გუსტიანსკაიას კვლევების მიხედვით, თანამედროვე ეტაპზე აბრევიატურები ითვლება სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს შევსების წყაროდ, და შესაძლებელია წამყვანად კი ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიაში (ვ. ს. გუსტიანსკინა 1998: 26).

აბრევიატურები სამედიცინო ტერმინოლოგიაში სხვადასხვაგვარი მეთოდით იწარმოება. ამ მოდელების წარმოების პროცესის კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად: 1) საწყისი კომპონენტებით აბრევიაცია, როდესაც შემოკლებული ფორმა იწარმოება ტერმინოლოგიურ სიტყვათა კომბინაციების ან ტერმინთა მხოლოდ პირველი ასოებისაგან. მაგალითად: CMV - cytomemegalovirus; AFM - atomic force microscope; 2) შეკვეცა, როდესაც შემოკლებული ფორმა იწარმოება ტერმინის ან ტერმინოლოგიური კომპონენტის პირველი, იშვიათად მეორე ან ბოლო კომპონენტის შენარჩუნებით. მაგალითად: bronch - bronchoscope; 3) შერწყმა, როდესაც აბრევიატურა იწარმოება ტერმინის შემადგენელი მთელი რიგი თანხმონების მოგროვებით, ე. წ. კონსონანტური ანუ თანხმონებიანი აბრევიაცია, ან ტელესკოპიის მეთოდით, როდესაც ტერმინოლოგიური კომპონენტების მხოლოდ ნაწილი მოკლდება, დანარჩენი კი უცვლელი რჩება. მაგალითად: bionics - biological electronics; 4) აკრონიმია, როდესაც შემოკლებული ფორმა იწარმოება ზოგადი სალიტერატურო ენის შემთხვევითი სატყვების ინიციალისმიერი აბრევიზაციით, ან ტერმინოლოგიური სატყვათკომბინაციების განზრახ შეკვეცით გამოსათქმელად გაადვილებისათვის: Cat-computed axial tomography - კომპიუტერული ტომოგრაფია (ლ. ბ.ტკაჩოვა 1987: 57); 5) შერეული აბრევიზაცია (რომელსაც შესაძლოა სემიოტიკური ვუწოდოთ, რამდენადაც ისინი ეფუძნებიან სამედიცინო ლიტერატურაში არსებულ ნიშნებს, რომლებიც ტერმინებს მიღმა არსებობენ, საუბარია სიმბოლოებზე, უფრო სწორად ტერმინებში შემოკლებული ფორმებისა და სიმბოლოების გამოყენებაზე: T-T tuberculin tested milk, B R C A l - breast cancer agent №1 .

როგორც წესი, აბრევიატურები უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ტერმინები: TM (transcendental meditation), GM (genetically modified), X R(x-ray), ECG (electrocardiogram), Ab-(antibody) -ანტისხეული, GMOS (genetically modified organisms). WHO - world health organization - მსოფლიოს ჯანდაცვის ასოციაცია, BMI-body mass index - სხეულის მასის ინდექსი (წონა).

წერილობითი აბრივიზაციისას მაგალითად, mg (milligram), Lq (liquid), ისინი იკითხებიან როგორც მთლიანი სიტყვები. სიახლედ ითვლება ბგერების შემდეგ წერტილების გამოტოვება: I.V.-IV-(intravenous) - ინტრავენური, U. S.- (ultrasound) - ულტრაბგერითი. აბრევიატურათა წარმოების ნორმის შესაბამისად, სიტყვათშემოკლებები სამედიცინო ტერმინოლოგიაში გავრცელებული მოვლენაა, სამედიცინო სფეროს ტერმინების წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა და მთლიანი ტერმინოლოგიის დაახლოებით (დაახლოებით 70%) - შეადგენს.

ინგლისურენოვანი აბრევიატურების გარკვეული ნაწილი ითარგმნება, ხოლო ნაწილი ანალოგიური სახით გადმოდის ქართულ ენაში. ბევრი ინგლისურენოვანი სამედიცინო აბრევიატურა საერთაშორისო ტერმინად იქცა. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, განპირობებულია ინგლისური ენის სამეცნიერო კომუნიკაციაში უნივერსალურ ენად ჩამოყალიბებით. მაგ.: **ECG/ EKG** –electrocardiogram, **AIDS** – acquired immune deficiency syndrome - შეძენილი იმუნო დეფიციტის სინდრომი; **HIV** –human immunodeficiency virus - იმუნოდეფიციტით დაინფიცირებული. **MRI**- magnetic resonance imaging- მაგნიტო რეზონანსული გამოსახულება. **MD**- medical devise -სამკურნალო საშუალება, **CAT**- computer axial tomography; **BMI**- სხეულის მასის ინდექსი. **OCD** –obsessive compulsive disorder - ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა.

ასევე ხშირია შეკვეცილი ტერმინები, როდესაც ტერმინის ნაწილი ითარგმნება, ხოლო ნაწილი უცვლელად გადმოდის ქართულ ენაში. მაგ.: **U.S.** – Ultra Sound - ულტრა ბგერითი. ამ ტერმინის პირველი ნაწილი, **Ultra** , რომელიც ლათინური სიტყვაა უცვლელი გადმოვიდა ქართულში. ხოლო მეორე ნაწილი - **Sound** - ბგერა ითარგმნება. მსგავსი ტერმინებია: **Angio** - angiography, **Cath** - catheter, **chemo** - chemotherapy, **tomos** - tomograms, **procto** -proctoscopy, **Ala** - alanine, **Aggl** - agglutination, **B L** - blotting, **Fluor** – fluorescein isothiocyanate, **Hu** - human, **Hem** - hemogglutination. არის რეალიები, რომლებიც ენაში არ არსებობს, ჩვენს შემთხვევაში ქართულში, ამდენად მისი ამსახველი ტერმინი უცვლელად გადმოდის და ხდება იმ ენის (ქართულის) სრულუფლებიანი ლექსიკური ერთეული. ამას განაპირობებს არა მხოლოდ გარკვეული რეალიების ნაკლებობა, არამედ ენის მთავარი ფუნქცია, მისი ცვალებადობა დროსა და სივრცეში.

ბოლო ათწლეულებისათვის დამახასიათებელია ტერმინ - ნეოლოგიზმთა შემოკლება (ე.წ. ტერმინთა შერწყმა 6,5%) ნეოლოგიზმთა საერთო რაოდენობიდან.

protogen-protoporphyrinogen, genome - gene + chromosome, Skylab - space laboratory, DigiMed - digital medicine, cryomedicine - cryogenic medicine, cryoprobe - cryosurgical probe, TelemedLaw - Telemedicine Law, riboflavin - ribose + flavine, ribonucleic - ribose + nucleic acid, protease - protein + enzyme. აკრონიმებს შემოკლებათა შორის უკავიათ 5,7%. აკრონიმია გვხვდება როგორც ახალ სამედიცინო ტექნოლოგიათა დასახელებებში, ასევე ნივთიერებათა და კვლევის ახალი მეთოდების სახელებებში. აკრონიმებია მედიცინაში ფართოდ გავრცელებული ტერმინები laser და maser. ტერმინი laser მიღებულია შემდეგი ინგლისური სიტყვების ინიციალებისაგან - light amplification by stimulated emission of radiation (შესაბამისად: maser -microwave amplification by stimulated emission of radiation).

სხვა სახის აბრევიატურათაგან განსხვავებით აკრონიმები მთლიან სიტყვად წარმოითქმის. მაგალითად: ELISA-(enzyme-linked immunosorbent assay), ODD (ouchterlony double diffusion), PAGE (polyacrylamide gel electrophoresis), DOC (deoxycholic acid), CAT (computerised axial tomography), rep (roentgen-equivalent-physical). Rib (ribosa), SMAC (sequential multiple analyzer computer), TENS (transcutaneous electrical nerve stimulation), Abe (antibiotic), ACE (angiotensin converting enzyme), FAT (fluorescent antibody test).

აკრონიმების გამოყენება, როგორც წესი, მკვეთრად შემოიფარგლება სამეცნიერო - ტექნიკური სფეროებით. არის შემთხვევები, როდესაც აკრონიმები იქმნება ორიგინალობიდან გამომდინარე, მაგალითად: არამწველთა ორგანიზაციამ შექმნა აკრონიმი ASH - ფერფლი, ასევე კომპიუტერულ პროგრამას ეწოდა ASTHMA (Advanced System of Télédétection for Healthcare Management of Asthma) - როგორც თავად დაავადების სახელი, რომლის კვლევისა და მკურნალობისათვის შეიქმნა პროგრამა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შემოკლებულ ტერმინთა შორის შეინიშნება ომონიმები და სინონიმები. ყველაზე ხშირად ომონიმებისა და სინონიმების აბრევიატურებს ვხვდებით ტერმინთა ინიციალისმიერ აბრევიატურებში.

შემოკლებული სინონიმები, როგორც წესი, გვხვდება შიდა სამედიცინო ტერმინოლოგიაში: A/Ado - adenosine; Ab/ ab - antibody; A g / ag - antigen, Bx/ bx -biopsy, Ca/ CA - cancer; carcinoma, CXI CXR - chest x-ray, CT/ CAT -computerized tomography, dA/ dAdo - deoxyadenosine, ECG/ EKG -electrocardiogram, M L D / mid -minimal lethal dose;

MRD/ mrd - minimal reactingdose; R/ r – roentgen; RT/ XRT/ xrt - x-ray therapy, Fluor/ FITC – fluorescent isothiocyanate.

აკრომონიმური შემოკლებები სხვადასხვა ტერმინოსისტემაში გვხვდება: Ca- calcium/ cathode/ cancer; CA - cancer/ carcinoma/ cytosine arabinoside; CMF -Cytosan, methotrexate and 5-fluorouracil/ constant magnetic field (in spacemedicine); DI - diagnostic imaging/ diabetes insidious; DOC - deoxycholic acid/deoxycorticosterone/ document/ doctor; G M - genetic modification/ General Motors;RT - radiotherapy/ reverse transcriptase; TLC - thin-layer chromatography/ tenderloving care/ total lung capacity; US - ultrasound/ United States, M A G – malignancygene/ magazine/ magnetic. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული აკრონიმია-GASP, გარემოს დაბინძურებასთან მებრძოლთა ჯგუფი - Group Against Smoke and Pollution, Greater Washington Alliance to stop Pollution.

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიური შემოკლებები განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე სამედიცინო ტერმინწარმოებაში. რაც ენობრივი ერთეულების შემცირების ტენდენციით აიხსენება. სამედიცინო ტერმინოლოგიაში აბრევიატურებისადმი სწრაფვის ტენდენცია შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ბუნებრივი რეაქცია მრავალკომპონენტთან სიტყვათა კომბინაციების მნიშვნელოვან მატებაზე, რაც კომუნიკაციის პროცესს ართულებს.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვათშემოკლებების ყველა ფორმა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და ათვისებული. მათი წარმოთქმა და გავრცელება დამოკიდებულია საზოგადოებაზე, გამოყენების სიხშირეზე, დროის ფაქტორზე. ერთი რამ კი ცხადია, აბრევიატურები მათი რაციონალურად ხმარების შემთხვევაში, არამცთუ აბრკოლებენ შინაარსის ზედმიწევნით გადმოცემასა და გაგებას, არამედ თავისი ლაკონურობითა და ეკონომიურობით საგრძნობლად უწყობენ ხელს აზრის გადაცემა- მიღების პროცესს (წიბახაშვილი 1965: 274). ასევე, სიტყვათშემოკლებები ახალსიტყვების წარმოების ერთ-ერთი ხერხია და ნამდვილად ემსახურება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ქართულ სამედიცინო ენაში გვხვდება ძირითადად ინიციალისმიერი აბრევიატურები.

§2.8. სინონიმები და ეპონიმური ტერმინები სამედიცინო ტერმინების ქართული ანალოგები

სინონიმები ტერმინოლოგიური ენის კიდევ ერთი პრობლემაა. მას დ. ს. ლოტე ტერმინოლოგიის დიდ ნაკლს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ისინი ზედმეტად ტვირთავენ მახსოვრობას და ქმნიან საშიშროებას, რომ ზოგიერთი ერთმანეთისაგან ავტორის მიერ არასწორად იქნეს გამოიყენებული (ლოტე 1968: 9-10).

მეტად საინტერესოა ტერმინოლოგიაში სინონიმების ბუნება და ფუნქცია. აქ ისინი ერთ ცნებას ეხებიან და არ აქვთ ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია, არც სტილური ნიუანსები, ამიტომაც მათ ეწოდებათ დუბლეტები (ტოლიკინა 1971: 78-79; დანილენკო 1971: 7-67; ამირანაშვილი და სხვ. 2002: 188-196).

ტერმინოლოგიაში სინონიმების გაჩენის მიზეზი არის ტერმინების ფორმირების სხვადასხვა წყარო. (დანილენკო 1977: 73), როგორცაა: ეროვნული ტერმინის გამოყენება ინტერნაციონალურის გვერდით (перикард-околосердечная сумка) (შუმოვი 1973: 19). სინონიმია განსაკუთრებით დამახასიათებელია ტერმინოლოგიის ფორმირების საწყის ეტაპზე, როცა მეცნიერული ცნება ხშირად წარმოდგენილია ტერმინების ანალოგებით (კუტინა 1970: 85). ასეთი ტერმინოლოგიური სერიები დიდხანს არ არსებობს. ამიტომ სინონიმია ტერმინოლოგიაში შედარებით მცირე მოცულობით ჩნდება, ვიდრე საერთო ენაში, და როგორც პოლისემია, რეგულაციას ექვემდებარება. ტერმინი არ არის განსაკუთრებული სიტყვა, ის განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელი სიტყვაა; ამიტომ მას, როგორც სხვა ნებისმიერ ზოგადსაღიგებრატურო სიტყვას, უნდა ჰქონდეს მსგავსი ლინგვისტური კატეგორიები, ეს ეხება სინონიმებსაც.

„სამედიცინო ლიტერატურაში სინონიმები თავისებური და არასტანდარტული ტერმინების წარმოების მრავალფეროვნების შედეგად გვევლინება. თუმცა მათი არსებობა გარკვეულწილად ხელის შეშლელია სამეცნიერო ურთიერთობებში.“ (ვ.ს. გუსიატინსკაია 1998: 27).

სამედიცინო სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად: hearing aid - artificial ear - სმენის აპარატი, pacemaker = artificial heart - კარდიოსტიმულატორი, sexually transmitted diseases - venereal diseases - სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, autotransplant = autograft - ავტოტრანსპლანტანტი, alternative medicine - unconventional medicine - ალტერნატიული მედიცინა, persons practising high-risk behaviour = high-risk group = patients at risk = high-risk subjects - მაღალი რისკ ჯგუფის პაციენტები, narcomania - drug dependence = substance abuse - ნარკომანია, roentgenograph = radiograph - რენტგენის სურათი, roentgenologist = radiologist - რენტგენოლოგი, scintigram = scan - (the picture, or map, of an organ or tissue) - გამოსახულება, scintiscanner = scanner - სკანერი (წერტილოვანი საზომი ხელსაწყო), antiAIDS drug = AIDS vaccine = antiviral drug for AIDS - შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა, gene associated with cancer = cancer gene = carcinogen = malignancy gene = M A G = oncogene - კიბოს გენი, psychoanalytic therapy = psychotherapy = mind treatment - ფსიქოანალიზი, anaesthesiologist = anaesthetist - ანესთეზიოლოგი, resuscitator = reanimator - რეანიმატორი, electroconvulsive therapy = electroshock therapy = shock therapy - ელექტროშოკით მკურნალობა, gene = factor - გენი, medical cybernetics researcher = cybemetician - კიბერნეტიკოსი.

სამედიცინო დარგების სიმრავლიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინის ისეთ თვისებებს, როგორებიცაა ინდივიდუალურობა, დასახელების თავისებურება და დიფერენცირების უნარი: medicine = aviation medicine - საავიაციო მედიცინა, specialists in space medicine = space medicine scientists - კოსმიური მედიცინის დარგის სპეციალისტები, substitution therapy = replacement therapy - ჩანაცვლებითი თერაპია, birth control pills = contraceptive pills - ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, blood type = blood group - სისხლის ჯგუფი, minimalinvasive surgery = minimally invasive surgery = minimal-invasive medicine; keyhole surgery = laparoscopy surgery = endoscopy surgery - ლაპარასკოპიული ქირურგია.

ტრადიციულად სინონიმები ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა სიახლოვეს ეფუძნება. ტერმინოლოგიურ სინონიმებს ასევე ახასიათებთ სემანტიკური ურთიერთჩანაცვლება (შეცვლა). ამგვარად, „ტერმინოლოგიური სინონიმები“ შედარებით ადეკვატურად გამოხატავს ერთი აღსანიშნავის რამდენიმე დასახელებას. როდესაც მედიცინის ერთ დარგში რაიმე მოვლენა იღებს რამდენიმე ტერმინოლოგიურ

გამოთქმას, წარმოიქმნება შიდადარგობრივი ტერმინოლოგიური სინონიმები, მაგალითად: surgery-operation-ქირურგიული ოპერაცია, roentgenology-radiology - რენტგენოლოგია.

ბოლო პერიოდში სამეცნიერო ტექსტებში, ისევე როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, სამედიცინო ტერმინოლოგიური სინონიმები სტილისტური გაფორმებისათვის გამოიყენება. ხშირად ისინი ხალხის სოციოლექტის საუკეთესო მაჩვენებლებად გვევლინება, ამათუ იმ ტერმინის სხვადასხვა ემოციური შეფერილობის განსხვავებული დონეების გამოყენებით. მაგალითად, ტერმინები, რომლებიც აღნიშნავს შიდასით დაავადებულებს: individuals at increased risk for AIDS = high-risk subject for AIDS (შიდასის რისკ ჯგუფი), HIV carrier = HIV infected man = a person exposed to HIV = HIV patient = HIV-infected individual = HIV-infected person = individual with HIV = person with HIV = HIV-positive individual (იმუნოდეფიციტით დაინფიცირებული).

"The French AIDS group criticises treatment of immigrants ... The French national AIDS council has protested about the treatment of HIV positive illegal immigrants in France. About 500 illegal immigrants who are HIV positive have been identified by the French ministry of health" (French AIDS group...). "A prevalence of 31% for pneumocytis pneumonia in children infected with AIDS, who were under 15 months old contrasts with adults positive for HIV at necropsy in Abidjan... In industrialised countries 43% of children with AIDS have pneumocytis pneumonia..." (Disease in children infected...).

ხშირად ერთი და იმავე მოვლენის გამოსახატავად რამდენიმე ტერმინი იხმარება. მაგალითად, კრიომედიცინაში „კრიოდაზიანების“ გამოსახატავად ფუნქციონირებს ექვსი ტერმინი: cryogenic lesion, cryogenic injury, cryogenic damage, cryogenic abnormal condition, cryogenic fault, cryogenic fault condition - კრიოგენური დაზიანება.

თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში სინონიმების გავრცელება გამოწვეულია შემდეგი სოციალური ფაქტორებით: პირველი, რომ მედიცინის ერთი და იგივე სფერო ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში ვითარდება და ინფორმაციათა გაცვლა ფართო მასშტაბით ხორციელდება, რატომ უნდა, ტერმინების მეშვეობით; და მეორე, სპეციალისტები თავიანთ პუბლიკაციებში ხშირად იყენებენ საკუთარ ტერმინებს განსაკუთრებულად ახლადამოცნებული მოვლენებისა თუ ობიექტების აღსანიშნავად. ასე, მაგალითად, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია

გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების პრობლემა და მათი მოხმარების შედეგები, რაც მსოფლიო მასშტაბით მეცნიერთა მუდმივი დავის საგანია. აქედან გამომდინარე, გენმოდიფიცირებულმა პროდუქტებმა სხვადასხვა ავტორის სტატიებში შეიძინეს განსხვავებული დასახელება: genetically modified food= GMF - გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები = genetically modified products =genetically engineered food = genetically engineered goods = transgenicproducts/food – ტრანსგენური საკვები = "mutant" products – პროდუქტები, რომლებიც განიცდიან მუტაციას ="Frankenstein food" – „ფრანკენშტეინის საკვები" = "F" food/products = "revolutionary indictment of genetic engineering" – „გადამწყვეტი შეწინააღმდეგება გენური ინჟინერიისა" = food for thought - საკვები გააზრებისათვის; genetically modified organisms - გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები = GMOS = seeds of discontent - უკმაყოფილების თესლები = genetically modified plants - გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეები. ხშირად ტერმინოლოგიური სინონიმები ავტორისეული ხასიათისაა, რამდენადაც ერთი და იმავე მოვლენას მეცნიერები სხვადასხვა კუთხით განიხილავენ და ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებულ თვისებებს აფიქსირებენ.

სინონიმები აქვთ როგორც მარტივ და რთულ ტერმინებს, ასევე რთულ ტერმინოლოგიურ ფრაზებსაც და მათ აბრევიატურებსაც. მოდელი შემდეგნაირია:

მარტივი ტერმინი-მარტივი ტერმინი: guide = introducer = წამყვანი; მარტივი ტერმინი-რთული ტერმინი: graft = transplant - კანის (რბილი ქსოვილის) ტრანსპლანტანტი; მარტივი ტერმინი - აბრევიატურა: cancer = CA-კიბო; მარტივი ტერმინი - ტერმინოლოგიური გამონათქვამი; trush=oral candidias - კანდიდოზი, აფტოზური სტომატიტი; რთული ტერმინი - რთული ტერმინი: roentgenography = radiograph - რენტგენოლოგია; რთული ტერმინი - ტერმინოლოგიური ფრაზა: contraceptives = contraceptive device - ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება; ტერმინოლოგიური ფრაზა -ტერმინოლოგიური ფრაზა: monitoring instrument=monitoring device= monitoring apparatus = monitoring box= monitoring machine- აპარატურა, რომელიც გამოიყენება დაკვირვებისა და კონტროლოსათვის. აბრევიატურა - აბრევიატურა: CFS (Chronic Fatigue Syndrome) = ME(myalgic encephalomyelitis) - ქრონიკული სისუსტის (დაღლილობის) სინდრომი; მარტივი ტერმინი - რთული

ტერმინი - ტერმინოლოგიური ფრაზა - აბრევიატურა: XRT=R T= xrt = radiation therapy = x-ray therapy = radiotherapy - რადიოთერაპია.

ზოგადად სინონიმები პრევალირებენ რთულ ტერმინებში და ტერმინოლოგიურ გამონათქვამებში. სინონიმები გვხვდება შემდეგ თემატურ ჯგუფებში:

1) დაავადებათა დასახელებები და პათოლოგიური მდგომარეობები: CFS = Cronic Fatigue syndrome = ME = Myalgic Encephalomyelitis = neurasthenia = "yuppie flu" = clinical depression - ქრონიკული დაღლილობის სინდრომი. HIV=HIV infection=HIV disease- ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. AIDS=overt AIDS-კლინიკურად გამომჟღავნებული შიდსი.

2) სამედიცინო აღჭურვილობათა დასახელებები: needle-holder = needle-carrier = needle-driver - ნემსმჭერი; celoscope = endoscope = fiber-optic instrument - ენდოსკოპი; monitoring box = monitoring device = monitoring instrument =monitoring set = monitoring equipment= monitoring apparatus - მონიტორინგის, დასაკვირვებელი აპარატურა.ნივთიერებათადა პრეპარატების დასახელებები: adrenaline - ადრენალინი = epinephrine - ეპინეფრინი; divergent strains = diverse strains - სხვადასხვა წარმოების; birth control pill = contraceptive pill = contraceptive = contraceptive injection/tablet/cream/capsule = contraceptive device - ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები;

4) ავადმყოფთა დასახელებები: patient=subject; infected individual=contract=contact-დაინფიცირებული ავადმყოფი.

5) მედპერსონალის დასახელებები: health care workers = health careprofessionals = health care provider.

6) კვლევის მეთოდებისა და დაავადებათა მკურნალობის დასახელებები: bioassay =bioanalysis = bioprobe = biotest - ბიოლოგიური სინჯი, XRT = xrt = RT = radiationtherapy = x-ray therapy radiotherapy - რენტგენოგრაფია; surveillance = screening= monitoring - დაკვირვება, კონტროლი; anti-AIDS drugs = AIDS vaccine =antiviral drugs for AIDS - შიდსის საწინააღმდეგო პრეპარატი, intravenousnutrition = food by vein = feeding through a vein - საკვები ნივთიერების ინტრავენურად შეყვანა.

შესწავლილი სამედიცინო ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ორი ცნება-ვარიაციულობა (სახეცვლილება) და სინონიმია. სინონიმებისაგან განსხვავებით, ვარიანტები (სახესხვაობები) იცვლის ან

ფორმალურ სტრუქტურას ან ონომასიოლოგიური სახეცვლილების (გადასხვაფერების) ნიმუშად გვევლინებიან.

ლ. ბოკაჩოვას აზრით, „ლინგვისტების მიერ ვარიაციულობა და ტერმინოლოგიური სინონიმია განიხილებაროგორც ურთიერთდამოკიდებული ქმნადობა. ან სინონიმი მოიცავს ვარიაციულობას, ან პირიქით, ვარიაცია აღიქმება როგორც ფართო სინონიმია და მისი გამოჩენის ისტორიულ წყაროდ გვევლინება”(ლ.ფ.ბოკაჩოვა 1984:50-51).

ტერმინოლოგიური სინონიმების ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებაა არა მხოლოდ ახლო და იდენტური მნიშვნელობების არსებობა, არამედ განსხვავებულებსაც, რომლებიც აღნიშნულ ტერმინს განასხვავებს სხვა ლექსემისაგან, იმავე მოვლენას რომ ახასიათებს. ტერმინოლოგიური სახესხვაობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებაა მათი სემანტიკურ სტრუქტურათა აბსოლუტური იდენტურობა. შევადაროთ, cryomedicine = cryogenic medicine -კრიომედიცინა, pacemaker = pacer - კარდიოსტიმულატორი, minimalinvasive surgery = minimally invasive surgery - ლაპარასკოპიური ქირურგია, Ag/ag (antigen) -ანტიგენი, Ab/ ab (antibody) - ანტისხეული, Bx/ bx (biopsy) - ბიოფსია, Ca/ CA (cancer/ carcinoma) - კიბო, C X / C X R (chest x-ray) -ფლიუროგრაფია, XRT/ RT/ xrt (x-ray therapy) - რენტგენოგრაფია, naturopathy = naturopathic medicine - ნატუროპათია, R/r (roentgen) - რენტგენი, scintiscanner = scanner, CAT scanner = CT scanner - კომპიუტერული ტომოგრაფია, CAT scan = CT scan - გამოსახულება ტომოგრაფიის შედეგად, food by vein = feeding through a vein - ვენიდან კვება, psychotherapy = psychoanalytic therapy -ფსიქოანალიზი, cryotherapy =crymotherapy -კრიოთერაპია, radiologic = radiological -რენტგენოლოგიური, adrenalin = adrenaline - ადრენალინი.

წარმოშობის მიხედვით ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ტერმინოლოგიური სინონიმების შექმნის სხვადასხვა წყარო, რომელთა შორის რამდენიმე მათგანი „შეიქმნა laminagraphy (L-Gk.) = tomography (Gk.): შუასაუკუნეების ბოლოს და ახალი პერიოდის დასაწყისისათვის უკვე ითვლებოდნენ სინონიმის წმინდა სამედიცინო სახეობებად...” (ვ.ს. გუსიატინსკაია 1998:27).ზოგადსამედიცინო ტერმინოლოგიაში ტრადიციულად გამოიყენება ბერძნულ-ლათინური სინონიმია, როდესაც ერთი და იგივე ცნება აღინიშნება ან ბერძნული ან

ლათინური წარმოშობის ტერმინით, ან ტერმინოლემენტით. 1. ზოგჯერ ლათინური იცვლება ბერძნულით.

მაგალითად: multinuclear (L.) = polynuclear (Gk.), graft(Gk.) = transplant (L.), "Tomography (also called laminagraphy) is a technique for taking x-ray pictures in sections so that radiographs of a desired layer of the body are obtained, while at the same time structures in front of and behind that layer are blurred out. A *laminagraph, or tomograph*, consists of an apparatus in which the x-ray tube and x-ray film rotate at the same time but in opposite directions while the patient remains stationary and x-ray pictures are taken" (Encarta, 1996), adrenaline (L.) = epinephrine (Gk.): მაგ., "The discovery of *adrenaline, or epinephrine*, led to identification and isolation of other hormones" (Encarta, 1996), autoreproduction (Gk.) = replication (L.), celoscope(Gk) = endoscope (L.), exploratory (L.) = diagnostic (Gk.), technique (Gk.) = method(Gk.) = mode (L.) = operation (L.) = manipulation (L.), phenomenon (Gk.) = sign(L.)- ნიშანი, სიმპტომი.

2. სამედიცინო ტერმინებისთვის გარკვეულწილად დამახასიათებელია ძირძველი ტერმინებიდან აღებული სინონიმები, მაგ.: sickle-shaped (Eng.) = crescentic (L.), fear (Eng.) = phobia (Gk.), route (Eng.) = pass (L.) = transmission (L.) = spread (Eng.), box (L.) = device (L.) = instrument (L.) = set (Eng.) = equipment (Fr.) = apparatus (L.), narcotic (Gk.) = drug (Eng.) = substance (L.) = dope (Dutch), gestalt (German) = shape (Engl.) - (ფსიქოლოგია).

3. სინონიმურობის ერთ-ერთ წყაროდ გვევლინება ასევე ინგლისურენოვანი ძირები და სიტყვაწარმოების ელემენტები, მაგ: exploration = examination = monitoring = testing = study, sickness = illness, response = reaction = receptivity = sensitivity = perceptibility, screen = screening. ამგვარად ეძებნება გამოხატვის საუკეთესო ფორმები სამედიცინო ობიექტებს ინგლისურ ენაში.

4. მრავალი სინონიმი შექმნილია ეპონიმური ტერმინი ს განმარტების შედეგად, რომლებიც სხვადასხვა დაავადებათა თუ სიმპტომების დასახელებებს წარმოადგენენ, მათი დასახელებაც კონკრეტული დაავადებების ნიშან-თვისებების ზეგავლენასთანაა დაკავშირებული. ეს ლოგიკურია, რადგანაც ეპონიმური ტერმინები ვერ აკმაყოფილებენ ტერმინთა წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. ისინი არასისტემატიზირებულები არიან და არ გამოხატავენ მოვლენათა არსს. თუმცა

ამგვარი ტერმინები ხშირად გამოიყენებიან, რაც მათი პრაქტიკულობით და არა მათი აღწერითი თვალსაზრისით აიხსნება, მაგალითად: Hodgkin's disease - lymphogranulomatosis - ლიმფოგრანულომატოზი, Epstein-Barr virus = -ჰერპესის ვირუსი, Iceland disease = epidemic neuromyasthenia - ისლანდიური დაავადება, Katayama disease = schistosomiasis japonica - იაპონური შისტოსომოზი, Lyme disease = Lyme arthritides = Lyme borreliosis - ლაიმას დაავადება, Mediterranean-hemoglobin E disease = thalassemia = periodic disease - ხმელთაშუაზღვის დაავადება, Creutzfeld-Jacob disease = new variant Creutzfeld-Jacob disease = Bovine Spongiform Encephalopathy = mad-cow disease - ღრუბლოვანი ენცეფალოპათია, იგივე ძროხის ცოფის დაავადება = fatal brain-wasting malady = prion disease = iatrogenic disease = sporadic disease, Sade's prosthesis = Tabor = artificial substitute (of the bone in the middle ear) = artificial ear-სმენის აპარატი. Sade's prostheses called the Tabor may overcome the problem of replacing the bone in the middle ear" (ტ.პ. შედრინა 1997:92).

5. ტერმინოლოგიური სინონიმები წარმოიქმნება პროფესიული და ზოგადსალიტერატურო ტერმინების თანაარსებობის შედეგად. მაგ.: forceps (პროფესიული) = tweezers, pincers (სასაუბრ.) - პინცეტი, Bovine Spongiform Encephalopathy (პროფ.) = mad-cow disease (სასაუბრ.) = fatal brain-wasting malady (სასაუბრ.) - ძროხის ცოფის დაავადება = Creutzfeld-Jacob disease (პროფ.), pacemaker (პროფ.) = artificial heart (სასაუბრ.) - ხელოვნური გული, laparoscopy surgery (პროფ.) = key-hole surgery (სასაუბრ.) - ლაპარასკოპიური ქირურგია, genetically modified food (პროფ.) = "mutant" product (სასაუბრ.) - გენმოდირებული პროდუქტი, graft (პროფ.) = transplant (პროფ.) = "living skin" (სასაუბრ.) - ტრანსპლანტანტი, scintiscanner (პროფ.) = scanner (სასაუბრ.) - სკანერი, oral candidiasis (პროფ.) = thrush (სასაუბრ.), electroconvulsive therapy (პროფ.) = electroshock therapy (სასაუბრ.) - ელექტრო შოკური თერაპია, cold sore (სასაუბრ.) = herpes (პროფ.), fear (პროფ.) = phobia (სასაუბრ.), resuscitator (პროფ.) = reanimator (სასაუბრ.) - რეანიმატორი. "A steady hand is a desirable feature in a surgeon. But a light touch is equally prized by patients now benefiting from a technique known as photodynamic therapy. This procedure uses light sensitive molecules, which are activated by laser beams, to destroy unwanted tissues - tumours, atherosclerotic lesions and pesky blood vessels that pop up in a vulnerable organs such as the eye" (Medicinal...). "A "living skin" being developed at Wright State University is expected to

shorten hospital stays for burn patients and reduce the scarring of conventional skin grafts." (ტ.პ.შედრინა 1997: 78). "Objective – To determine whether compHance therapy (სასაუბრ), a cognitive-behavioral intervention

(პროფ.), could improve compliance with treatment and hence social adjustment in acutely psychotic inpatients, and if so, whether the effect persisted six months later"

(Disease in children infected...). "A chronic deficiency (პროფ.) or imbalance of calcium (სასაუბრ.) is what Susan Thys-Jacobs, an endocrinologist at St. Luke's Roosevelt Hospital Center in New York, believes is largely responsible for the disruptive symptoms of premenstrual syndrome suffered by as many as 40% of women" (Calcium...). "A cold nodule (პროფ.) or cold spot (სასაუბრ.), is detected on a scan as an area of less than normal activity. A cold spot may contain a malignant lesion" (Does a "Malignancy Gene" ...).

6. სინონიმების შექმნის ნაყოფიერ წყაროდ ითვლება ევფემიზმები. „ევფემიზმი (ანტიფრაზია) - ტროპი, რომელიც შემდგარია ნებისმიერი მოვლენისა თუ ობიექტის ირიბი, შერბილებული, თავაზიანი აღნიშვნით" (ო.ს. ახმანოვა 1966) წარმოიქმნებიან რიგი ექსტრალინგვისტური თუ პრაგმატული მიზეზების გამო (თავაზიანობა, დელიკატურობა, კეთილგანწყობა ინდივიდუალური ნეგატიური ხასიათის მოვლენათა რეალობის შენიღბვის სურვილით). ასე, მაგალითად, კრიობიოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით შეიქმნა მედიცინის ახალი დარგი-კრიონიკა ანუ ადამიანების გაყინვა სიცოცხლის დაბრუნების მიზნით - cryonics, რომელიც სადავო საკითხია რელიგიური, ეთიკური და სამეცნიერო კუთხით. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორის სტატიაში გამოჩნდა შემდეგი ევფემიზმები. მაგ.: Big Freeze, Freeze in peace - ლაბორატორიები, სადაც გაყინვა ხდება და გაყინული სხეულების ინახავენ (cryolaboratory) ან (depository), რომლებმაც თავის მხრივ ასევე მიიღეს ევფემიზმი: "Cryofarm". "Mikhail Soloviev has designed "Cryofarm", a project to realize inexpensive cryonics services in Russia" (May You Freeze in Peace, p. 41).

გენურ ინჟინერიაში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი გენმოდულირებული საკვების მიღებით გამოწვეული შედეგების საკითხი. ერთი მხრივ, მოწინააღმდეგეები ცდილობენ აღნიშნული ტექნოლოგიის უარყოფითი მხარის წარმოჩენას, ხოლო, მეორე მხრივ, ევფემიზმების მეშვეობით ცდილობენ იმ ნეგატიური მხარის მიჩქმალვას, რაც გამოწვეულია ამ პროდუქციის გამოყენებით. როგორც, მაგ. food for thought = seeds of

discontent = "F" food- ("Frankenstein") -გან. ნაცვლად genetically modified food. "Another part of the blame, however, lies with an author who died a century and a half ago - Mary Shelley. In the figures of Victor Frankenstein and his creature she managed to create images so powerful that they have haunted medical biology through the head-lines for decades. Transplant surgery, in vitro fertilisation and the genetically modified bacteria used to produce a number of drugs have all in their days been seen as unnatural, Sheleyesque abominations. In these cases researchers were able to exorcise revenant by proving the value and safety of their work. In the minds of many, the genetic modification of crops has yet to do that. Only when no writer would dream of using the "F" word in an article about it, will the technology truly have been accepted" (Seeds of discontent-უთანხმოების მთესავი). ევფემიზმები, რომლებიც თავაზიანობისა და დელიკატურობის თვალსაზრისით იქმნებიან, გარკვეულ ნეგატიურ რეალობათა „შესაფუთად“ გამოიყენებიან და ამსუბუქებენ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, ასაკობრივ; ageism (discrimination of age) - ასაკობრივი შეზღუდვა, gerontophobia (fear, dislike or hatred of old age or old people)- მოხუცებულობის ასაკის შიში, სიძულვილი: "A few years ago the great intellectual enemy of the movement called gerontophobia - fear of aging, loathing of the aged ... The target has shifted from gerontophobia to ageism ... Gerontophobia could be inflicted only upon the old. Ageism, on the other hand, is a social prejudice against people of all age" (ვ.ი. ზაბოტკინა 1989: 84). უფროსი ასაკის პატივსაცემად დამკვიდრდა ტერმინები middlescence-შუახნის (adolescence - ზრდასრულის ანალოგიით), third age, senior citizen - ხანშიშესული, მოხუცი.

ასევე თავაზიანობის პრინციპით წარმოიქმნა ტერმინი - ევფემიზმები, რომლებიც ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა შეზღუდულობას აღნიშნავენ. მაგ: გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანებს უწოდებენ learning disable - ათვისების უნარის არმქონე, insane asylum - საგიჟე შეიცვალა - mental hospital, people with disabilities- შშმ და არა ინვალიდი ; pregnancy termination - ორსულობის შეწყვეტა ნაცვლად აბორტისა; pass away -გარდაცვალება და არა სიკვდილი. და სხვ.

ევფემიზმების წარმომქმნელად მიიჩნევა ასევე რაიმე დაავადების მიმართ სიკვდილისა და ცრურწმენების შიში. მაგალითად: moon-child ადამიანი, კიბო ზოდიაქოს თანავრსკვლავედის ქვეშ (21 ივნისი -21 ივლისი) შეიცვალა ტერმინით - cancer, რომელიც დაავადების ასოციაციას იწვევს.

Hospice - დავრდომილთა თავშესაფარი - შეიცვალა - a guest house for the poor, the sick, etc., მაგ: "From Britain has come the idea of the hospice, an in-patient facility specially designed for the dying: cheerful, homelike, full of plants and families (including young children). There are about thirty such places in Britain now but the idea has been slower to take root in the United States. The hospice in New Haven, for instance, has been in operation with a home-care program for more than two years" (ზაბოტკინა, 1989: 86).

ევფემიზმური ლექსიკის ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენს ის ევფემიზმები, რომლებიც არსებულ რეალობათა ნეგატიურ მხარეს ამსუბუქებენ (ნარკომანია, მისგან შიდსის გავრცელების საშიშროება). პირველი ინფორმაცია შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსის) შესახებ უცხოური პრესის გვერდებზე 80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. ამ ახალი დაავადების სახელწოდებად გამოყენებულიყნა ტერმინოლოგიურ სიტყვათა *acquired immunodeficiency syndrome*, აბრევიატურა - AIDS. დაავადებამ მიიღო პანდემიური ხასიათი, მოიცვა თითქმის ყველა კონტინენტი, გასცდა პროფესიული ინტერესის ჩარჩოებს და იქცა სოციალურ მოვლენად. შეეხო საზოგადოების ისეთ სოციალურ, ეთიკურ და კულტურულ ასპექტებს, რომლებიც მანამდე მიჩქმალული იყო. ყოველივე ეს აისახა ამ დაავადების ცნების ტერმინოლოგიურ გაგებაზე, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ აღნიშნულ სნეულებას. ესარის AIDS და HIV-ით დაავადებულთა სახელწოდებები. ამაში დიდი როლი ითამაშა კომუნიკაციის მიერ გამოყენებულმა მეტაფორულმა სინონიმურმა გამოთქმებმა როგორებიცაა "warning"- გაფრთხილება, "divine punishment" - „ღვთის სასჯელი“, "curse mysteri"- ღვთის რისხვა. "mystreious illness"-იდუმალ დაავადება, "homosexual cancer" ჰომოსექსუალთა კიბო, "gay cancer", homoseqsual syndrome - „ჰომოსექსუალთა სინდრომი“.

ინგლისურ ენაში ფუნქციონირებს ცხრა სინონიმური გამოთქმა, რომლებიც უკავშირდება ARC – AIDS - related complex - დაავადებათა კომპლექსს, რომლებიც შიდსთან ასოცირდება. AIDS - like disease = AIDS-associated disease = AIDS - defming illness = drug-resistant form of AIDS A R V – AIDS - related virus = AIDS virus = AIDS - associated opportunistic infections = AIDS - related fungal infections = fatal immunodeficiency disease - ფატალური იმუნოდეფიციტის დაავადება.

საგაზეთო სტატიების მეშვეობით შემოვიდა ისეთი სინონიმური ტერმინი, როგორიცაა - risk, risk-factor – „რისკის ფაქტორი" cause – „მიზეზი", ანალოგიით გამოჩნდა ევფემერული ტერმინი-risk group და individuals at risk -რისკ-ჯგუფი, persons practicing high-risk behaviour, patients at Risk, რომლებიც ასოციალური ქცევის ადამიანებსახასიათებთ. „შიდსის შიში"- სასაუბრო ენით შემდეგი ევფემერული გამოთქმით აღინიშნება: PWA (person with AIDS), ნაცვლად აქამდე დაფიქსირებული სამედიცინო ტერმინისა contactAIDS sufferer, AIDS victim, AIDS patient, person exposed to AIDS, AIDS-infected individual, AIDS-infected person, individual with AIDS, AIDS-positive individual, people living with AIDS, AIDS subject.

რა გამოიყენება სასურველი ეფექტის მქონე გამოთქმის სემანტიკურ ბაზად? სემანტიკის თვალსაზრისით, ამას საფუძვლად უდევს ცნების შედარებითი დასახელების ამაღლება ევფემერული გამოთქმის მეშვეობით. სხვაგვარადაც რომ ითქვას, ევფემერული ტერმინის შემქმნელი ადამიანი და შემდგომში მისი მომხმარებლები, ქმნიან შეუსაბამობას ცნებასა და დასახელებას შორის. შედეგად კი დასახელება ცნებასთან შედარებით უფრო მაღალი შემფასებელი ხდება. „ირიბი აღნიშვნა მთავარი განმასხვავებელი თვისებაა ევფემიისა-ასოციაციური კავშირები დენოტანტებსშორის გამოიხატება ფსიქოლოგიურ ასპექტში, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა ტაბუდადებულია და დაკავშირებულია დენოტანტთან, რომელიც ქმნის ასოციაციებს. ამ უკანასკნელის არსებობა აუცილებელი პირობაა." (ა.მ.კაცევი1981:140-146).

ამგვარად, ევფემერული გამოთქმების ორგვარობა შესანიშნავი სემანტიკური ბაზაა სასურველი გამოსახატავი ეფექტის მისაღწევად. ევფემერული გამოთქმების პარადოქსალურ თვისებად ითვლება ის, რომ მიუხედავად გამოხატვის დადებითი ეფექტისა, ტერმინის შიდა სტრუქტურის მხრივ, რომელიც ევფემერული ტერმინის რანგშია, ადგილი აქვს საპირისპირო პროცესს. დღესდღეობით ინგლისურ ენაში 50-ზე მეტი ტერმინია ნარკომანთა აღსანიშნავად, ასევე მასთან დაკავშირებულ ნარკოტოქსა და ზემოქმედებაზე. მაგ.: trippy, spaced - stupefied or dazed by a narcotic; sunshine pill - a yellow or orange tablet containing the hallucinogenic drug LSD.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული რიგი ტერმინები ნარკომანიის ნომინაციისათვის - head, smack-head, pill-head, grass-hopper, acidhead/a-head, adam, IV

drug user, drug abuser, drug addict (D.A./A.D.), drugdependent, abuser, narcotic addict, substance abuser, drug user, narcotic user. სამედიცინო დარგში ახალ ევფემერულ ტერმინთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიტყვების კომბინაციებს. ამ შემთხვევაში გამოხატვის დადებითი პრაგმატული ეფექტი მიიღწევამასში შემავალ სიტყვათა დადებითი სემანტიკით. 70-იან წლებში დაიწყო სიტყვა strike-ს მოხმარება სამედიცინო ტერმინოლოგიურ ფრაზებში - surgical strike, რაც ახალ ტერმინოლოგიური სიტყვათა კომბინაციაა, რომელმაც პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. "This electronic super technology lends itself to a specific type of offensive called "surgical strike". In a surgical strike you wipe out your target with great precisionavoiding any damage to nearby non-military installations" (ბ.ი. ზაბოტკინა 1989:93). აღნიშნულ შემთხვევაში დადებითი პრაგმატული ეფექტი მიიღწევა ტერმინ - surgical-ის ძირითადი მნიშვნელობის გამოყენებით, რომელიც დადებითი ასოციაციის მქონეა. ამგვარად, სამედიცინო დარგში ახალი ევფემერული ლექსიკის წარმოქმნა ხშირად განპირობებულია პრაგმატული პრინციპით, დაარეგულიროს აუდიტორიაზე ზემოქმედება. სამედიცინო დარგში ევფემერული ტერმინების წარმოება ნაკარნახევია პაციენტთა სულიერი წონასწორობის შენარჩუნების მიზნით. ამ მოსაზრებით შექმნილევფემერულ გამოთქმებში შეფარულია დაავადების რეალური დასახელება - Big C (წარმოიშვა აბრევიატურა Ca-ს ანალოგიისაგან) - cancer, STD (sexually transmitted disease) და social diseases ნაცვლად-venereal diseases, mind illness ნაცვლად-psychotic illness, contact და subject ნაცვლად patient-სა ან infected person.

ამგვარად, ევფემერული ტერმინები სამედიცინო ტერმინოლოგიაში რიგი სოციალურ-პრაგმატული მიზეზების გამოჩნდებიან, კერძოდ: 1) თავაზიანობის პრინციპიდან გამომდინარე (ევფემიზმები, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა გონებრივი თუ ფიზიკური ნაკლის სხვადასხვა სახეს); 2) ტაბუდადებულ დასახელებათა პრინციპიდან (სიკვდილის ან მძიმე დაავადებათა დასახელების შესაცვლელად).

ამ ეტაპზე ზოგიერთი პოლისემიური მოდელი შეიძლება სინონიმური გახდეს ერთი რომელიმე სემანტიკური მიმართულებით. მედიცინის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს სწეულებათა დაზუსტება და სიმპტომების ახალი თვისებების გამოყოფა. ეს კი აისახება ისეთ ენობრივ ფორმაზე, როგორიცაა სინონიმები, რომლებიც აქტიური ენობრივი საშუალებაა ახალი სახელდებების დასაფიქსირებლად. bioassay = bioanalysis =

bioprobe = biotest - ბიოლოგიური ანალიზი; nicotinic acid = niacin = vitamin PP - ნიკოტინ მჟავა; mode = type = kind = manner = way = course of action = shape - სახე, მოქმედება, ფორმა; alternative medicine = unconventional medicine alternative/ unconventional therapeutic practices = alternative/ unconventional techniques. "Alternative Medicine, also called unconventional medicine, therapeutic practices, techniques, and beliefs that are outside the realm of mainstream Western health care. Alternative medicine emphasizes therapies that improve quality of life, prevent disease, and address conditions that conventional medicine has limited success in curing, such as chronic back pain and certain cancers (Encarta, 1996). But since at least the early 1950s, alternative has been overused in official jargon as a substitute for "other" or "new", perhaps by extension from the phrase alternative accommodation. And people avail themselves of alternative medicine" (ინგლისური ენის სინონიმების ლექსიკონი 1990, გვ. 32). "*Radionuclides (radioisotopes)* have been used with success as diagnostic aids in medicine" (D.E. Chabner, 1996, p.715).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ტერმინოლოგიაში სინონიმებია სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ტერმინოლოგიური სინონიმები მონაწილეობენ სტილის განახლება-განვითარებაში და საგნებს და მოვლენებს, რომლებზეც საუბარია, უფრო მეტად მრავალმხრივ თვისებებს ანიჭებენ.

სინონიმები ადამიანის გონებაზე შემეცნებითად აისახებიან, ნებისმიერ მატერიალურ ობიექტს აქვს მრავალფეროვანი მახასიათებლები. სინონიმია ასახავს ადამიანის აზროვნების ზოგად შემეცნებით და შემოქმედებით უნარს.

ნებისმიერ მატერიალურ ობიექტს აქვს უსაზღვროდ მრავალფეროვანი მახასიათებლები. ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვა კუთხით აღქმას განაპირობებს რამდენიმე სხვადასხვა დასახელების წარმოქმნა, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვა თავისებურებით. ამიტომაც, თუ სინონიმი არ გამოიყენება, ეს იმის გამო მოხდება, რომ ის არ შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნათა ნორმებს და არა იმიტომ, რომ სინონიმია. მედიცინაში გარკვეულ სიტყვებს ახასიათებთ პრაგმატული ვარიაციულობა, ამ მხრივ დიდი პოტენციალით გამოირჩევა box - ყუთი. პალატა. მას მედიკოსები ჟარგონულადაც კი ხმარობენ, როგორც to die -ს მნიშვნელობით. ამგვარად გამოიყენება bean – the kidneys - თირკმელები. Bingo – პაციენტი მრავლობითი ჩივილებით.

ცვლილებები ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიურ სინონიმურ ჯგუფებში დაკავშირებულია ისეთ ტენდენციებთან, როგორებიცაა დიფერენციაცია, ენობრივი სტრუქტურის გართულება და გამდიდრება. სამედიცინო ტერმინოლოგიის სინონიმური ურთიერთობების განსხვავებასხვა ტერმინოლოგიური სისტემების სპეციფიკისაგან, დაკავშირებულია იმასთან, რომ „ტერმინთა მოდელები იმენენ სინონიმებს სინქრონულად და არა ცალკეული სიტყვები.” (ვ. ს. გუსტიანსკაია 1998:28). ხშირად მედიცინის ობიექტი ხდება ცოცხალი მასალა, რომელიც ნაწილობრივ ექვემდებარება ტიპიზაციასა და უნიფიკაციას. ამიტომაც ინგლისურენოვან სამედიცინო ლექსიკაში ტერმინოლოგიური სინონიმები ჭარბობენ. სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიაში საკუთარი სახელები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ასევე არის სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ნომინაციათა მასალა საკმაოდ ვრცელია და სინქრონულ-დიაქრონულ მიდგომას მოითხოვს.

რიგი სამედიცინო ტერმინებისა იქმნება იმ პიროვნებათა გვარსახელების პატივსაცემად, რომლებმაც კონკრეტულ სფეროში გარკვეული წვლილი შეიტანეს. ასევე აღმოაჩინეს გარკვეული დაავადებები ან მკურნალობის ახალი საშუალებები. მაგ.: ალც ჰაიმერის დაავადება, რენტგენი.

„ახალ ტერმინს, რომელიც საკუთარი სახელის ბაზაზე იქმნება, ცნებასთან გაძლიერებული კავშირიაქვს, შეესაბამება ობიექტის კლასს და ამყარებს პირდაპირ კავშირს თითოეულ კონკრეტულ ობიექტთან”(ლ.ს.რუდინსკაია 1997:37).

3000-ზე მეტმა გამოკვლეული სამედიცინო ტერმინებისა და ტერმინოლოგიური სიტყვათკომბინაციებისა აჩვენა, რომ ეპონიმური ტერმინები შექმნილია საკუთარ სახელთა ბაზაზე და შეადგენენ 10,2%-ს. ეს ტერმინები, თავის მხრივ, იყოფიან ანთროპონიმებად, ანუ ადამიანების გვარსახელების აღმნიშვნელად, და ტოპონიმებად, ანუ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელად.

ეპონიმიაშ დაიტოვა რეალური სახელები, რამდენადაც აქ ფიგურირებს მეცნიერთა გვარები, რომლებიც აღბეჭდილია ან მათ მიერ შექმნილ ტერმინებში ან სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა მოსაგონრად, რომლებმაც გამოავლინეს ესა თუ ის დაავადება, დანერგეს სხვადასხვა ინსტრუმენტი, ტექნიკური მოწყობილობა თუ მკურნალობის მეთოდი. ესენია ანთროპონიზმები. მათი გამოყენება შუა საუკუნეებიდან დაიწყო. ანთროპონიზმმა შეიძლება ნებისმიერი ადგილი დაიკავოს ბინარულ

ტერმინში და შესაძლებელია გაფორმდეს როგორც წყარო- სახელი.(ვ.ს. გუსტინსკაია 1998:23).

1. დაავადებათა და სინდრომთა დასახელებანია: Lou Gehrig disease - ლუი ჰერიგის დაავადება, Creutzfeld-Jacob disease - კრეცფელდ-იაკობის დაავადება (CJD), new variant Creutzfeld-Jacob disease (nvCJD) - კრეცფელდ-იაკობის დაავადების ახალი ვარიანტი, Albers-Schonberg disease (osteopetrosis = marble-bonedisease) - ოსტეოპოროზი, Kaposi's sarcoma -კაპოსის სარკომა, Epstein-Barr virus - ეპშტეინის ვირუსი - ბარ (ჰერპესის ვირუსი), Albright's disease -ოლბრაიტის დაავადება, Pautrier's abscess - პოტრიეს მიკროაბსცესი, Hegglin's anomaly - ჰელინგის ანომალია, Fanconi's syndrome -ფანკონის სინდრომი.

2. მკურნალობისა და კვლევების მეთოდების დასახელებანია: Bowie-Dickmethod, Wieson test, Sapoukov technique, Dowson method. Southern blot analysis - საუზერნ ბლოტინგი (Southern E.M. -ამერიკელი ბიოქომიკოსი), Halstead-ReitanBattery - ჰოლსტედ-რეიტანის მეთოდიკა, Krebs cycle - კრეზის ციკლი, Allen test - ალენის სინჯი, Casarett and Doull's toxicology - ტოქსიკოლოგია კასარეტ დოულის მიხედვით .

3. იარაღებისა და აღჭურვილობათა დასახელებანია: Geiger counter (aninstrument used to measure radioactive rays and particles (alpha, beta, and gammarays) emitted from radioactive substances) -გეიგერის მრიცხველი, Sade's prosthesis -შადეს პროტეზი, roentgenograph - რენტგენოგრაფი, Webster Needle Holder -ვებსტერის ნემსმჭერი.

4. ნივთიერებათა დასახელებებანია: Benedict's reagent, Langerhans cells - ლანგერჰანსის უჯრედები, Bordet-Gengou bacillus -ბორდე ჟენგის ჩხირი, Lafora bodies - როგორც წესი ეპონიმური ტერმინები ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას არ იცვლებიან."N-cell adhesion molecule is also found in Leydig cells of the testis in the thyroid and in smooth muscle cells of the small intestines, colon and bladder" (ICN Pharmaceuticals..). ეპონიმური ტერმინების წარმოქმნა შესაძლოა გახდეს ახალი ლექსიკის წარმოების ბაზა. რაც თავის მხრივ,ზრდისტერმინთა რაოდენობაც. მაგალითად:roentgenism - რენტგენიზმი, roentgenogram - რენტგენის სურათი, roentgenograph - რენტგენოგრაფი, roentgenography -რენტგენოგრაფია, roentgenologist - რენტგენოლოგი, roentgenology - რენტგენოლოგია. აღნიშნული ტერმინები დამკვიდრდა. მაგ.: roentgenography - რენტგენოგრაფია, აღნიშნული ტერმინები დამკვიდრდა x-ray სხივების აღმომჩენის -

Wilhelm Roentgen - ის პატივსაცემად. Wolff-Parkinson-White syndrome'- პარკინსონის დაავადება; 'Basedow's disease' ანუ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლა; Alzheimer disease -ალც ჰაიმერის დაავადება; Eustachian Tubes -ეუსტახის მილი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინაში შეინიშნება ტენდენცია დაავადებათა და ნივთიერებათა სახელდებისათვის პირველი გამოყენებულ იქნეს იმ ადამიანების გვარების ასო-ბგერისა, რომელნიც ამ სწეულებებით იყვნენ დაავადებულნი.

1958 წელს ჯერალდ და დაიმოლდმა ანემიით დაავადებულს აღმოუჩინეს ჰემოგლობინისახალი კომპონენტი, რომელსაც ეწოდა Lepore - ლეპორი-ავადმყოფის გვარის გამო. დაავადების ახალ სახეს კი ეწოდა HemoglobinLepore thalassaemia.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება შემდეგ მაგალითებში: Duncan's disease - ეწოდა დაავადებული ბიჭის სახელის მიხედვით, რომელსაც პირველს აღმოუჩინეს ეს დაავადება. X-ქრომოსომის მემკვიდრული შესწავლა, HeLa cells - ეს არის საშვილოსნოს ყელის სისმსივნური უჯრედის პირველი სახეობა, რომელიც პაციენტ Helene Lane - აღმოუჩინეს პირველად და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.ესტერმინები მიეკუთვნებიან ხელოვნურად შექმნილ ნეოლოგიზმებს. ეპონიმურმა ტერმინებისა და ტერმინოლოგიური კომბინაციების ანალიზმა ცხადყო, რომ პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება ართულებს კომუნიკაციის პროცესს, რაც ცხადყოფს, რომ ეპონიმური ტერმინების გამოყენების სიხშირე გაიზარდა. „ეპონიმამ მედიცინა ახალი ტერმინებით გაამდიდრა და ამით ისტორიული როლი ითამაშა სამედიცინო ტერმინოლოგიაში რითაც შესაძლებელი გახდა ტერმინთა გამარტივება" (ვ. ს. გუსტიანსკინა 1998: 24).

ახალი სამედიცინო ტერმინი თუ ახალი სამედიცინო შესიტყვება წარმოადგენს სიტყვათა ერთობლიობას ფორმისა თუ შინაარსის მიხედვით, ან ფორმისა და შინაარსისა ერთად. ზოგადად სამედიცინო ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად: 1) ნეოლოგიზმები, 2) ტრანსნომინაცია, 3) სემანტიკური ინოვაციები. თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურაში არის სხვადასხვა მეთოდით მიღებული ტერმინები, რომლებიც სამედიცინო ლექსიკას ამდიდრებენ მეტაფორული და მეტონომიური ტერმინწარმოების, ზოგადსალიტერატუროენის ტერმინოლოგიზაციის გამოყენებით, ასევე სინონიმით, კონვერსიითა და აბრევიაციის მეშვეობით.

თავისთავად სამედიცინო ლექსიკა არ წარმოადგენს ჩაკეტილ შრეს ლექსიკურ სისტემაში. სამედიცინო ტერმინთა რაოდენობა იზრდება ზოგადსაღიერთაგრო ლექსიკის ხარჯზე. მასთან ასოცირდება ლექსიკური ფენების დიფერენცია და ინტეგრაცია, აგრეთვე ლექსიკურ ერთეულთა სპეციალიზაცია. ზოგად საღიერთაგრო სიტყვათა ტერმინოლოგიზაცია, ის პრობლემაა, რომელიც ხორციელდება გამოსაყენებელი სფეროს ფარგლების შევიწროებით (ამ შემთხვევაში - სამედიცინო ტერმინოლოგიის), გარდაქმნის სიტყვას სპეციალური ცნების გამომხატველად, რომელსაც აქვს დეფინიციის ფუნქცია. ტერმინოლოგიზაცია ერთი დაიმავე სიტყვის ის თვისებაა, რომელმაც შეიძლება შეიძინოს როგორც ტერმინოლოგიური, ისე არატერმინოლოგიური ფუნქცია, უფრო სწორად, ზოგადსაღიერთაგრო სიტყვის სპეციალური ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ ენაში შეინიშნება კომპოზიციურ სემანტიკურ სტრუქტურათა ზრდის ტენდენცია. მე-20 საუკუნის ახალწარმოებული ტერმინების დაახლოებით 90% რთული ტერმინები და ტერმინოლოგიური ფრაზებია. ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინებისა თუ სხვადასხვა სახის სამედიცინო ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნისას წარმოიქმნება რიგი პრობლემები, რომლებიც თარგმანში გაუგებრობასა და ორაზროვნებას იწვევს. რამდენადაც ინგლისური ენა ქართულთან შედარებით გაცილებით პოლისემანტიკურია და მთარგმნელისაგან მოითხოვს აღნიშნულ დარგში არსებული ტერმინებისა და ფრაზეოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას.

კატერინა რაისი ტექსტების კლასიფიკაციას გვთავაზობს პრაგმატული მიმართულებით - გამოხატვის, შინაარსისა და გამოყენების კუთხით (რაისი 1978: 214). ზოგადად თეორიული საფუძვლიდან გამომდინარე, სპეციალური ტერმინოლოგიის მსგავსი დიფერენცირებაც მიღებულია.

სამედიცინო ტერმინოლოგიის თარგმნასა და მედიცინის ტერმინოლოგიური სისტემების ქართულ ეკვივალენტებთან თანაფარდობის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ევროპული ან თუნდაც ამერიკული რეალიები საკმაოდ განსხვავებულია ქართული რეალიებისგან მრავალი კუთხით. აქედან გამომდინარე ბუნებრივია სამედიცინო მრავალი კონცეფციისთვის დენოტანტის არარსებობა.

თავი 3.

ინგლისური ენის დომინანტური სტატუსი სხადასხვა სახის სამედიცინო
თარგმანში და თანამედროვე სამედიცინო კომუნიკაციაში

§3.1 ESP - დარგობრივი ინგლისური ენა; EMP - ინგლისური ენა
მედიცინაში

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დააჩქარა ინგლისური ენის საერთაშორისო საკომუნიკაციო ენად ჩამოყალიბების პროცესი. რაც თავისთავად მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის სწრაფმა ზრდამ განაპირობა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ინგლისური ენის ახალი განშტოების ე. წ. დარგობრივი ინგლისური ენა - (ESP) გამოყოფა, ჩამოყალიბება, რომლის როლი 1960 წლიდან თანდათანობით იზრდებოდა, ამჟამად კი მას ინგლისური ენის სწავლებაში ძირითადი როლი აკისრია (Hutchinson; Waters 1987). მსოფლიო მასშტაბით მეცნიერთა 2/3 ინფორმაციას ინგლისურად კითხულობს და ეცნობა. on-line ინფორმაციის დაახლოებით 80% ინგლისურადაა, 80% ინტერნეტ მომხმარებელი საკომუნიკაციოდ იყენებს ინგლისურს (Crystal, 1995; Graddol 1997). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ EMP-ის საკითხებისადმი მიძღვნილი ბიულეტენი (ინგლისური სამედიცინო მიზნით) პირველად 1987 წელს კუვეიტის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნდა ამავე სახელწოდებით - EMP. ნაიჯელ ბრუსის რედაქტირებით.

ESP - ს განმარტება იმდენად პრობლემატური აღმოჩნდა მკვლევრებისათვის, რომ ერთი მარტივი და პირდაპირი განსაზღვრების მისადაგება არცთუ ისე იოლი ამოცანა აღმოჩნდა (Stevens 1987:109). ზოგადად ის უკავშირდება რიგ ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სპეციფიკურ სფეროში ინგლისური ენის შესწავლით, თავიანთი პროფესიული კარიერით.

მკვლევართა უმეტესობის აზრით, დარგობრივ - პროფესიული ინგლისური ენის მიზანია განუმარტოს შემსწავლელებს კონკრეტული დისციპლინის სპეციფიკური მოთხოვნები. 1987 წელს ჰატჩინსონი და ვოტერსი შეეცადნენ მხოლოდ ისეთი განმარტება ჩამოეყალიბებინათ, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებადი იქნებოდა, რამდენადაც მათ სწამდათ, რომ ESP უფრო პროცესისადმი მიდგომაა, ვიდრე პროდუქტი (შედეგი). სხვა მკვლევრებმა (Flowerdew and Peacock, 2001; Stevens, 1987) სცადეს სხვაგვარად განემარტათ ESP-ის თავისებურებანი. ESP იყენებს (GL)-ის სხვადასხვა მეთოდოლოგიას, რამდენადაც მასში თავისი სპეციფიკური მსჯელობით, სემანტიკით სინტაქსით და ა.შ. ყურადღება გამახვილებულია კონკრეტული სფეროს საქმიანობაზე, მკვლევართა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ESP გამიზნულია სპეციფიკური დისციპლინის შემსწავლელთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა განმარტება ერთიანდება ორი სფეროს ირგვლივ. ეს არის

მონაწილეთა ან შემსწავლელთა მოთხოვნები (მაგ. მედიალური ინგლისური) და ენაზე, რომელიც რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტში გამოიყენება(მაგ. საავადმყოფო). ESP-ის ეს ორი თვისება მჭიდროდ უკავშირდება ESP-ის სწავლების ყოველ ასპექტს,რათა მიღწეული იქნეს პრაქტიკული შედეგი.

მედიცინის, ისე როგორც ნებისმიერი სხვა სპეციფიკური დარგისენა, განსხვავდება საერთო სასაუბროსაგან. თუმცა, როგორც ნებისმიერი სხვა დარგების ენა ისიც (LSP) დაფუძნებულია(GL)-ზე.

J. C. Sager-ითავის წიგნში, A Practical course in terminology processing (1990), გამოყოფს ორ ენობრივ სტილს, კერძოდ: ენა სპეცმიზნებისათვის და ენა ზოგადი მიზნებისათვის. სპეცმიზნებისთვის განკუთვნილი ენა გამოიყენება სპეცკონტექსტში, ჩვეულებრივ, როდესაც ექსპერტები საუბრობენ რაიმე სპეციფიკური დარგის ირგვლივ. ხოლო, მეორე მხრივ, ენა ზოგადი მიზნებისათვის ყოველდღიურ საუბარში გამოიყენება.

სპეც. ტექსტებს ეხება ასევე Sauer - ის (1990) წიგნი, „Vak, Taal, Kennis“, რომელიც სპეცტექსტების თარგმნის შესახებ ყველაზე ცნობილ ნაშრომად ითვლება. მასში საუბარია, თუ საიდან იღებს სათავეს (LSP), ანუ ენა სპეც. მიზნებისათვის და რა ზეგავლენას ახდენს ის ტექსტის სტატუსზე. გარდა ამისა ის მოიცავს მთელ რიგ თემებს დარგობრივი ენის შესახებ. ასევე უღრმავდება განსხვავებებს LSP - სა და GL - ს შორის და განმარტავს ორივე მათგანის საჭიროებას. LSP განსხვავებულია, რადგანაც საერთო ენა შერეულია სპეციფიკურ სიტყვებთან და სხვადასხვა ფრაზეოლოგიებთან. ზოგიერთი შეიძლება თვლის, რომ ამგვარი ტექსტი აუცილებელია განიმარტოს, რამდენადაც ისინი მხოლოდ პროფესიონალებისათვის არის გასაგები, მაგრამ LSP ყოველთვის დაფუძნებულია GL - ზე. ასე რომ, სავარაუდოდ, ის ძირითადად მკითხველისათვის გასაგებია. მეტიც LSP - სა და GL - ს შორის გაუცხოება უმეტესად არამიზანმიმართულია. თუ რატომ, ის შემდეგნაირად განმარტავს. ავტორს მხედველობაში ჰყავს სამიზნე აუდიტორია და ცდილობს, თავისი ნაშრომი მოარგოს მათ. რაც უფრო ახალგაზრდააუდიტორია, წინადადებები მით უფრო მარტივია და პირიქით, წინადადებები რთულდება შესაბამისი აუდიტორიის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, თუ ავიღებთ ისეთ დარგს, როგორიც მაგ. კვანტური ფიზიკაა, რომელიც გამიზნულია ექსპერტებისათვის, ამგვარ ტექსტებში გვხვდება გრძელი წინადადებები,

ხშირად გრამატიკულად გაუმართავი და სტილისტურად ღარიბი. პირველ მაგალითში მთავარია შინაარსი, ხოლო მეორეში კი - გზავნილი (ინფორმაცია), ამდენად, მეორე შემთხვევაში ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი. ამიტომ ავტორი სტილისტურ ხერხებს ნაკლებად იყენებს. სამედიცინო ტექსტებში კი ეს განსხვავებები ცოტა სხვაგვარადაა. თუ კონკრეტულ ტექსტს წინ არ უძღვის აუდიტორიისგარკვეული ცოდნა (ინფორმირებულობა), ასეთ შემთხვევაში ავტორის სტილის გაანალიზებით მაინც იქნება გარკვეული აქცენტები გაკეთებული და მითითებული და ამგვარად იქნება ის დაყვანილი მკითხველამდე. მთავარი ფაქტორი აუდიტორიაა და ის ახდენს გავლენას ტექსტში გამოყენებულ ენაზე. სამიზნე აუდიტორია შეიძლება დაიყოს 3 მთავარ ჯგუფად: 1) არასპეციალისტი. 2) სტუდენტი. 3) ექსპერტი.

თითოეული მათგანი მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია განსახილველი საგნის წინასწარ ცოდნაზე.

ავტორმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მკითხველის კატეგორია და ამის გათვალისწინებით წეროს. სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანები განსხვავებულად იქცევიან და საუბრობენ. მათი ცოდნის ტიპი განისაზღვრება, თუ როგორ მიმართებაში არიან ისინი საგანთან. ეს დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რომლებშიც ისინი აღმოჩნდებიან და სასაუბრო კონტექსტზე. მოსაუბრის მიერ გამოყენებული საუბრის მანერა განსაზღვრავს ფორმალობის დონესა და ქმედებას. ცნობილი ეგვიპტელი პროფესორი, თარგმანმცოდნე, მ. ბეიკერი ამას უწოდებს ენობრივ ნუსხას, რომელიც ეხება ენის ნაირსახეობას, კონკრეტულ სპეციფიკურ სიტუაციაში მყოფი მოსაუბრე რომ ირჩევს.

ლენკამპი (1988;29) ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ტერმინები, როგორებიცაა *aids* და *impact* გარკვეული მიზეზების გამო საკმაოდ ფამილარულია, თუმცა ეს არ გულისხმობს მათ სიღრმისეულ ცოდნას. ამდენად, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის ექსპერტები ხმარობენ იმ ტერმინებს, რომლებიც მათთვის სპეციფიური მნიშვნელობის მატარებელია.

პირსონი (1998:36) აღნიშნავს, რომ ექიმები ერთმანეთთან საუბრისას ხმარობენ ისეთ ტერმინებს, რომლებიც ჩვეულებრივი რიგითი ადამიანისათვის გაუგებარია. ისინი საუბარში იყენებენ ტერმინოლოგიას, რომელიც გარკვეული ლექსიკური ერთეულებით შემოიფარგლება. ასევე იმ დაავადებების სიმპტომების აღმნიშვნელი ტერმინებით,

რომლებიც ზოგადად უკვე დამკვიდრებულია ენაში ამ დარგის ირგვლივ მათი ხშირი გამოყენებითა თუ საუბრებით ტელევიზიასა და მასმედიაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ AIDS (შიდსი), რომელიც შემოვიდა და დამკვიდრდა, ზოგადად, როგორც ბევრ სხვა ენაში, ასევე ქართულ სამედიცინო ლექსიკაშიც. ეს განაპირობა საინფორმაციო საშუალებათა ფართოდ გამოყენებამ, ასევე ჯანდაცვის დოკუმენტაციისა და ახალი მიღწევების დანერგვამ, რაც იწვევს ზოგად ენაში ისეთი ტერმინოლოგიური ელემენტის შემოჭრას, როგორიცაა ე. წ. (ESP) ანუ ენასპეციალური მიზნებისათვის. განსხვავებული აზრი არსებობს ESP-ის ტიპოლოგიაზე. მაგალითად, დ. კარტერი ESP - ის 3 ტიპს გამოყოფს:

- ინგლისური, როგორც შეზღუდული (შემოფარგლული) ენა, მაგალითად, ოფიციატების მიერ ან ტრანსპორტის კონტროლიორების მიერ გამოყენებული ინგლისური;
- ინგლისური აკადემიური და სამუშაო მიზნებისათვის.
- ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის.

Hutchinson და Waters ESP-ის კლასიფიკაციის უფრო რთულ სქემას გვთავაზობენ: მეცნიერულ - ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა სპეციალური ენის შექმნა. ინგლისურად უწოდებენ: English for Specific purposes an ESP. ინგლისურს სპეციალური მიზნებისათვის(ESP) აქვს შემდეგი მახასიათებლები:

ძირითადი მახასიათებლები:

ESP-ის დანიშნულებაა დააკმაყოფილოს შემსწავლელის სპეციფიკური მოთხოვნა;

ESP იყენებს იმ დისციპლინის მოღვაწეობას და მეთოდებს, რომელსაც ემსახურება;

ESP კონცენტრირებულია ენობრივ უნარ-ჩვევების (გრამატიკულსა და ლექსიკურ) განხილვაზე და ამ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სათანადო ჟანრებზე.

ცვალებადი მახასიათებლები:

ESP იქმნება და დაკავშირებულია სპეციალურ დისციპლინებთან;

ESP-იმ სპეციფიკურ სასწავლო სიტუაციაში შეიძლება გამოიყენოს მეთოდებს, რომელიც განსხვავებულია ზოგადი ინგლისური ენის მეთოდისაგან;

ESP ძირითადად იქმნება როგორც სტუდენტებისათვის, ისე კვლევითი ინსტიტუტისა და პროფესიული სიტუაციებისათვის.

ESPძირითადადგამიზნულია საშუალო ან მაღალი დონის ენის შემსწავლელთათვის (სტუდენტებისათვის).

ESP-ის კურსის უმეტესი ნაწილი შეიცავს ენის ძირითადი ცოდნის სისტემას, მაგრამ შესაძლებელია მისი გამოყენება დამწყებ შემსწავლელთათვის (1998).

დევიდ კარტერმა გამოყო ESP-ის 3 ტიპი:

ინგლისური, როგორც შეზღუდული ენა (restricted language);

ინგლისური აკადემიური და სამუშაო მიზნებისათვის.

ინგლისური სპეციალური თემებისათვის.

კარტერის მიერ გამოყოფილი ESP-ის მეორე ტიპი, ინგლისური აკადემიური და სამუშაო მიზნებისათვის, Hutchinson და Waters- ის ნაშრომში იყოფა სამ განშტოებად:

ინგლისური მეცნიერებისა და ტექნოლოგიისათვის (EST);

ინგლისური ბიზნესისა და ეკონომიკისათვის (EBE);


ინგლისური საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის (ESS);

სამედიცინო ინგლისური ენა თავისათავე წარმოადგენს დარგობრივ - პროფესიული ინგლისური ენის ერთერთ განშტოებას, (EMP), რომელსაც საკუთარი ტერმინოლოგია გააჩნია. სამედიცინო ლექსიკა კონკრეტული ტერმინოლოგიაა, რომლის კომუნიკაციური მიზანია ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ეფექტურად უნდა იქნეს მიღწეული. EMP კურსი აუცილებელია ფარავდეს არა მხოლოდ ლინგვისტურ კომუნიკაციურ მხარეს თემატურად, არამედ სამედიცინო თემასთან ასოცირებული შინაარსის სფეროებს, როგორიცაა პაციენტსა და ექიმს შორის, ექიმებსა და ექთნებს შორის ურთიერთობა.

გილისი და ვედიინდი თავიანთ ნაშრომში (medical terminology systems 1983;) ამტკიცებდნენ, რომ სამედიცინო ლექსიკა კონკრეტული ტერმინოლოგიაა, რომლის კომუნიკაციური მიზანია, მაგ. დიაგნოზი ჯანდაცვის სფეროში, რომელიც სწრაფად და ეფექტურად უნდა იქნეს მიღწეული. იანგი თვლის, რომ EMP ტერმინოლოგია უმთავრესად შედგება პრეფიქსებისაგან და აფიქსებისაგან, რაც მხედველობაში მისაღებია EMP კურსის გაანალიზებისას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მსოფლიო მასშტაბით სტაბილურად იზრდება EMP, სპეციფიკურ კომუნიკაციებში, გრამატიკაში და EMP საუბრებში. ამ ყველაფერმა მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დაწვრილებით შეესწავლათ ის მასალა, რომელიც სახელმძღვანელოებში უნდა

შესულიყო. დისერტაციაში ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიას, როგორც სალიტერატურო ინგლისური ენის ქვესისტემას. რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განპირობებულია ინგლისური ენის როლით მედიცინის თანამედროვე ეტაპზე. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ხშირია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ადამიანებს, რომელთაც მიზეზთა გამო სხვადასხვა დაავადებებთან უხდებათ შეხება, ესაჭიროებათ იმ კონკრეტული ტერმინების გაგება, რომლებთანაც მათი დაავადება ასოცირდება. ეს, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს გარკვეული სტანდარტების დაცვით. ამისათვის საჭიროა აღმოიფხვრას ორაზროვნება, ბურუსი და დაბნეულობა იმ ჯანდაცვისა და მედიკოს პროფესიონალებში, რომელთაც ევალებათ, ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაავრცელონ საზოგადოებისათვის პოპულარული ენით და გადმოსცენ მასმედიის საშუალებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგადი ენის ლექსიკონებში არის ენაში დამკვიდრებული სპეც. ტერმინები, რომლებიც ძალზედ ხშირად იხმარება. ამის მაგალითია ისეთი ტერმინები, როგორიცაა HIV/AIDS. ასევე TB,STD'S მკერდის კიბო, მალარია და ა. შ. ,რომლებიც უკვე მიჩნეულნი არიან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ტერმინებად.



§3.2. მედიცინის ენა. დარგობრივი თარგმანი

მე-20 საუკუნე გამოირჩევა მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებით და პროდუქტიულობით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფმა მეცნიერულმა პროგრესმა სამედიცინო, ისევე როგორც ლიტერატურულ თარგმანს, მნიშვნელოვანი პრაგმატული დატვირთვა მიანიჭა.

თანამედროვე მედიცინა მეცნიერების სხვადასხვა დარგთა შორის ერთ-ერთი განვითარებული და პროდუქტიულია. როგორც ზემოთ ითქვა, მედიცინის ენა ეფუძნება ლათინური და ბერძნული ენებიდან შემოსულ საფუძვლიანად შესწავლილ ტერმინოლოგიას, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: ძირი, პრეფიქსი და სუფიქსი. სამედიცინო ტერმინოლოგია უძველესი დროიდან იღებს სათავეს და სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა. მე-20 საუკუნე თარგმანის საუკუნედ ითვლება, რაც დაკავშირებულია უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადის სწრაფ გავრცელებასთან და მისი ათვისებისა და გამოყენების აუცილებლობასთან. როგორც ლატიშევი და სემიონოვი აღნიშნავენ, „საინფორმაციო ნაკადის გავრცელება და ადეკვატური გამოყენება შეუძლებელია თარგმანის, ჩვენ შემთხვევაში, სამეცნიერო (სამედიცინო) ტექსტების თარგმანისგარეშე“. (ლატიშევი, სემიონოვი 2003:4)

მეცნიერულმა რევოლუციამ სამედიცინო მეცნიერების პროგრესიგამოიწვია, რომელიც დამახასიათებელი იყო ახალი მეცნიერული დისციპლინებისა და ფუნდამენტური სამეცნიერო მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ, მედიცინა განსაკუთრებით საინტერესო და ყურადსაღებია. დღესდღეობით სამედიცინო სივრცეში ინგლისური ენა საერთაშორისო, დომინანტ ენად იქცა. ხშირად ლინგვისტიკაში უფრო ადვილი და მოსახერხებელია ახალი, უცხო ტერმინის სესხება, ვიდრე მისი სათანადო შესატყვისის მოძებნა. მიუხედავად თავისი ხანგრძლივი ისტორიისა და მრავალსაუკუნოვანი ლათინურ - ბერძნული წარმოშობის ტერმინოლოგიისა, სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც შეიმჩნევა ინგლისური ენის ზეგავლენა. მედიცინაში ახალი ინორმაციის მოზღვავენამ თანამედროვე ეტაპზე განაპირობა ინგლისურენოვანი თარგმანების ბუმი აღნიშნულ დარგში. მედიცინის მიღწევები ინგლისურ ენაზე ვრცელდება, რომელიც თანამედროვე პეროდში საერთაშორისო ენადაა აღიარებული. ისევე როგორც იტალიური მიიჩნევა მუსიკის

ენად, ფრანგული - კერძების. მსოფლიოს მრავალ ენაში შევიდა ინგლისურენოვანი ტერმინები და ეს პროცესი ახლაც გრძელდება.

დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური, უკვე არსებული ლათინურ-ბერძნული ტერმინები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ინარჩუნებენ ძველ ფუძეს და ინგლისური პრეფიქსისა თუ სუფიქსით არის წარმოებული. იხვეწება, ვითარდება და ახლებური სახით ფორმირდება. მაგალითისათვის მოვიყვანო ტერმინებს ინგლისური დაბოლოებით: adaptation - ადაპტაცია; absorption - აბსორბცია (შეწოვა); activation - აქტივაცია; abortion - აბორტი; diagnostic - დიაგნოსტიკა; physician - ექიმი.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა სამეცნიერო სფერო. ახალი მიღწევები და მათი დანერგვის ტექნოლოგიები აუცილებელია ითარგმნოს სხვადასხვა ენაზე. სწორედ ეს უზრუნველყოფს საერთაშორისო მეცნიერების განვითარებას დასხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებსაძლევს თანამშრომლობის საშუალებას. სწორედ ეს გახდა თარგმანის სპეციალური დარგების შექმნის საფუძველი და მიზეზი. სამედიცინო ტექსტის თარგმნის დროს მთარგმნელი იყენებს სხვადასხვა ხერხს, მეთოდს, ლექსიკურ ერთეულებს, ტერმინებსა და წინადადების ტიპებს, რაც დამახასიათებელია სამედიცინო თარგმნის სპეციფიკისათვის. ბუნებრივია, შემოდის ახალი ტერმინები და ცნებები, რომლის ანალოგებიც სხვადასხვა ენაში არ არის და მოითხოვს სათანადო ტერმინოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ბუნებრივია, ვერც საქართველო აუვლის გვერდს გლობალურ პროცესებს, რასაც ახალი ტერმინების წარმოქმნა, შემოღინება ახალავს თან. სამედიცინო თარგმანი პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთან, და თარგმნისას, უპირველეს ყოვლისა, მისი ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს სწორედ პაციენტი, იქნება ეს სამედიცინო სტატიები, პრეპარატების ანოტაციები, კლინიკური დოკუმენტაცია თუ სხვ. რადგან ამ შემთხვევაში უშუალო მომხმარებელი პაციენტია, მედიცინაც და მედიკოსებიც მათ განკარგულებასა და სამსახურში არიან. მედიკოსები და ლინგვისტები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ერთსა და იმავე ტერმინსა თუ ტექსტს. თავიანთი შეხედულებისამებრ წარმოაჩენენ მათ მნიშვნელობას. ხაზს უსვამენ მათ თავისებურებებს და დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მათი თვალსაზრისია ყველაზე სწორი. ასეთივეა ლინგვისტური მოსაზრებაც.

ენა დინამიურია. მისი დინამიურობა კი განპირობებულია მასში ასახული რეალიების დინამიურობით.

§3.3.ინგლისური ენის ინტერფერენცია ქართულ სამედიცინო თარგმანში

თარგმანის ისტორიის შესწავლის მიხედვით, მედიცინის პროგრესის კვალდაკვალ, ბოლო წლების განმავლობაში იმატა სამედიცინო თარგმანების აუცილებლობამ. უცხო ენებიდან შემოსული და დამკვიდრებული ტერმინები დიდ ზეგავლენას ახდენს თარგმნის ხარისხზე, რაც პრობლემების წინაშე გვაყენებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მათი თავიდან აცილება. ანუ საჭირო ხდება ორიგინალი ტერმინების ქართული ანალოგებით ჩანაცვლება. თარგმანის ეს სახეობა გამოწვევებისა თუ სირთულეების წინაშე გვაყენებს. ეფექტურ სამედიცინო კომუნიკაციაში კონკრეტული ინფორმაციის ადრესატისათვის გადაცემა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია შეტყობინების ავტორის ინტენციის ადრესატამდე რაც შეიძლება სრულად მიტანაც, რაც სხვადასხვა ექსპრესიული მეთოდების, კერძოდ, შეტყობინებაში სათანადო ეკვივალენტების გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს. სამედიცინო თარგმანები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურებიან ამგვარი ტექსტები. ანუ რა ფუნქცია აკისრიათ მათ, იქნება ეს ინფორმაციული შინაარსის თუ სარეკლამო სახის ტექსტები. თუმცა ორივე ზემოაღნიშნული ურთიერთდამოკიდებული ან თანაბარი მნიშვნელობის მატარებელია. რა თქმა უნდა, ინფორმაცია მედიცინის წინსვლისა და განვითარების შესახებ სამედიცინო კომუნიკაციის მეშვეობით ხორციელდება. იკვეთება სხვადასხვა შინაარსის ტექსტები.

სამედიცინო ტექსტების დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად: 1) ტექსტები, რომელნიც განკუთვნილნი არიან მხოლოდ მედიკოსებისათვის (დანართი 3; 5) და 2) ტექსტები, რომლებიც განკუთვნილია ფართო მასებისათვის. (დანართი 4) აქედან გამომდინარე, გამოვყოფთ შემდეგი სახის ტექსტის თარგმანებს: რომელნიც განკუთვნილია მხოლოდ მედიკოსებისათვის და თარგმანები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებლისათვის.

ჩვენი დაკვირვებით, მათ შორის შემდეგი განსხვავებაა: თვითონ მედიკოსები თვლიან, რომ შიდა ინფორმაციული ტექსტი იმდენად არ საჭიროებს სტილისტურად გამართვას, რამდენადაც ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ტექსტები, რაც მისაღებად მიგვაჩნია, რამდენადაც ამგვარი ტექსტები მხოლოდ შიდა დარგის სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი და მათთვის სავალდებულო ენით, ანუ კლასიკური სამედიცინო ენითაა დაწერილი. საზოგადოებისათვის განკუთვნილი სამეცნიერო ტექსტი მკითხველს განსახილველად აწვდის ზოგად ინფორმაციას. ხოლო შიდა დარგის სპეციალისტებისთვის განკუთვნილი სამედიცინო ტექსტი პრაქტიკული დანიშნულების საბუთს წარმოადგენს, რომლის გამოყენებაც, კონკრეტულ სიტუაციაში, ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლებელია უკავშირდებოდეს რაიმე სამეცნიერო (სამედიცინო) სიახლის დანერგვას, რომელიც საჭიროებს შემდგომ კონსულტაციებსა თუ საერთო სამეცნიერო მოსაზრებათა ან გადაწყვეტილებათა შეჯერებას.

სამეცნიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელია მრავალი ტერმინის გამოყენება, სხვადასხვა აბრევიატურის გავრცელება, გარკვეული სინტაქსური კონსტრუქციების უპირატესობის წარმოჩენა და ზოგიერთი გრამატიკული კონსტრუქციის თარგმნის სპეციფიკურობა. სამეცნიერო ლიტერატურის ძირითადი თვისებებია მასალის მოწოდების კომპაქტურობა და სიზუსტე. მისთვის არაა დამახასიათებელი მოჭარბებული ემოციურობა, შედარებები, მეტაფორები, იუმორი და ირონია. (დანართი-1); (დანართი-5);

თარგმანის თვისებებზე საუბრის დროს, ხშირად გამოყოფენ ბუნებრივ ჟღერადობას სამიზნე ენაზე. ი. ვ. კრუპნოვის აზრით, საჭიროა “ორიგინალს შევხედოთ, როგორც ორიგინალურ მთლიანობას და არა როგორც ელემენტების მექანიკურ კომბინაციას. თარგმანის მიზანი არის არა მარტო ორიგინალის ელემენტებისა და სტრუქტურის გადმოცემა, არამედ მათი ფუნქციის გაგებაც, რაც მდგომარეობს მთარგმნელის მშობლიური ენის ისეთი ელემენტების და სტრუქტურების გამოყენებაში, რომლებიც წარმოდგება როგორც შემცვლელი და ეკვივალენტი (ანუ ეკვივალენტი როგორც სემანტიკური თვალსაზრისით, ასევე პრაგმატული გამიზნულობით) თანაბარი ფუნქციური აქტუალობითა და ეფექტით. აქედან გამომდინარე, ნათარგმნი ტექსტი უნდა ჟღერდეს ბუნებრივად. (ი. ვ. კრუპნოვი 1976:14)

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, თარგმანი არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური პროცესი. შესაბამისად, „მთარგმნელმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ ენა, რომელზეც ის თარგმნის, არამედ იმ ხალხის ეთნოგრაფია და კულტუროლოგია, რომელიც მიზან ენაზე საუბრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილი თარგმანის მიღება შეუძლებელი იქნება” (ვლახოვი, ფლორინი 1980:328). გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთარგმნელის კომპეტენცია ჩანს მის მიერ თარგმნილი ტექსტის ბუნებრიობაში. თარგმანის პროფესიულ დონეზე შესასრულებლად მთარგმნელს სჭირდება უნარ-ჩვევების ისეთი კომპლექსი, როგორიცაა თარგმანის კომპეტენცია. იგი შეიცავს:

1. ლინგვისტურ კომპეტენციას;
2. კულტურულ კომპეტენციას;
3. ტექსტურ კომპეტენციას;
4. კონკრეტულ სათარგმნელ სფეროსთან დაკავშირებულ კომპეტენციას;
5. გადმოცემის კომპეტენციას.

მთარგმნელი უნდა შეეცადოს, გარდა ტექსტის ინფორმაციული სიზუსტისა, არ დაარღვიოს „ტექსტის აზრობრივი კომპაქტურობა და დაიცვას ორიგინალური ტექსტის მოტივი” (ლატიშევი, სემიონოვი 2003:38). თარგმანის პროცესში მედიუმი ანუ შუამავალი (ნებისმიერი სახის თარგმანში) არის მთარგმნელი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ორივე ტექსტის (დედნისა და თარგმანის) ზოგადი ეკვივალენტობა.

კარგ თარგმანს მოეთხოვება:

- ორიგინალის ზუსტი გადმოცემა;
- აზრის ზუსტად და ლაკონურად გამოხატვა;
- სალიტერატურო ნორმის დაცვა.

სამეცნიერო ტექსტის თარგმნისას აუცილებელია ახალი ტერმინოლოგიების ზუსტი ცოდნა და სათარგმნელ ენაზე მისი გადმოცემის უნარი. ზუსტად ეს წარმოადგენს სამეცნიერო (სამედიცინო) თარგმანის მთავარ სირთულეს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია მთარგმნელა. ფურცელადისეული ტექსტის კლასიფიკაცია, სადაც წინა პლანზე წამოწეულია კომუნიკაციის მედიუმის კრიტერიუმი და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პარტნიორების დროით – სივრცითი მიმართება.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი კლასიფიკაცია ეფუძნება კომუნიკაციის არხის სუბსტანციური პარამეტრის დომინირებას და იგი გამოყოფს ორი უმაღლესი დონის საკომუნიკაციო ერთეულს, რომელთა ნიმუშების იდენტიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, წერილობითი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს იგი, თუ ზეპირ მეტყველებით წარმონაქმნს. პირველ საფეხურზე ფურცელაძე გამოყოფს ოპოზიციას ტექსტი-დისკურსი; ხოლო მეორე საფეხურზე იგი ანაწილებს (ზემონახსენებ კრიტერიუმზე დაყრდნობით) დისკურსის და ტექსტის ტიპებს. ჩვენთვის საინტერესო ტექსტისტიკები ფუნქციური ტექსტის ტიპოლოგიაში გვხვდება (საქმიანი წერილი, ინსტრუქცია, ბრძანება და ა.შ.) (ა.ნ. ფურცელაძე 1998:62–63).

სამედიცინო თარგმანი უაღრესად მნიშვნელოვან სფეროა, რამდენადაც თანამედროვე ეპოქა საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმაციების, პროგრამების და გამოცდილების გაცვლის გარეშე წარმოუდგენელია. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო თარგმანი საჭირო ხდება მათთვისაც, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრება სამუშაოს დაწყების მიზნით. მათ მოეთხოვებათ თარგმნილი დასკვნები თავიანთი ჯანმრთელობის შესახებ. სამედიცინო თარგმანი შესაძლოა საჭირო გახდეს ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც აუცილებელი ხდება ამა თუ იმ დოკუმენტაციისა თუ დიაგნოზების თარგმნა. სამედიცინო თარგმანის სფეროს ეხება ექიმის დასკვნები, საინფორმაციო მასალა სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანიის შესახებ, ლაბორატორიული კვლევების შედეგები, რომლებიც ხშირად საჭიროებენ ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებას. სამედიცინო სფერო მოიცავს სამედიცინო კვლევას, სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო პრაქტიკას. ძლიერი სპეციალიზაცია სამედიცინო მეცნიერებასა და ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებებში მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას, ერთი მხრივ, ამ დარგის წარმომადგენელსა, და, მეორე მხრივ, სამედიცინო დარგის სპეციალისტებსა და პაციენტებს შორის. ამ სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამედიცინო ენის ანალიზს უჭირავს. რაც შეეხება უშუალო კომუნიკაციას საავადმყოფოებში და პრაქტიკული სფეროს ტექსტის სახეობების განხილვას, ეს საკითხი დღემდე ბოლომდე შესწავლილი და გაანალიზებული არ არის. მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ამოცანები უკავშირდება არა მხოლოდ ზემო აღწერილ ვითარებას, არამედ სამედიცინო კომუნიკაციის ინტერნაციონალიზაციას. დღეს საკმაოდ დიდი შესაძლებლობებია არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ უკვე

ჩამოყალიბებული მედიკოსებისთვისაც, რათა ინგლისურენოვან სივრცეში გაიღრმავონ განათლება და ევროპულ სამუშაო ბაზარზე დამკვიდრდნენ. საქართველოში უკვე არაერთი ორგანიზაცია არსებობს, რომლებიც ეხმარებიან ქართველ მედიკოსებს გზა გაიკვლიონ ევროპისაკენ. შესაბამისად მოთხოვნა ამ მხრივ საკმაოდ დიდია. ასევე სულ უფრო მეტი პაციენტისთვის ხდება ხელმისაწვდომი სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებში მკურნალობის კურსის გავლა. ყოველივე ამის ერთ-ერთი წინაპირობა კი არის სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციის მომზადება.

ამ გზაზე როგორც საგანმანათლებლო, ასევე პრაქტიკული გამოყენების კუთხითაც, ერთ-ერთი ფაქტორია სწორედ სამედიცინო პრაქტიკის ტექსტის სახეობებისა და მათი თავისებურებების აღწერა-გამოკვლევა. აღნიშნულის განხორციელება კი სამედიცინო დარგობრივი ენისა და ამ დარგის ტექსტის სახეობების კვლევისა და შესწავლის გზით არის შესაძლებელი.

საინტერესოა, თუ რა სახის ტექსტებია უცხოურ და ქართულ სამედიცინო პრაქტიკაში, როგორია შესაბამისობა - განსხვავება მათ შორის სხვადასხვა ენობრივ და პრაგმატულ დონეზე. მაგალითისათვის მოვიყვანთ პაციენტისათვის განკუთვნილ ექიმის სარეკომენდაციო წერილს შემდგომი კვლევების ჩასატრებლად, ონკრეტულ ამონაწერს პაციენტის ისტორიიდან, რომლისთვისაც შემდგომი გამოკვლევების ჩატარება სასურველია საზღვარგარეთ, ასევე სხვა სპეციალისტების კონსულტაციები. სამედიცინო ტექსტების ნიმუშები მოცემული გვაქვს დანართის სახით.

მხოლოდ კარგ თარგმანს შესწევს უნარი სერიოზული დახმარება გაუწიოს პაციენტს და გადაარჩინოს კიდევინი. მაშინ, როცა ცუდმა თარგმანმა შეიძლება მის სიცოცხლეს საფრთხეც კი შეუქმნას. სამედიცინო თარგმანი განსკუთრებულ პასუხისმგებლობასა და სირთხილეს მოითხოვს, როგორც მედიკოსისაგან, ასევე პროფესიონალი მთარგმნელისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ლედერერი ერთ ამბავს იხსენებს: „ერთ ძალზე ცნობილ ფრანგ ქირურგს გადაეთარგმნა აშშ-ში ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის დაკვირვების დღიური ისეთნაირად, რომ, მისი კოლეგების თქმით, ის, ვინც გაითვალისწინებდა ყველაფერს, რაც მის თარგმანში იყო მოცემული, შეიძლებოდა სერიოზულად დაესაზიარებინა საკუთარი ავადმყოფები“ (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 32).

სამედიცინო თარგმანი, ისევე როგორც ნებისმიერი სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტი, მთარგმნელისგანმოითხოვსგარკვეულ ცოდნას იმ კონკრეტულ სფეროში, საიდანაც ის თარგმნის. სამედიცინო და ფარმაცევტული თარგმანი არის მაღალკვალიფიციური სპეციალიზებული საგანი, რომელიც საჭიროებს სათარგმნი მასალის საფუძვლიან გააზრებასა და წვდომას.

ერთია უცხოენის ცოდნა, მეორე სამედიცინო ტექსტის გააზრება. ამდენად, სამედიცინო ტექსტის თარგმნისას მთარგმნელს (თუ, რაღა თქმა უნდა, ექიმი არ არის) მოეთხოვება ზოგადი საბაზისო ენის სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლიანი ცოდნაც. მოთხოვნებს სამედიცინო თარგმანებში განაპირობებს ის ფაქტორი, თუ ვისთვისაა განკუთვნილი სათარგმნი მასალა. თუ ის ინფორმაციული სახისაა და განკუთვნილია მხოლოდ ვიწრო წრისათვის, მაშინ მთარგმნელს, გარდა სავალდებულო ტერმინოლოგიისა, არ მოეთხოვება ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე თარგმნა. ხოლო როდესაც სამედიცინო კომუნიკაცია ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი, (ფარმაცევტული პროდუქციის ან სხვა სახის სამედიცინო პროდუქტზე). ამ შემთხვევაში მოთხოვნები, რომლებიც მთარგმნელს ეკისრება, უფრო რთულდება, ვიდრე შიდაინფორმაციული გაცვლითი ტექსტების შემთხვევაში. უფრო მეტიც, ყოველმა ასეთი სახის თარგმანმა უნდა გაიაროს რედაქტირება, რადგანაც ყოველივე ზემოჩამოთვლილი მოითხოვს გარკვეული სახის გამოცდილებას. რაოდენ ნიჭიერც არუნდა იყოს მთარგმნელი, შესაძლოა ის მაინც მოექცეს ორიგინალის კონსტრუქციების გავლენის ქვეშ. იმისათვის, რათა პროდუქტი საბოლოოდ ზუსტი და ეფექტური იყოს, ასევე მორფოლოგიურად გამართული, საჭიროა, თარგმანი შეასრულოს კვალიფიციურმა სპეციალისტმა. რატემა უნდა, ასეთი თანამშრომლობის ხერხემალი ექიმია. ამავდროულად, დაცული უნდა იქნეს ტერმინოლოგიის თანმიმდევრობა და განლაგება. როგორც აღვნიშნეთ, თარგმანის ხარისხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან უხარისხო თარგმანს, შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს უხარისხოდ შესრულებულ სამედიცინო ნათარგმნ ტექსტებს იქნება ეს სამედიცინო დოკუმენტაციის თარგმანი, რომელიც ხარვეზებითაა სავსე, თუ ახალი პრეპარატისა ან ახალი სამედიცინო გამოგონებისა. უხარისხოდ თარგმნილმა სამედიცინო დოკუმენტაციამ შესაძლოა შეაფერხოს მთელი რიგი შემდგომი მოვლენები. ნებისმიერი ახალი პრეპარატი თუ სამედიცინო აღმოჩენა

უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს, რაც აუცილებელია შემდგომში მათ ბაზარზე გასატანად. ის გადის გარკვეულ სავალდებულო ეტაპებს. უხარისხო თარგმანმა შესაძლოა შეაფერხოს ამ პროდუქციის სერტიფიკაციის პროცესი, დამოწმება და შემდგომში ბაზარზე გატანა. ასევე გამოიწვევს ბაზარზე დროის დანაკარგს და პაციენტთა ჯანმრთელობის რისკის ალბათობის გაზრდას. მეტიც, ხარვეზებით ნათარგმნმა სამედიცინო ტექსტმა შესაძლოა დამკვეთი კანონდარღვევამდე მიიყვანოს. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია თანხებთან. ამავე დროს უარყოფითად მოქმედებს კომპანიის იმიჯზე და საბოლოოდ, შესაძლოა, მათი გაუქმებაც კი გამოიწვიოს. მხოლოდ კვალიფიციურ მთარგმნელს შესწევს უნარი აირიდოს ეს პრობლემები. თუ რა განაპირობებს უხარისხო თარგმანს, ამას თავისი გარკვეული მიზეზები აქვს:

- 1) მთარგმნელის არაკომპეტენტურობა;
- 2) დროის ნაკლებობა ;
- 3) ხარვეზები წყარო ტექსტში.

სამედიცინო ენას აქვს როგორც თავისი ტერმინოლოგია ასევე ფრაზეოლოგია. ამდენად, მთარგმნელი სამედიცინო ბაზის გარეშე ყოველთვის აწყდება სირთულეებს, თუ იგი მხოლოდ ლექსიკონს ეყრდნობა. ხშირად ამა თუ იმ ტერმინის ან სიტყვის ეკვივალენტი განსხვავდება იმ ტერმინისაგან, რომელსაც საერთაშორისო პრაქტიკის ექიმები იყენებენ.

მაგალითისათვის გამოდგება კარგად ნაცნობი ტერმინი ანამნეზი. ლექსიკონში მისი ინგლისური ეკვივალენტია - „anamneses“, „anamnesis“. მთარგმნელი, რომელიც მხოლოდ ლექსიკონს ეყრდნობა, აწყდება გარკვეულ სირთულეებს, რადგან სამედიცინო პრაქტიკის ექიმები მთელი მსოფლიოს მასშტაბით თითქმის არ ხმარობენ „anamnesis“-ს, ისინი მას უბრალოდ პაციენტის ისტორიას უწოდებენ.

ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი მარლა ონეილი (“AssosiaTion scholarly monograph series” 1999) სადავო საკითხად მიიჩნევს უკეთ თარგმნის, ლინგვისტი სამედიცინო ცოდნით, თუ პირიქით, ლინგვისტიკის მცოდნე პროფესიონალი ექიმი. იგი თვლის, რომ ყოველთვის იქნება ისეთი სამედიცინო მასალა, რომელსაც სულ რამდენიმე ექიმი გაართმევს თავს.

ამდენად, სამედიცინო თარგმანი უნდა შესრულდეს პროფესიონალი სამედიცინო მთარგმნელის მიერ ანუ მაღალკვალიფიციური პროფესიონალის მიერ,

რომელიც კომპეტენტურია როგორც ლინგვისტიკაში, ასევე სამედიცინო დარგის ტერმინოლოგიაში. გამოწვევის შემთხვევებში კი ურთიერთკონსულტაციის საფუძველზე. ეს კი გაცილებით უფრო ბევრის მომცველია, ვიდრე ექიმი ან მხოლოდ მთარგმნელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალი მედიკოსებიც აქტიურად არიან ამ სფეროში ჩართულნი, ისევე როგორც ლინგვისტები, რომელთაც აქვთ გარკვეული სამედიცინო ცოდნა. საუკეთესოა პროფესიონალი სამედიცინო მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი, მთარგმნელისა, რომელსაც აქვს როგორც სამედიცინო, ასევე ლინგვისტური განათლება. ანდა მინიმუმ სამედიცინო ტექსტების თარგმნის ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება. თარგმანის ხარისხს განაპირობებს ისიც, თუ რა ენაზეა შესრულებული სათარგმნი მასალა თუ დედანი მთარგმნელის მშობლიურ ენაზეა, ეს გაცილებით ხელსაყრელია მთარგმნელისათვის...

ჯერ კიდევ დავის საგანია, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ხარისხიანი თარგმანი. მედიკოსთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ თანამედროვე ექიმები საკმაოდ კვალიფიციურები და კომპეტენტურები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ შესრულებულ თარგმანში არ არის ხარვეზები. სამედიცინო მასალის თარგმნა ბევრად უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე მათ მიაჩნიათ. საკმარისი არაა მხოლოდ იმ ტერმინოლოგიის ცოდნა, რომელსაც ისინი ეყრდნობიან და საკმარისად თვლიან. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, სავალდებულოა, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია, ტექსტი გამართული იყოს ლინგვისტურად. ამ ორივე კომპონენტის ერთობლიობა აუცილებელი პირობაა ხარისხიანი თარგმანისათვის. სამწუხაროდ, დღეს ეს პრობლემა ქართულ თანამედროვე სამედიცინო თარგმანში ჯერკიდევ პრობლემად რჩება. ხშირია შემთხვევა, როცა მეტისმეტად საპასუხისმგებლო სამედიცინო მასალა, იქნება ეს პაციენტის დიაგნოზი, თუ მის ირგვლივ ჩატარებული გამოკვლევები ან თუნდაც ამონაწერი პაციენტის ისტორიიდან, სადაც აღნიშნულია, რომ პაციენტი შემდგომში დამატებით კვლევებისა თუ მკურნალობას საჭიროებს, უკავშირდება ისეთ პროცედურებსა თუ სადიაგნოსტიკო საშუალებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, არ მოიპოვება ადგილობრივ ქვეყანაში, ჩვენს შემთხვევაში საქართველოში. აუცილებელი ხდება პაციენტისათვის ჩატარებული კვლევებისა და სავარაუდო დიაგნოზის უცხოელ ექიმებთან შეთანხმება. ასევე გარდაუვალია მათი კონსულტაციები და გამოკვლევები, რაც არსებულ მასალას ეფუძნება. ცხადია, რომ ხარისხიან თარგმანს

გადამწყვეტი როლი აქვს ამ ეტაპზე, შემდგომში სწორი დასკვნების გამოსატანად. მაგალითისათვის მოვიყვანთ ამონაწერს პაციენტის ისტორიიდან (იხილეთ დანართი 1). საქართველოში ჯერ კიდევ სპეციალური განხილვის საკითხია კვალიფიციური სამედიცინო თარგმანისა და სამედიცინო მთარგმნელის პრობლემა. თანამედროვე ქართულ სამედიცინო ტექსტები ძირითადად, პრაქტიკოსი ექიმების მიერ ითარგმნება, რომელნიც თვლიან, რომ მათ მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია და წერის სტილი სავსებით საკმარისია, ტექსტის გასაგებად იმ პირთათვის, ვისთვისაც ის არის გამოიზნული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ მიერ შესრულებული თარგმანი ლინგვისტურად გამართულია.

არაერთგზის შეინიშნა, რომ თანამედროვე ეპოქაში დიდია ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მოზღვავება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. თანამედროვე მედიკოსები გარკვეულწილად კარგად ფლობენ ინგლისურ ენას. ისინი ეცნობიან ინგლისურენოვან ლიტერატურას, კორესპონდენციებს, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებსა თუ სტატიებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ კვალიფიციურად თარგმნა, ხარისხიანი სამედიცინო თარგმანის შესრულება.

თარგმნისას მეტად საფრთხილოა უცხო ენიდან შემოსული ტერმინების ხმარება. ხშირია მათი გამოყენება მაშინაც კი, როდესაც ქართულში მოიპოვება ამა თუ იმ ტერმინის ანალოგი. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ინგლისურენოვან ტერმინს, რომლებიც დღესდღეობით ინგლისურად უფრო ჭარბად გვხვდება, ვიდრე მათი ქართული ანალოგები. ყველასათვის კარგად ნაცნობი ინგლისურენოვანი ტერმინი - emergency, რომლის ანალოგი ქართულად გადაუდებელი (სასწრაფო) დახმარებაა, ასევე საჭიროების შემთხვევაში - მიმღები. ასევე ყველასათვის კარგად ნაცნობი ტერმინი - side effects ითარგმნება როგორც გვერდითი მოვლენები, რომელიც მედიკამენტების ანოტაციებში ძალზედ ხშირად გვხვდება და პირდაპირ არის გადმოტანილი. მისი სათანადო ქართული შესატყვისია ორგანიზმის უკურეაქცია. ასევე digital x-ray, რომელიც ითარგმნება და გამოიყენება, როგორც დიგიტალური რენტგენი, რომელიც მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან მისი ქართული შესატყვისი გახლავთ ციფრული რენტგენი. თავისთავად ცხადია, უფრო მართებული იქნებოდა ტერმინ ციფრული რენტგენოგრაფიის დამკვიდრება. ასევე არასწორია შემდეგ ტერმინთა ქართული ვარიანტები, რომლებიც დღესდღეობით გამოიყენება, მაგ. როგორიცაა კორელაცია,

რომელიც მომდინარეობს ინგლისური - correlation - გან, ხოლო მისი ქართული შესატყვისი კი თანაფარდობა, შესაბამისობაა. პრევენცია ინგლისური - prevention - საგან, უფრო მართებულია პროფილაქტიკა, რაიმეს თავიდან არიდება. მონიტორინგი-ასევე ინგლისური ტერმინია, ანუ კონტროლი, თვალყურის დევნება. იმპლანტანტი - implantant- პროთეზი, შემცვლელი. იმპლანტაცია - გადანერგვა - implantation. სენსიტიური - sensitive, ანუ მგრძნობიარე. რეგულაცია - regulation ანუ მოწესრიგება, აბსორბცია ასევე ინგლისური absorbtion - ისაგან მოდის, რაც რაიმეს შეწოვა-ათვისებას ნიშნავს, დიგესტია ან დიგესტიური - digestive, რაც ქართულად საჭმლის მონელებას ან მომნელებელ სისტემას ნიშნავს. ელიმინაცია - elimination რაიმეს აღმოფხვრა, გაქრობა. ვერიფიკაცია - verification - დადგენა, დანამდვილება. Spray, რომელიც პირდაპირ არის გადმოტანილი და ამავე ფორმით იხმარება. ქართული ვარიანტი კი შესასხურებელია და სხვ. მედიკოსები თვლიან, რომ მათ მიერ გამოყენებული ტერმინები ქართული ანალოგის გარეშეც გასაგებია პრაქტიკოსი ექიმებისათვის და დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით გაუმართლებლად მიგვაჩნია. ესა თუ ის ტერმინი, რომელიც პაციენტს ეხება, სასურველია მისთვისაც გასაგები და განმარტებული იყოს ქართული ანალოგით. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს ტერმინთა სტანდარტებისა და ამა თუ იმ ტერმინის სწორი ანალოგის შემუშავებაზე, მით უფრო, როდესაც თანამედროვე დინამიკის ფონზე ეს პროცესი, ანუ ახალ ტერმინთა შემოღება, მატულობს. რაც შეეხება მედიცინის სფეროს, აქაც ასევე შეძლებისდაგვარად სასურველია, სამედიცინო ტექსტები ტერმინები ითარგმნოს თუ პროფესიონალი მთარგმნელის მიერ არა, ლინგვისტისა და ექიმის ურთიერთკონსულტაციით მაინც.

დღესდღეობით სამედიცინო თარგმანის სფეროში, ერთ-ერთი ცნობილი სახელი ამერიკელ მთარგმნელთა ასოციაციის წევრი ჰენრი ფიშბახია, რომელმაც თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, სამედიცინო თარგმანის სფეროში. ის ყურადღებას ამახვილებს იმ პრობლემებზე, რომლებიც სამედიცინო თარგმანის პროცესში იჩენს თავს. ხშირ შემთხვევებში ამ პრობლემებს ქმნიან თავად სამედიცინო ტექსტის ავტორები, მთარგმნელები და აუდიტორია. ის განიხილავს მთელ რიგ პრობლემას, რომელიც სამედიცინო თარგმანის დროს იჩენს თავს. იმისათვის, რომ

თანამედროვე სამედიცინო თარგმანის სფეროში აამაღლოს ცნობიერება, თავის ნაშრომებში მეცნიერი აანალიზებს არა მხოლოდ იმ პრობლემებს რომლებიც სამედიცინო თარგმანის პროცესში წამოიწევა, არამედ მიმოიხილავს იმ წყაროებსაც, საიდანაც თანამედროვე ტერმინოლოგია იღებს სათავეს, იფილტრება და მკვიდრდება თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ეს კი მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ჩაბმულია ამ სფეროში. მისი აზრით, პრობლემების წარმოქმნაში მთავარი როლი აკისრიათ ავტორს, მთარგმნელს და მომხმარებელს (დამკვეთს). ის გვთავაზობს გზებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ზემოაღნიშნულის თავიდან არიდება. წიგნში „თარგმანი და მედიცინა“ განიხილავს ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამედიცინო ტექსტებს, რის საფუძველზეც შეისწავლის სამედიცინო თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი აზრით, სამედიცინო მთარგმნელს, გარდა ენების ცოდნისა, აუცილებლად მოეთხოვება გარკვეული ცოდნა იმ კონკრეტულ სამედიცინო დარგში, რომლის თარგმანსაც ის ასრულებს. ასევე უნდა ფლობდეს ამ დარგის ტერმინოლოგიას (გვ:464).

სამედიცინო სფეროში მომუშავე მთარგმნელი უნდა ეყრდნობოდეს ტექნიკურ თარგმანის იმ გარკვეულ ასპექტებს, რომლებიც ზოგადად მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი ტექნიკური თარგმანისას. ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას სათარგმნი ტერმინები, ზოგადი ლექსიკისაგან განსხვავებით, არასრულად გადმოსცემენ სიტყვათა შინაარსს. ხშირად ავტორის მიერ გამოყენებული გამოთქმებიც ნათლად ვერ გადმოსცემს აზრს. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელი მოვალეა, გაიაზროს და ჩაწვდეს ავტორის მიერ გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობას დამკითხველის ენაზე მისაღები ტერმინითშეცვალოს. პიტერ ნიუმარკი ავტორი „A Layman’s View of Medical Translation.“-ისა, 1979 სამართლიანად აღნიშნავს, რომ თარგმანის ეს სახეობა არანაკლები გამოწვევებისა თუ სირთულეების წინაშე გვაყენებს, ვიდრე პოეტური და მხატვრული თარგმანი. იგი ყურადღებას ამახვილებს მთელ რიგ ლინგვისტურ პრობლემებზე, რომელთა გამოც თარგმანი შესაძლოა არასწორი გზით წარიმართოს. რა თქმა უნდა, ეს პრობლემები ქართულ ენაზე თარგმნისასაც იჩენს თავს, რაც ვფიქრობთ, ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. სამეცნიერო ტექსტი ინფორმაციული ხასიათისაა. იგი მკითხველს ზოგად ინფორმაციას აწვდის განსახილველად. ტექნიკური ტექსტი კი ყოველთვის უფრო კონკრეტული ხასიათისაა და ამიტომ მასში ხშირია ბრძანებითი

კილო, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სამეცნიერო ტექსტი პრაქტიკული დანიშნულების საბუთს წარმოადგენს, რომლის გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება იყოს რაიმე ახალი სამეცნიერო (სამედიცინო) სიახლის დანერგვა, რომელიც სიღრმისეულ გადაწყვეტილებას საჭიროებს.

§3.4.სამედიცინო ტექსტების თარგმნის სპეციფიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად სამეცნიერო ტექსტის თარგმნისას აუცილებელია ახალი ტერმინოლოგიების ზუსტი ცოდნა და სათარგმნელ ენაზე მისი გადმოცემის უნარი. ზუსტად ეს წარმოადგენს სამეცნიერო (სამედიცინო) თარგმანის მთავარ სირთულეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა სამედიცინო თარგმანი. სამედიცინო თარგმანები განსხვავებული სახისაა, გამომდინარე იქიდან, თუ რა მიზანს ემსახურება: ესენია როგორც აღვნიშნეთ, ინფორმაციული და პროპაგანდული ხასიათის ტექსტები, რომლებიც თანაბარწილად მნიშვნელოვანია. სამედიცინო კომუნიკაცია კი, რატომ უნდა აისახება ინფორმაციულობით მედიცინის წინსვლისა და განვითარებაზე და, პირიქით. საბედნიეროდ, უმეტესობა სხვადასხვაგვარი სტატიებისა გამიზნულია აუდიტორიაზე; მაგალითად, Discover Magazine. საჭიროა სხვადასხვაგვარი ფუნქციონალური მიდგომა ისეთ ლინგვისტურ ფაქტორებთან, როგორებიცაა ლექსიკა, სინტაქსი და ფრაზეოლოგია. უპირველესყოვლისა, უნდა განისაზღვროს ტექსტის ფუნქცია. ჰ. ფიშბახის თანახმად (Translation and the Medicine - Henry Fishbach -1998), სამედიცინო დოკუმენტის ფუნქცია შესაძლოა დაიყოს ორ კატეგორიად. ტექსტები რომელთა მიზანია ან ინფორმაცია ან პრომოუშენი. თუმცა, ხანდახან ეს ორივე შესაძლოა იყოს თანაბრად მნიშვნელოვანი შესაძლოა იყოს. (ჰ.ფიშბახი, 462). თუმცა ეს განსხვავება მეტისმეტად ფართოა. პოპულარული ენით და პროფესიონალი ექიმების მიერ დაწერილი ტექსტების შედარებისათვის მოვიყვანთ მაგალითებს ინგლისურ-ქართული ვარიანტების სახით. პოპულარული ენით დაწერილი ტექსტისათვის შევარჩიეთ საერთაშორისო საჟურნალო სტატია - " Discover Magazine"-2009 (by Aubrey de

Grey and Michael Rey), თარგმნილი ინგლისურის სპეციალისტის მიერ. - **დანართი 3.** ხოლო პროფესიული სამედიცინო ტექსტის მაგალითად ექიმის მიერ თარგმნილი ტექსტი ერთ-ერთი სახელმძღვანელოდან, კერძოდ” The ECG in Emergency Decision Making” (Hein J.J.Wellens) - **დანართი 4.**

თარგმანში ხარვეზები შესამჩნევია მაშინ, როცა წყარო ენიდან და სამიზნე ენაზე გადატანილ მასალაში იგრძნობა განსხვავებები, მიუხედავად იმისა, რომ სათარგმნი მასალა ნეიტრალური სახისაა: კლინიკური დოკუმენტაცია, პირდაპირი ფოსტა, თუ სხვა რაიმე ნაბეჭდი სახის მასალები, სამაუწყებლო კომენტარები თუ ჩანაწერები. კარგი თარგმანი, ეს არის ძირითადი ენიდან არსებული ინფორმაციის გადატანა უცხო ენაზე. რა თქმა უნდა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ტექსტის მთარგმნელი, მხატვრული თხზულების გადმოღების მსგავსად, უნდა იყოს კარგი მწერალი, ისეთივე, როგორც ავტორი წყარო ტექსტისა. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ მხოლოდ უცხო ენის ცოდნა არ კმარა მთარგმნელისათვის. სამეცნიერო მთარგმნელი თავისთავად უნდა იყოს სამივე ასპექტის ერთობლიობის მქონე პირი, რომელსაც მოეთხოვება:

1. კონკრეტული სფეროს კარგი ცოდნა და უნარი განმარტოს თარგმანის საგანი.
2. კონკრეტული ენის(წყარო ენის) სათანადო დონეზე ცოდნა, რათა ჩაწვდეს სიტყვათა მნიშვნელობებს, თუ რა მიზნითაა ისინი გამოყენებული ავტორის მიერ.
3. გახადოს გასაგები მნიშვნელობა და შემდეგ გადაიტანოს სხვა ენებზე.

მთარგმნელს უნდა გააჩნდეს ენობრივი ალღო. უხილავი თარგმანი არ უნდა ითვლებოდეს მისაღწევად. ეს უნდა იყოს ყველა მთარგმნელის მიზანი. უცხოენოვან მკითხველს, ნებისმიერი სახის ტექსტის გაცნობისას არ უნდაჰქონდეს იმის განცდა, რომ ნათარგმნ ლიტერატურას კითხულობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თარგმანი უნდა იყოს უხილავი.

§3.5. სამედიცინო ტექსტების ტიპები და ფუნქციები

თარგმანის კუთხით

სამედიცინო ტექსტებს შინაარსის მიხედვითშემდეგნაირად ყოფენ: ტექსტები, რომლებსაც აქვთ ინფორმაციული დატვირთვა; ტექსტები, რომლებსაც აკისრიათ რაიმე სიახლისა თუ გამოგონების საყოველთაოდ სარწმუნო ცნობა და ტექსტები, რომლებიც

სხვადასხვა სახის სამედიცინო ფაქტებს ადასტურებენ. თითოეულ მათგანს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშანთვისება, რომელიც თარგმნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

განვიხილოთ ტექსტის ტიპი, რომლის ფუნქციაა, დაარწმუნოს საზოგადოება მასში მოცემულ ინფორმაციაში, დააჯეროს და დაუდასტუროს ის. ამგვარი სამედიცინო ტექსტის ტიპებს განეკუთვნებიან ანოტაციები, გაიდლაინები და რეკლამები. ასეთ ტექსტებში სამედიცინო დარგს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს. ასევე დიდი როლი აკისრია მარკეტინგს. ამგვარი ტექსტების თარგმნისას მთარგმნელს სამედიცინო დარგის ცოდნასთან ერთად მოეთხოვება მარკეტინგის ცოდნაც, რადგანაც ამგვარი ტექსტების თარგმნა განკუთვნილია იმ სამედიცინო მთარგმნელისათვის, რომელიც ერკვევა მარკეტინგის სფეროში.

ნებისმიერ სათარგმნ ტექსტს, თუ ჩავწვდებით სიღრმისეულად, აქვს გარკვეული სპეციფიკური პრობლემატური ეპიზოდები და შეცდომები. სწორედ მთარგმნელს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა, რომ თავიდან იქნეს არიდებული ამგვარი პრობლემები და უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური თარგმანი. სამედიცინო თარგმანის შემთხვევაში ეს პასუხისმგებლობა სამედიცინო მთარგმნელს ორმაგად ეკისრება, ვიდრე მათ, ვინც მხატვრული თარგმნითაა დაკავებული.

ინფორმაციული სახის ტექსტებს ძირითადად ანოტაციები განეკუთვნება. ამ ტიპის ტექსტები წმინდა ინფორმაციული სახისაა. სტილისტურად ღარიბი, მოკლე წინადადებებით, ბრძანებითი კილოთი დაწერილი. ამგვარი ტექსტის თარგმნისას მთარგმნელს მოეთხოვება ტერმინოლოგიის სიღრმისეული ცოდნა, მისი ეკვივალენტების მოძებნის უნარი. თუმცა სათანადო ლექსიკის გამოყენება აუცილებელი პირობაა. მაგალითისათვის, თუ შეცდომა დაშვებული იქნება ანოტაციის თარგმნისას, დაშვებული შეცდომების შემთხვევაში, მაგ. ჭარბი დოზირება, პრეპარატის არასწორად მიღება, სხვა წამლებთან ურთიერთქმედება და სხვ., შესაბამისად, პრეპარატი არასწორად იქნება მიღებული, რასაც შესაძლოა უმძიმესი შედეგი მოჰყვეს, ფატალურიც კი. ანოტაცია - patient information leaflet - PIL მცირე მოცულობის ინფორმაციული სახის დოკუმენტია, რომელსაც ერთვის გაყიდვებისათვის გამიზნული სამედიცინო პრეპარატი და თარგმანი იმ ქვეყნის ენებზე, სადაც ის იყიდება.

თავისთავად სამედიცინო პრეპარატის ანოტაცია პროდუქტის თავისებურებათა გადმოცემის გამარტივებულ, შემაჯამებელ, ინფორმაციული სახის ვერსიას წარმოადგენს. დღესდღეობით არსებობს ათასობით პრეპარატი, რომელთა მიღების წესები განსხვავდება. ანოტაციის ძირითადი ფუნქციაა, გააცნოს პაციენტს პრეპარატის უსაფრთხოდ და სწორად მიღების წესები (დოზირება, მიღების დრო), ასევე გვერდითი მოვლენები, უკუჩვენებები და თერაპიული დანიშნულება, რათა თავიდან აიცილოს შემდგომი გართულებები. გამომდინარე იქიდან, რომ წამლის ანოტაცია მიეკუთვნება იმ სამედიცინო ტექსტების ტიპებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ პაციენტებთან, მიგვაჩნია, რომ ის უნდა იყოს პაციენტისათვის გასაგები ენით დაწერილი, ამასთანავე შესაბამისად ნათარგმნო, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პრეპარატი ექიმის დანიშნულების გარეშე გამოიყენება, რაც პაციენტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და, ბუნებრივია ამ დროს თარგმანის ხარისხი გადამწყვეტია.

1980-იანი წლების ბოლოს ევროკომისიამ დაიწყო ანოტაციების სტანდარტების შემუშავება. ამ მითითებების მთავარი მიზანი არის დაარწმუნოს მომხმარებელი, რომ მასში მოცემული ინფორმაცია უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო მოხმარებას.

1992 წელს ევროპულმა კომისიამ გამოაქვეყნა „მითითებები სამედიცინო პროდუქტის მოხმარებისათვის, ანუ ანოტაციების სტანდარტი“ შემდეგი სახით:

” პრეპარატის იდენტიფიკაცია;

პროდუქტის დასახელება, აქტიური ნივთიერება და დეტალები სხვა ინგრედიენტების შესახებ, ფარმაცევტული გამოშვების ფორმა, მწარმოებელი ფირმის დასახელება;

თერაპიული მითითებები პროდუქტისათვის;

რა შემთხვევაში უნდა იქნეს პრეპარატი მიღებული;

ინფორმაცია, რომელსაც პაციენტი უნდა გაეცნოს წამლის მიღებამდე;

რა შემთხვევაში არ შეიძლება პრეპარატის მიღება, გაფრთხილებები, სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება, განსაკუთრებით ორსულებისა და მეძუძური დედებისათვის. ასევე რამდენად გასათვალისწინებელია მანქანის მართვისას;

დოზირება და ინსტრუქციები მიღებისათვის;

რამდენჯერ და რა ხნის განმავლობაში უნდა იქნეს პრეპარატი მიღებული;

გვერდითი მოვლენების აღწერილობა;

რა გვერდითი მოვლენებია შესაძლებელი პრეპარატის მიღებისას და რა უნდა მოიმოქმედოს პაციენტმა ასეთ დროს;

შენახვის პირობები;

დამზადების თარიღი და ვადა;

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უცხოური წამლის ანოტაცია რეალიზაციისათვის განკუთვნილი ქვეყნის ენაზე იყოს მოცემული, ჩვენს შემთხვევაში ქართულზე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავალ პრეპარატს არ ახლავს ქართულად ნათარგმნი ანოტაცია, და თუ ახლავს, უხარისხოდ ან შეცდომებითაა გადმოღებული, რაც დაუშვებელია. გამომდინარეობს, რომ პაციენტებისათვის წამალს ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარენ, რასაც უმეტესწილად გართულებები მოსდევს, სწორედ კარგად ნათარგმნი ანოტაციაა ამ ყველაფრისაგან თავის არიდების გარანტია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მედიკამენტების ანოტაციებში გამოყენებული ტერმინები უთარგმნელად არის გადმოტანილი, რაც პაციენტისათვის გაუგებარია. მიგვაჩნია, რომ ამგვარ შემთხვევებში სასურველია ამგვარი ტერმინების ნაცვლად ქართული ანალოგების გამოყენება. მაგალითისათვის მოვიყვანთ ფრაგმენტს ერთ-ერთი მედიკამენტის როცეფინის, კერძოდ, ანტიბიოტიკის ანოტაციიდან. დანართი 6.

მნელი შესამჩნევი არაა, რომ ანოტაციების ენა და მისი ტერმინები სავსებით გაუგებარია მომხმარებლისათვის, რომელსაც არ აქვს სამედიცინო განათლება. წამალი კი ყველას შეიძლება დასჭირდეს. სასურველია, ტერმინების ნაცვლად, რომელთა მნიშვნელობაც მხოლოდ მედიკოსებისთვისაა გასაგები, გამოყენებული იქნეს პოპულარული ან ზოგადსაღიგებრივი სიტყვები. მაგალითად: III გენერაციის ანტიბიოტიკი- III თაობის ანტიბიოტიკი, აკუმულაცია- დაგროვება, მეტაბოლიზაცია- გარდაქმნა, ინჰიბირება - შეჩერება, დაბლოკვა, ელიმინაცია-გამოყოფა, პარენტული- საინექციო, დიურეზული-შარდმდენი, ვენაში ინფუზია- ვენაში გადასხმა, ექსკრეგირება-გამოყოფა და სხვ.

სამედიცინო ტექსტების კიდევ ერთი ფუნქცია არის მითითებები ანუ ინსტრუქტაჟი. გაიდლაინები ამათუ იმ წამლის მიღების შესახებ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა. ეს ასპექტი მთარგმნელისთვისაც და მომხმარებლისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანია.

ამგვარი სამედიცინო ტექსტები- მჭიდროდ უკავშირდება ზემოხსენებულფუნქციას, ანუ ტექსტის ფუნქციას, დააჯეროს მომხმარებელი კონკრეტული საკითხის სარწმუნოებაში, ამასთან გაუადვილოს ადრესატს ტექსტის შინაარსის აღქმა. როგორც კი მომხმარებელი დარწმუნდება ახალი პრეპარატის უპირატესობაში, მას უჩნდებასურვილი, რომ შეიძინოს ის შემდგომში. თუ ანოტაცია აფრთხილებს გადაჭარბებული დოზით მიღების მავნებლობის შესახებ, პაციენტი დაინტერესდება გაიდლაინებით და გაეცნობა მათ. არსებობს სხვადასხვაგვარი გაიდლაინების ვერსიები.

პაციენტებისთვის განკუთვნილიგაიდლაინის ვერსია თავს უყრის ყველარეკომენდაციას და მათ პოპულარულ ენაზე წარმოადგენს. ეს ვერსია განკუთვნილია პაციენტების, მათი ოჯახების, მომვლელებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის.

გაიდლაინის ამ ვერსიაში პრობლემის ან ინტერვენციების დეტალური აღწერა საჭირო არ არის.

აბრევიატურები

აბრევიატურების ხშირი გამოყენება გაიდლაინებში რეკომენდებული არ არის

(განსაკუთრებით, თუ ტერმინი დოკუმენტში იშვიათად ჩნდება). თუმცა, თუ აბრევიატურა მკითხველისთვის კარგად ნაცნობია, ან სრული ტექსტი იმდენად გრძელია, რომ მისი ხშირი გამოყენება ტექნიკურ სირთულეებს ქმნის, აბრევიატურების გამოყენება სავსებით დასაშვებია. ყველა შემოკლებული ტერმინი პირველივე გამოყენებაზე საჭიროებს განმარტებას. ასევე აუცილებელია თითოეული სექციის დაწყებისას აბრევიატურის ხელახლა განმარტება. გაიდლაინს უნდა დაერთოს აბრევიატურების ნუსხა.

ლექსიკის შერჩევა სარეკომენდაციო სახის გაიდლაინის ვერსიისათვის; რეკომენდაციები გაიდლაინის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. რადგან, კლინიცისტების უმრავლესობა მხოლოდ რეკომენდაციებს ეცნობა, მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განხორციელდეს. რეკომენდაციების ენის შეთანხმება ხდება გაიდლაინების სამუშაო ჯგუფთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ის, რომ იგი გასაგები იყოს მკითხველისათვის.

§3.6. ადეკვატურობის პრობლემა

ინგლისურ-ქართული სამედიცინო ტექსტების თარგმანებში

ნებისმიერი სახეობის ტექსტის „თარგმანის სტრატეგიის სწორი არჩევანი და რეზულტატის სრულყოფილება დამოკიდებულია ტექსტის ღირებულებათა საერთო სკალაზე, იმ ფუნქციურ დომინანტთა გამორჩევასა და გააზრებაზე, რომლებიც, ენათშორისი კომუნიკაციის კატეგორიალურ ნიშანთა საერთოობის მიუხედავად, თარგმანის ერთ ჟანრულ სახეობას მაინც განასხვავებს მეორისაგან“ (ნ.საყვარელიძე 2001:52).

საგულისხმოა, რომ ოდოდგანვე ძველი კარაბადინების ავტორები თუ გადამწესხველები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს და ათავიანთ შემოქმედებით მოვალეობად თვლიდნენ წერისას დაეცვათ ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. ყოველი მეცნიერება ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული. ნებისმიერი ადამიანი ჯერ მშობლიურ ენაზე ეზიარება ამა თუ იმ მეცნიერების საფუძველს და მხოლოდ შემდეგ ეცნობა კონკრეტული მეცნიერების საყოველთაო, საერთაშორისო მონაცემებს თუ მიღწევებს. ასეა ქართული ენის შემთხვევაშიც. უკვე X საუკუნიდან ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში, კარაბადინებში, ტრაქტატებსა თუ სხვა სახის სამედიცინო ხასიათის ტექსტებში სრულად აისახა როგორც ქართული, ასევე მაშინდელი მსოფლიოს სამედიცინო მიღწევები. ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მოჰყვება და ამიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება. იშვიათია ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ქართული ენისათვის რამდენიმე სიტყვა. ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენის სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ებრაულს, სომხურს, ბერძნულს, თურქულს, რომაულს და სხვ...საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა. ვერც ერთი ენის ძალას ვერ დაუძლევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადაურევია, ვერ გადარჯულებულა, დაუთმია ჩვენი ენისათვის ენა და ჩვენსკენ თვითონ გადმორჯულებულა - წერს კ. კეკელიძე (კ.კეკელიძე 1953: 135-136).

ქართული ენა საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა თვითმყოფადობას. თუმცა დღესდღეობით ის უკვე სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. საქმე ეხება ენის დაბინძურებას, რაც განსაკუთრებული ყურადღების საგანია. 21-ე საუკუნეში,

საქართველოში მედიცინის განვითარება ინტენსიურად იწყება და, აქედან გამომდინარე, იზრდება ინგლისური ენი ზემოქმედება. ამგვარი გავლენა ბუნებრივია და ხალხთა კულტურული ურთიერთობის თანამდევია პროცესია, მაგრამ ინგლისური ენის ზემოქმედება, ხშირად თავსმოხვეულია. 21-ე საუკუნეში ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ისევე როგორც ზოგად ლექსიკაში ჭარბობს ინგლისური ბარბარიზმები და ენობრივი მოდელების კალკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნდა განვასხვავოთ ობიექტური კულტურული კავშირებით პროფესიულ ენაში დალექილი ინგლისურენოვანი დ ქართული ენისათვის არაბუნებრივი, თავსმოხვეული მოდელები. ინგლისური ენის გავლენა ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაზე და საერთოდ, ქართულენაზე, ალბათ, შენარჩუნდება.

ამდენად, სასურველია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიასთან ერთად, ვიცნობდეთ ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიას.

სამედიცინო ტერმინები, ბუნებრივია, ქართულ პროფესიულ სამედიცინო ლექსიკაში დღეს ფარდობითად ცოტაა და არსებით გავლენას ვერ ახდენს სამედიცინო პროფესიულ ტერმინოლოგიაზე, მაგრამ ამ პერიოდის შესწავლა თავისთავად ფასეულია საქართველოსა და დარგობრივი ისტორიის თვალსაზრისით. საზოგადოდ, ძველი ეპოქისვისაც დამახასიათებელია ზოგადი ტენდენცია: ტერმინოლოგიაზე გავლენას ახდენდა ისენა, რომელთანაც ძლიერი იყო კულტურული და პროფესიული კავშირები. ძველი პერიოდიდან ენაში დალექილია დღეისათვის ფარდობითად მცირე რაოდენობის ლათინური, ბერძნული, არაბული წარმომავლობის ტერმინები.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა საფუძველი, რათა მე-20 საუკუნეში საქართველოც შეერთებოდა ეროვნული სამედიცინო ტერმინოლოგიების შექმნის და შევსების პროცესს.

ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი. ილია და აკაკი დაუნდობლად ებრძოდნენ ყველას, ვინც თავის ნაწერებში არამართებულ ენობრივ ფორმასა და ლექსიკას იყენებდა; „ტკბილ-ქართულის“ სიწმინდისა და ღირსების დაცვა, აზრის სწორად, გამართული ენით გადმოცემა, დედაენისათვის დაუღალავი ზრუნვა ილიასა და აკაკის ჭეშმარიტი მწერლის საპატიო მოვალეობად მიაჩნდათ. ჩვენი აზრით, ქართული ენის სიწმინდის დაცვა ერთ-ერთი ის

უმთავრესი მოთხოვნაა, რომელიც თარგმნის პროცესში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებელი. ენობრივი ნორმების დაცვა ისევე მნიშვნელოვანია სამედიცინო ტექსტის თარგმნისას, როგორც სხვა ნებისმიერი დარგის ნაშრომის გადმოღებისას.

ენათა სხვაობის გამო აზრთა გადმოცემის ვერბალური ხერხებიც დიდად განსხვავებულია. შესაბამისად, თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია სიტყვის სინონიმური წყვილების რელევანტურად გამოყენებაზე უნარზე. ენას მიეწერება გარკვეული მიმართულება, გეზი; კონკრეტულ სიტყვათა კომბინაცია ბუნებრივია ერთი ენისათვის, მაგრამ არა მეორისათვის(მით უფრო, არამონათესავე ენისათვის). სიტყვასიტყვითი თარგმნისას ტერმინთა და სიტყვათა არაბუნებრივი კომბინაციით თარგმანი აზრის თანმიმდევრულობას ეწინააღმდეგება. მსგავსი შეუთანხმებლობები შეიძლება ირელევანტური იყოს ტექსტის თარგმნის პროცესში და გარკვეულ კონტექსტში ხელი შეუშალოს თარგმნის სიზუსტეს. ვ. კომისაროვის განმარტებით სიტყვასიტყვითი თარგმანი, ანუ ტრანსკოდირება, ხშირად არაადეკვატურია და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც მთარგმნელის წინაშე დგას ამოცანა, - თარგმანში ორიგინალის ფორმალური თავისებურებები წარმოაჩინოს. ასეთ შემთხვევაში მას უნდა ახლდეს განმარტება ან ადეკვატური თარგმანი. სიტყვასიტყვითი თარგმანი არასწორად გაგებული სიზუსტე და უცხო ენის თავისებურებების უხეში კოპირებაა, რომელსაც სათარგმნი ტექსტის ნორმების დარღვევამდე ან აზრის დამახინჯებამდე, ან ორივემდე ერთად მიგყავართ (ლევიცკაია, ფიტერმანი 1963, 16). მაგ: side effect - რომელსაც ხშირად თარგმნიან როგორც გვერდითი მოვლენას, რაც ინგლისური ტერმინის კალკირებულ ფორმას წარმოადგენს. ბუნებრივია, ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად სხვადასხვა ენებში განსხვავებული სტრუქტურები გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღების საგნად მიგვაჩნია სამედიცინო ტექსტების თარგმნისას წინადადებათა სტრუქტურული თავისებურებების გავალისწინება, რამდენადაც სამედიცინო ტექსტის თარგმნისას ინგლისურენოვანი წინადადების სტრუქტურის კალკირებამ შესაძლოა ქართულად ნათარგმნი ტექსტის აზრი დაამახინჯოს ან არასწორად მიიტანოს ის ადრესატამდე. ეს კი შემდგომში რიგ პრობლემებს უქმნის სათანადო კომუნიკაციას. სიტყვასიტყვით თარგმანს არ შეუძლია გადმოსცეს ის შინაარსი, რაც სიტყვების მიღმაა მოცემული.

მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს ის ენობრივი თავისებურებანი, რომელიც სათარგმნი ტექსტისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.: I consider that if funding is sufficient we have a 50/50 chance of developing technology within about 25 to 30 years from now that will, under reasonable assumptions about the rate of subsequent improvements in that technology, allow us to stop people from dying of aging at any age—equivalent to the effect of today's antiretrovirals against HIV. - მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფონდების არსებობის შემთხვევაში ჩვენ გვექნება თანაბარი შანსი ტექნოლოგიების სათანადო დონეზე განვითარებისა 20-30 წლის პერიოდში რაც საშუალებას მოგვცემს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისა და ეს იქნება დღევანდელი ანტივირუსული HIV ვაქცინაციის შედეგი.

სამედიცინო თარგმანში, ისევე როგორც ზოგადად თარგმანში, საჭიროების გარეშე უცხოურ სიტყვათა ხმარება არასასურველია, რადგან ეს არაბუნებრივ იერს სძენს თარგმნილ ტექსტს; მაგრამ არც საერთაშორისო ლექსიკის ტერმინების ხელაღებით უარყოფაა გამართლებული (მით უფრო, სამედიცინო ტექსტში). თუმცა სტილისა და ადეკვატობის თვალსაზრისით „ოქროს შუაღედის“ მოძიებას, სიტყვის-მშობლიურის თუ უცხოურის - არჩევანისას, მთარგმნელის ენობრივი ალლო განაპირობებს. მაგ.: Excess weight and obesity is the Current problem of children and adolescents in modern medicine. It prevails in adolescents. Recent years the scientists focus on a problem of obesity and overweight among children and adolescent, and its increased number. ჭარბწონიანობა თანამედროვე მედიცინაში მოზარდებისა და ბავშვებში არსებული პრობლემაა განსაკუთრებით კი მოზარდებში. ბოლო პერიოდში მეცნიერები შეისწავლიან ჭარბი წონის პრობლემას ბავშვებსა და მოზარდებში. ამასთან ამგვარი მოზარდების რაოდენობრივ ზრდას.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი წინადადების თარგმნისას მთარგმნელმა შესაძლოა თავი აარიდოს უცხოენოვანი ტერმინების ტრანსკოდირებას და ჩაანაცვლოს ისინი ქართული შესატყვისებით. მაგალითად, ხშირად ითარგმნება ადოლცენტი - adolescent, სასურველია ითარგმნოს და ჩაანაცვლდეს ქართული შესატყვისით - მოზარდი. ასევე მაგალითად სიტყვა პრევალირებს სასურველია ითარგმნოს ქართულად prevails ანუ ჭარბობოს, გავრცელდეს.

სამედიცინო ტექსტის ინგლისურიდან ქართულზე თარგმნისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია წინდებულები. მოგეხსენებათ, რომ ქართულ ენაში არ არსებობს წინდებულები, რის გამოც ხშირია ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმანისას შეცდომები. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვაწყდებით დიდ გაურკვევლობას, რაც გამოწვეულია წინდებულებიანი ფრაზების მთარგმნელის მიერ არასწორი თარგმანით. არაკომპეტენტური თარგმანი კი იწვევს მძიმე შედეგებს. ამიტომაც უნდა დავუკვირდეთ და ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სწორედ მოხდეს მათი ინტერპრეტაცია, რაც შემდგომში თავიდან აგვაცილებს ბუნდოვანებას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ისეთ წინდებულებიანი ფრაზას, 'within...of,' რომელიც ხშირად გამოიყენება სამედიცინო დოკუმენტაციაში. ასევე ხშირად ხდება მისი არასწორი ინტერპრეტირება. within...oftreatment უნდა ითარგმნოს, როგორც მკურნალობის განმავლობაში და არა მკურნალობის დაწყებიდან, რაც სამწუხაროდ ხშირად ტიპური შეცდომის სახით გვხვდება სამედიცინო დოკუმენტაციებში ინგლისურიდან ქართულზე თარგმნისას. მაგალითად, ხშირად სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა სახის თარგმანები, რაც მიგვაჩნია, რომ შინაარსობრივად შემდეგნაირად უნდა ითარგმნოს.

1. If your child experiences a severe side effect within 28days of the last dose of study medication, make sure to tell the study doctor.თუ ბავშვს მედიკამენტის ბოლო დოზის მიღებიდან 28 დღის განმავლობაში შენიშნავთ უკურეაქციას, შეატყობინეთ ექიმს. ხშირად თარგმნიან შეცდომით, როგორც 28-ე დღეს, 28 დღის განმავლობაში-ს ნაცვლად.

2. Informed consent and medical history may be performed **within** 14 days **of** treatment. სამედიცინო ისტორიის დაწერა შესაძლებელია 14 დღიანი მკურნალობის განმავლობაში და არა მკურნალობის დაწყებიდან მე-14 დღეს.

სამედიცინო ტექსტებში საერთოდ არ იგრძნობა ავტორის დამოკიდებულება ნათქვამისადმი, ე. ი. ტექსტური მოდალობა. სამედიცინო ტექსტს ახასიათებს თხრობითი კილოს ფორმები. ეს ტექსტი მკითხველს ზოგად ინფორმაციას აწვდის განსახილველად. რ. კომახიძე თავის ნაშრომში „ტექსტის სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა“ ტექსტის შემდეგ მახასიათებლებს გამოარჩევს: ინტეგრალობა (მთლიანობა), განცალკევება, გაბმულობა, მოდალობა, შედარებითი დამთავრება. თავის

დროზე ტექსტის ლინგვისტიკა იყო ერთ-ერთი მეცნიერება, რომელმაც თავისი შესწავლის სფეროში სამეცნიერო ტექსტი ჩართო. ამას რ. კომახიძე ხაზგასმით აღნიშნავს თავის ზემოდასახელებულ წიგნში: „ახალი მეცნიერება, რომლის შესწავლის საგანი ტექსტი გახდა, ლიტმოდნეობისაგან განსხვავებით შეისწავლის არა მხოლოდ მხატვრულ ტექსტს, არამედ ტექსტის სხვა სახეობასაც, როგორცაა სამეცნიერო ნაშრომები, სხვადასხვა სახის ანოტაციები და უსაფრთხოების ინსტრუქციები“ (რ. კომახიძე 1995:18).

სამედიცინო ტექსტის თარგმნა, მსგავსად პროზაულისა, იწყება ყოველი დამთავრებული მონაკვეთის აზრის გადმოცემით. თარგმანი, რომელიც იწყება ტერმინის, სიტყვებისა და თუნდაც შესატყვისობების თარგმნით, განწირულია წარუმატებლობისათვის. უფრო მნიშვნელოვანია აზრი, რასაც ტექსტი მოიცავს და არა მხოლოდ ცალკეული ტერმინი. ამდენად ადეკვატურ თარგმანს განაპირობებს მთარგმნელის ალღო, რაც გამოიხატება მის ოსტატობაში. ანუ ნათარგმნით მაქსიმალურად მიიტანოს დედააზრი ადრესატამდე, სათანადო ტერმინების ჩანაცვლებითა და შინაარსობრივ - სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით. აზრთა და გრძნობათა გადმოსაცემად ყოველი ერი განსხვავებულ ვერბალურ ხერხებს იყენებს; წინადადებებსაც ისე აგებს, როგორც აზროვნებს; „ჩვენ ყოველთვის რაღაცნაირად ვანაწევრებთ სინამდვილეს იდენტიფიცირებადი და განსხვავებადი ობიექტების სიმრავლედ არა იმიტომ, რომ ობიექტივაციის ჩვენი მოდელი ადამიანის ბუნების უცვლელი ნიშანია, არამედ იმიტომ, რომ უცხო წინადადების გაგებისა და თარგმნის პროცესში ჩვენ ნებისმიერ უცხო მოდელს გარდაუვალად ვარგებთ ჩვენს საკუთარს“ (W. Quine 1969:1).

ერთიან ორგანულ კავშირში არსებული ქართული სალიტერატურო ენა და ქართული სამედიცინო ენა, ასევე სამედიცინო ტერმინოლოგიური სისტემა ენის კანონების მიხედვით ფუნქციონირებს; შესაბამისად, ენობრივი ნიშნის ყველა ტენდენცია - პოლისემია, სინონიმია, ანტონიმია - მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. თარგმანის ადეკვატურობის თვალსაზრისით, უპირველესია სიტყვისა თუ სამედიცინო ცნებათა გამომხატველი ტერმინისმნიშვნელობის სიცხადე დამისი მისადაგებული დაკავშირება წინადადებების აზრთან. ჩვეულებრივ, ზოდატარა სალიტერატურო ლექსიკასა და დარგობრივ

ტერმინოლოგიურ სისტემას შორის მუდმივი კონტაქტი არსებობს. ისევე როგორც სოციალური ლინგვისტიკის, ასევე ჩვენი კვლევის ყველაზე აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს იმის ანალიზი, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები ზოგადად ენაზე. ინფორმაციის გადაცემის ტერმინოლოგიური საშუალებები ასევე აჩქარებენ ინოვაციებს და ახალი გამოვლინებების დანერგვას ენაში.

გასათვალისწინებელია სამედიცინო ტექსტის თარგმნისას ინტუიციურად აღქმული თვისებები. მათი ლინგვისტური თარგმანის ნიუანსებისა და პრობლემების განხილვა ორი ენის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მომავალში, ვფიქრობთ, სამედიცინო თარგმანში მოღვაწე მთარგმნელებს ხელს შეუწყობს ამ სფეროში მუშაობისას.

დანართი - 4

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამედიცინო ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისით განხილვა, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტექსტი არის ლინგვისტური შესწავლის ობიექტი, ამიტომ მის მიმართ გამოიყენება ენათმეცნიერების ძირითადი ცნებები. სამედიცინო ტექსტი სპეციფიკურ ინფორმაციას შეიცავს, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განხილვა როგორც ლინგვისტიკის ობიექტისა, რადგან ტექსტის ლინგვისტიკა სამეცნიერო დისციპლინაა. მისი მიზანია ადამიანთა კომუნიკაციის წინაპირობისა და პირობების აღწერა.

სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ინგლისური სამედიცინო ტექსტები განსხვავდება თავიანთი კონსტრუქციული სირთულით. ისინი მდიდარია ინფინიტივის, გერუნდივის და მიმლეობის კონსტრუქციებით, ასევე საკმაოდ ხშირად გამოიყენება ვნებითი გვარი. ამგვარი კონსტრუქციები დამაბნეველია მთარგმნელისათვის, რაც საკმაოდ ართულებს ტექსტის ადეკვატურად აღქმის პროცესს. ამ დროს ჩვენ საქმე გვაქვს ინტერფერენციასთან. ანუ იგრძნობა ერთი ენის ზეგავლენა მეორეზე. კალკირებულია სინტაქსური კონსტრუქციები, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. ინგლისური წინადადების წყობა არ შეესაბამება ქართული წინადადების წყობას. ინგლისურისგან განსხვავებით, ქართული ტექსტი ვერ ეგუება რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებს, ასევე პნეონაზმს (გამეორებებს) და მკითხველში იწვევს ბუნდოვანებას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ფრაგმენტს ერთ-ერთი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალიდან: Many people, when thinking about the idea of adding years to life, commit the “Tithonus error”—the presumption that, when we talk about combating aging, we’re only talking about stretching out the grim years of debilitation and disease with which most people’s lives currently end... ქარულად ეს აზრი ასე გადმოიციმა: მცდარია მოსაზრება, რომ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე საუბრისას იგულისხმება მხოლოდ სხვადასხვა დაავადების მქონე პირთა სიცოცხლის წლების გახანგრძლივება.

ინგლისური ენაში სიტყვებს, ასევე ტერმინებს განსაკუთრებით ახასიათებთ პოლისემანტიკურობა. სამედიცინო ტექსტებში ჭარბობს სხვადასხვა სახის ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ტექსტში მთავარი მნიშვნელობის მატარებელია, რაც ამავდროულად ხელს უშლის ტექსტის შინაარსის ადეკვატურად აღქმას. ჩვეულებრივ მეტყველებაში სიტყვა, როგორც წესი პოლისემანტიკურია ე.ი. ერთ სიტყვას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. მაგალითად პრაგმატული ვარიაციულობის ასპექტში ტერმინი file- ფაილი, დიდი პოტენციალით გამოირჩევა. ზოგად ლექსიკაში მისი მნიშვნელობა ასაქადალდე, ასევე ქლიბი. ხოლო მედიცინაში ის ნიშნავს პაციენტის ანკეტას. ავილოთ სიტყვა რემისია - remission- რომლის ზოგადი მნიშვნელობაა მიტევა, სასჯელისაგან გათავისუფლება. ხოლო მედიცინაში ნიშნავს დროებითი გამოჯანმრთელებას.

ინგლისური ტექსტის თარგმნისას მთარგმნელმა სრულად და ზუსტად უნდა გადმოგვცეს სამედიცინო ტექსტის შესატყვისი შინაარსი ისეთი ფორმით, რომელშიც გამოყენებული იქნება ინგლისურენოვანი, როგორც სიტყვების, ასევე ტერმინების სათანადო ქართული ანალოგები, ასევე არ უნდა მოხდეს ტექსტის არასწორად თარგმნა და კალკირება. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ინგლისურენოვან სამედიცინო ფრაზას, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანი სრულიად არაადეკვატურია. მაგ.: needle exchange program - აღნიშნავს ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამებს. Mad cow disease-ენცეფალიტი. Dawn phenomenon - საწყის ეტაპზე დიაგნოსტიკა. Storage disease - მეძვიდრობითი დაავადება, Electric bra- მამოგრაფია. Iron lungs - მართვითი სუნთქვის აპარატი. Sandwich method - შრეობრივი დათვალიერება. Brainwashing - შოკური თერაპია და სხვ. ამგვარი გამოთქმების სიტყვასიტყვითი თარგმანი სრული აფსურდია, რადგანაც ამ ფრაზებში გამოყენებულია სტილისტური ხერხები, რომლებიც შესაძლოა არაპროფესიონალის მიერ არაადეკვატურად იქნეს აღქმული. ამგვარი

გამოქმედი განპირობებულია ასოციაციური აზროვნებით და ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორას. ჩვენი აზროვნებაც ასოციაციურია, ადამიანები ერთ საგანს ყოველთვის ვადარებთ მეორეს და ხშირად ამ შედარებისას საინტერესო მოვლენებს ვაწყდებით. სამედიცინო ტერმინოლოგია ამ მხრივ მდიდარია ასოციაციური აზროვნების მოდელებით. მათი ადეკატური თარგმნა კი მთარგმნელის პროფესიონალიზმის საკითხია. ილუსტრაციისათვის შევჩერდებით ინგლისური სამედიცინო ტექსტების სტილისტურ-გრამატიკულ თავისებურებაზე, რომლებიც უცხოა ქართული სამეცნიერო (სამედიცინო) ლიტერატურისათვის.

სამედიცინო ტექსტები უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციული სახისაა. აქედან გამომდინარე ინგლისურენოვან სამედიცინო ტექსტებში ხშირად გვხვდება ვნებითი გვარი, ქართულში ის ნაკლებად გამოიყენება. ამგვარი ტექსტების თარგმნისას აუცილებელი ხდება ვნებითი გვარის მოქმედებითი გვარით შეცვლა, რომელიც უფრო მისაღებია ქართული ენისათვის. მაგ.: "N - cell adhesion molecule is also found in Leydig cells of the testis in the thyroid and in smooth muscle cells of the small intestines, colon and bladder" (ICN Pharmaceuticals). ქართულად ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა ითარგმნოს: „ექიმებმა აღმოაჩინეს N - უჯრედის მოლეკულა კუნთოვან ქსოვილში, ასევე მსხვილ ნაწლავში და შარდის ბუშტში“. ცხადია შეცდომაა is also found ითარგმნოს, როგორც აღმოჩენილ იქნა. The disease was overcome by the physicians - ექიმებმა შეძლეს დაავადების დამარცხება. ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებებიდან გამომდინარე, ასევე ორ ენობრივ კოლექტივს შორის არსებობს სიტუაციური და სოციოკულტურული განსხვავებებიდანაც, ადვილი გასაგებია, რომ სრულფასოვანი თარგმანის შესრულება მხოლოდ ლინგვისტური ნიშნების ჩანაცვლებით შეუძლებელია. ზოგადად, მთარგმნელი იძულებულია მოახდინოს ურთიერთობების რეორგანიზება შინაარსის ელემენტებსა და ფორმის ელემენტებს შორის ფუნქციური ასპექტების გათვალისწინებით. თარგმანის შესრულება მხოლოდ ლინგვისტური ნიშნების ჩანაცვლებით შეუძლებელია. ზოგადად, მთარგმნელი იძულებულია მოახდინოს ურთიერთობების რეორგანიზირება შინაარსის ელემენტებსა და ფორმის ელემენტებს შორის ფუნქციური ასპექტების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თარგმანი შეიძლება სათარგმნ ენაში იმავე კომუნიკაციური ფუნქციის მატარებელი არ

იყოს, რა ფუნქციასაც ეს ტექსტი ამოსავალ ენაში ასრულებს (რაისი 2009, 159). ინგლისურენოვან სამედიცინო ტექსტებში, რომლებიც აღწერითი სახისაა, ხშირად გამოიყენება მომავალი დრო ჩვეულებრივი მოქმედების აღწერისას. კონტექსტის გათვალისწინებით ასეთი წინადადებები უნდა გადავთარგმნოთ არა მომავალ, არამედ ახლანდელ დროში. მაგ.: The defeat of aging will entail the elimination of that period, by postponing it to indefinitely greater ages so that people never reach it. There will, quite simply, cease to be a portion of the population that is frail and infirm as a result of age. დაბერების დამარცხება მთლიანად აღმოფხვრავს იმ პერიოდის პრობლემას, რომელსაც ადამიანები ვერ კი აღწევდნენ. უბრალოდ აღარც კი იასრებებს სიბერის გამო დაუძლურებული მოსახლეობა. იგულისხმება სიცოცხლისწლების გახანგრძლივება ზოგადად, ანუ შემცირდეს ასაკობრივი დაავადებები, რასაც აქამდე ადამიანები ვერ აღწევდნენ.

კ. რაისი აღნიშნავდა: „ეკვივალენტობა თანასწორი ურთიერთობაა ორი ლინგვისტური სისტემის ნიშნებს შორის, ორ განსხვავებულ ლინგვისტურ კოლექტივში, სადაც თითოეულს საკუთარი სოციო - კულტურული კონტექსტი აქვს. ამასთან, ეკვივალენტური თარგმანი არ გულისხმობს თითოეული სიტყვის შესატყვისობას. შესაძლოა, რომ თარგმანის მრავალი ვარიანტი იყოს ეკვივალენტური“ (რაისი 2009, 146). მთარგმნელისათვის ლინგვისტური კომპეტენცია მნიშვნელოვანი ელემენტია და ამოსავალი და სათარგმნი ენის ლექსიკის, სინტაქსისა და სემანტიკური წესების სიღრმისეულ ცოდნას გულისხმობს. თარგმნის დროს, რაც უფრო ღრმად ლინგვისტური ცოდნა, მთარგმნელი ნაკლებ პრობლემას ხვდება. თუმცა, მთარგმნელი, როგორც წესი, აცნობიერებს, რომ მხოლოდ ლინგვისტური ცოდნა საკმარისი არაა იმისათვის, რომ შეასრულოს თარგმანი. ენობრივი ახსნა - განმარტება, რომელიც მოცემულია ტექსტში, ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია, ტექსტის გაგებისათვის კოგნიტური ცოდნის მობილიზებაა აუცილებელი. დ. სელესკოვიჩი ფიქრობს, რომ არ არსებობს ტექსტი შეტყობინების, ავტორის წინასწარი ვარაუდისა და კოგნიტური ელემენტების გარეშე, რომლებიც შეიძლება ექსპლიციტური არ იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 15).

დასკვნა

ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემების ანალიზის საფუძველზე, დისერტაციში თარგმანთან დაკავშირებული საკითხები დაყოფილია ორ ძირითადი ასპექტად 1) თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგია და მისი თარგმნის პრობლემები შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, 2) სხვადასხვა სამედიცინო ტექსტების თარგმანი, ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული ლინგვისტური განსხვავებების შეპირისპირების საფუძველზე. ამ კვლევაში თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგია განხილულია, როგორც სალიტერატურო ინგლისური ენის ქვესისტემა. ტერმინოლოგიასთან ერთად

განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება ადეკვატურად შესრულებულ სამედიცინო თარგმანს, რაც დღესდღეობით მეტად აქტუალურია.

ტერმინების სემანტიკური - სტრუქტურული თავისებურებების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული თავისებურებები. ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: ა) ლათინურ და ბერძნული ტერმინოლემენტები, ბ) სამედიცინო ტერმინთა ინტერნაციონალიზაცია, გ) სინონიმის პრობლემა სამედიცინო ლიტერატურაში. აქცენტირება მოვახდინეთ ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითადი ტენდენციებზე. ქართულ ენაში სამედიცინო ტერმინები ტრანსფორმირდება პირველადი სახით, და უმეტეს შემთხვევაში ინარჩუნებს პირველწყაროს სახეს. მათი სიღრმისეული შესწავლა აუცილებლობას წარმოადგენს და დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისური და ქართული სამედიცინო ტერმინების თარგმნის სფეროში. თანამედროვე ქართულ მედიცინაში კომუნიკაცია სწორედ მათ ემყარება, რაც ხელს უწყობს ქართული თანამედროვე სამედიცინო ლექსიკის გამდიდრებას.

ჩვენ მიერ განხილული თანამედროვე მედიცინის ტერმინოლოგიური სისტემა აღნიშნული მეცნიერების რთულ კონცეპტუალურ სისტემას ასახავს. ეს მოდელი კი სამედიცინო ტერმინოლოგიის - ბინარულობას (ორაზროვანებას) გამოხატავს. ბინარულობა ერთდროულად ასახელებს ორივეს - წყარო ტერმინსაც და სახეობითსაც. ტერმინთა ამგვარი დაყოფა ითვლება ტერმინოლოგიის მიღწევად, რამდენადაც ტერმინწარმოების მიზანმიმართულ პროცესს სწარმოადგენს.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ა) ლათინიზმები, რომლებიც ასიმილირებულია ინგლისურ ენაში იშვიათად ცალკეულ სიტყვებთან, უფრო ხშირად კი სიტყვათა კომბინაციებთან ან კომპოზიტებთან. სწორედ ამ ტერმინთა ტრანსპოზიცია გვაქვს ქართული მედიცინის ენაში. ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ იმ ინგლისურენოვან ტერმინთა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა მოდელების ანალიზი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირებაზე და ჭარბობს ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში. მოვახდინეთ ტერმინების ტრანსფორმირებისა და მათი პარადიგმების ანალიზი. თუ რამდენად შესაძლებელია მათი ალტერნატიული ვარიანტების დამკვიდრება. ბ) გამოვარჩიეთ რიგი ტერმინები, რომელთა ტრანსფორმირება მოხდა ქართულში და იმდენად

ასიმილირდა, რომ უკვე ფართო საზოგადოებისთვისაც ადვილად აღქმადია. როგორც გამოირკვა, ტერმინები იქმნებოდა ყველა ისტორიულ ეპოქაში, როგორც ლექსიკური წყაროებიდან, ასევე ტერმინოლოგიური მოდელების აგების გათვალისწინებით. ამ პროცესებმა აჩვენა, რომ ტერმინი ასახავს რეალობის სემანტიკას. სავარაუდოდ ასე იქმნებოდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისურენოვანი ტერმინწარმოების სურათი, რამაც დიდი გავლენა იქონია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ფორმირებაზე.

გ) აღნიშნული სისტემის თავისებურებების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია სხვადასხვა სახის სამედიცინო ტერმინები, რომლებიც მკვიდრდება ქართულ ენაში. ასევე შესწავლილია მათი განვითარებისა და ცვლილებების პროცესები. სისტემის სტაბილური დინამიკური ხასიათი ეყრდნობა ხარისხობრივსა და რაოდენობრივ ცვლილებებს. ტერმინოსისტემის ფორმირების ძირითადი მიმართულებისა და ფუნქციონირების ცოდნა მედიცინასა და მის ცალკეულ ქვესისტემებში საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ ახალი ნიშან-თვისებები და ეფექტურად გამოვიყენოთ პროგნოზირებისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია თარგმანის თვალსაზრისით.

დ) ნაშრომში შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა ენობრივი ინტერფერენცია, ანუ ერთი ენის ზეგავლენა მეორეზე, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინგლისურ-ქართულ სამედიცინო თარგმანებში. ყურადღება გავამახვილეთ კალკირებულ კონსტრუქციებსა და ტიპურ შეცდომებზე, რომლებიც ორი ენის კვეთაზე გამოვლინდა. წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები, რომლებიც სწორედ ამ მოვლენის შედეგად გვხვდება. ი) ასევე გაანალიზებულია ის ინგლისურ-ქართული ენობრივი ნიუანსები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხარისხიანი თარგმანის შესასრულებლად და გათვალისწინებული უნდა იქნეს სამედიცინო ტექსტების თარგმნის პროცესში. ენობრივი ნორმების დაცვა ისევე აუცილებელია სამედიცინო ტექსტის თარგმნისას, როგორც სხვა ნებისმიერი დარგის ნაშრომის გადმოღებისას. ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ სამედიცინო ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისით განხილვა, რადგანაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტექსტი არის ლინგვისტური შესწავლის ობიექტი. ყველაკითხვა, რომელიც სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემის

ფუნქციონირებას და მასში მიმდინარე ცვლილებების ასახვას უკავშირდება, წარმოადგენს ტერმინოლოგიური სისტემის კვლევის დინამიურ ასპექტს. სამედიცინო ტერმინოლოგიის ფარგლებში უნდა განსხვავდებოდეს ენის სტატიკა და დინამიკა. სისტემის სტატიკური ბირთვი მოიცავს როგორც ყველა სტაბილურ ელემენტს(ტერმინს), ასევე ტერმინოლოგიურ ელემენტთა ჯგუფებს, რომელთაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განიცადეს რამე სემანტიკური თუ სტრუქტურული ცვლილებები.

სტატიკური ბირთვი სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემის შექმნის მასაზრდოებელია. მის პერიფერიაზე არსებობს მოძველებული ან მოძველებისკენ მიდრეკილი ტერმინები, აგრეთვე არამდგრადი ტერმინები, ტერმინ-ნეოლოგიზმები ან შედარებით არცთუ დიდი ხნის წინ შემოღებული ტერმინოლოგიური ერთეულები, რომლებიც, როგორც წესი, სახეობით ცნებებს აღნიშნავს. სისტემის დინამიკურითვისება, პროდუქტიული არაპროდუქტიული წარმოების განსხვავება, ვლინდება, პირველ რიგში, ნეოლოგიზმებით, რაც დადებით მახასიათებლად ითვლება. სტატისტიკური გამოთვლებით გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ტერმინთა ფორმალური ვარირება, შიგა დარგობრივი ტერმინოლოგიური სინონიმურობა და სხვა პროცესები. დინამიური ხასიათი ვლინდება ენის განვითარებაში, რადგან ამ პროცესში აისახება ახალი რეალიები. ტერმინოლოგიური ნომინაციების მხრივ. ეს ცვლილებები მუდმივად ურთიერთ ზემოქმედებენ და უპირისპირდებიან ერთმანეთს. რიგი ერთეულები ხანგრძლივი დროით რჩება სტაბილური და არ ემორჩილებიან ცვლილებებს, ხოლო ნაწილი ტერმინებისა ექვემდებარება მას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტერმინი „ნეოლოგიზმი“ თუ „ახალი ტერმინი“ პირობითადაა გამოყენებული. ნებისმიერ ახალ ტერმინს გარკვეულწილად სიახლის კონოტაცია აქვს. ახალ სამედიცინო ლექსიკაში ჭარბობს ტერმინოლოგიური ნომინაციები, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მხრივ. აქედან გამომდინარე, მთელი სამედიცინო ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

საკუთრივ ნეოლოგიზმები (ფორმისა და შინაარსის სიახლე ემთხვევა ერთმანეთს). მაგ.: -medical monitoring - სამედიცინო მონიტორინგი; საკუთრივ ნეოლოგიზმები შესაძლოა წარმოადგენილი იყოს ასევე: ეპონიმური ტერმინების სახით, რომელიც შესაძლოა იყოს ანტროპონიმები: Bolton-Hunter reagent - ბოლტონ ჰანტერის

რეაქტივი და ტოპონიმები: Far Eastern fever - შორეულაღმოსავლური ციება; ნასესხები ტერმინები, რომლებიც, როგორც წესი, ინგლისურენოვან სამედიცინო ლექსიკაში საერთაშორისო ტერმინებად გვევლინება. ინგლისური სამედიცინო ტერმინოლოგიის ინტერნაციონალიზაცია ობიექტურად ასახავს ურთიერთმოქმედ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს მედიცინის ამა თუ იმ დარგში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ახალი სამეცნიერო მიმართულებები ყალიბდება.

სამედიცინო ტერმინოლოგიის ბაზაზე ნასესხები და საერთაშორისო ტერმინოლოგიის შესწავლა მოწმობს, რომ მკაფიოდ გამოიყოფა როგორც ტერმინ-წარმოების ჰიბრიდული, ასევე თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის ლათინური და ბერძნული მოდელები. ნეოლოგიზმებისა და ახალი სამედიცინო ტერმინოლოგიის ეტიმოლოგიური შემადგენლობასახავს ტენდენციას ჰიბრიდიზაციისაკენ. რთული ტერმინებისა და ტერმინოლოგიური კომბინაციების ტერმინწარმოებაში ჰიბრიდული წარმოშობის მოდელები მედიცინაში უფრო პროდუქტიულად ითვლებიან. მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ მოდელებს: ტრანსნომინაცია, მოიცავს სიახლეს სიტყვის ფორმისა მის მნიშვნელობასთან, რომელიც ადრე სხვაგვარად იყო წარმოდგენილი: big C-cancer (კიბო).სემანტიკური ინოვაცია და გადახედვა (ენაში უკვე არსებული ახალი მნიშვნელობა აღინიშნება ფორმით): acid - LSD narcotic (ნარკოტიკი ლსდ), sandwich method - სენდვიჩის მეთოდი - სტრატიფიცირებული.

განხილვის საფუძველზე წარმოდგენილია ტერმინწარმოების სამი ტრადიციული მეთოდი: ლექსიკო-სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. ბოლო ათწლეულების მანძილზე ინგლისური ენის აქტიური ნომინაციური პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა, ვისაუბროთ რთული, ანუ კომპოზიტური სემანტიკური სტრუქტურების მქონე ტერმინების მატების ტენდენციაზე. რთულ ტერმინოლოგიურ ერთეულებს შორის უნდა აღინიშნოს ტენდენცია მრავალკომპონენტურობისადმი, რაც ახალი მოდელების შემოღების შედეგია. მეორე მხრივ, მრავალკომპონენტურობის ზრდას მივყავართ ენის რაციონალიზაციისაკენ, რაც ახალი კომპაქტური ნომინაციების წარმოქმნაში გამოიხატება. ინგლისურენოვან სამედიცინო ლექსიკაში გვხვდება სემანტიკური გზით წარმოებული ტერმინები და ტერმინოლოგიური ფრაზები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება და სხვა ტერმინების საბაზო (წყარო) ტერმინებად

გვევლინება. ტერმინოლოგიური მნიშვნელობის ფორმირება პოლისემიის, ტერმინოლოგიზაციის, მეტაფორული და მეტონიმური ტერმინწარმოების შედეგად ხდება. სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემის სტატიკურ ბირთვს წარმოადგენს ლექსიკურ-სემანტიკური მეთოდით მიღებული ტერმინები და ტერმინოლოგიური

ტერმინოლოგიური სინონიმები წარმოქმნა მსოფლიოში სხვადასხვა დარგისა და სიტყვათშეთანხმებები. ტერმინოლოგიის სისტემის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სინონიმები და ეპონიმური ტერმინები. სფეროს ერთობლივმა განვითარებამ და, ამავე დროს, ერთი და იმავე მოვლენისადმი განსხვავებულმა მიდგომამ, განსაკუთრებით ახალ დარგებში.

ეპონიმური ტერმინები წარმოდგენილია როგორც ტერმინწარმოების ცალკეული მეთოდი. რადგანაც მათი ერთმნიშვნელოვანება ეპონიმურს იდეალურ ტერმინთან აახლოებს. ტერმინწარმოების მორფოლოგიური მეთოდი სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემის ყველა თემატურ ჯგუფში ფართოდ გამოიყენება. ის, თავისთავად, მოიცავს აფიქსაციას, სიტყვათშეხამებასა და კონვერსიას. მორფოლოგიური მეთოდით წარმოებული ტერმინების ანალიზმა ცხადყო, რომ მე-20 საუკუნის 50-90-იან წლებში დამკვიდრებული ნეოლოგიზმების უმრავლესობა სწორედ მორფოლოგიური მეთოდითაა შექმნილი, ტრადიციული ლათინურ-ბერძნული მოდელის გათვალისწინებით.

თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნის სინთეზური ხერხები სამედიცინო ტერმინოლოგიის შევსების პროდუქტიული საშუალებაა. წორედ ამ მეთოდებით ჩამოყალიბდა ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის 70%, რაც ადასტურებს ტერმინოლოგიურ სიტყვათა შეთანხმებების უპირატესობას ერთსიტყვიან ტერმინებთან შედარებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია 2 – 3 - კომპონენტიანი სიტყვათშეთანხმებები (ჰიბრიდული), რაც სამედიცინო დარგების სირთულის ზრდამ განაპირობა. მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური ფრაზების პარალელურად მიმდინარეობს სიტყვათა შეთანხმებების შემცირება-შეკუმშვა, რაც გამოიხატება აბრევიატურებითა და სიმბოლოებით.

ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისურ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ეს პროცესი მატულობს. ყველაზე პროდუქტიულ მეთოდად ახალი ტერმინების ჩამოყალიბებაში საწყისი აბრევიატურები მიიჩნევა. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიაზე: მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები, რაც აისახება ახალი ხელსაწყოების შექმნასა და, თავისთავად, ახალ დასახელებებში. მაგ.: detector, modulator, pacemaker; - მედიცინის ახალი მიღწევები, ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი მიმართულებების განვითარება. მაგ.: orthokeratology, hyperthermia. - ახალი სოციალური მოვლენები, რომელთა დადებითი და უარყოფითი მხარეები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია. მაგ.: drug addict, AIDS. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოსისტემის ფორმირების ძირითადი ტენდენციებია:

1. სხვადასხვა სამეცნიერო დარგისა და სფეროს ელემენტებისა თუ კომპონენტებისაგან ახალი ტერმინებისა და ტერმინოლოგიური კომბინაციების მიღება. მაგ: patient monitoring system, ultrasonic probe.

2. მრავალმნიშვნელოვანი ტექნიკური ტერმინიდან სამედიცინო ტერმინის შექმნა, რომელსაც ერთი მნიშვნელობა აქვს. მაგ. biofeedback.

3. ტერმინოლოგიურ სიტყვათა კომბინაციების დაყვანა ერთ მნიშვნელობამდე, რაც გავრცელებულია მრავალკომპონენტიან ტერმინოლოგიურ ფრაზებში. მაგ.: built-in noninvasive pacer.

4. ტერმინოლოგიურ სიტყვათა შეთანხმებებში სხვადასხვა აღსანიშნავი ცნების სპეციფიკის ასახვა მათთვის დამახასიათებელი კომპონენტებისა თუ ტერმინო-ელემენტების მეშვეობით.

5. ახალი სამედიცინო ტერმინები ხშირად იქმნება საერთაშორისო ბერძნულ-ლათინური ხასიათის მქონე ელემენტების მეშვეობით.

6. საერთაშორისო ტერმინების მატება ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინო-სისტემაში: მონიტორინგი, იმპლანტაცია, რეანიმაცია.

როგორც ვხედავთ, ბოლო ათწლეულებში არსებულ ცვლილებებს მივყავართ სიახლისაკენ და, ამავდროულად, მედიცინაში არსებული ძველი სურათის გაფართოებისაკენ, რაც ენის ლექსიკური სისტემის ადაპტირებას მოითხოვს. მსოფლიო მასშტაბით იცვლება სურათი: ჩნდება ახალი დარგები სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში, შესაბამისად, მედიცინაშიც. კოსმონავტიკის გამოჩენამ მოიტანა კოსმიური მედიცინის შექმნა. კომპიუტერულმა - ტექნიკამ კომპიუტერიზებული სამედიცინო ტექნოლოგიები, გენური ტექნოლოგიები, კვების ახალი სახეობების განვითარება.

ფართოვდება ტრადიციული მედიცინის დარგები, მათი სხვადასხვა სექტორი: მედიკამენტები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, დაავადებათა დასახელებები, რომლებიც, როგორც წესი, აისახება ენაზე და, თავისთავად, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ლექსიკურ რუკაზეც.

ენობრივი ევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინება სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობანი. არის ეს მოვლენისადმი საჯარო მოთხოვნილებისა და მისი ამსახველის არარსებობა ენაში. ერთი წინააღმდეგობის გამჟღავნებამ შეიძლება წარმოშვას მეორე, რასაც მივყავართ ახალი ენობრივი ტენდენციებისაკენ ენობრივი განვითარების სისტემაში. ენა მუდმივ დინამიკაშია. ის პერმანენტულად მიისწრაფის იმისაკენ, რომ ენობრივი ქმედება მის წინაშე არსებულ ამოცანას ემთხვეოდეს. ეს ახალი ტერმინები კი მკაფიოდ ასახავდეს მის შინაარსს. თავისთავად, სამედიცინო ტერმინოლოგია წარმოადგენს განვითარებად დინამიკურ სისტემას, რომელიც დაკავშირებულია ამ სისტემაში არსებულ ცნებათა სიღრმეებსა და სირთულეებთან. პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოგვეცა საშუალება, განგვეხილა სამედიცინო ტექსტები მათი ლინგვისტური მახასიათებლებისა და თარგმანის პრობლემების თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ეს მიმართულება მეტად აქტუალური და პერსპექტიულია. ვფიქრობთ, ამ დარგში ქართულ სამედიცინო სივრცეში არსებული ინფორმაცია ძალზედ მწირია, მოითხოვს გადახედვასა და პრობლემისადმი საგანგებო მიდგომას. სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი ამ კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანის ეს სფერო საქართველოში პრაქტიკულად, ჯერ კიდევ არ არსებობს.

ნაშრომში მოცემული გარკვეული ინფორმაციები სამედიცინო დარგთან დაკავშირებით საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ: შემდგომი კვლევა მედიკოსთა და ლინგვისტთა ურთიერთთანამშრომლობაზე უნდა იქნეს დამყარებული; შემუშავდეს ერთობლივი სამომავლო გეგმა ამ დარგის გასაძლიერებლად; ამასთან ერთდ, დროულად მიგვაჩნია ისეთი მიმართულების გამოკვეთა, რომელსაც ქართული სამედიცინო თარგმანი და მთარგმნელი ჰქვია.

აღნიშნულ თემაზე გაწეულმა სამუშაოებმა საკმაო გამოცდილებასა და პერსპექტივას მოუყარა თავი, რომელიც, ვფიქრობთ, დასაბამს მისცემს შემდგომში იმ პრაქტიკულ საქმიანობას, სამედიცინო თარგმანს რომ უკავშირდება და, ჩვენც როგორც

სპეციალისტს, დაგვეხმარება მიღებული კვლევის შედეგზე დაყრდნობით აქტიურად ჩავერთოთ სამომავლო მთარგმნელობით საქმიანობაში. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თარგმანი ამდიდრებს სხვადასხვა ეროვნების სპეციალისტთა ცოდნას და ქმნის პირობებს ახალი იდეებისა და ინოვაციების დასაწერად. ჩვენს შემთხვევაში, საქმე ეხება სამედიცინო თარგმანის სფეროს, რომელიც, თამამად უნდა ითქვას, რომ ახალი დარგია ქართული თარგმანის სივრცეში. სავარაუდოდ, მოცემულ ნაშრომში განხილული თემა ერთგვარი მოკრძალებული სიტყვა იქნება ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში და ის პოზიტიურ როლს შეასრულებს ამ სფეროს გასაძლიერებლად.

ტერმინოლოგიასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო თარგმანს, რომელიც თანამედროვე პერიოდში მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია. სამედიცინო ინგლისური ენა - (EMP), დარგობრივ- პროფესიული ინგლისური ენის ერთერთ განშტოებაა, რომელსაც საკუთარ სამედიცინო ლექსიკა ანუ კონკრეტული ტერმინოლოგია გააჩნია და, მიზნად ისახავს კომუნიკაციის დამყარებას ინფორმაციის ეფექტურად გაზიარებისას.

EMP კურსი აუცილებელია ფარავდეს არა მხოლოდ ლინგვისტურ კომუნიკაციურ მხარეს თემატურად, არამედ სამედიცინო თემასთან ასოცირებული შინაარსის სფეროებს, როგორიცაა პაციენტსა და ექიმს შორის, ექიმებსა და ექთნებს შორის ურთიერთობა.

ამრიგად, კვლევის შედეგად სამედიცინო ტერმინოლოგიისა და ტექსტების თარგმანთან დაკავშირებული რიგი პრობლემატური საკითხები გამოიკვეთა .

- ეკვივალენტურობის პრობლემა სამედიცინო ტექსტის თარგმანში.
- სიტყვათშემოკლებებისა და ავრიატურების ქართულენაზე გადმოცემა
- ტერმინთა დეკვატური ფორმით გადმოცემა გამოხატვა. ტერმინთა შინაარსის გადმოცემა;

- კონტექსტუალური თარგმანისა და სტილისტური კონოტაციურობის პრობლემა.

- ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების პრობლემა
- ტერმინთა ტრანსლიტერაციის და ტრანსფორმირების პრობლემა.

- ინტერფერენციის პრობლემა. ტერმინებს შორის წყარო ენასა და მის ტრანსლიტერირებულ ვარიანტში მიმდებ ენაში.

- ინგლისურენოვანი ტერმინების უთარგმნელად გადმოტანა

- სესხების პროცესების სირთულე და ენობრივი ინტერფერენცია ქართულ სამედიცინო თარგმანში

- ადეკვატურობის პრობლემა სამედიცინო ტექსტებში.

- ზოგადსალიტერატურო ლექსიკის ტრანსპოზიცია სამედიცინო ტერმინოლოგიაში.

თანამედროვე ეპოქაში თარგმანის ადეკვატურობის პრობლემასთან დაკავშირებულმა საკითხთა კვლევამ კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა. არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები. სესხება და ენის საკუთარი ლექსიკა კორელაციური ცნებებია. დროთა განმავლობაში ზოგიერთი ტერმინი და ცნება იცვლება, ძველდება, იძენს ახალ შინაარსს, მოითხოვს შევსებასა და არსებით გადამუშავებას მეცნიერების უახლესი მონაცემების შესაბამისად. სწორედ ამაში მდგომარეობს მთელისირთულე და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ საკითხის ორი კუთხით შესწავლა (ლინგვისტური და სამედიცინო). კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც, სამწუხაროდ, ხშირად ქართულში ინგლისური ტერმინის ორიგინალის ვარიანტითვე შემოდის და მკვიდრდება, რაც მიუღებლად მიგვაჩნია. შესაბამისად, ინგლისური ბარბარიზმების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია ინტერნაციონალიზმების ნაცვლად ქართულში არსებული ეკვივალენტების გამოყენება თარგმნის დროს. ცხადია, სასურველია ვიხმაროთ საკუთარი ანალოგები, რადგანაც ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტი არ ფლობს უცხო ენას (კერძოდ ინგლისურს) და მისთვის გაუგებარია მედიცინაში დამკვიდრებული ინგლისურენოვანი ტერმინები. ამგვარად, ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე სამედიცინო ტერმინთა მაგალითები, რომელთა დამკვიდრება ქართულ ენაში სასურველია მოცემული შესატყვისებით. მაგ.: იმპლანტაცია - უპრიანი იქნებოდა შეიცვალოს ქართული სიტყვით - გადანერგვა. სენსიტიური - sensitive - მგრძნობიარე. რეგულაცია - regulation ანუ მოწესრიგება, აბსორბცია absorbtion- შეწოვა. ელიმინაცია - elimination - რაიმეს აღმოფხვრა. ადგეზიური - Adhezive - შესახორცებელი; და სხვ. გარდა ამისა, კვლევაში

შემოთავაზებული ინგლისურენოვან ტერმინთა ალტერნატიული ქართული ვარიანტების ამ ფორმით გამოყენება უფრო გასაგები იქნება აუდიტორიისთვის და გაუადვილებს მათ მედიკოსებთან კომუნიკაციას. თუმცა ხშირია შემთხვევებიც, როდესაც ვერ ხერხდება კონკრეტული ტერმინის ერთი სიტყვით ჩანაცვლება და აუცილებელია გარკვეული ფრაზის გამოყენება. სწორედ ჭარბსიტყვიანობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ამგვარი უცხოური, კერძოდ, ინგლისურენოვანი ტერმინები. მაგ.: ისეთი აქტუალური ტერმინები, როგორიცაა სკრინინგი - (screening), ემერჯენსი - emergency; სკანირება scanning. ჭარბსიტყვიანობა ენისათვის არასასურველია და ამიტომაც, ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამგვარ ტერმინთა ჩანაცვლება ინგლისურენოვანი ტერმინით, მრავალკომპონენტიანი ქართული შესატყვისის ნაცვლად ტერმინი - სკრინინგი - (screening), პათოლოგიური პროცესის გამოვლენის მეთოდი, ერთი ქართული ეკვივალენტით ვერჩანაცვლდა. ამიტომაც ის დამკვიდრდა ქართულში ინგლისურენოვანი ტერმინით - screening. ასეთი მაგალითად გამოდგება თანამედროვე მედიცინაში, დამკვიდრებული ტერმინი - სკანირება - გამოსხივების ნაკადის სივრცობრივი გადახრა ობიექტის სხვადასხვა უბნების გამოკვლევის მიზნით. ემერჯენსი - ამ სიტყვის ქართული შესატყვისი არის - მიმღები, რაც სრულად ვერ ასახავს ინგლისურენოვანი ტერმინის მნიშვნელობას, რადგან ის გადაუდებელ სასწრაფო დახმარებასაც მოიცავს. მაშასადამე იქმნება საჭიროება გარკვეული ფრაზის გამოყენებისა.

დადგენილია, რომ თანამედროვე ქართული მედიცინის ენაში შეინიშნება ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინთა ეკვივალენტების ნაკლებობა და, შესაბამისად, ორიგინალი ტერმინების სიუხვე, რომლებიც ხშირად ფართო მასებისათვის ძნელად გასაგებია. აღნიშნული ფაქტი ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების წარმოქმნას. განსაკუთრებით კი ისეთისას, როგორიცაა მომხმარებლისათვის ინფორმაციის არასრულფასოვნად გადაცემა და შემდგომი მკურნალობის არაეფექტურობა.

არცერთი სპეციალური ენა, მათ შორის, სამედიცინოც და მისი ტერმინოლოგია, ეროვნული ენისაგან სრულიად იზოლირებული არ არის, და თავად ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ საგანძურს (სამედიცინო ლექსიკა, ახალი ცნებები). ამიტომ

ნებისმიერი ტერმინის ხმარება (წერილობით თუ ზეპირად) ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს უნდა დაექვემდებაროს.

ნაშრომში გამოიკვეთა სხვადასხვა ასპექტები რომელთა გათვალისწინება თარგმნისას გარკვეულ სირთულეებს აღმოუჩენავს. აღნიშნულია სამედიცინო ტერმინთა ეკვივალენტების ნაკლებობა და, შესაბამისად, ორიგინალი ტერმინების სიუხვე, რომლებიც ხშირად ფართო მასებისათვის ძნელად გასაგებია. გამოვლენილია ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნისას დაშვებული ტიპური შეცდომები, რაც ხშირად გარკვეულ პრობლემებს ქმნის. დადგენილია მათი გათვალისწინების აუცილებლობა, როგორც კვალიფიციური თარგმანის წინაპირობა. შეჯამებულია მრავალი მთარგმნელობითი პრობლემა, გამოვლენილია მათი გარკვეულწილად მოგვარების საშუალებები. განხილვის შდეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში მთარგმნელისათვის სირთულეს წარმოადგენს სინონიმების თარგმანი, მრავალკომპონენტური შესიტყვებების თარგმანი, ასევე წინდებულებისა და სხვადასხვა სახის გრამატიკულ კონსტრუქციების თარგმანი, რომლებიც განსხვავდება ინგლისურსა და ქართული ენებში. მაგალითისათვის მოვიყვანთ ისეთ წინდებულებას ფრაზას, ‘within...of,’ რომელიც ხშირად გამოიყენება სამედიცინო დოკუმენტაციაში. ასევე ხშირად ხდება მისი არასწორი ინტერპრტირება. within...of treatment უნდა ითარგმნოს, როგორც მკურნალობის განმავლობაში და არა მკურნალობის დაწყებიდან, რაც სამწუხაროდ ხშირად ტიპური შეცდომის სახით გვხვდება სამედიცინო დოკუმენტაციებში ინგლისურიდან ქართულზე თარგმნისას.

Informed consent and medical history may be performed within 14 days of treatment. სამედიცინო ისტორიის დაწერა შესაძლებელია 14 დღიანი მკურნალობის განმავლობაში და არა მკურნალობის დაწყებიდან მე-14 დღეს.

აღნიშნული ფაქტი ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების წარმოქმნას. განსაკუთრებით კი ისეთისას, როგორიცაა მომხმარებლისათვის ინფორმაციის არასრულფასოვნად გადაცემა და შემდგომი მკურნალობის არაეფექტურობა. როგორც ცნობილია, კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლის ძირითადი საშუალებაა, ხოლო კომუნიკაციის დამყარება კი ენის მთავარი მახასიათებელი. დადგინდა, რომ ინგლისურიდან ქართული ენების განსხვავებულობის გამო, რთულდება თარგმანში ადეკვატურობის მიღწევა. თავისთავად ცხადია, რომ არასრულფასოვანი თარგმანი

იწვევს საზოგადოების არაინფორმირებულობას, რაც აფერხებს მთელ რიგ დაავადებათა პრევენციას. არასწორი კომუნიკაცია ნიშნავს მკურნალობის პროცესის არაპროდუქტიულობას. წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა მოსაუბრემ საუბრისას გაითვალისწინოს მხარეთა ინტერესები, ანუ გამოყენებული უნდა იქნეს მათთვის მისაღები და გასაგები ვერბალური ერთეულები. თითოეული ენა, ჩვენს შემთხვევაში ინგლისური და ქართული, განსხვავდება ერთმანეთისაგან, თავისებურებები ახასიათებთ. ჩვენი აზრით, ქართული ენის სიწმინდისა და ღირსების დაცვა ერთ-ერთი იმ მოთხოვნათაგანია, რაც თარგმნის პროცესში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებელი; შემოთავაზებულია აგრეთვე პრობლემათა გადაჭრის ახლებური ვარიანტები, რაც მოითხოვს მედიკოსთა და ლინგვისტთა ერთობლივ ძალისხმევას ამ დარგში. ეს კი, ვიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი საფრთხე, როგორიცაა ენის „დაბინძურება“, დამძიმება.

